


K  $\frac{83.656}{3}$

UNIVERSITY  
OF CALIFORNIA  
LIBRARY











მხატვარი პ.კ. ჯ. გუდიაშვილი



საქართველოს  
სამეცნიერო

სპეგ-2000  
თბილისი

# შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ი

## I

### 1. შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი

პოემა „შაჰნავაზიანი“, უკვე 270 წლის ნაწარმოები, დღეს პირველად იბეჭდება.

„შაჰნავაზიანი“ — ისტორიული პოემაა, — სახოტბო, საკარო პანეგირიკული თხზულებაა, დაწერილი ვახტანგ V-ის — შაჰნავაზის (1620 — 1675) და მისი შვილის არჩილის (1647 — 1713)<sup>1)</sup> საქებრად, მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და ვაჟკაცობის ამბების აღწერით. პოემის ცენტრი „შაჰნავაზია“, ამიტომ პოემაც მის სახელს ატარებს — „შაჰნავაზიანს“:

ღმერთო, გიაჯი ისმინო, რომელი თაბორს ზიანი,  
დღეგრძელებდაში აკმარე შეფეს შაჰნავაზიანი. 173/1052

<sup>1)</sup> არჩილი გარდაიცვალა არა 1712 წელს, როგორც დღემდე იყო დადგენილი, არამედ 1713 წელს, აპრილის 16-ს, როგორც ეს გამოვარკვევ 1928 წელს დონის მონასტრის არქივში (იხ. აგრეთვე И. Забелин, Описание Донского монастыря, стр. 166—167; 1893 г.).

<sup>2)</sup> მკითხველს მეტად უცნაურად ეჩვენება აკად. ნიკო მარის და პროფ. ალ. ხახანაშვილის გადმოცემა შაჰნავაზიანის შინაარსისა, რომლითაც თითქოს პოემაში აწერილია გიორგი XI-ის ცხოვრება და გმირობა (იხ. Н. Марр, Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы, ЖМНП, XII, 1899). პოემას ასეთ შინაარსს აწერს ალ. ხახანაშვილიც, რომელსაც ეს შეცდომა მარის ცნობილი წერილიდან უნდა ჰქონდეს აღებული. ხახანაშვილი სწერდა: „[ფეშანგი ფაშვი ბერტყაძემ] დასწერა პოემა (შაჰნავაზიანი), რომლის გმირად დასაბა ქართლის მეფე გიორგი XI (1675—1688; 1691—1695; გ. 1709 წ.)“. შემდეგ ხახანაშვილი, იგონებს რა გიორგი XI-ის გმირობას ყანდაარში და ავლანთა წინააღმდეგ, ასკვნის: „პოემა ამგვარად წარმოადგენს შესხმას გიორგი მეფის ღვაწლის და მისი გმირულის საქციელისა“. — ი. ქართ. სიტყვიერების ისტორია, 1919 წ. გვ. 352; Очерки... III, стр. 93, 1901 г.). როგორც ხედავთ, ორივე მეცნიერის სიტყვით, ჩვენი პოემა გიორგი მეფის ხოტბას წარმოადგენს, მაშინ როცა ამ გიორგის (ჯერ კიდევ ბატონიშვილს) პოემის ავტორი უძღვნის მხოლოდ ერთს ტაეპს (211); ეპევი არაა, მარიც და ხახანაშვილიც უნებლიე შეცდომაში შეიყვანა ჯერ პოემის წაუკეთებლობამ და შემდეგ იმ ამბავმა, რომ გიორგი XI-ც ატარებდა „შაჰნავაზის“ სახელს, ყანისგან ქართლის ტახტის მიღების შემდეგ. არც მარი, არც ხახანაშვილი სპეციალურად არ შეგებთან ჩვენს პოემას, ისინი მხოლოდ გაკერით აბსენებენ და სწორედ ამ გარემოებითაც აიხსნება მათი უნებური შეცდომა.



მართალია, შაჰნავაზიანი ტიპური ნიმუშია საკარო პოეზიისა, აღმოსავლური ჰიპერბოლიზმით, ხოტბური რიტორიკით და ყალბი პათოსით აზევებული,—მაგრამ პოემა იმავე დროს როგორც რეალისტური ნაწარმოები მეტად საინტერესო და უხვ ცნობებს იძლევა თავის ეპოქის პოლიტიკურ სინამდვილეზე: სოციალურ, პოლიტიკურ და ყოფითი გარემოს შესახებ.

შაჰნავაზიანი შეიცავს XVII საუკ. ქართლ-კახეთ-იმერეთ-ოდიშის ცხოვრების ცოცხალ სურათებს, ანუ თანამედროვე ხელოვანის მიერ ჩაწერილს შვიდი წლის (1658—1664) ქრონიკებს.

ამიტომ ჩვენი პოემა, მიუხედავად თავისი განკერძოულობისა, უპირველესად რეალისტური ნაწარმოებია, ხოლო მისი ავტორი, როგორც ერთერთი შემომტანი ახალი ჟანრის—ისტორიული პოემის—უსათუოდ ნოვატორია.

შაჰნავაზიანი—პანორამაა XVII საუკუნისა. იგი გვაცნობს ფეოდალურ საზოგადოების ზნეობას, ყოფა-ცხოვრებას, ოჯახურ ტრადიციებს, ზნეჩვეულებებს და საზოგადოებრივ ყოფის სხვა ელემენტებს. აქ მკითხველის თვალწინ გაივლის როგორც გაუთავებელი ომები, ფეოდალური თავდასხმები, სისხლის ღერა, თვალდათხრა, თავების ქრა, მიცვალებულზე გლოვა-ტირილი, ისე შემაქცევრობა: სხვადასხვა გართობა—ბურთობა, „ცხენთა დგენა“, როსტევანისებური ნადირობა, დაუსრულებელი „ლხინი, შუება და სიამე“-ც. ჰომერულს რაბლეს ხაზებში მგოსანი იძლევა ფეოდალურ მეგლისების დიდ სურათებს: მოოქროვილ ოთახებში „სმა და გასმევა“, „სწორამდინ ლხინი“, „უკლებლად, დაულალავად“, სად „თავისმელნი სმენ ღვინოს გობითა“. გარიგებული ჭამა. ფერად-ფერადი შექცევა. საკრავთა ელერანი. დაიხაზე თამაში. საპაია, ოქროს კოკები, ჩინური ჭურჭელი. სტავრა და ატლასი, „სიმთვრალით დაფანტული სუურები“, მთვრალ კაცთა „იქი აქ რყევანი“, გობების და ჩარების დაძალადებით კალთებში ჩადგმა და სხ.

გაუკაცრავდენ პირთაგან, კალთა აივსო, დალუარა. 28/208

ღვინომ დალაკა ყუფლანი, არვინ სჩანს ფეხზე მდგომია. 168/1019

მეგლისების შემდეგ ეროტიული სცენები:

ქალწულნი გამოეთხოვენ იმა უღამო მთვარესა,

წავიდენ საწოლისაკე, მათ ქმართა მიებარესა. 33/171

საწოლს შევიდა ხელმწიფე, ნახა მზის მოვანებანი,

შემოევება ხოშვუარად, ვის შუენის მოარებანი. 94/554

ჩვენი პოემის წონა მეტად დიდია. წმინდა ლიტერატურული ღირსების გარდა, რომელიც არც თუ ისე მდარეა,—მას აქვს ისტო-

რიული მნიშვნელობაც, წარმოადგენს რა იმავე დროს ვალექსილ მატინანეს. ხოლო პოემაში გაბნეული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოფითი მასალები—ერთი-ორად ზრდიან ყურადღებას პოემისადმი, რომელსაც უსათუოდ ერთნაირი ინტერესით მოეკიდება ლიტერატორი, და ისტორიკოსიც.

პოემა იწყება ვახტანგ შაჰნავაზის გამეფებით (1658 წ.) და თავდება არჩილის კახეთის ტახტზე ასვლით და ამ ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლით კახეთის კანონიერ მემკვიდრე—ერეკლე ბატონიშვილთან<sup>1)</sup>.

შაჰნავაზიანი დაწერილია რუსთველური ლექსით და წარმოადგენს 60 თავს, 1151 ტაქს. პოემა შეიცავს: ა) პროზითი პროლოგს; ბ) ლექსითი პროლოგს; გ) პოემის სიუჟეტს.

## 2. „შაჰნავაზიანი“-ს ხელნაწერის აღწერილობა

შაჰნავაზიანის უნიკალური ეკზემპლარი<sup>2)</sup> დაცულია საკავშირო სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (ყ. საახიო მუზეუმში) სახელნაწერო განყოფილების ბროსესეულ კოლექციაში<sup>3)</sup> (ხელნაწერი № 38).

ხელნაწერის კანის მეორე გვერდზე დაწებებულია ქალაღი შემდეგი წარწერით: 32 (83—28+22cm. 7 fol.+338 pag. 9 fol. 16 lin)

G. Phéchang, Histoire en vers de Chah—Navaz I sans commencement ni fin, des blancs pour des illustrations,—BAn<sup>o</sup> 141, v. p. 261.

ხელნაწერის ზომა: 28×22 cm, სისქე 4 cm.

ხელნაწერი აკინძულია, ყდის მაგივრად თეთრ ქალაღზე გადაწებებული მოლურჯო ქალაღის კანი აქვს. ტექსტს თავში ჩაკინძული აქვს 7 ფურცელი თეთრი ქალაღი, დაუწერელი, ბოლოში კიდევ

<sup>1)</sup> შემდეგში ერეკლე I (ნახარალიხანი) (1643—1709).

<sup>2)</sup> „შაჰნავაზიანის“ გამოკვეყნება ჯერ კიდევ სტუდენტობაში უპირებია განსვენებულ დავით ყიფშიძეს, რომელსაც პოემის პირი გადმოუღია. აქედან უსარგებლოა პროფ. კ. კეკელიძეს, როცა (1924 წ.) ის ლიტერატურის ისტორიის კურსში შეებო შაჰნავაზიანს, სხვათა შორის პირველად, ქართველ მკითხველისთვის. (იხ. ლიტ. ისტ., II, 333—348). ხელნაწერის აღწერილობა, პოემის შინაარსის გადმოცემა კომენტარიებით პირველად ვეჟუნის მარი ბროსეს (იხ. Histoire de la Georgie, II, 1, Addit. VIII. p. 601—614.)

<sup>3)</sup> შაჰნავაზიანის ხელნაწერი ინახებოდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის დავით დადიანის ბიბლიოთეკაში. 1848 წელს მთავარს უჩუქებია მარი ბროსესთვის, ხოლო უკანასკნელს სამეცნ. აკადემიის ყ. საახიო მუზეუმისთვის გადაუცია.

9 ფურცელი. ეს ჩაკინძული ქალაქები საერთო პავინაციაში შეტანილი არ არის.

ხელნაწერი 338 გვერდს შეიცავს, თავში და ბოლოში აკლია, საპავინაციო რიცხვი მხოლოდ recto-ზეა, ჩათვლილი, მაგრამ რიცხვი არ აზის. საპავინაციო რიცხვები რამდენიმე ადგილას შეცდომითაა დასმული. ფანქრით შესრულებული პავინაცია—მერმინდელი დროისაა.

ხელნაწერი რამდენიმე ადგილას დაზიანებულია. მაგალითად: 1 გვერდზე მარცხენა მხრიდან მეორე სტრიქონის დასაწყისიდან თითქმის მთელი სიტყვის ადგილი ამოგლეჯილია. მე-7 გვერდის პირველი ორი სტრიქონის დასაწყისიც დაზიანებულია. 206 გვერდის შემდგომ ეტყობა, რომ ამოგლეჯილია, თუ მეტი არა, ორი ფურცელი მაინც. 207-ე და 208-ე გვერდების ზემო ნახევრის მარცხენა მხარე მთლად ამოგლეჯილია. ამოგლეჯილი ნაწილი იქვეა ჩადებული, მაგრამ ნაკლულევანია. 137 გვერდის ზემო ნახევრიდან ამოგლეჯილია ადგილი შუაში სამი სტრიქონის სიგანეზე.

250-სა და 251-ე გვერდებზე ფურცელი შუა ადგილას გახეულია, მაგრამ სიტყვების ამოკითხვა შეიძლება. ასევეა 57 და 88 გვერდებზე. 250-სა და 251 გვერდს შუა ჩარჩენილია მთელი ფურცლის ქვედა აშია, ასე რომ ეს გვერდიც ამოგლეჯილად უნდა ჩაითვალოს.

ბევრი ფურცლის აშიებზე მიწებებულია ახალი ქალაქები. ხელნაწერის ზოგიერთ ფურცლებზე დაწებებულია ქალაქის ნაპრები, მისი შემდგომში დაზიანებისაგან დასაცავად.

ხელნაწერის აშიებზე მრავალი მინაწერები და წარწერები მოიპოვება. მოგვყავს ზოგიერთი:

„როდამ დედოფალი ღმერთმა აღ[დეგრძელი]ს<sup>1</sup>). (გვ. 97)

„მეფის: შაჰნავაზის: ამბისა: მიმთხვეულმან: თეიმურაზ: ძის: წულის: ძემან: იმა: მეფისა: შაჰნავაზისმან:“. (გვ. 183) სიტყვას „თეიმურაზ“ პატარა ჯვარი უზის და ცოტა მოშორებით სხვისი ხელით განმარტებულია: + ე. ი. ანტონ პირველი კ-ზი ქათალი-კო]ზი<sup>2</sup>). (ჩვენი გამოც. გვ. 107).

ქ: დედოფლის: თამარის: (გვ. 315/325)<sup>3</sup>).

<sup>1</sup>) როდამ დედოფალი, ვახტანგ—შაჰნავაზის პირველი ცოლი გარდაიცვალა 1691 წელს, მაშასადამე ეს მინაწერი 1665—1691 წ. შუა არის შესრულებული.

<sup>2</sup>) ანტონ ქათალიკოზი ბერად აღიკვეცა 1739 წელს, და ერისკაცობის სახელს „თეიმურაზ“-საც მხოლოდ ამ დრომდის ატარებდა.

<sup>3</sup>) ვინ არის აქ მოხსენებული დედოფალი თამარ? იგი უნდა იყოს გიორგი XI-ის მეუღლე, დედოფალი თამარ, რომელიც გარდაიცვალა 1684 წელს.

ქ: დედას: ბატონს: შვილი: . მარცხა: . (7) გვ. (309).

ქ. დედოფლის: . თამარის: . კეთილად: . სახსენებ[ელო]: . (310)

ქ: . დედას: . ბატონს: . დედოფალს: . მათი: . შვილი: . მოვა-  
ხსენებ]: . (გვ. 67).

ამას გარდა გამოუცდელი და სრულიად „უწიგნო“ ხელით ზო-  
გიერთ გვერდებზე (გვ. 59, 68, 93, 96, 308, 319 და სხ.) მოთავსებუ-  
ლია ლექსები ან ნაწყვეტები, რომელთაც დღეს ჩვენ ვხვდებით  
ხალხურ ზეპირსიტყვაობაში და მიჩნეულია, როგორც ხალხური ლი-  
რიკის პიესები, მაგ. (გვ. 68):

ქ: . ცის: . ქვეშა: . დაბად[ე]ბული: . თქვენი: . ყველა[დ]: . ცულია: .  
თქვე[ნი]: . ლაწვი: . და: . ბაგენი: . ყირშიზი: . იაგუნდია: .  
სამოთხის: . სურნელობასა: . თქვენთანა: . დაუბუდია: .

ამდ[ე]ნის: . ხნის: . უნახავი: . ჩემთვინ: . სიცოცხლე: . ცულია: .

ქ: . ბატონო: . თქვენი: . თვალ: . წარბი: . მწყაზარს: . შავარ-  
დენს: . გიგავსო: .

ელვარე: . პირი: . ბროლისა: . ცისკარის: . მასკვლავს: . გიგავსო: .

აღვა: . ტანი: . და: ბექ: . გვერდი: . გიშრის: . თმას: . დაუფა-  
რავსო: .

მკლავ: გმირი: . ტანათ ლერწამი: . ქმარი: . ტარიელს: . გიგავსო: .  
არის ერთსტრიქონიანი ლექსი-ნაწყვეტებიც, როგორც:

ქ: . ბაგენი: . თ[ვ]ალ წარბი: . გადაგხატვია: . შუბლი: . მიგი-  
გამს [ქალაღდას] (გვ. 319).

ქ: . ჩემთვის: . გებძანა: . ტკილი: . მოკითხვა: . (გვ. 311).

ბაგენი: . ვარდასა: . მიგიგავს: . დაუქკნობელსა: . მზისაგან: .  
(გვ. 317).

ზოგან (367, 311, 41) ჩამოწერილია ქართული ალფაბეტი, დახა-  
ტულია ჩიტები და სხვ. მინაწერები XVII—XVIII ს. ეკუთვნის.

### 3. შაჰნავაზიანის ავტორი

ვინ არის შაჰნავაზიანის ავტორი?

პოემის დასასრულს ავტორი გვამცნობს თავისს სახელს:

„პელეკაჲ მიწამან ფეშანგიმ ამა წიგნისა წერასა;

სიტყვა დაეზუნაჲ ეთომითა, ვერად ვაუბენ ენასა“-თ 173/1051.

მაშასადამე, პოეტის სახელი ფეშანგი ყოფილა.

ვინ არის ეს ფეშანგი?

რაკი ჩვენი ავტორი ვახტანგ V-ის ანუ შაჰნავაზის და მისი შვი-  
ლის არჩილის კარზე იმყოფება, ეჭვი არაა, იგი არის XVII-ს. ცნო-



ბილი მგოსანი ფეშანგი ფაშვი ბერტყაძე<sup>1)</sup>, რომლის შესახებ არჩილი შემდეგ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის („ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“):

1) XVII ს-ნის მანძილზე ჩვენ არ ვიცნობთ სხვა რომელიმე პოეტს „ფეშანგის“ სახელწოდებით, მხოლოდ ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ვინმე ფავლენიშვილს, რომელიც თითქოს ფეშანგის სახელს ატარებდა (იხ. ქართ. მწ. მე-17 საუკ., გვ. 14), და ამავე დროს დასძენს: ამ ფავლენიშვილის სახელი ჩვენ არ ვიცით და არც ისტორიებში (sic!) ჩანს“-ო. მაშასადამე ფეშანგის სახელწოდება ფავლენიშვილისათვის თვით ზ. ჭიჭინაძეს მიუყვრება.

მისივე აზრით, ეს ის ფავლენიშვილია, რომელსაც არჩილ მეფე იხსენიებს: „არჩილ მეფის სიტყვით, ფავლენიშვილს ლექსები უნდა ეწეროს, თუმცა ერთის მხრივ არ აქვებს მათ. სხვა რამ ცნობები ფავლენიშვილის ნაწერებისა ჩვენ არ გვინახავ რა“-ო (იქვე). ცხადია, აქ ზ. ჭიჭინაძე გულისხმობს XVII ს. მგოსანს ჯაგლაგა ფავლენიშვილს, რომელსაც არჩილი ასე დასცინოდა:

ჯაგლაგა ფავლენის შვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო,  
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვლარ დაუყურსაო,  
სულ მელექსენი შევყარე, მაგრამ ამ ორთა მსურსაო,  
რა დავაბრალო ჯაგლაგსა, ვერ მოყვეს ბეადურსაო (გვ. 6).

მაგრამ ზ. ჭიჭინაძე სცდება. „ჯაგლაგა“-ს ნამდვილი სახელი სრულიადაც არ ყოფილა ფეშანგი. ჩვენ შეგვიძლიან ჯაგლაგას მოლაშქობის დროსთან ერთად მისი ნამდვილი სახელიც დავადგინოთ. ასე, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როცა ქართლი ყაენმა როსტომ მეფეს მისცა (1633 წ.), მაშინ როსტომს სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად სპარსეთიდან ფანველიშვილები ბახუტა და როინ ჯაგლაგი გამოაყოლო (იხ. ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 32). მაშასადამე არჩილის მიერ ნახსენები XVII ს. მგოსანი ზ. ჭიჭინაძისვე ნაგულისხმევი ჯაგლაგი ყოფილა არა ფეშანგი არამედ როინ ფავლენიშვილი (ფანველიშვილი), 1620—1630-იანი წლების მოღვაწე.

როგორც გორგიჯანიძე გადმოგვცემს, როსტომისაგან გამოგზავნილი როინ ჯაგლაგი ფავლენიშვილი თეიმურაზ პირველის მომხრეებს დაუჭერიათ, ყაენის და როსტომის მოწერილი წიგნები წაურთმევიათ და თვით დილაშში მყოფ თეიმურაზისათვის მიუგვრიათ, „წაიკითხეს და ვისთანაც ეწერა ამ წიგნების ამბავი, კახთ ყველას შეატყობინეს, რომ ბატონს თეიმურაზს ამისთანა წიგნები ხელშიდ ჩაუვარდაო. ამ წიგნებზედ ქართველნი დაფრთხენ და აღარავინ მოვიდა იოთამ ამილახორის მეტი“-ო (გვ. 32). ასეთია ერთი საბედისწერო მომენტი ჯაგლაგი ფავლენიშვილის ცხოვრებიდან. რა დამართა თეიმურაზმა მოალატე როინ ჯაგლაგს, არ ვიცით, შესაძლოა იგი სიკვდილითაც დასაჯა.

დასასრულ, ზ. ჭიჭინაძე გვიამბობს, რომ ფავლენიშვილის პოემა „მ ბოლო დროს აღმოჩნდაო, სად—არ მახსოვს“-ო. როინ ჯაგლაგი ფავლენიშვილის არაუი-თარი პოემა დღემდე არ აღმოჩენილა. ზ. ჭიჭინაძეს ამ შემთხვევაში ალბად მხედველობაში აქვს XVIII ს. ისტორიული პოემა „ვახტანგ იანი“, რომლის ავტორი მართლაც არის ფავლენიშვილი, მწერალი მეთვრამეტე საუკუნის 1725—1730-იან წლებისა.



ფეშანგი ფაშვი ბერტყაძე ახლა სთქვა ფირმალიანი.  
 სომხისგან კარგად ჩაადგეთ, სიმძიმით ვით ლიტრანი.  
 გებრალეზოვს საბრალო ცხვირ მოკრით თვალცრემლიანი.  
 მე ვათქმევინე — მარამე ვერა სთქვა მარილიანი <sup>1)</sup>.

არჩილის ფრაგმენტალური ცნობებით ირკვევა, რომ:

- 1) ფეშანგი ტომით სომეხი, ანუ საქართველოს სომეხი ყოფილა;
- 2) გვარად — ფაშვი ბერტყაძე;
- 3) ყოფილა ცხვირმოკრილი;

4) 1681 წლის ახლოს (დაახლოებით იმ ხანებში, როცა არჩილის ხსენებული თხზულება დაიწერა) — არჩილის შეკვეთით გაულექსია პროზაული ნაწარმოები „ამბავი დიფნის ქალაქისა“ — „ფირმალიანი“-ს სახელწოდებით.

5) ფეშანგი ითვლებოდა მდარე პოეტად, რადგან „ფირმალიანი“ მას შთაგონებულად, ოსტატურად ანუ „მარილიანად“ ვერ უთქვამს. მეორე ბიბლიოგრაფიულ ცნობას ფეშანგის შესახებ გვაწვდის იოანე ბატონიშვილი „კალმასობა“-ში:

„ფეშანგიშვილს (sic!) ფაშვი ბერტყაძეს გაულექსიას ფირმალიანი წიგნი“ <sup>2)</sup>.

ცხადია, ეს ცნობა არჩილის სიტყვების პარაფრაზას წარმოადგენს. არჩილის შემდეგ რამდენიმე შენიშვნა ფეშანგის შესახებ ეკუთვნის აგრეთვე მარი ბროსეს (იხ. Histoire de la Georgie, II, 1, Addit VIII, p. 607).

არჩილის ცნობას თავისი კომენტარიებით იმეორებს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძეც:

„ფეშანგ ბერტყაძე (sic!) სცხოვრობდა 1648 წლებში; ამას მეტ გვარად ფაშვი ბერტყაშვილი ჰქონია (?). ჩვენის მოსაზრებით ამათი გვარის ხალხში განთქმული მეხაშეები (?) უნდა ყოფილიყვნენ. ფეშანგ ბერტყაძე გვარტომობით ქართველი ყოფილა და სარწმუნოებით სომეხის ეკლესიის მალიარებელი.“

ფეშანგი ბერტყაძეს სცოდნია სპარსული ენა და მწერლობა, სპარსულის ენიდან მას გადმოუთარგმნია მოთხრობა „ფირმალიანი“ <sup>3)</sup>. როგორც ვხედავთ, ეს ცნობა აშენებულია არჩილის გადმოცემაზე, ან ავტორის მიერ თავისი საკუთარი, დაუსაბუთებელი „მოსაზრებით“ შევსებული.

სხვა რაიმე ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები „შაჰნავაზიანისა“ და „ფირმალიანის“ ავტორის შესახებ არ არსებობს, უკეთ, მხოლოდ

<sup>1)</sup> შერ. კითხ. სახ. № 424, გვ. 7.  
<sup>2)</sup> საისტ. მუხ. ხელნ. № 2134; „მცირე უწყება ძველთა და ახლთა ქართველთა მწერალთათვის“, გვ. 29.  
<sup>3)</sup> ქართ. მწერლობა 17 საუკუნეში. გვ. 14



არჩილის ინფორმაციით ამოიწურება, შემდეგ იოანე ბატონიშვილსა და ზაქარია ქიქინაძეს რომ უსარგებლიათ.

ამგვარად, დღემდე არ მოგვეპოება სრული ცნობა ჩვენი პოემის ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობისა, რის უქონლობაზედაც ჯერ კიდევ მარი ბროსე გამოსთქვამდა თავის მწუხარებას.

ჩვენ ვეცდებით რამოდენიმედ შევავესოთ ეს ხარვეზი და სხვადასხვა წყაროების დახმარებით მივცეთ მკითხველს ახალი დამატებითი ცნობები შაჰნავაზიანის ავტორის ვინაობის შესახებ.

## 2

1) შაჰნავაზიანი დაწერილია სომხის ანუ გაქართველებული სომხის მიერ, რასაც თვით პოემის ტექსტი ამტკიცებს, სადაც მრავლად ვგვხვდება ენის სომხური მოქცევა, სომხური კონსტრუქციის ფრაზები, მაგალითად:

- კახთა მეფემან თეიმურაზ იწყო ლექსებსა წერასა. 5/6
  - მუშაითობენ, სწავლობენ სიმამაციისა ზნენია. 41/228
  - კამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, საღ რა ვარგა. 28/130
  - ვრც გაიგონოს, ყველამან ეტყოდეს დიდად ქებასა. 56/314
  - თბილისელთა რა შეიგნეს, მიეგება ყუელამ წინა. 137/874
  - ჩვენ არა ვკადრებთ, არ უხამთ ყულუღჩისაგან დიდება. 153/920
  - გაბაანი კლმისა ცემით გაიარეს შიგან ჯარსა.
  - ჭკადრა, დიდო კემწიფეო, ვის გიკმობენ ცათა სწორი. 154/925
  - შეჭყროდა სითმე ყუაველი, მაჯამ დაუწყო ძგერასა. 159/959
  - კვლავ იგი ქალი პირმზესა შემოაბრალა თავია. 161/969 და მრ. სხვა.
- ავტორი ორგან სომხურ ტერმინსაც ხმარობს: ა) „პარონს“

ნაცვლად „ბატონისა“:

„ილხენდენ მასთან ყოფითა, ვითა პარონთა წესადა“-ო. 46/256

ბ) სიტყვას „თური“, რაც სომხურად ნიშნავს „ხმალს“.

„ისარი წუიშას ემგზავსა, მწარედ ისროდენ თურებსა. 131/773

2) ავტორი ხანგრძლივად ნამყოფია იმერეთში, ახსენებს „ქუთათისის ყოვლაწმინდის საღდარს“ (9/30), დაწვრილებით იცნობს იმერეთის ამბებს, იმერთა წარჩინებულ სახელმწიფო პირებს, მეფეებს, მთავრებს, კარისკაცებს, ვეზირებს, თავად-აზნაურთ, მღვდელ-მთავრებს, იცნობს იმერეთის გეოგრაფიას, ეკონომიურ ვითარებას, ზნეობას და სხვ. იგი აღშფოთებულია ამასთან იმ მორალური დაქვეითებით, რაც ასე ახასიათებდა იმ ეპოქის იმერეთის ფეოდალურ საზოგადოებას;

3) შაჰნავაზიანის ავტორი სახელმწიფო მოღვაწეა, სასახლესთან ახლოს მდგარი. ხშირად როგორც თანადამხდურმა დაწვრილებით იცის არა თუ სოციალ-პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის, ოდიში-იმერეთისა, არამედ კარის წვრილმანი ამბებიც; საერთოდ იგი ფაქტების ცენტრში მყოფი ადამიანია.

4) მაგრამ პოეტი არისტოკრატთა წრეს, ფეოდალურ ბანაკს არ ეკუთვნის. იგი უფრო დემოკრატიულ წრეების საეკპრო ფენების წარმომადგენელია, რომელსაც თავის ბედი გადაუბამს სასახლისთვის, როგორც ერთგული ყმა, — აპოლოგეტია აბსოლუტურ მონარქიის და მეფის უფლებისა, და აღშფოთებულია ფეოდალური სეპარატიზმით.

5) შაჰნავაზის ყმობასთან ერთად, ავტორი აგრეთვე ყმაა, „მიწა და ფერკთა მტურერი“ არჩილისა, რომელიც იმ ხანებისთვის ჯერ (1661—1663 წ.) იმერეთში მეფობდა, შემდეგ (1663—1675 წ.) — კახეთში.

6) დასასრულ ყურადღებას იქცევს ერთი წვრილმანიც: შაჰნავაზის კარზე მყოფ დიდებულთა შორის პოეტი მხოლოდ ერთს მაშინდელს მოღვაწეზე აჩერებს თავის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს არის იორამ თარხანი (სააკაძე, შვილი დიდმოურავისა). ფეშანგი მას ანცალკევეებს სხვა პიროვნებებიდან და უძღვნის პოემის ორს თავს (L, LI). მგოსანი უწოდებს მას „ბრძენსა და ჭკუიანს, ყოვლის საქმის მხედარს, სახელოვან მამაცს, პლატონის შესადარს“, „დარბაისელთა სამკობარს“ და სხვ. დასასრულ, იორამის გარდაცვალებაზე მოტირალ მის ყმებს იორამის „ტკბილ პატრონობასაც“ ათქმევენებს. ერთი სიტყვით, მგოსანი იძლევა იორამის პიროვნების სრულ იდეალიზაციას, არჩევს რა მის პიროვნებას მაშინდელ ფეოდალურ არისტოკრატიაში.

ყოველივე ეს გვაფაქრებინებს, რომ ავტორი რაღაც დამოკიდებულებით არის შეკრული იორამ თარხანთან.

ყველა ამ ნიშნების შემდეგ, — ასეთ პიროვნებად, რომელიც ტომით სომეხი უნდა ყოფილიყო, სამეფო კართან ახლოს მდგარი, იმერეთში ხანგრძლივად ნამყოფი, შემდეგ ქართლში გადმოსული და ქართლ-კახეთის ვითარების კარგი მცოდნე, — ჩვენ მიგვაჩნია იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639—1660) და შემდეგ ნესტან-დარეჯან დედოფალის და ბაგრატ IV-ის კარის მდივან-მწიგნობარი ფეშანგი, რომელიც 1663 წ. ალექსანდრე მეფის სიკვდილის, ბაგრატ მე IV-ის დაბრუნებისა და იმერეთში არჩილის გადაგდების შემდეგ მოსჩინს ქართლში, ქ. გორის მახლობლად, სადაც სწერს იორამ სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დამოყვრების წიგნს და სადაც ის კიდევ ატარებს „იმერელთ მეფის მდივან-მწიგნობარის“ სახელწოდებას (საქ. სიძვ. II, 89; საქ. ც. არქ. სიგ. ფ. № 27—160)<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ამ საბუთს პირველად პროფ. კ. კეკელიძემ მიაკვია ყურადღება, როდესაც ის თავის ნაშრომის ერთ შენიშვნაში (ლიტ. ისტ. II, 246 შენ.) ჰკითხვლობდა: „ხომ არ არის რაიმე კავშირი ამ ფეშანგისა და ჩვენ ავტორის შორის, რომელიც შეიძლება არჩილის მწიგნობარი იყო იმერეთში და ამიტომ არის აქ წოდებული იმერეთის მეფის მდივან და მწიგნობარად“—ო.

ხსენებული ფეშანგი კარის მდივან-მწიგნობრად და აქტიურ სახელმწიფო მოღვაწედ მოჩანს იმერეთში ჯერ კიდევ 1641 წ. თეიმურაზ I-ლი მას იმერეთის „მეფის ალექსანდრეს მდივნის“ სახელით იხსენიებს. (ც. არქ. სიგ. ფ. № 51—261 შემდეგ 1650—1652 წლებში, ალექსანდრე III და თეიმურაზ I-ის დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებს რუსის ელჩებთან — „სტოლნიკ“ ტოლოჩანოვთან და „დიაკ“ იევლევეთან.

ფეშანგის მიერ მზურვალე მონაწილეობის მიღება დიპლომატიურ მოლაპარაკებაში ხსენებულ ელჩებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი.

ფეშანგი, როგორც მეფის პირადი მდივანი, ელჩებთან მუდმივ მოლაპარაკებაშია. თარჯიმანის პირით (გვ. 94) იგი ერთადერთი გადამცემია მეფის ყველა სიტყვებისა, შეკითხვებისა, მოკითხვის. როგორც ელჩების მოურნედ დანიშნული, იგი ზრუნავს მათს კვებაზე, ტრანსპორტზე და სხვ. ელჩებისთვის იგი აღდგენს იმერეთის გეოგრაფიულ და ეკონომიურ აღწერილობას და ბოლოს თავადაც ხელს ურთავს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის საფიცრის წიგნს (1651 წ.) რუსეთის მფარველობის მიღებაზე (გვ. 195).

უკანასკნელად იმერეთიდან რუსეთისაკენ გამგზავრებულ ელჩებს ალექსანდრე მეფის გაგზავნილი ფეშანგი მათ რაქაში მოეწევა საჩუქრებით, რომელსაც მეფე რუსეთის ხელმწიფეს უგზავნის საკუთარი ელჩის ხელით: „Того ж числа в вечерни приехал от царя думной ево дьяк Пешенга, привез от царя дары, что посылает к царскому величеству с своим послом с Ломгацею, а сказал, что поехал он вчера от царя перед вечернеми. И от Ломгацы Пешенга и приставы и азнауры воротись к царю в Кутатис (იქვე, 105)<sup>1</sup>).

ფეშანგისთვის, როგორც გავლენიან კარისკაცისათვის და დიპლომატიურ მოლაპარაკებაში მონაწილესთვის, ელჩებს საჩუქრებიც მიურთმევიათ: 5 სიასამურის ტყავი, მაუდი და აბრეშუმის ქსოვილი: „Думному дьяку Пешенгею 5 соболей, да сукно же 4 аршина, да дороги, и того на 10 руб. на 16 алтын на 4 де“ (იქვე, 202), — როგორც ჩანს რუსეთის ელჩების ანგარიშიდან (1652 წ. 20 სექტ.).

<sup>1</sup>) იხ. სტოლნიკ ტოლოჩანოვის და დიაკ იევლევის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წ. მ. პოლიევკოვის რედ. ტფილისი, 1926 წ. შდ. გვერდები: 42, 43, 51, 54, 55, 60, 74, 81, 82, 85, 87, 88, 91, 92, 94, 96, 98, 99, 100, 101, 103, 104, 105, 114, 143, 144, 162, 164, 165, 166, 169, 171, 172, 176, 177, 180, 184, 194, 195, 202.

რა გვარს და რა სოციალურ წრეს ეკუთვნოდა მგოსანი ფეშანგი? რუსის ელჩები იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარს (ДУМНОЙ ДЬЯК) ყველგან Амирев-ად (ანუ ამირას-ძედ, ამირაშვილად) ახსენებენ (იხ. სტოლნიკ ტოლოჩანოვის... ელჩობა, გვ. 194, 202 და სხ.). იმ საფიქრის წიგნშიც, რომელიც ალექსანდრე მეფემ რუსის ხელმწიფეს ალექსი მიხეილის ძეს გაუგზავნა (1651 წ. 9 ოქტომ.), ფეშანგი Амирев ად არის მოხსენებული (იქვე, გვ. 194; საისტორიო მოამბე, 1, 159). ხოლო ერთგან რუსის ელჩები სრულად იხსენებენ ფეშანგის გვარს: „Пешенгея Ондреева сына Хатарова“-ო (ტოლოჩ. მოგზ.). ამის შემდეგ ფეშანგის გვარის დადგენა რასაკვირველია ადვილია. ელჩების დამოწმებით ჩვენ თითქოს ორი გვარი გვაქვს: Амирев-ი და Хатаров-ი. მაგრამ რაკი ერთგან ფეშანგის Ондреев сын-ად ანუ ანდრიას ძედ იხსენებენ, აშკარა ხდება, რუსებს ფეშანგის მამის არაქრისტიანულ „ამირა“-ს სახელი ქრისტიანულ „ანდრია“-დ (Ондрей) გადაუკეთებიათ და ამნაირად „Амирев“-ი ანუ ამირას ძე, ამირას შვილი ფეშანგის მამის სახელწოდება ყოფილა და არა ფეშანგის გვარი <sup>1)</sup>).

ცნობილია, რომ გვარის სანაცვლოდ მამის სახელით წოდებულობა ჩვენში მეტად მიღებული იყო <sup>2)</sup>, მაშასადამე, ფეშანგისაც მამის თუ პაპის სახელის „ამირა“-ს წყალობით „ამირაშვილს“ ეძახდნენ. ამირა-

<sup>1)</sup> სახელი „ამირა“ ხშირად მოხანს XVII საუკ. საბუთებში. მაგ. საქ. სიძვ. II, 266 (1651 წ. ქვეშ); ისტორიული საბუთები, IV, გვ. 22 (1635 წ. ქვეშ), იქვე გვ. 43; სააშოლახვროს დავთარი მე-17 საუკ. მეორე ნახევრისა, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 21.

გვარი ამირაშვილი — იხ. ქრონიკები, II, 486; საქ. სიძვ. II, 90 (1660 წ. ქ.), 369, მოწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით გლეხნი ამირაშვილები მოსახლეობენ ვნაგეთს (გამოც. ვ. თაყაიშვილისა, გვ. 53).

<sup>2)</sup> მაგ. ვრეკლე I-ის დავატანგ VI-ის მდივანი გივი ზურაბის ძე თუმანიშვილი „ზურაბიშვილობით“ იწოდებოდა; მგოსანი და მდივანი სულხან ავთანდილის ძე შანშიან მარტიროზიშვილი — თანიაშვილად (თანია—შემოკლებული, სააღერსო სახელია „ავთანდილის“), XVII-ე საუკუნის პოეტი ნოდარ ფარსადანის ძე ტიციშვილი—„ფარსადანისძედ“ ანუ „ფარსადანიშვილად“ და სხვ.

ძალიან ხშირად დიდ საგვარჯულოთა ცალკეული შტოები გვარის ნაცვლად მამის ანუ პაპის სახელით იწოდებოდნენ. მაგ. მდივან-მწიგნობარ ყორღანიშვილების გვარში 1689 წლისათვის 11 ასეთი განშტოება არსებობდა, როგორც: პაპაშვილი, მერაბაშვილი, ფარსადანაშვილი, პაპუნაშვილი, ქონდაშვილი, გარსევანიშვილი, შიოშიშვილი, ზაალიშვილი, ავთანდილიშვილი, გურგენიძე, შალვაშვილი (საქ. სიძვ. III, 4). თვით მგოსნის გვარი შემდეგში რამდენიმე განშტოებად დაყოფილა, როგორც: გასპარაშვილი, თაყინაშვილი, ფეშანგიშვილი და სხვ.

შვილი კი XVII საუკუნეში შეძლებული ოჯახის გვარია ქ. გორში (იხ. საქ. სიძვ. II; 90, 317, 323, 324, 341, 369, 487).

რაც შეეხება ფეშანგის ნამდვილ გვარს, იგიც შეგვიძლია დავადგინოთ იმავე ელჩების დამოწმებით. ელჩები მას Хатаров-ად იხსენიებენ. „Хатаров“-ი კი ცნობილი გვარის „ხითარაშვილის“ გადამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ასეთი გადამახინჯება კი უცხოელის და კერძოდ რუსი ელჩების მიერ, როგორც გვარების, ისე ქართული გეოგრაფიული სახელებისა, ჩვეულებრივი ამბავია და ადვილად მისახვედრიც. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოემა „შაჰნავაზიანი“-ს ავტორი ყოფილა ფეშანგ ამირაშვილი, ანუ ამირას ძე ხითარაშვილი; თავის მხრივ კი ამირაშვილის გვარი ხითარაშვილების დიდი გვარის ერთ შტოს წარმოადგენდა XVII ს.-ში.

ამირაშვილები, იგივე ხითარაშვილები, ანუ „ხითარაანთ“ გვარი ძველათგანვე მოსახლეობდა ქ. გორში და მისი წარმომადგენლები ცნობილ იყვნენ სავაჭრო საქმეებით (იხ. АКТЫ, I, 54; საქ. სიძვ. III, 422; საქ. სიძვ. II, 156). ხსენებული გვარი იმდენად შეძლებულია, რომ (1690 წ.) ყმების სყიდვა-გაყიდვასაც კი აწარმოებს (საქ. სიძვ., II, 156, 157), ხოლო ამ გვარის ერთი წამომადგენელი სწორედ იმ ხანებისთვის ქ. გორის დიდგვალენიან პირად—მამასახლისად ითვლება (იქვე, 156). მაშასადამე, მგოსანი ფეშანგი სავაჭრო წრეების წარმომადგენელია, ქ. გორის მდიდარ ვაჭრულ ოჯახისა<sup>1)</sup>.

რაც შეეხება ფეშანგის დღემდე ოფიციალურად ცნობილ გვარს „ფაშვი ბერტყაძეს“, როგორც არჩილი უწოდებს, იგი ალბად „შერქმეული“ გვარია, ირონიით ნაწოდები გვარი უნდა იყოს—ადეპტის რაიმე ნიშანდობლივი ფიზიკური თვისებისათვის.

ყოველ შემთხვევაში გვარი „ფაშვი ბერტყაძე“ სხვაგან არც ერთ ისტორიულ საბუთში არ იხსენიება.

რაც შეეხება ფეშანგის ეროვნულ წარმოშობას, რუსის ელჩები ფეშანგს გვაცნობენ, როგორც სომეხს: „Пешенгея Ондреева сына арменина“-ი.

<sup>1)</sup> შემდეგში ხითარაანთ გვარი გეომონიურად ძლიერ დაცემულა და XVII ს. პირველ ნახევარში თავად თუმანიშვილებს ყმებადაც კი მიუსაკუთრებიათ (იხ. საქ. სიძვ. III, 456; 1762 წ. დეკემბრის 7-ის განაჩენი თუმანიშვილის გორჯასპის და ისაია გასპარაშვილის დაჯის გამო, გასპარაშვილი—ერთი შტოა ხითარაშვილ-ამირაშვილებისა (იხ. ზემოდ). მისი დამწყებია მდიდარი ვაჭარი გასპარაშვილი-ხითარაშვილი (АКТЫ, I, 54).

ხითარაშვილები გლეხებიც ყოფილან, უცხოვრიათ გორის შიდამოებში, სოფ. ყურს (იხ. საამილახვრო დავთარი მე-17-ე საუკ. მეორე ნახევრისა, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 3, ტფ. 1925 წ.) და ახალქალაქის ტამალიაში (იხ. ე. თაყაიშვილი, მოწინავე სადროზოს სტატისტიკური აღწერილობა, გვ. 15).



სომეხს უწოდებს არჩილიც:

„სომეხისგან კარგათ ჩააგდეთ“... და სხვ.

ამ ცნობების გარდაც მგოსნის სომხურ წარმოშობას მშვენივრად ვეიმტკიცებს პოემაში შემხნეული ენის სომხური მოქცევები.

ეჭვი არაა, ფეშანგი დიდი ხნის ასიმილაციამნილი სომეხია ანუ „გაქართველებული“, ქართულს ენაზე, მწერლობაზე და კულტურაზე აღზრდილი.


ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოება, რომ გორში მცხოვრები პოეტის შთამომავალი მოგვარენი—ამირაშვილები მე-XVII ს-ში მართლმადიდებლად მოსხიანან. ასე, 1724 და 1727 წლ. საბუთებში იხსენიება გორელი ამირაშვილი მღვდელი ათანასე (საქ. სიძვ. II, 323, 324, 341), ხოლო ამირაშვილი ივანე (იქვე, 369) ერთს საბუთში (წ. კ. № 1921) მღვდელ ათანასეს ძმად იხსენიება. შესაძლოა ვიუიქრეთ, რომ ამირაშვილები „გაქართველდენ“ და ისიც შეგვიძლიან ვიგულისხმობთ, რომ ამირაშვილი-ხითარაშვილების გვარის მხოლოდ ერთი შტო „გაქართველებულა“.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფეშანგიც გორელ მდივნების ოჯახს ეკუთვნის. ცნობილია, რომ გორი—ძველი სავაქრო ქალაქი, მე-XVI—XVII ს. ს. განთქმული იყო როგორც მდივნების კერა. აქედან იყვნენ ცნობილი კარის მდივან-მწიგნობრები: ყანდურალიშვილები (ანუ ფირალიშვილები), მანდენაშვილები, თუმანიშვილები, ბეგთაბეგოშვილები, რომელნიც იმავე დროს სომხურ სავაქრო წრეებს ეკუთვნოდნენ.

ამრიგად მთელ რიგ მასალების დადასტურების შემდეგ ირკვევა, რომ ფეშანგი—ქართლელი, დროებით იმერეთში მყოფი ყოფილა და არა მკვიდრი იმერი, იმერეთს გაზრდილ-დაბადებული. ეს თავად პოემის ტექსტიდანაც ჩანს, რომელიც სრულიად არ ამხელს იმერულ პროვინციალიზმებს, იმერიზმებს.

სხვათაშორის ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა სავაქრო დოკუმენტებში (საქ. სიძვ., II, 156, 90, 317, 323, 324, 341, 369) ამირაშვილი-ხითარაშვილები მუდამ მკიდრო ურთიერთობაში მოსხიანან ადგილობრივ მებატონე თავად ჯავახიშვილებთან. ხსენებულ დოკუმენტებიდან ასეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ამირაშვილი-ხითარაშვილები ჯავახიშვილებთან ტერიტორიალურ, ეკონომიურ ან პატონამურ ურთიერთობაში არიან.

ამის შემდეგ ცხადი ხდება, თუ იმერეთიდან ჩამოსული ფეშანგი რათ იმყოფება ჯავახიშვილთა წრეში, სადაც იგი ქაიხოსრო ჯავახიშვილის და იორამ თარხანის დამოყვრების წიგნს სწერს (საქ. სიძვ. II, 89).





გასაგები ზდება აგრეთვე ხსენებულ იორამ თარხანის იდეალიზაცია ფეშანგის პოეზიაში. იორამი დიდი მფლობელი იყო გორის ახლო მიდამოებისა, „სათარხნო“-სი. როგორც ვაჟლენიანი პიროვნება, ალბათ იგი მფარველობდა გორში ვაჭარ ხითარაშვილების ოჯახს ფეოდალურ „გაგლეჯისა და დაჯაბრებისაგან“ და შეიძლება ჩვენს პოეტსაც უწევდა მეცენატობას, და ამითაც აიხსნებოდეს მისი მოწიწება იორამის პიროვნებისადმი.

## 4.

როდის და რა მიზეზით გადახვეწილა მგოსანი ფეშანგ იმერეთში? მრავალ სხვა მოსახრებებთან ერთად, აქ ერთი წვრილძანიც უნდა ვავიხსენოთ. თუ მოვიგონებთ ფეშანგის მიერ შოლაპარაკების წარმოებას რუსის ელჩებთან, შევნიშნავთ, რომ ფეშანგი, ალექსანდრე მეფის რწმუნებული, ხან თეიმურაზ I-ის წარმომადგენლობასაც ასრულებს (ტოლოჩანოვის ელჩობა, 51, 55). ხოლო 1641 წ. მდინობითაც ემსახურება (ც. არქ. № 51—262) მართალია, ალექსანდრე მეფე თეიმურაზის სიძე იყო და ამ გარემოებითაც შეიძლება აიხსნას ფეშანგის ასეთი სამსახური, მაგრამ შესაძლოა ისიც ვითქვოდეს, რომ ფეშანგი, როგორც ქართლელი, სხვა გარემოებითაც იყო დაკავშირებული იმერეთში გადახვეწილ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზთან.

როგორც ვიცით, როსტომის მიერ დამარცხებულს და იმერეთში ლტოლვილ თეიმურაზს თან მრავალი ყმა და მხლებელი გადაჰყვა ქართლ-კახეთიდან; ხომ არ ერია მათ შორს ფეშანგი?

ტოლოჩანოვის აღწერილობიდან სჩანს, თუ იმერეთში ყოფნისას სად ცხოვრობდა ფეშანგი. როცა რუსის ელჩები ტოლოჩანოვი და იველევი ქუთაისიდან სკანდას მიემგზავრებოდნენ იმერეთის მეფე ალექსანდრესთან წარსადგომად,—გზად, სკანდას სიახლოვეს, მათ გაიარეს ფეშანგის სოფელი: „Да деревню проехали на полугоре, думного дьяка Пешенги“—ო, რომელშიც სომხური ეკლესია მდგარა; სოფელშიც სომხური მოსახლეობა ყოფილა:

„а в деревне капище арменское, на воротех колокольня круглая, каменная. Около двери ево и капища ограда каменная. А от армянские деревни версты с два село, а в селе церковь каменная во имя Георгия“ (стр. 81).

საკითხავია, რომელ სოფელზე აქვთ ლაპარაკი რუსის ელჩებს? კითხვა ადვილი გასარკვევია. ქუთაისიდან სკანდამდე, სკანდასთან ახლოს სომხური ეკლესიითა და მოსახლეობით ცნობილია სოფელი

ჩხარი, ანუ ჩხარის სომხური უბანი, და სხვა პატარა პუნქტები, მოვაჭრე სომხებით დასახლებული, როგორც ქალატყე, და ქალაქი „მცირე ჩიხორი“ (ვახუშტი, 273). მაგრამ, რუსის ელჩების სიტყვით, ფეშანგის სოფელში ყოფილა წმ. გიორგის ეკლესია ქვიტიკირისა, ხოლო ეკლესიაში კი ძვირფასი ორარშინიანი ჯვარი მოოქროვილი და მოვერცხლილი, წმ. გიორგის ნაწილებით: „а в церкви у царских дверей крест, аршина в два вышиною, обложен серебром, позолочен. А в том кресте мощи в ковчеге в золотом великомученика Георгия, кость главный череп. А на затворе в ковчеге камень, алмаз не граненой в золоте, в орех грецкой небольшой“ (იქვე, 81). ცხადია, აქ ლაპარაკია ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიაზე, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „არს აქა [ჩხარს] ეკლესია უგუნბათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად; მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარ მოწამის წმინდის გიორგისა, მარადის სასწაულთ-მოძქმედი“-ო (ვახუშტი. გეოგრაფია, 262).

მაშასადამე, ფეშანგს ჩხარში უცხოვრია.

ცნობილია, რომ ჩხარი, როგორც სავაჭრო პუნქტი—ქალაქად ითვლებოდა 1634 წლამდე, როდესაც გამარჯვებულმა ლევან მე-II დადიანმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ეს მისი მამის გიორგი მეფის „სახსრად“ ანუ დასახსნელად წაართვა ქ. ჩიხორის ვაჭარნი და ჩხარის სომეხნი და ურიანი<sup>1)</sup>. მას მერე ვაჭარ სომეხებისაგან დასახლებული ქალაქი ჩხარი იქცა დაბად და ცხადია აქ ამის შემდეგ. სავაჭრო აღებ-მიცემობაც მთლად მინელდებოდა.

მაგრამ როგორც ტოლოჩანოვის მოგზაურობიდან ირკვევა, 16 წლის შემდეგაც ჩხარში კიდევ შერჩენილა სომხური ვაჭრული მოსახლეობა, რომელიც ისევ მისდევდა თავის ხელობას. შარდენის მოწმობით ჩხარში ამ დროს (1672 წ.) 50 კომლი ლა მოსახლეობდა (იხ. Путешествие по Закавказью, стр. 168).

ამრიგად გორელი ფეშანგი—ჩხარში დაბინავებული არ სცილდება თავის სოციალურ წრეს, ვაჭართა ფენას, თუმცა იგი თანამდებობით შესამჩნევად ამარტლებულია თავის წრეზე.

რა ხანებში ასრულებდა ფეშანგი მდიენის თანამდებობას იმერეთის სამეფო კარზე?

<sup>1)</sup> ხონის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ძვით ლევან დადიანი გვიამბობს: „ავჯარეთ ქალაქი ჩხარისა, და ჩავასხით ზუგდიდსა, ავაშენეთ და გავაწყეთ ქალაქი რუხისა“ (ძვ. საქ., II, 451). ასევე მოგვითხრობს ლევან ილორის ხატის წარწერაში: „ავჯარეთ სრულობით ქალაქი ჩხარისა და მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა“ (იქვე).

ცნობილია, რომ XVI—XVII საუკუნეთა მანძილზე იპერეთის მეფის მდივან-მწიგნობარის სახელს მემკვიდრეობით მამიდან შვილზე ასრულებდენ აზნაური თავაქალაშვილები<sup>1)</sup> (თავაქალაშვილები), ამათგან ალექსანდრე III-ის კარზე მდივანობდნენ—მამუკა (ცნობილი მგოსანი და მხატვარი) და მისი ძმა პაატა; პირველი დატყვევდა 1634 წელს ლევან დადიანის მიერ, ხოლო მეორე 1640 წლიდან საბუთებში აღარ მოსჩანს. მათი მდივანობიდან გარდავლენის შემდეგ, როგორც სჩანს, კარის მდივანობა ჩვენი პოემის ავტორს—ფეშანგი ხითარაშვილს მიუღია და ალექსანდრე მეფის სიკვდილამდე (1660 წ.) მისი მდივან-მწიგნობარი ყოფილა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ფეშანგის ცხოვრების პირველ პერიოდს; არც ის ვიცით, თუ რა შრომითა და ბრძოლით შეიქმნა თავისი პოლიტიკური კარიერა „მდივანობისა“. როგორც ცნობილია, სამეფო მდივანი მაშინდელ საზოგადოებაში ცნობილი უნდა ყოფილიყო შესაფერი კულტურით და სათანადო მომზადებით. კარის მდივანი-მწიგნობარი „წერასწავლული“, „კარგი და მცოდინარი“ და „ცოდნასრული“ ადამიანი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ თვისებებს მოითხოვდა მისგან მდივანობის მრავალფეროვანი სამსახური. აი, მაგ., როგორ გვიხატავს მეფის მდივან-მწიგნობარის მოვალეობას ვახტანგ VI-ე „ამირ-ნასარიანი“-დან ამოღებულ ერთს სენტენციაში:

მდივანს მართებს ენაები იცოდინან დასაწერად,  
ქონდეს სიტყვა სახემწიფო, შესაკადრი შესაფერად,  
ცოდნისაგან განასრული, სასაქმოში დასაჯერად,  
სამეჯლიშო ლალობაში მშვენიერი შესამზერად;

დადგომა, ჯდომა, წადგომა, თავაზა საქებელები,  
ტურფა მწერალი, წერილი საამოდ სასმენელები;

<sup>1)</sup> ასე 1527 წელს იხსენიება მწიგნობარი ზურაბ თავაქალაშვილი (დას. საქართველოს ისტ. საბუთები, ს. კაკაბაძის გამოც. I, 10); 1569—1573 წლებში—ლა თავაქალაშვილი (იქვე 19, 31); 1586 წლ. ხაფილანდრე (იქვე, 34), 1604 წლ. ქვეშ—ასლან (37), რომლის შვილები უნდა ყოფილიყვნენ—მგოსანი მამუკა, „ზაქიანი“-ს გამლექსაყი—მდივანი ალექსანდრე III-ის და მისი ძმა პაატა, რომელიც მდივანად მოსჩანს 1630—1637 წ. (იქვე 52; ქრონიკები, II, 452); (ხოლო საუკუნის დამლევს—ალექსანდრე მე-IV-ის კარზე თავაქალაშვილი ელიზბარ (იქვე, 80).

XVII საუკუნის მეორე ნახევარში თავაქალაშვილების ერთი შტო დასახლებულა ქართლში სოფ. ტინისხიდს (იხ. ცენტრარქივის სიგ. ფ. № 73).

წიგნისა თავი ამოსცნას, ბოლოდ სცნას საამებლები, მალე იპოვოს პასუხი საქირო გასაძნელები<sup>1)</sup>.

მდივანი იყო მეფის მახლობელი მოხელე, „მეფის ხვაშიადის შემნახავი“ (საქ. სიძვ., II, 130), მუდამ გვერდით მყოფი მეფესთან: „სუფრის მიღებამდინ ერთი მდივანიც იღგებოდის: ან წიგნების დაწერა ითქმის, ან სამართალი რამ ჩამოვარდების, ეგების ბატონმა ბრძანოს რამე“-ო (დასტურლამა, 54). მდივანს ებარა აგრეთვე მეფის ქალაქი და საწერ-კალამიც<sup>2)</sup>. მდივანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. მდივნობის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე სამეფო სტატისტიკურ აღწერის ჩატარება<sup>3)</sup>, „თემის აწერა“ (საქ. სიძვ., III, 567), ომში დასწრება, დახოცილთა აღრიცხვა, საომარ განკარგულებათა დაწერა<sup>4)</sup>, მიმოწერის შედგენა, „საქონლის აწერა“ (საქ. სიძვ., III, 567) და სხვ..

მდივანებისთვის სავალდებულო ყოფილა როგორც „მეგლიშის“ რიგის ცოდნა, ასევე „ბრქეთ და მოსამართლეთ“ ყოფნა დიდი, საგულისხმეორო საქმის გარჩევის დროს (საქ. სიძვ. II, 51), სადავო საქმეებზე „დასაშველებლად“ (საქ. სიძვ., II, 124, 129) და განჩინების დროს იქ დასწრებაც (იქვე, გვ. 123).

მაგრამ როგორც ზემომოყვანილი ვახტანგის ლექსიც გვამცნებს, სახელმწიფო საქმიანობის შესრულებასთან ერთად, მდივანი მშვენიერი მჭევრმეტყველი („ქადაგი“), იმპროვიზატორი და პოეტიც უნდა ყოფილიყო. ლექსის და პოემის წერა ანუ გადმოღება სახელმწიფო ბრძანების შედგენასთან, მის ლამაზ ხელთან ერთად, კარის მდივან-მწიგნობრისათვის სავალდებულო მოთხოვნილებად ითვლებოდა. მწიგნობარი ამავე დროს იყო კარგი პოეტი, ლიტერატორი, პოეტის მცოდნე; მდივანი იგივე პოეტია კარის სამსახურში აყვანილი, ხოლო მოლექსეობა უპირველესად მდივანების ტრადიციას შეადგენდა.

რასაკვირველია, ასეთი რთული და სპეციალური სამსახური შესაფერ გაწვრთნის და განათლების მიღებას მოითხოვდა. ექვი არაა, ფეშანგს საშინაო სწავლა უნდა ჰქონდეს მიღებული. თუმცა იგი თავისთავს

<sup>1)</sup> წ. კ. № 171, გვ. 117; საყურადღებოა, ფეოდალურ საზოგადოებაში მდივანებს დიდი რეპუტაცია ჰქონდათ დამსახურებული განათლებული ადამიანისა. ასე უსწავლელი ფეოდალი, ჰგმობდა რა წიგნს, როგორც მისთვის ზედმეტ ბარგს, თავს ასე იმართლებდა: „წიგნები მხოლოდ მღვდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიც მდივანებად არიან ან ვაჭრად“-ო. წ. კ. № 1532. ასეთი იყო ამ დროის ტრადიციული შეხედულება მდივანების კულტურაზე.

<sup>2)</sup> დ. გურამიშვილი, დაეთიანი, გვ. 64.

<sup>3)</sup> „მდივანი წაეა აღწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტურლამა 13, 134).

<sup>4)</sup> „ესენი სწერდენ უსტარს, იერლაცსა, პიტაცსა, ენაღლმასა, პატრუცაცსა, რო-არტაცსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა“ (ვახუშტი გეოგრ. 11).

„უსწავლელს და უშუერს“ (173/1054) უძახის, მაგრამ მას მაინც უნდა ესწავლა მდივნების სპეციალურ სკოლაში, რომელიც ჩვენში უეჭველად უნდა არსებულობდა (ტფილისსა და გორში) და სადაც დამწერლობასთან ერთად სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას, ისტორიას. ეკვი არაა, ფეშანგს სამდივნო სკოლაში უნდა მიეღო ლიტერატურული განათლება. იგი ზედმიწევნით იცნობს „ვეფხისტყაოსანს“ და „ვისრამიანს“, „იოსებ ზილიხანიანს“, „ბარამ გურიანს“ და სხვ. და თუმცა უსუსურად, — იცნობს აგრეთვე საქართველოს ისტორიასაც. თანამედროვე აღმოსავლურ ქვეყნების გარდა მისთვის ცნობილია: „რომი“ (126/741), „საფრანგეთი“ ანუ „ფრანგეთი“ (61/344, 98/578, 172/1045), იცნობს „ფრანგ“-თან<sup>1)</sup> ერთად (გვ. 4) „რუს“-საც (4/3, 8/25, 137/809, 143/850) და რაც მეტად საინტერესოა XVII საუკუნის მწერლობისთვის, — ფეშანგი პირველად ხმარობს თავის პოემაში რუსულ ტერმინს, სახელდობრ „სუდარ“-ს (сударь):

დავისძებ თავადთაგან, ვინ დიდგუართა ი-სუდარ-ე ბს. 63/356.

ამნაირად რუსული ტერმინი ქართულ მხატვრულ მწერლობაში სულ პირველად შაჰნავაზიანში გვხვდება.

ეს სიტყვა ფეშანგის ალბად 1650—1652 წ. იმერეთში რუსის ელჩებისაგან უნდა გაეგონა.

ფეშანგის სამდივნო მოღვაწეობიდან იმერეთში ცნობილია მის მიერ იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული და სამეურნეო აწერილობაც, რომელიც 1652 წელს ალექსანდრე მეფის ბრძანებით რუსის ელჩებისათვის გადაუცია. როგორც თვით რუსები გვიამბობენ: „Да к послюм же прислал Александр царь с думным дяком с Пешенгеем меретинскаго государства именным городом и монастырем роспись, а боярам своим и азнаурам и тюфенчеем и торговым и пашенным людям перечневую роспись. И подлинная роспись и с нее перевод у Микифора“ (გვ. 184, ხოლო თვით აღწერილობა გვ. 184—188).

ფეშანგისვე შედგენილი უნდა იყოს მეორე აღწერილობა „Роспись“-ი, რომელსაც მოსდევს ფეშანგის სტატისტიკური ცნობები იმერეთის თავადთა რიცხვის რაოდენობისა, აზნაურების, მეთოფეების და მთელი იმერეთის მოსახლეობისა, რაც თურმე, ფეშანგის სიტყვით, 1651 წ. სამოცი ათასს უდრიდა (იქვე, 114).

და ბოლოს ფეშანგს შეუდგენია ანუ დაუწერია იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1651 წ. 9 ოქტ.) საფიცრის წიგნი, როგორც

<sup>1)</sup> რუსის ელჩებს 1651 წ. 27 იელისს ფეშანგიმ ასეთი ინფორმაცია-მიაწოდა ევროპელების თავდასხმის გამო ოსმალებზე: „Наступили же на турецкого сатана виницейские и барабанские, и французские и иных многих земель немцы“-ო (ტოლოჩანოვის ელჩობა, გვ. 164).



თვით რუსის ელჩები გადმოგვცემენ: „И Александр царь велел думному своему дьяку Пешенгею запись написать по своему языку и прислал к послѣм к Микифору и к Алексею тою запись смотреть“ (стр. 172).

## 5.

ალექსანდრე III-ის სიკვდილის (1660 წ. 1-ლი მარტი) შემდეგ იმერეთში იწყება მღელვარე ხანა მთელი ათეული წლების მანძილზე, ანარქია, როგორც აგვიწერს არჩილი:

მეფე მოკვდება, ლიხს იქით საქართველოს თან ჩაიტანს;  
აჲლადებთან თვადნი, ერთი მეორეს აიტანს;  
ერთი მეორის სიკვდილად მოვა ამხანაგს მოიტანს,  
ერთმანეთს ზოცა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს.  
წარშოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა.  
იმერეთზედა ილაშქრებს, მთიდაჲ აჲლადს სვანიცა“.  
და სხ.

(„არჩილიანი“, მაჩიტაძის გამ., 185).

ეს ის დროა, როცა, თანამედროვეთა სიტყვით, იმერეთი იყო „იწროებასა, ოხრებასა, მწუხარებასა შინა, რომე ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა; მას აქეთ არავინ ისმინოს და არცა ვის სმენოდეს“-ო (ქრონიკები, II, 481).

ასეთ მღელვარებაში მრავალ კარისკაცს უნდა განეცადა ბედის სიმწარე, ძნელბედობა, რასაკვირველია უნდა შეცვლილიყო და აწიწილიყო ფეშანგის ცხოვრებაც.

როგორც ერთი საბუთიდან ირკვევა, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ფეშანგი ჯერჯერობით ისევ შერჩენილა თავის თანამდებობას ნესტან-დარეჯან დედოფლის და ბაგრატ IV-ის ერთმეფობაში. ასე, 1660 წ. ფეშანგი მათის ბრძანებით სწერს სიგელს, რომელშიც იგი ისევ იხსენიება „კარის მდივანად“: „დაიწერა ბ[რძანებ]ბა ესე ქ-კონს ტმც (1660) კელითა კარისა ჩუენისა მდივ[ნ]ის ფეშანგისითა“ (იხ. ს. ს. მუზ. სიგ. ფ. № 9466), ხოლო 1663 წელს კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფეშანგი მოსჩანს ქართლში, სადაც ისევ „იმერელი მეფის მდივან-მწიგნობრად“ იხსენიება.

რა მიზეზით და როდის გაჩნდა იმერეთის სახელმწიფო მდივანი გორის მიდამოებში?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფეშანგის ქართლში გადმოსვლა უნდა მომხდარიყო სწორედ იმ ხანებში, როცა იგი სააკაძე—ჯავახიშვილების დამოყვრების წიგნს სწერს, ე. ი. იმავე 1663 წელს. საბუთის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბაგრატის ტახტიდან გადაგდების შემდეგ ფეშანგი დარჩენილა 1661 წ. იმერეთში გამეფებულ არჩილის



კარზე, ხოლო შემდეგში, 1663 წ., როცა პორტას მოთხოვით არჩილი იმერეთიდან ქართლში უკან იქნა გაწვეული, მას ეტყობა თან გამოჰყოლია კარის მდივანი ფეშანგიც, როგორც ერთი მხლებელთაგანი, მით უმეტეს, რომ იგი ქართლელი ყოფილა და შეიძლება ამით საშუალებაც კი მიეცა სახლში დაბრუნებისა.

ფეშანგი უნდა ეკუთვნოდეს არჩილის ამაღლას იმ შემადგენლობას, რომელიც თვით მგოსნის სიტყვით ქართლისაკენ გამომზადებულ არჩილს თან გამოჰყვა.

ვის ჰქონდა ნდომა, სიახლე, არჩილისაკენ ვლიდესა.

ჰკადრეს: „შენი ვართ მონანი, უშენოდ ცეცხლი გუწუდიდესა“;

როგორც მგოსანიც გადმოგვეცემს პოემაში (108/827).

ალბათ თვით მგოსანმაც გამოიჩინა სხვასთან ერთად პატრონის „ნდომა, სიახლე“ და გადმოჰყვა არჩილს ქართლში.

ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა ხდება, თუ როგორ გაჩნდა ფეშანგი ჯერ ქართლში და შემდეგ კახეთში, სადაც ის შაჰნავაზის და არჩილის ბრძანებით სწერს თავის სახოტბო პოემას „შაჰნავაზიანს“ და თავის თავს არჩილის „მიწა მტუერად“ ახსენებს.

... კსენებააც არ ღირს ვარ, მიწა და ფერკთა მტუერია. 162/1076.

ფეშანგს შეეძლო არჩილის ყმად და მდივანად ყოფნა ჯერ კიდევ იმერეთში, 1661—1663 წ. ყრმა არჩილის მეფობისას, შეიძლება არჩილმა, თვით პოეტმა, სწორედ მგოსნური ნიჭისთვისაც დაიახლოვა ფეშანგი?

ასევე 1663 წ., ქართლში ყოფნისას, ფეშანგს შეეძლო „იმერელთ ხელმწიფის მდივან-მწიგნობარის“ სახელწოდება ეტარებინა, რადგან იმერეთიდან წამოსულ არჩილს კახეთის ტახტი ჯერ არ მიეღო და იმ ხანებისათვის ისევ „იმერელთა ხელმწიფედ“ ითვლებოდა.

ინტერესს იწვევს შემდეგი კითხვაც, გაჰყვა თუ არა ფეშანგი კახეთის ტახტის მისაღებად სპარსეთში გაწვეულ არჩილს? როგორც თვით პოემიდანვე სჩანს, მამამ, შაჰნავაზმა, „მეფეთა ნაახლები ამაღლა მისივე წესითა და გარიგებით არჩილს თან წააყოლა“.

„მოკელენი გარიგებით იგ მეფეთა ნაახლები,

გაარიგეს წასატანლად, სულ დასცალეს ბალახნები. 110/638

ხომ არ ერია ამ მოხელეთა შორის მდივანი ფეშანგი?

პოემის ზოგი ადგილები გვაფიქრებინებს, რომ მგოსანი მონაწილეობდა ამ შორეულ ექსპედიციაში. ისე ნიშანდობლივად და დაწვრილებით გვიამბობს არჩილის მიღებას ყაენის მიერ, თითქოს ფეშანგიც თანადამხდურივით ყაენისაგან არჩილის პატივით მიღების მოწმე ყოფილა.

რა გ ი ა მ ბ ო მ ა შ ი ნ დ ე ლ ი მოაპრობა და ანუ შეება,  
 მასპინძელთა კვლმწიფემან, მოთურალმა ბრძანა არ გაშეება,  
 არჩილ უხის სიახლოეს . . . . . 113/662.

ბევრჯერ მოვიდის ყაენი, არჩილის სადგომს სმიდესა. 114/667

მაგრამ რაკი პოეტი სხვაგანაც ხმარობს მოყოლის ასეთ ხერხს  
 (22/115) მხოლოდ პოეტური ანგარიშით და არა ისტორიულ ჭეშმარიტების  
 ინტერესით (ვინაიდან მას არ შეეძლო შაჰნავაზის თანხლება, მაგ., 1658 წ. სპარსეთში)—საკითხი ისევ გადაუქრელად უნდა  
 ჩავთვალოთ.

შემდეგ, 1664 წ., როგორც პოემიდან ვეცნობილობთ, ფეშანგი თან  
 ახლავს შაჰნავაზს და არჩილს კახეთს იმ ბრძოლაში, რომელიც არჩილს  
 და შაჰნავაზს გაუშართა კახეთის ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ  
 ერეკლე ბატონიშვილმა. „კახეთს ვიახელ მეფესა“, გადმოგვცემს  
 მგოსანი.

მობრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა-ო. 173/1056

ამ ხანებისათვის იმერეთიდან გადმოხვეწილი, ქონება და მამულ  
 დაკარგული პოეტი ეტყობა დიდ ნივთიერ გაქირვებას განიცდის.  
 ამიტომაც, რომ მეცენატს ასე გულმოდგინედ სთხოვს პოემის ჰონორარს:

აწ შემასმინეთ მეფესა, სარჯელი გაშიგონოსა,  
 საუბარი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა;  
 წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა;  
 სულზე მამასწრას რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა. 173/1056

პოემაში სხვაგანაც სჩივის თავის სიღარიბეს:

„იციო, სიმდიდრე ვისცა სჭირს, ბევრს რასმეს მოაგონებსა,  
 კვლის შემწყუდევა, სივიწრე კაცს მეტად შეაღონებსა,  
 სიკუდილს ანატრებს უცილოდ, სამარედ განაგორებსა. 60/342

რა წყალობა დამართეს „მეფეთა“, რა ფეექტი ჰქონდა ფეშანგის  
 „შაჰნავაზიანს“, არა სჩანს, ეს კია, რომ ფეშანგის მეცენატი, თვით  
 მგოსნების არბიტრი არჩილ ჩვენს ავტორს მდარე პოეტად სთვლიდა<sup>1)</sup>. ამის  
 მიუხედავად, არჩილს კვლავ შეუყვეთია ფეშანგისათვის „ფირმალიანის“  
 ანუ „დიფნის ქალაქის ამბავის“ პროზაული ვერსიის გალექსვა,  
 მაგრამ არჩილის სიტყვით ნაწარმოები მდარე პოეტური ღირსებისა  
 გამომდგარა, — მძიმე და უხეში „სიმძიმით ვით ლიტრიანი“.

„მე ვათქმევიენ, მარამე ვერა სთქვა მარლიანი“-ო.

<sup>1)</sup> რატომ არ ახსენა არჩილმა ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ თანამედროვე პოეზიის  
 პანთეონში? ალბათ იმიტომ, რომ პოემა პირადად არჩილის ხოტბას შეიცავდა და  
 ეს გარემოება კი მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ასევე მოერიდა იგი გრძელ  
 საუბარს მეორე პირად მხებობე პოეტზე — ს ა მ ე ბ ე ლ ი ა კ ო ბ ზ ე : „სრულად ამი-  
 სთვის არ ვაქვ, რომ იყო ჩემი მტკობარი“-ო.



ამრიგად ფეშანგის ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან ჩვენ ვიცით დღემდე მხოლოდ ორი ნაწარმოები: ერთი „შაჰნავაზიანი“, შემთხვევით მოღწეული ჩვენამდე ერთ უნიკალურ ცალად და მეორე „ფირმალიანი“, რომელსაც ვასავალი არ ჰქონდა, ვერ გახმაურებულა და რომელიც ალბად ამ მიზეზით ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ორივე ნაწარმოები დაწერილია ქართლ-კახეთში. ეჭვი არაა, „შაჰნავაზიანი“ არ უნდა ყოფილიყო ფეშანგის დებიუტი. მგოსანს ალბად ექნებოდა სხვა სახობო ნაწარმოებიც, რასაც ჯერჯერობით ჩვენამდის არ მოუღწევია.

საკითხავია, იმერეთიდან გადმოსვლის შემდეგ ქართლ-კახეთში ასრულებდა თუ არა ფეშანგი მდივნის თანამდებობას შაჰნავაზისა და არჩილის კარზე? საყურადღებოა, რომ მხოლოდ ერთხელ იხსენიება იგი შაჰნავაზის კარის მდივნად სახელდობრ 1666 წ. (იხ. არქ. № 6—90) ხსენებულ სახელოს ამ დროისათვის ასრულებენ: შაველ ყორღანიშვილი, შალვა, ბეგთაბეგ მარტიროზიშვილები, სულხან და გიორგი თუმანიშვილები და გორელი ფირალი (ყანდურალიშვილი). როგორც ვიცით, მეფეებს რამდენიმე მდივანი ჰყვანდათ. ეტყობა, ფეშანგი მათგან უპრემესთაგანი და უკანასკნელი იყო. ქართლ-კახეთში კარის მდივნობას მემკვიდრეობით ასრულებდა სამი წარჩინებული გვარი — ყორღანიშვილების, შანშეან მარტიროზიშვილების (ბეგთაბეგიშვილები) და თუმანიშვილებისა, რომელთა წადავებაც მეტად გაუჭირდებოდა გორელ ვაჭართა ნაშიერს (როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი გვარეულობა მე-XVIII ს. დასაწყისში მდივან თუმანიშვილებს ყმებადაც კი მიუსაკუთრებიათ).

რომ პოეტს მდივნის თანამდებობა ადრევეც ჰქონია არჩილ-შაჰნავაზის კარზე. იქიდანაც სჩანს, რომ ფეშანგი ჯერ კიდევ 1664 წ. „ახლავს“ მეფეს კახეთში (172/10) და იქ გართულა რალაც საქმიანობაში. პოემის უკანასკნელ სათაურში, რომელიც დაწერილია არჩილ-შაჰნავაზის ერეკლე ბატონიშვილზედ გამარჯვების შემდეგ — მგოსანი გადმოვ გვცემს:

„აქა ამა უსწოროს კემწიფის გამარჯუება და ყაენთან თავების გაგზავნა ზემოთ დავსწერეთ, მაგრამ საქმისაგან უცალოდ ვიყავით“.

რა საქმისაგან იყო უცალო ჩვენი პოეტი? ცხადია აქ მდივნობას გულისხმობს.

1) 1664 წ. თებერვალში არჩილის კარის მდივნად მოსჩანს ყორღანიშვილი შაველ (თ. ყორღანია, ქართლ-კახეთის ეკლ. და მონასტ. იატ. საბუთები, გვ. 6).

სრული სიბნელით არის მოცული ფეშანგის ცხოვრება შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ (1675 წ.) და ჩვენ აღარათფერი ვიცით იმის შესახებ, გადაჰყვა ისიც თუ არა არჩილს იმერეთში, სადაც არჩილი ექვსჯერ გამეფდა? და იყო თუ არა არჩილის იმერეთიდან არა ერთი განდევნის მოზიარე? როგორი იყო მისი ბედი საერთოდ არჩილის და მის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის პერიპეტეებში?

ცნობილია, რომ იმერეთის ლეგიტიმისტები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ არჩილის, — როგორც იმერეთის ტახტის უზურპატორის. თანამედროვე იმერი ფეოდალის სიტყვით, არჩილის მეფობაში „იმერეთი ოხერ და უმემკვიდრო“ შეიქნა (ქრონიკები, II, 481) და მხოლოდ არჩილის მეტოქის, მაგრამ კანონიერ მემკვიდრის — ბაგრატის დროს დაიწყო ვითომდა ნორმალური ცხოვრება: „მკვიდრი ბატონი ვიშოვეთ და ქვეყანამ დაწყნარება და დამშვიდება დაიწყეს“ — ო (იქვე).

ბაგრატის გამეფების შემდეგ, რასაკვირველია, არჩილის პარტია უნუგეშო მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო, რადგან არჩილის მომხრეებს იმერეთში მოლაღატებად სთვლიდნენ და ბაგრატმაც გამეფებისას დაიახლოვა მხოლოდ, — „ვინც იმერელი კაცი მის ღალატში არერია“ (ქრონ. II, 480). ვიმეორებთ, არავითარი საბუთები არ მოგვეპოება ფეშანგის ამ ხანებში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ აქ გვახსენდება არჩილის ცნობისამებრ ერთი მომენტი ფეშანგის ცხოვრებიდან, სახელდობრ მისი დასახიზრება ცხვირის მოჭრით:

„გებრალეხოვესთ საბრალო ცხვირმოჭრით თვალცრემლიანი“ — ო.

როგორც ვიცით, სამეფო მდივნები დიდ პატივში იყვნენ ანუ „პატივითა უშაღლესნი“ (ვახ. გეოგრ. 11) და მათი ფიზიკური დასჯა მხოლოდ მარჯვენა ცერის მოჭრით თუ შეიძლებოდა („მდივანსა ჩვენსა ჩოლოყაშვილსა არა-რაი ეკადროს თვინიერ დიდისა შეცოდებისათვის მეთისა: მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდევ არა-რაი“ (ვახ. გეოგრ. 11). მაშასადამე, ფეშანგი ასე სასტიკად მხოლოდ სახელმწიფო ღალატისათვის უნდა დაესაჯა რომელიმე მოწინააღმდეგე პარტიას, შეიძლება უდანაშაულო ბრალდებისათვისაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფეშანგის დასჯა იმერეთში უნდა მომხდარიყო სწორედ იმ „შფოთისა და აოხრების“ დროს, როდესაც არჩილი იმერეთში მეორედ გაბატონდა და შემდეგ ბაგრატმა ტახტი ისევ დაიბრუნა, სახელდობრ 1675—1680 წლებში, რადგან ფეშანგის „თვალცრემლიანობას“ ცხვირის მოჭრის გამო არჩილი 1681 წელს გვიამბობს.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართლში გამეფებულ ანარქიასაც შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ და გამწვავებულ ურთიერთობას გიორგი VI-სა და ერეკლე ნაზარალიხანს შორის, შესაძლოა ფეშანგის ტრაგედიას ქართლშიც ჰქონოდა ადგილი.

ჩვენ ვიცით სხვა ანალოგიური შემთხვევაც სამეფო მდივნის ფიზიკურად დასჯისა სწორედ ფეშანგის ეპოქაში, სახელდობრ როცა თეიმურაზ I-ლმა ხელთ იგდო მისი მოწინააღმდეგის, — როსტომ მეფის მდივანი, ცნობილი ბირთველ თუმანიშვილი და „ენა პირში ამოართო“, ე. ი. ენა ამოაჭრევინა („არჩილიანი“, გვ. 19).

XVII ს. მრისხანე დღეებში ქართველ მეფეებს ხშირად ეძლეოდათ საბაბი თავისი მდივნების დასჯისა, მეფეებს ხშირად „დამასმენელნი“ „ფარულითა შურითა მრავალგზის განაწყრომდნენ მეფეს მდივნებზე ენონების გამოქანდაკებით“ და „უჯეროდ მსახურების“ ამბავის მოტანით (საქ. სიძვე., II, 100). თვით მდივნებიც თავის მხრივ ხშირად რენეგატობდნენ და თავის რომელიმე პატრონის შერყეულ მდგომარეობის მიზეზით ხშირად გადადიოდნენ მეორე მხარეზე, ერეოდნენ ინტრიგაში და მუხანათობდნენ<sup>1)</sup>. შესაძლოა ასეთივე უმადურობა გამოიჩინა თავის მეცენატებისადმი ფეშანგ ხითარაშვილმა, როგორც უკმაყოფილომ და იქნებ შესაფერ პატივს მოკლებულმა შაჰნავაზ-არჩილის კარზე?

ეს ეჭვი შეიძლება გავციძლიეროს სხვათა შორის იმ გარემოებამაც, რომ 1691 წ. 1 აპრილს ქვეშ ნაზარალიხანის კარის მდივან-მწიგნობრად იხსენიება ვინმე ფეშანგიშვილი დავით (საქ. სიძვე., I, 180). რაკი მდივნობა მამიდან შვილზე გადადიოდა, შეგვიძლია ვიკითხოთ, ხომ არ არის ხსენებული ფეშანგიშვილი დავით ძე ჩვენი პოემის ავტორის ფეშანგისა?

<sup>1)</sup> ამ შემთხვევაში დამახასიათებელი ფიგურაა ცნობილი კარის მდივან-მწიგნობარი გივი თუმანიშვილი. ასე, გივი, როგორც შაჰნავაზის ვაზრდილი 1675 წ. ახლავს მის შვილს გიორგი XI-ს (საქ. სიძვე., I, 390), ხოლო 1681 წლ. მის მოწინააღმდეგე ერეკლე ნაზარალიხანს ვიდრე უკანასკნელის ტახტიდან გადაგდებაამდე, ე. ი. 1703 წ. (საქ. სიძვე., I, 105, 79, 440; II, 153, 107, 189). მაგრამ 1692 წ. ქრისტიმ. 5-ს მას ვხვდავთ ისევ გიორგის კარზე (საქ. სიძვე., II, 109), შემდეგ იგი ისევ ერეკლესთან ბრუნდება, ხოლო 1700 წ. ახლავს არჩილს (წ. კ. № 424), იმავე ხანებში, 1704 წ., იგი ემსახურება გიორგის და არჩილის ძმას შაჰყულიხანს ანუ ლევანს (საქ. სიძვე., I, 82, 444), 1712 წლ. ვახტანგ VI-ეს, ლე-<sup>1</sup>ვანის შვილს (საქ. სიძვე., II, 246, 303, I, 137), ხოლო 1718 წ. ახლო ხანებში ვახტანგის მტერს, თუმცა მისივე ძმას — სვიმონ ბატონიშვილს (იქვე, 303).



თუ ეს ასეა, ფეშანგიც ამ ხანებისათვის უკვე გარდაცვლილი ყოფილა და მდივნის თანამდებობაც მის შვილს დაუქერია <sup>1)</sup>).

მოკლედ, ჩვენი პოემის ავტორის ცხოვრება ასე წარმოგვიდგება: ფეშანგი ამირას ძე ხითარაშვილი, იგივე ფაშვი ბერტყაძე უნდა დაბადებულიყოს ქ. გორში, შემდეგ თეიმურაზ I-ისა და როსტომის მეფობაში ხანგრძლივ ანარქიის დროს უნდა გადახვეწილიყო იმერეთში, სადაც მას მწიგნობრობისა და მდივნობის ნიჭი გამოუჩენია. აქ იმერეთის მეფეს ალექსანდრე III-ეს თავისი მდივნის მამუკა თავაქალაშვილის ტყვედ წაყვანის შემდეგ იგი კარას მდივნად მოუწვევია. როგორც ერთგულსა და ნიჭიერ მოსაქმეს, ფეშანგის მეფის ყურადღება დაუმსახურებია. 1651—52 წლებში ფეშანგი როგორც ალექსანდრე მეფის მდივანი მხურვალე მონაწილეობას იღებს იმერეთში ჩამოსულ რუსის ელჩებთან—სტოლნიკ ტოლოჩანოვთან და დიაკ იველევთან—წარმოებულ მოლაპარაკებაში, თავის მხრივ რუსის დესპანებიც კმაყოფილნი არიან ფეშანგის მონაწილეობით და მას კიდევ ასაჩუქრებენ.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ფეშანგი მდივნობს ბაგრატ IV-ის და ნესტან-დარეჯან დედოფლის კარზე. შემდეგ, ბაგრატის გადაგდების უკან, მას უნდა ემდივნა ახლად გამეფებულ 14 წლის არჩილის კარზედაც. ოსმალეთის მოთხოვნით მალე არჩილს ხელს აღებინებენ იმერეთის ტახტზე და ტფილისში მამასთან აბრუნებენ. ამალასთან ერთად არჩილს თან უნდა გამოჰყოლოდა ფეშანგიც. ქართლში ჩამოსვლისთანავე ფეშანგი სჩანს სამშობლო ქალაქ გორში, ანუ მის სიახლოვეს. შემდეგ მდივნად ახლავს შაჰნავაზს და არჩილს კახეთში, სადაც ისინი ებრძვიან კახეთის ტახტის პრეტენდენტს ერეკლე ბატონიშვილს (1665 წ.). ამ ხანებში მეფეთა დავალებით ფეშანგი სწერს სახოტბო პოემას „შაჰნავაზიანს“. მდივნად სჩანს აგრეთვე 1666 წელს (იხ. ც. არქ. № 1 — 26; 6—90).

იმერეთიდან აყრილი მგოსანი ქართლში გადმოსვლისას მძიმე ნიეთიერ მდგომარეობას განიცდის და მის გამოკეთებას „შაჰნავაზიანის“ ჰონორარით იმედოვნებს. 1681 წლის ახლოს პოეტი კიდევ სწერს პოემას „ფირმალიანს“ არჩილის შეკვეთით.

<sup>1)</sup> საკითხავია, მგოსანი ფეშანგ ხომ არ არის დამწყები გორელ ვაქართა ფეშანგიშვილების გვარისა, რომელმაც მოგვეცა ცნობილი სახალხო მგოსანი მომღერალი (18—19 ს. დასაწყ.) სტეფანე ფეშანგიშვილი ანუ ფერშანგოვი.

სხვათა შორის საყურადღებოა, რომ თვით 1749 წლისთვის ფეშანგის გვარში არ დაკარგულა მისი და მისი მამის ამირას—ანდრეას სახელი. ასე ამ წლისთვის იხსენება ვინმე ფეშანგიშვილი ფეშანგ, ანდრეას შვილი, რომელიც გვარის ერთს აბაღს განშტოებას—„თაყინაანთ“ ხაზს ეკუთვნოდა (ც. არქ. სიგ. ფ. № 129).



საქართველოს მაშინდელ გარემოებაში, ფეოდალური დაქსაქსულობის დროს, როცა მეფეები და ფეოდალური პარტიები გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს, სრულიად ადვილი იყო კარის მდივნის ჩარევა რომელიმე მეფის ანუ პარტიის შეთქმულ საქმიანობაში, რის შედეგად იმერეთსა თუ ქართლში ფეშანგი მოწინააღმდეგე ძალას ცხვირის მოჭრით დაუსჯია. არჩილის ცნობის, სახელდობრ 1681 წლის შემდეგ, ფეშანგი ისტორიულ საბუთებში აღარ მოხანს. შესაძლოა იმ დროისათვის კიდევ მიიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აღარაფერი ვიცით მისი ცხოვრების დასასრულის შესახებ.

#### 4. როდის დაიწერა „შაჰნავაზიანი“?

ვიდრე შევუდგებოდეთ საკითხის გარკვევას, თუ როდის არის დაწერილი შაჰნავაზიანი, უნდა შევნიშნოთ, რომ პოემა პირველად თავდებოდა არჩილის სპარსეთიდან მობრუნების ამბავით და მისი მომდევნო XLIV-ე თავით.

ეს თავი შესდგება ორი ნაწილისაგან, პირველში აღწერილია ვახტანგ V-ის სახელმწიფო მიღწევანი, მისი გავლენის განმტკიცება საქართველოს ყოველ კუთხეში, როდესაც თვით „ბედნიერებით სრული“, „სალხინოდ მორთული“ იჯდა ტფილისში, ხოლო მეორე ნაწილს შეადგენს პოემის ერთგვარი აპოთეოზი, ტრადიციული სენტენცია საწუთროს ამაოებაზე და ისტორია თვით პოემის დაწერისა, და ბოლოს ჰონორარის თხოვნა მეცენატისადმი. მაშასადამე პოემა თავდებოდა 1056 ტაეპით და თავი XLIV-ე პირველ რედაქციულად უნდა ყოფილიყო პოემის დასასრული. შემდეგ პოემას ემატება ჩანართი, შვიდი თავისაგან შემდგარი.

როდის არის დაწერილი პოემა?

ავტორის სიტყვით, შაჰნავაზიანის დაწერა მაშინ შეუკვეთიათ მისთვის, როდესაც შაჰნავაზმა კახეთის ტახტზე დასვა თავისი ძე არჩილი და მასთან ერთად კახეთში ლხინობდნენ ერთი თვის განმავლობაში.

სწორედ მაშინ თან ჰხლებია მეფეს ჩვენი მგოსანი და აქ შვილის ბედნიერებით გამხიარულებულ ხელმწიფეს უბრძანებია „მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა“.

კახეთს ვვახელ მეფესა, მხეებრ მცხინარედ ტკბილისა;  
მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა;  
რაცა მენახა, ვიუბენ, მოწამა მათის ჩრდილისა;  
ვარდი მოვკრიფე უგლო, ცვარით ავსილი დილისა. 173/1053.

როგორც ვიცით, არჩილი კახეთის მეფედ დანიშნული სპარსეთიდან მობრუნდა 1664 წ. იანვარში, მაშასადამე პოემის წერაც და

შეკვეთის მიღბაც ამ წელს ეკუთვნის. რაც შეეხება დასრულებას, პოემა უკვე გათავებული ყოფილა იმ დროსთვის, ვიდრე მოხდებოდა კახეთის კანონიერ შემკვიდრის—ბატონიშვილ ერეკლეს თავდასხმა ახლათ გამეფებულ არჩილზე და მის სანახავად მოსულ მამაზე<sup>1)</sup>, სადაც ერეკლე თავისი თუშებთ სასტიკად დამარცხდა; ეს ამბავი კი, როგორც ვიცით, მოხდა 1664 წელს შემოდგომას, მაშასადამე პოემის I—XLIV თავები დაწერილია 1664 წ. შემოდგომამდის.

რაც შეეხება პოემის ახალ დანართს (LV—LL), იგი დაწერილია ერეკლეს თავდასხმის ხანებში, როგორც უკანასკნელი თავის (LXI) სათაური გვიჩვენებს:

„აქა ამ უსწოროს კემწიფის გამარჯუება და ყენთან თავების გაგზავნა ზემოთ დავსწერეთ, მაგრამ საქმისაგან უცალოდ ვიყავით და გაგზავნის რჩევა და თუშთა ზედა გამარჯუება და თავების გასტუმრება აქ შეიქნა ყუელასი“—ო (გვ. 189).

ცხადია, რომ ხსენებული დამატებაც ამ ბრძოლის ხანებშივე, სახელდობრ 1664 წ. არის დაწერილი.

ამრიგად, შაჰნავაზიანი სრულად, დამატებითურთ, დაწერილია 1664 წ.—ერთი წლის განმავლობაში, მაშასადამე იგი უხნესია 17 წლით „არჩილიანზე“ და დაახლოებით ამავე დროით იოსებ ტფილელის „დიდ-მოურავიანზე“.

<sup>1)</sup> ერეკლე 1660 წ. 3 ივნისს გამოვიდა მოსკოვიდან, ხოლო 1666 წ. დამარცხებული დაბრუნდა მოსკოვში.

## პოეზიისათვის

### 1

XVII ს. საქართველოს — კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობის ქვეყანას, — მცირე შესვენების შემდეგ გარეშე თავდასხმებისაგან, თუმცა ისევ სპარსთა მონობის ქვეშ, — ეკონომიური განახლება დაეტყო.

ხანგრძლივ შემოსევათა შემდეგ ტფილისი — საქართველოს მეურნეობის ცენტრი — დაუახლოვდა სპარსეთის ბაზარს. ამ ურთიერთობის ნიადაგზე ჩვენ ვამჩნევთ სავაჭრო ელემენტების მოლონიერებას ტფილისსა და გორში, — ქართლის მაშინდელს ეკონომიურ ცენტრებში.

ბაზრის განვითარებამ, ფულის ტრიალმა და უცხო ქვეყნებთან კავშირმა რამოდენიმედ გაზარდა ჩვენი ფეოდალური ქალაქების მნიშვნელობა და მათი კულტურული დონე ასწია. ვაჭრობა, მიწათმოქმედება, მეურნეობა ამოძრავდა. იწყებოდა ცხოვრების აღორძინება, რომელიც რამოდენიმე ხნით ისევ შეაჩერა უღმობელმა ისტორიულმა პირობებმა.

ტფილისში ვაჭრობა-აღებშიცემობის, საქმე რომ საკმაოდ სასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამ ფაქტს უცხოელი მოგზაურებიც კი გვიმოწმებენ. — „ტფილისში უცხოელი ვაჭარი უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან საღაჯო (ალბად ამიერკავკასიას ჰგულისხმობს. გ. ლ.); ისინი დიდ ვაჭრობას მისდევნენ. ბაზრები და ქარვასლები მშვენივრად მოწყობილია და ვაჭრობის წესები გარიგებულები“, — გვიამბობს მაშინდელი ფრანგი ნეგოციანტი შარდენი.

მისივე სიტყვით, ტფილისში მრავალი უცხო ვაჭარი და სოცდაგარი საქმობდა; სომეხი, ბერძენი, ოსმალთა, თურქი, სპარსელი, შინდო, თათარი: რუსი და ევროპიელი. ტფილისი, როგორც ნედლეულობის ბაზარი, განთქმული იყო აბრეშუმი და ღვინით, ისე, როგორც — ტყავეული, ხელთსაქმარი, ენდრო, მატყლი, თაფლი და ცვილი გაჰქონდათ აქედან აზიისა და ევროპის ქვეყნებში.

ასე, საშინელი პოლიტიკური წინაგანადგურების და მეურნეობის პროდუქციის დაცემის მიუხედავად, XVII ს. ჩვენ მაინც ვხედავთ აღებ-მიცემობის ფარგლების გაფართოებას და თვით გარეშე ქვეყნებთან კავშირის დაკერის ცდებს. მაგ. ქართველ ვაჭართა ამხანაგობებს, პარტიზანულ სავაჭრო კომპანიებს აზიის არა ერთ სავაჭრო ცენტრში უხდებოდათ მოქმედება (მაგ. ისპაჰანი, გილანი, სტამბოლი,

ბრუსა და სხვ. იხ. АКТЫ, I, 27), სადაც ხშირად მსხვილ საეპიკრო ოპერაციებსაც კი აწარმოებდნენ. განსაკუთრებით საგულისხმოა ცდა დასავლეთ ევროპასთან კავშირის დაქერისა. მიუხედავად საქართველოს გამოთიშვისა დიდ საეპიკრო გზიდან, ქართული სახელმწიფოებრივი წრეები ოცნებობდნენ ამ გზის განახლებაზე და შემთხვევით როდი განუმარტავდა ვახტანგ-შაჰნავაზი ტფილისში მყოფ შარდენს, რომ ინდოეთში მიმავალ ევროპელებს არ შეუძლიანთ საქართველოზე უკეთესი გზა ამოიჩიონო. მისი აზრით, რაკი ევროპელები ამ გზას ამოიჩნევენ, მომავალში სხვა გზის ძებნა აღარც კი დასპირდებათო და გულმხურვალედ აცხადებდა: ძლიერ მსურს ევროპელების დასახლება და თუ ალებ - მიცემობისათვის ჩამოვლენ, ყველა გადასახადებისაგან გავანთავისუფლებ და უპირატესობასაც კი მივანიჭებო<sup>1</sup>.

ვახტანგის ოცნება ერთგვარი გამომსახველი იყო მოწინავე ელემენტების სწრაფვისა ეკონომიური შეზღუდულობის ჩარჩოების გასარღვევად და ფეოდალური სამეურნეო სისტემის გარდაქმნის მეცადინეობისა.

სამეურნეო ზრდას განსაკუთრებით ხელს უწყობს (1640 წლებიდან) უკვე ძალმომავრებული ცენტრი. საეპიკრო, საქალაქო ელემენტებს ძლიერ მფარველად ჯერ კიდევ როსტომ მეფე (1633—1658) ევლინება, რომელიც ფეოდალურ ანარქიასთან ბრძოლაში ტფილისისა და გორის საეპიკრო წრეებს ეყრდნობა. ის განსაკუთრებულ მფარველობას უწევს სომხებს, ანუ საეპიკრო ელემენტებს, აძლევს რა შეღავათებს, აქეზებს სამოქმედოდ, უშენებს ქარვასლებს, ხიდებს, და სხვათა შორის ამავე სომხ ვაჭრებისათვის მან შეჰქმნა კიდევ ერთი ახალი საეპიკრო ცენტრი — ქ. ახალქალაქი (გორთან ახლოს) „მეფის ქალაქის“ სახელწოდებით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვახტანგ V-ის ასეთი სწრაფის დამახასიათებელია ფაქტები მის მიერ კარზე ევროპელების დაახლოვებისა. ცნობილია, რომ ის ყოველგვარად ხელს უწყობდა ტფილისში მყოფ პაპის მისიონერებს (თამარაშვილი, 224, 227, 228; 229, 246, 247), რომელნიც დას. ევროპის საეპიკრო კაპიტალის მხვერავე-აგენტების როლს ასრულებდნენ. ირკვევა, რომ ვახტანგს კარზე ევროპელი სპეციალისტებიც ჰყოლია. ასე, „ფრანგის ოსტატებს“ თავისი „ხელუვნებით“ აუშენებიათ მეფისთვის ტფილისის სასახლე (შაჰნავაზიანი, 35/185); იგივე მეფე თხოულობდა დას. ევროპიდან სპეციალისტებს, რომელთაც უნდა სკოდნოდათ ინჟინერობა და მექანიკა, — მტკვარზე იმნაირი წისქვილი უნდა გაცეთებინათ, რანაირიც რომის მღანარებე ყოფილა (თამარაშვილი, 227); საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თვით მიყრუებულ სამეგრელოში ლევან დადიანს სამსახურში აყვანილი ჰყვანდა ფრანგის ოქრომჭედელი და მესაათე (იქვე, 147).

<sup>2</sup> როგორც ახალქალაქის ერთი წარწერიდან ირკვევა: „მას ჟამსა, ოდეს იყდა ფრან-თურანსა ბედნიერი ყაენი კელმწიფე შაჰ სეფი... სახელითა ღუთისათა, ჩუენ საქართველოს კელმწიფის შუილმან მეფეთ მეფეშან პატრონმან როსტომ და თანა-

როსტომის შემკვიდრე ვახტანგ V — შაჰნავაზიც, რომელმაც ქართლ-კახეთი გააერთა და დროებით იმერეთ-ოდიშიც დაიმორჩილა, — არანაკლები ენერგიით აგრძელებს როსტომის ნაანდერძვე პოლიტიკას. სწორედ XVII ს. 60-იანი და 70-იანი წლები (ე. ი. ვახტანგის მეფობის წლები) არის ხანა ეკონომიური წინწაწევისა და სავაჭრო ჯგუფების გაძლიერებისა<sup>1</sup>. ამ ხანებში, მართალია, ყველა საზოგადოებრივი ფუნქციები ისევ თავადაზნაურობის გამგებლობაშია და ისევ უკანასკნელია ცხოვრების ტონის მიმცემი, ძველი მეურნეობის სისტემაც ისევ მტკიცეა, მაგრამ მაინც ჩვენ საქმე გვაქვს ფეოდალიზმის დეკადანსთან, მისი სხეულის შერყევასთან ახლად ჩასახულ სოციალურ ელემენტების მიერ. ეპოქას შეუმჩნევლად ახასიათებს ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა.

ამ სოციალ-ეკონომიურ ფონზე ვითარდება ცხოვრება და შემოქმედება „შაჰნავაზიანის“ ავტორისა, რომელიც სავაჭრო წრის წილიდან არის გამოსული, ამავე დროს იგი კარის მსახურიცაა, — კარის მდივან-მწიგნობარი, „გააზნაურებული“, წინწამოწეული. მაგრამ ამ გარემოებით იგი მთლად არ არის დაშორებული თავის სოციალურ წრეს, რადგან სამეფო მდივნები, რომელნიც XVII—XVIII-ს. უმთავრესად სომხურ წარმოშობას ეკუთვნოდნენ, — კომერციულ ოპერაციებშიაც მონაწილეობდნენ, ხდებოდნენ ფინანსური ტუზების თანაზიარნი და მათს მეურნეობასაც ნაწილობრივ სავაჭრო მეთოდი ახასიათებდა<sup>2</sup>.

მემცხედრემან ჩუნენან დედოფალთ დედოფალმან მარიაჲ, კელ ვჰყავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი... ქალაქისა ამის მეყიდრობისათვის მეფისქალაქელთა სომებთა ჩუნთა სახასოთა ვაჭართა. ქვ-ს ტ... თუესა აპრილსა კდ... (იხ. П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис 1850 г., стр. 27).

ფეიქრობთ, როსტომს უნდა განეახლებინა ძველი ქალაქის ერთი უბანი. 1673 წ. აქ გზად გამვლელმა შარდენმა ნაბა სრულიად დანგრეული ვრცელი ნაკალაქარი.

<sup>1</sup> ვახტანგის მიერ ვაჭართა მფარველობით არის გამოწვეული ფეშანგის სიბარული ჭვეყნის ეკონომიური წარმატების შესახებ: ამ რიგად მორთო ჭუყანა, სიმდიდრით მეტისმეტითა 34/184

აივსო თემი ლართა, არვის ასმია წინასა.

ოჭროთ მოირთეს ჭურჭელი, არვინ ინდომებს მინასა. 13/53

უცხო. თემთაგან მოსულთა (მოგზაურთ) ჭება თქუეს, ნატრა ნეტითა. 34/182.

<sup>2</sup> შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სავაჭრო ქალაქის, ქართლის ახალ-ქალაქის (იხ. ზემოდ) განახლება და ვაჭრებით დასახლება როსტომის დროს თვით-როსტომის მდივან-მწიგნობარის მერაბ ყორღანაშვილის ინიციატივით მომხდარა, ასე გადმოგვცემს თვით როსტომის წარწერა: „გვაგონა და მოგვახსენა ქალაქისა... ამის აშენება კარისა ჩუშნისა მდივანმან ყორღანაშვილმან მერაბ...“ (П. Иоселиани, „Города... в Грузии“, გვ. 28)



ასეთია სოციალური ფიზიონომია „დემოკრატიული“ ფენებიდან გამოსული მგოსნისა, რომელიც ფეოდალურ მწერლობის მბრძანებლობის ხანაში ყრუდ ამელავნებს თავისი კლასის მსოფლმხედველობას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე გამოხმაურებით.

## 2

XVI ს. ეკონომიური აღორძინების ხანმოკლე პერიოდს ეკუთვნის „აღორძინების“ მწერლობის ზენიტიც, — არჩილის, იოსებ თბილელის და სულხან ორბელიანის სახელებით განათებული. მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად ამ ეპოქის ლიტერატურულ ინტენსიობას გვიდასტურებენ ის ცხოველი ლიტერატურული ბრძოლები და დისპუტებიც, რომელთაც თურმე დიდი რეზონანსი ჰქონდათ:

მინაბავს მეღვქსებისა შედრაზე დიდი ცილება,  
ხოვს მართლა დაიწუნებდენ, ხოვისა იყო ცილება,

როგორც არჩილი გადმოგვცემს. კერძოდ ეპოქის პოტენციის მაჩვენებელია დაპირისპირება ანუ „შედრა“ რუსთველის და თეიმურაზის არტიკული სახელებისა: „მათ მეღვქსეთა (ე. ი. რუსთველის და თეიმურაზის) შედარება მრავალჯერ მასმოდაო“ — გვიამბობს იგივე არჩილი, ერთი მონაწილეთაგანი ცხარე ლიტერატურული კამათებისა. არჩილზე ადრე პოეტი ნოდარ ციციშვილიც გვიმოწმებს ამ ორი სახელის გარშემო საზოგადოების ორ ბანაკად დაყოფას:

ლექსთა მკითხველთა მეღვქსედ ხან ის [შოთა] აქეს და  
ხან ისი [თეიმურაზი]. 1/7.

ამ ეპოქის გაბედულ გამოწვევის დამადასტურებელია თეიმურაზის ამჟამი ხათქვამიც:

ლექსი ჩემო სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა:  
მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა!

თეიმურაზი ცენტრალური ფიგურა იყო იმ ლიტერატურულ წრეების, რომელნიც ახალი პოეზიის სასარგებლოდ ამდაბლებდენ თვით წინა საუკუნეების ტრიუმფატორს — რუსთველს<sup>1</sup>, უპირისპირებდენ რა მას თავის პოეტურ ფალავანს თეიმურაზს, ე. ი. ეპოქის ახალ გემოვნებას პოეზიაში; ეს კი გამოხატავდა ახალი მწერლობის სიძლიერეს, ძალას და დამოკიდებულობას, უკეთ განთავისუფლების ცდას ძველის დამოკიდებულობისაგან.

<sup>1</sup> არჩილის ცნობით ვიცით, თუ რა შეტევები მიჰქონდა ამ თაობას რუსთველზე; უსათუოდ ამ გაბედულ ბრძოლის ანარეკლია ფეშანგის კადნიერი კრიტიკაც რუსთველისა (იხ. ქვემოთ). ამის შემდეგ აღარაა საკვირველი ასეთი ფაშაილიარული მიმართვა რუსთველისადმი ერთი ანონიმისა ოპონენტების ბანაკიდან: რუსთველო, ახ თუ დრო გაქვს, მიტომ ასეთ ლექსსა სჩმაბავ, ადემ, მოდი, ერთად დაესხდეთ, ერთად ვსწეროთ, მაშინ გნაბავ;

ლაგახივით წამოგწვდები, ეს კი ვიცი, ვერ გამლახავ. —  
ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ, რაც გინაბავ!  
(ს. ს. № 2055)





მწერლობის აღორძინების ხანაში უნდა განახლებულიყო კარის პოეზიაც, რომლის შემოქმედების ძაფები დიდ მანძილზე იყო გაწყვეტილი და ისე, როგორც მათიანეც, „ეპოთა ვითარებისაგან არღარა წერებულიყო“. თვით ჩვენი ავტორიც შენიშნავს ამ ანტრაქტის ხანგრძლივობას:

„ჟამნი გარჟაკდენ. მეფეთა არვის უბძანეს წერასა.“

— არცაჲნი კელჰყო გამოთქმად, ტბილ საუბართა თქმევასა-ო. 5/2

მგოსანი გვიამბობს, რომ საკარო, სამქებრო ნაწარმოები, მეფეთა „ქება დიდება“ (7/15) დიდხანია აღარ დაწერილა, ანუ არ შეუკვეთიათ მეცენატ მეფეებს კარის მგოსნებისათვის, რადგან არც ხოტბის მოთხოვნილება არსებობდაო:

„ან მელექსესა რა რჯიდა, ველად დაეწყო რბენასა;  
დაუმაღლებლად სიტყუანი სად წარმოეთქვა ენასა?“. 5/2

ე. ი. არ იყო ხოტბის გამომწვევი ობიექტი, — ძლიერი ხელისუფალი, ხოლო დაუფასებლად, „დაუმაღლებლად“ ხოტბას რა სტიმული ექნებოდაო. ასე გვიხსნის ფეშანგი წინააღრის საკარო პოეზიის კრიზისს, გამოწვეულს საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარებით<sup>1</sup>. ხოლო ფეშანგის დროს კი, ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად, საკარო პოეზიაც უნდა აღორძინებულიყო, როგორც საჭირო მხატვრული აგიტაცია ძლიერ მეფის ძალაუფლების განმტკიცებისა. კერძოდ როსტომის და შაჰნავაზის სახელმწიფო მმართველობა, ბუნებრივია, თხოულობდა კარის მგოსნური ტრადიციების განახლებას. მით უმეტეს როსტომის კარზე, რომელმაც მათიანეს სიტყვით დაადგინა „მეჩანგე, მგოსანი“ (ქ ცხ., II, 46) და პატივში აიყვანა<sup>2</sup>. (ცხადია, აქ მათიანე

<sup>1</sup> შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კარის პოეზიის განახლება როსტომ მეფის (1533-1658 წ.წ.) დროიდანაც კი იწყებოდა. ამიტომ არაფერს დაუჯერებელს არ უნდა წარმოადგენდეს ხ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ მას „ძველ [წიგნების] კატალოგში“ შეჭბედრია მოხსენებული როსტომ მეფის ქება ლექსად... სტიხათ დაწერილი თანამედროვე პირისაგანო“ (საქართველოს მწერლობა XVII საუკუნე. 40). სხვათა შორის ჩვენამდე შენახულა ფრაგმენტი მარიამ დედოფლის (როსტომის მეუღლის) „ქებისა“ (იხ. ქრონიკ., II, 452; პროფ. კ. კეკელიძე, შეიდი მთიები, გვ. XII).

<sup>2</sup> შდ. გიორგი ლეონიძე, „მგოსანი საათნავა“, 1930 წ. გვ. 16. შაჰნავაზის დროს მგოსანი, სპარს. ტრადიციით, ზეიმებში მეფეს წინ უძღვებოდა, როგორც სჩანს ჩვენი პოეზიიდან: „წინათ მოუძღვის მგოსანი“ 21/101; „მოსდედენ მოშაირენი, მომღერალნი და მგოსანნი“. 59/335.

ჰგულისხმობს სპარსელ მგოსანს და სპარსულ საკრავებს). XVII ს. განახლებულ საკარო, „სამქებრო“ პოეზიაში ჯერჯერობით პირველობას ჩემულობს პოემა შაჰნავაზიანი, — იმავე დროს ისტორიული პოემის ქანრის ნაწარმოები. იგი ქრონოლოგიურად XVII ს. საკარო პოეზიის პირველი ძეგლია, და იმავე დროს დოკუმენტალური, პოეტური თხზულება, — პირველი ისტორიული პოემა XVII ს., რომელსაც კი მოუღწევია ჩვენამდე.

სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით საკარო, მეხოტბე პოეტებზე, რომელთაც სახელოვანი მგოსნური ტრადიცია ჰქონდათ და რომელნიც უმეტესად ხელმწიფის კარის მდივან-მწიგნობართა ოჯახს ეკუთვნოდნენ. ჩვენის აზრით, შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ფეოდალურ პოეზიაზე, თუ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული როლი კარის მდივან-მწიგნობრებისა, რომელნიც კარზე, საზოგადოებაში პროფესიონალ მგოსნებად ითვლებოდნენ, რომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ძველადგან იყო ცნობილი. ჩვენში რატომღაც მივიწყებულია და უცნობი ის ფაქტი, რომ ფეოდალურ პოეტების დიდი ნაწილი მდივანების წრიდან არის გამოსული. თვით რუსთველი ტრადიციულ ცნობით იყო მდივანი „სეფისა“. თეიმურაზ მეორის სიტყვით, თამარს „მოსწონდა“ მისი მდივნობა და რადგან განთქმული იყო ცოდნით, ამიტომ ებრძანა თამარის მიერ ლექსის თქმევა:

მიბრძანა რაფგან ცოდნა-გაქვს, ლექსები გამოსთქვენით. (წ. კ. № 1512.)

ტრადიციული ცნობით, მდივნები ყოფილან აგრეთვე — ჩახრუხაძე, შავთელი..

მეტად საგულისხმოა მდივანების ტრადიციის ხანგრძლივობა ფეოდალურ მწერლობაში. ასე, XVII ს. სამეფო მდივნები უმეტესად მგოსნები არიან. (მაგ. მამუკა თავაქალაშვილი, „ზაქიანის“ გამლექსავი, — იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის კარის მდივან-მწიგნობარი; ბარძიმ ვაჩნაძე, „საამიანის“ გარდმომღები, — თეიმურაზ I-ის მდივანი; ბეგთაბეგ შანშეან-მარტიროზი — შვილი, — პოემა „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, — გიორგი XI-ის მდივან-მწიგნობარი; იოსებ ტფილელი, — ხშირად მდივანობის აღმასრულებელი და სხ.)

მგოსნობის ტრადიცია მდივანმწიგნობართა ოჯახში, — XVIII ს-შიც ისევ ძალაშია, აქაც ცნობილი მგოსნები და მწერლები მდივანობით ემსახურებიან სამეფო კარს: ონანა მდივანი (ქობულაშვილი), ყარან (ბეგთაბეგვიშვილი), დავით რექტორი, სოლომონ

<sup>1</sup> განზრახული გვაქვს ვრცელი შრომა „ვეფხისტყაოსნის გადამწერლები“, რომლის მთავარი ნაწილი განეკუთვნება ცალკეულ თავს: „საქართველოს ხელმწიფის კარის მდივან-მწიგნობარნი“.

მწერლობის აღორძინების ხანაში უნდა განახლებულიყო კარის პოეზიაც, რომლის შემოქმედების ძაფები დიდ მანძილზე იყო გაწყვეტილი და ისე, როგორც მატიანეც, „ჯამთა ვითარებისაგან არღარა წერებულყო“. თვით ჩვენი ავტორიც შენიშნავს ამ ანტრაქტის ხანგრძლივობას:

— ჯამნი გარდაკდენ. მეფეთა არვის უბძანეს წერასა.

— არცვინ ველჰყო გამოთქმად, ტკბილ საუბართა თქმევასა-ო. 5/2

მგოსანი გვიამბობს, რომ საკარო, სამქებრო ნაწარმოები, მეფეთა „ქება დიდება“ (7/15) დიდხანია აღარ დაწერილა, ანუ არ შეუკვეთიათ მეცენატ მეფეებს კარის მგოსნებისათვის, რადგან არც ხოტბის მოთხოვნილება არსებობდაო:

„ან შეღვექესა რა რჯიდა, ველად დაეწყო რბენასა;

დაუმადლებლად სიტყუანი სად წარმოეთქვა ენასა?“. 5/2

ე. ი. არ იყო ხოტბის გამომწვევი ობიექტი, — ძლიერი ხელისუფალი, ხოლო დაუფასებლად, „დაუმადლებლად“ ხოტბას რა სტიმული ექნებოდაო. ასე გვიხსნის ფეშანგი წინააღმდეგობის საკარო პოეზიის კრიზისს, გამომწვეულს საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარებით<sup>1</sup>. ხოლო ფეშანგის დროს კი, ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად, საკარო პოეზიაც უნდა აღორძინებულიყო, როგორც საჭირო მხატვრული ავტოცია ძლიერ მეფის ძალაუფლების განმტკიცებისა. კერძოდ როსტომის და შაჰნავაზის სახელმწიფო მმართველობა, ბუნებრივია, თხოულობდა კარის მგოსნური ტრადიციების განახლებას. მით უმეტეს როსტომის კარზე, რომელმაც მატიანეს სიტყვით დაადგინა „მეჩანაგე, მგოსანი“ (ქ ცხ., II, 46) და პატივში აიყვანა<sup>2</sup>. (ცხადია, აქ მატიანე

<sup>1</sup> შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კარის პოეზიის განახლება როსტომ მეფის (1533-1658 წ.წ.) დროიდანაც კი იწყებოდა. ამიტომ არაფერს დაუჯერებელს არ უნდა წარმოადგენდეს ზ. ტიტიანაძის ცნობა, რომ მას „ძველ [წიგნების] კატალოგში“ შეგზვედრია მოხსენებული როსტომ მეფის ქება ლექსად... სტიხათ დაწერილი თანამედროვე პირისაგანო“ (საქართველოს მწერლობა XVII საუკუნე, გვ. 40). სხვათა შორის ჩვენამდე შენახულა ფრაგმენტი მარიამ დედოფლის (როსტომის მეუღლის) „ქებისა“ (იხ. ქრონიკ., II, 452; პროფ. კ. კეკელიძე, შვიდი მთეობი, გვ. XII).

<sup>2</sup> შდ. გიორგი ლეონიძე, „მგოსანი საათნავა“, 1930 წ. გვ. 16. შაჰნავაზის დროს მგოსანი, სპარს. ტრადიციით, ზეიმებში მეფეს წინ უძღვებოდა, როგორც სჩანს ჩვენი პოემიდან: „წინათ მოუძღვის მგოსანი“ 21/101; „მოსდედდენ მოშაირენი, მომღერალნი და მგოსანი“. 59/335.

ჰგულისხმობს სპარსელ მგოსანს და სპარსულ საკრავებს). XVII ს. განახლებულ საკარო, „სამქებრო“ პოეზიაში ჯერჯერობით პირველობას ჩემულობს პოემა შაჰნავაზიანი, — იმავე დროს ისტორიული პოემის ჟანრის ნაწარმოები. იგი ქრონოლოგიურად XVII ს. საკარო პოეზიის პირველი ძეგლია, და იმავე დროს დოკუმენტალური, პოეტური თხზულება, — პირველი ისტორიული პოემა XVII ს., რომელსაც კი მოუღწევია ჩვენამდე.

სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით საკარო, მეხოტბე პოეტებზე, რომელთაც სახელოვანი მგოსნური ტრადიცია ჰქონდათ და რომელნიც უმეტესად ხელმწიფის კარის მდივან-მწიგნობართა ოჯახს ეკუთვნოდნენ. ჩვენის აზრით, შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ფეოდალურ პოეზიაზე, თუ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული როლი კარის მდივან-მწიგნობრებისა, რომელნიც კარზე, საზოგადოებაში პროფესიონალ მგოსნებად ითვლებოდნენ, რომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ძველადგან იყო ცნობილი. ჩვენში რატომღაც მივიწყებულია და უცნობი ის ფაქტი, რომ ფეოდალურ პოეტების დიდი ნაწილი მდივანების წრიდან არის გამოსული. თვით რუსთველი ტრადიციულ ცნობით იყო მდივანი „სეფისა“. თვითმურაზ მეორის სიტყვით, თამარს „მოსწონდა“ მისი მდივნობა და რადგან განთქმული იყო ცოდნით, ამიტომ ებრძანა თამარის მიერ ლექსის თქმევა:

მიბრძანა რაფგან ცოდნა-გაქვს, ლექსები გამოსთქვენით. (წ. კ. № 1512.)

ტრადიციული ცნობით, მდივანები ყოფილან აგრეთვე — ჩახრუსხაძე, შავთელი..

მეტად საგულისხმოა მდივანების ტრადიციის ხანგრძლივობა ფეოდალურ მწერლობაში. ასე, XVII ს. სამეფო მდივანები უმეტესად მგოსნები არიან. (მაგ. მამუკა თავაქალაშვილი, „ზაქიანის“ გამლექსავი, — იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის კარის მდივან-მწიგნობარი; ბარძიმ ვაჩნაძე, „საამიანის“ გარდმომღები, — თვითმურაზ I-ის მდივანი; ბეგთაბეგ შანშეან-მარტიროზი — შვილი, — პოემა „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, — გიორგი XI-ის მდივან-მწიგნობარი; იოსებ ტფილელი, — ხშირად მდივანობის აღმასრულებელი და სხ.)

მგოსნობის ტრადიცია მდივანმწიგნობართა ოჯახში, — XVIII ს-შიც ისევ ძალაშია, აქაც ცნობილი მგოსნები და მწერლები მდივანობით ემსახურებიან სამეფო კარს: ონანა მდივანი (ქობულაშვილი), ყარან (ბეგთაბეგის შვილი), დავით რექტორი, სოლომონ

<sup>1</sup> განზრახული გვაქვს ვრცელი შრომა „ვეფხისტყაოსნის გადამწერლები“, რომლის მთავარი ნაწილი განეკუთვნება ცალკეულ თავს: „საქართველოს ხელმწიფის კარის მდივან-მწიგნობართა“.



ლეონიძე, იმერეთის მდივან-მწიგნობარი ბესიკი და სხ. თვით გურიის მთავრის მეხოტბე პოეტი ჰეტრე ჩხატარაისძე—გიორგი გურიელის მდივან-მწიგნობარია.

უკანასკნელად უნდა აღინიშნოს, რომ მდივან-მწიგნობართა მწერლობა არ იყო აქტი თავისუფალ შემოქმედებისა. მათი ფიზიკური, ნივთიერი თუ პოეტური ბედი უმთავრესად დამოკიდებული იყო მეცენატზე, რადგან მეცენატის ბრძანებითა და დაკვეთით სწერდნენ. მდივნები ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ მუნასიბისთვის, „საამოდ სასმენელ სიტყვისათვის“ და „ძნელის“ საპოვნელად. მათ უბრძანებდნენ მზა სიუჟეტების გალექსვას ანუ გარდათქმას (ზააქიანი, ამირანდარეჯანიანი და სხვ.). თვით ტფეობაში ჩაცვივრულები უსიტყვოდ ასრულებდნენ ახალი მეცენატის დაკვეთას. ბარძიმ ვაჩიანიძემ, კახეთის მდივანმა და სამეგრელოში ტყვედ ჩაეარდნილმა, — მამუკა თავაქალაშვილის ბედის მოზიარებ, — საამიანი ტყვეობაში გალექსა:

შპვ, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უზემდენ საშისსა-ო,

გვიამბობს არჩილი ბარძიმის შესახებ, რომელიც მისს ახალ მბრძანებელს ლევან დადიანს შეეძლო მკაცრად დაესაჯა, თუ პოეტი მის დაკვეთას არ შეასრულებდა. ასევე მეცენატის ბრძანებით დასწერა მდივან-მწიგნობარმა ფეშანგმა ჩვენი პოემა: „მიბძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისაო“ 173/1053; „კელმწიფეთა ინებეს ცხორება მათი და ხელ ჰყო მონამან ვინმე გალექსუად წიგნისა ამისა“-ო (გვ. 4).

ფეოდალური მწერლობის ტრადიციით, პროფესიონალი კარის მგოსანი, იგივე მდივან-მწიგნობარი, რომელთა ნაწილი XVII ს. დაბალ სავაჭრო წრეებიდან იყო გამოსული, არ ეკუთვნოდა ოფიციალურ

<sup>1</sup> ფეშანგის მდივანობას ზედმეტად ამჟღავნებს თვით პოემის ტექსტიც. ასე, ავტორი ორჯერ ახსენებს „მცოდნე მწიგნობარს“ 150/833; მდივნის მიერ დაწერილს წიგნს „ბეჭდით, ძაფით“ 100/586, „რაცამს“. — „რაცამი ჭკონ და მობეჭდით, დაწერით ვარაყულია“ 115/673; ერთს ალაგას გადმოგვეცემს მაშინდელი „საფიცრის წიგნის“ გვემას, რიგს: ა) თავში ღვთისმეტყველური წინასიტყვაობა ღვთისა და წმინდანების ხსენებით; ბ) ფიცის შემსრულებელის, „გამთავეს“ დალოცვას და ურჩის დაწვევლას:

მდივანს უბძანა მცოდნესა, საფიცრის გასრულებასა:  
სიტყუა უკლებლივ მოირთოს, რიგი ერთმანეთს ებასა,  
დამბადებელი ახსენოს, მტკიცედ კელჰყოფდეს ჭებასა.

დაწერეს სამარყანდზედა სახელი არსთა მკედისა,  
ყოველნი მისნი წმინდანი, სულთათუი მოიმედისა;  
გამთავეს სწყალობს, მტყუნასა რისხუა სცეს ზედი ზედისა. 150/894, 895.

ლექსში მოხსენებულია მაშინდელი სამდივნო ძვირფასი ქალაქის სახელწოდებულობაც — „სამარყანდი“.



მწერლობის ოჯახს, რომელსაც ჰქმნიდა ქართული არისტოკრატია. ფეოდალური მწერლობა მათ ყოველთვის ზემოდან დაჰყურებდა, როგორც პოეზიის ვულგარიზატორებს, უბრალო „მოშაირებს“ და შემთხვევითი როდია თეიმურაზ პირველის დეკლარატიული განცხადება:

ბოლოდ სცნან ყოვლთა, არა ვარ მოშაირეთა ძმობილი.

ან თეიმურაზ მეორის ირონია;

ვინ არის ჩემზე მეტყველი, მეტყობა დია მსურისა,

არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, კიანურისა;  
ზედან ვმღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტოკას<sup>1</sup> ცრუისა.

ასეთი აზრის იყო არისტოკრატიული მწერლობა სასახლის მოშაირებზე, ხოლო უკანასკნელთ თავისი მდგომარეობის მიხედვით არაერთარი ლიტერატურული პრეტენზიები არ ჰქონდათ, გარდა „წყალობის“ მიღებისა:

აწ შემასმინეთ მეფესა, სარჯელი გამიგონოსა;

საუბარნი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა;

წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა;

სულზე მამასწრას რაცა სწადს, საქმე არ დააფონოსა. 173/1056

და სავალდებულო ბოდიშით უნდა მიემართათ მეცენატისთვის, რომ, მიუხედავად მთელი პოეტური და სიტყვიერი რესურსების ამოწურვისა, მათ მაინც ვერ შესძლეს პატრონის რიგისამებრ შემკობა (იხ. 173/1054, 1055).

ერთი სიტყვით, კარის მდივან-მგოსნების პოეზია ნაკარნახევი იყო „ბრძანებით“ და არანათქვამი „თავის ნებით“ (მე, ცხადია, ვგულისხმობ დაბალ სავაჭრო ფენებიდან გამოსულ და არა ფეოდალურ წრეების მდივან-მწიგნობრებს და მგოსნებს). სწორედ მათი ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობის ბრალია, რომ შაჰნავაზიანის ავტორს პოეტების რიგში სულ არ იხსენიებენ შემდეგი დროის ფეოდალური მწერლები, — დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი — მათ სიერ შედგენილ პოეტების პანთეონში.

მომდევნო თაობამ ულმობელი განაჩენი გამოუტანა კარის მეხოტბეებს, ფარისეველ, ხშირად ვერცხლის მოყვარე მელექსეებს, რომელთაც ჯერ კიდევ იოსებ ტფილელი, — ფეშანგის თანამედროვე — დასცინოდა:

რომე კაცმა ზვერი რამ თქვას: ხოტბა, ბვერისი სიტყვის თხოობა, —  
თვის ტომს თავსა მოაძაგებს, მას მიხუდების ცული შრომა.

(„დიდმოურავიანი“, 74/407)

<sup>1</sup>. ბისტოკა resp. პისტოკა — პოეტი; ამ სახელთან დაკავშირებულია ლექსის მეტრი „ფისტოკაური“



უარყოფითი აზრისა იყო მათზე არჩილიც, რომელიც სიტყვა „ხოტბას“ უპირისპირებს „მართალს“: „თეიმურაზის სახელთა და სარჯელთ ამბავი თვით მნახავთა და თან ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალიო“. ასე განსაზღვრავს იგი ამ ეპოსს. ასეთი აზრისა იყო კარის მეხოტბე მგოსნებზეც ერ კიდევ XVII ს. 60 — 80-იან წლების ოფიციალური ფეოდალური მწერლობა, რომლისთვისაც მდივან-მგოსანთა ოჯახი ცალკეული ლიტერატურული კასტა იყო. ფეშანგი ამ კასტის წარმომადგენელია.

## 3

როგორც ვიცით, შაჰნავაზიანის ავტორი წარმოშობით ვაჭართა წრეს ეკუთვნის, ქ. გორისა და ჩხარის ვაჭართა ჯგუფების წარმომადგენელია. ამ ახლად ჩასახული ჯგუფის პოლიტიკური და მორალური ინტერესები მკრთალად გამოსჭვივის პოემაში.

უპირველესად მგოსანს უხარიათ ქვეყნის სამეურნეო აღორძინება, ახალ, სავაჭრო ელემენტების გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე. პოემაში ისმის ურიაშული და „ყრიალი“ „თბილელთა“, resp. თბილისელთა (127/714, 147/874) ანუ „ვაჭართა“ (134/793), „მოქალაქეთა“ (19/96), რომელთა პროცესიები ფიანდაზით და ცერემონიით ეგებებიან მეფეს — მათი საქმიანობის მფარველს.

თბილისს მოვიდა კემშიფე, შეიქნა დიდი ყრიალი, სიმხიარულე ვაჭართა; ჰქონდა ერთობით ზრიალი გარდააყრიდენ ოქროსა, კმასა მიჰქონდა გრიალი. უსუსურს ფეკოტუფე იგებდენ, თეთრს შოულობდა ძრიალი. 22/113

თბილისელთა რა შეიგნეს, მიეგება ყველამ წინა, ნულლი ჰკადრეს კემშიფესა, ლუნიით ჰქონდა სავსე მინა.

მიულოცევდენ, აყრიდენ მარგალიტსა და დრამასა; შეახშიდიან ჰებასა, თქუეს „ვინ ეღირსოს წამასა!“ ეხუეოდიან საქურეტლად...“ (147/874, 875)

პოემაში მოსჩანს ფულის ტრიალითა და ბაზრის განვითარებით გაზდილი ფეოდალური ტფილისი, რომლის ეკონომიური როლი თანდათან შესამჩნევი ხდება ნატურალურ მეურნეობის ქვეყანაში:

თბილისს ჭალაქი შეაშკო, არ ითქმის კაცთა ენითა; დუქან ბაზარი გამართა ბალახანითა ზენითა; ყოფილა უცხოთ თემთაგან, აივსო მუდამ დენითა, ასი ზომა სჭირს სიკეთე, ამაზე, რაცა ვთქუენითა! 34/173

რა გაამბო ძეირ საფასო, იშოვების თუ რა ლალი, სიტკბოება მრავალ ფერად, გამოისმის თურაღალი; ზოგს დაბშია სასაუბრო, რას იძრახებს თურაღალი; ბევრი მოვა სავაჭრებლად, მათ შეჰქნია თურაღალი. 34/180

სახლი ვაქართა ვით გიჭო, როგორ მორთუთ აქუს თალარი;  
 მორჭმა, სიმდიდრე ზღუისაებრ, უყრია იმათა ლარი,  
 თუალ მარგალიტი უზომო, თუ როგორ განათალარი;  
 მათ რომე სჭირდა ლართა ყრა, ვერა ვთქუი ნათალარი. 34/181

ასე აღტაცებული კილოთი აგვიწერს მეგოსანი ფეოდალური ტფილისის განვითარებას, — დუქან-ბაზრების მოწყობას, „უცხო თემთაგან“ მოსიარულე ვაჭრებს, საქონლის სიმრავლეს და ვაქართა ნივთიერსა და საზოგადოებრივ ყოფას. მას უხარია თავისი წრეების ანუ სავაჭრო ჯგუფების სიცოცხლიანობა, რომელიც ცხოვრების გამაახლებელ ძალად უნდა გამხდარიყო.

პოემაში თვალნათლივ მოსჩანს აგრეთვე მეგოსნის კლასობრივ-პოლიტიკური იდეალი: სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანება, მთლიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და აყვავება სამეურნეო თანამშრომლობით; ბრძოლა ფეოდალთა მტაცებლურ პარტიების წინააღმდეგ, რომელთაც „საქართველო მოსათხრელად“ (71/414) უნდათ და მზად არიან დინასტიის წინააღმდეგ, — „ბაგრატიონთა საბრძოლად“ (71/415). პოეტი მომხრეა ცენტრის აბსოლუტურ მონარქიის, რომლის მიზანია „დააწყნაროს საქართველო“ (148/882), „საქართველო გააერთოს“ (91/535) და კმაყოფილია იმ მიღწევებით, რომელიც მოპოებული აქვს შაჰნავაზს ფეოდალურ სეპარატიზმთან ბრძოლაში, როცა მან „მტერი კლმითა გაიბურტყა“ (145/859); „მტერი გაწყუიტა ყოველგნით“ (169/1026):

აზნაურს ტახტსა ვინ მისცემს, ამაღ რომ მისთუი მწარეაა. 152/914  
 უძრწის და მონებს თავადი, ვინ ჰკადრებს გასამწარებსა. 172/1049  
 თავადი ჰკადრებს სალაშსა, უმეფოდ არ დაზმიდესა. 139/827.  
 უზედესი ხარ ყუელასა, ვინც იყო ტახტოსანიჩა;  
 გიძრწის და გმონებს ყოველი... 154/927  
 საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ, ვითა მთუარე. 91/535  
 ბაგრატიანთა სახელი გასულა კმელთა კიდესა. 154/926<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ და განუყოფელ საქართველოს იდეოლოგი მეგოსანი ეკონომიური კრიზისის მიერ წარმოშობილ პროვინციულ პარტიკულიარიზმსაც ამქედანებს. ფეშანგის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მას იმერეთში საკმაო ხანს უცხოვრნია. ეპეი არაა, მას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა იმერ ფეოდალთა თავაშეებულობაზე, მათ შორის მატანეს სიტყვით არაჩვეულებრივად ყოფილა გაერთელებული ყოველგვარი უწყსობა: „კვლა, ხდომობრება, უწყალოება, უსამართლოება, სიძვა, განტეგება ცოლთა, ცხადათ ტყვის სყიდვა და მრავალი უჯერება იმერეთსა ზედა“ (ვახუშტი). იმერეთის ფეოდალების ამორალიზმით აღშფოთებული ფეშანგი სასტიკად ილაშქრებს მათი ზნეობის წინააღმდეგ, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების ზნედაცემულობა ავტორის ვიწრო, პროვინციული შეხედულებით მთელ იმერეთზე და მის მოსახლეობაზე გადააქვს. (იხ. 149/890, 51/277, 51/278, 106/617). ფეშანგის პროვინციული პატრიოტიზმი შენაშნული აქვს აგრეთვე პროფ. კ. კვეციანიძეს (გვ. 348).

მგოსანი სასახლის სახელით მუქარას უთვლის ფეოდალების სეპარატულ ჯგუფებს, რომელნიც დინასტიის უფლების წინააღმდეგ, „ბაგრატიონთ სისხლის დაღურად“ იბრძვიან:

ვეჭუ, ცოცხალი არ მამირჩეს, ვინცა იყო ამის მქნელად,  
ვინ ურჩია სამესისხლოდ, გუართა ჩემთა საციცხულად. 52/288

ათქმევიანებს შაჰნავაზს. მგოსნის აპოლოგია ძლიერი მეფისადმი გასაგებია. სავაქრო წრეები, რომელთა ოჯახსაც მგოსანი ეკუთვნოდა, ყოველთვის მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ სოციალურ ცხოვრებას. ცნობილია, რომ ფეოდალურ თავაშვებულობის და ანარქიის მიზეზით ჩვენში აღებ-მიცემობის საქმე მეტად ბრკოლდებოდა. ამ შემთხვევაში პირდაპირ საილიუსტრაციოა სწორედ ფეშანგის დროინდელ ქართლის ახალქალაქელ ვაქართა ჩივილი მესისხლე ფეოდალთა მისამართით: „რასაც მოეიტანთო და დუქანში დავსდებთო სავაქროსო, არა შეგვკრჩების რაო, ძალათ გვართმევენო“ (საისტ.-საეთნ. მუზეუმის აუწერელი საბუთი). „გასასყიდელის“ „უფასოთ და უსამართლოთ წართმევა“ ჩვენი ფეოდალების მხრივ სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო. თუ ასეთი თვითნებობა ხდებოდა შაჰნავაზის დროს (რა დროსაც ეს საბუთი ეკუთვნის)<sup>1</sup>, რომელიც ყოველნაირად ხელს უწყობდა და მფარველობდა სავაქრო ელემენტებს, — ცხადია, რა „გაგლეჯა და დაჯაბრება“ უნდა გამოეველო ქართველ ვაქარს უფრო ანარქიულ ხანაში.

ცხადია, სავაქრო წრეებიდან გამოსული მგოსანი ცენტრის ინტერესებს ემსახურება, რამდენადაც უკანასკნელი მისი სოციალური წრეების კეთილდღეობის დამცველია. და მგოსანი მიტომ არის სწორედ მომხრე ენერგიული მეფისა, რომელიც ვაქარის საქმიანობას დაიფარავდა ფეოდალის მტაცებლობისაგან, ალაგმავდა მათ სისასტიკეს, შეჰქმნიდა სამეურნეო მოღვაწეობის თავისუფლებას, სამართალს გაუჩინდა, „სამართალსა ჰკუთეს წესისადო“. 140/835. ფეშანგისდა მისი სოციალურ წრეების დევიზიც, ეს აუცილებელი კანონიერი გინდ ოფიციალური „სამართალი“ და „სიმართლე“ იყო:

ლუთის სამართალი ვირწმუნოთ, ბეჰათგან განაჩენია. 150/899

რომელიც მათ საქართველოში ვერ ებოვათ<sup>2</sup>. ტყუილად კი არ ჰქმნის ფეშანგი ასეთ ილიუზიებს შაჰნავაზის მეფობაში: „თემისა და

<sup>1</sup> ბოქმეში დიდი ყურადღება ექცევა „ზნეობას“, „ზნე და საქციელს“ და „ზნეობით სრულ“, „სწავლის“ მქონე, „ჰკუიან და გონიერ“ ადამიანებს.

<sup>2</sup> ხსენებული საბუთი უთარიღოა, საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1664—1675 წლებში. იგი მიმართულია იორამ სააკაძის (გარდ. 1664 წ.) შვილებისადმი.

უეყნის ჩენილნი და მოურავნი სიმართლითა იქცეოდნან. ჭეინცა უსამართლო რამ იკადრის, — თავითგან განაშორიან. ესრეთ მშუილობა შეიქნა, ვითა თხა და მგელი სწორად ძოვდნან, ვერა იკადრის მგელმა თხისაკებნაო“ . (გვ. 3). ასე გადაქარბებული მადლობით ემადლიერება შაჰნავაზის მიერ ვითომდა სიმართლის დამყარებას, რეალურად კი შაჰნავაზის მეფობის შედარებით ორიოდე დღის დაწყნარებულ ცხოვრებას. რაკი იმ დროის პოლიტიკურ სიმშვიდეში აღორძინებულ საგაქრო ჯგუფების მთავარი მოთხოვნილება თავდაცვა, უფლება და სი-მართლე იყო, ამიტომაც „სიმართლის“ დაღადების ლოზუნგები არა ერთხელ შეგვხვდება პოემაში:

ვინცა ეძებს სიმართლესა, უსათუოდ ჰპოოს ადრე! 7/19  
 არ დააკლდების სიმაღლე, ვინ გზას მართალსა ვლიდესა. 7/20  
 სიმართლესა მოიმედე, ვინ სდევს, — საქმე აუ წამედარა. 66/378.

ახალი მორალისთვის მებრძოლი მგოსანი თავისი ლოზუნგის დასაცავად არა ერთხელ ანხელს პოემაში ფეოდალურ საზოგადოების უზნეობას, „უპირო სიტყვას“, „სიცრუეს“, „სიმრუდეს“, „ფიცის ტეხას“:

არ გაათავებს განგება, ვის პირო მართლად არ ება;  
 კამს სძულდეს სიტყუა უპირო, არც ხილოს მისი არება. 62/351.

არ გაიმართოს კაცთაგან საქმის უკულმა გრებანი;  
 ნახოს ლუთისაგან გ.წყრომით, სიმრუდით ეცეს მეხანი,  
 გარდაედეს ავთა სანაცულოდ, მიხუდეა თავისა ტეხანი. 62/354.

მახეს გავბას უთუოდ სიცრუის გარდამყოლელი. 22/117.

რამანც კაცმან ფიცის ტეხა მოიძებნა მისთუის წესად;  
 მას სატანა ემოყურების... 70/403

ვინ ზენაარსა გარდავა, ჩავარდეს დიდსა ვნებასა. 150/894  
 და სხვა.

სამართალთან ერთად შაჰნავაზიანის ავტორი ჯგუფის ინტერესით ეხება ფეოდალურ სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას და მეორე მოთხოვნილებად აყენებს „ულირს“, „უსწავლელ“ სახელმწიფო მოხელეების შეცვლას, — „ლირს“, „ბძენი“, „ზნესრული და პირმართალი“ მოღვაწეებით. პოემაში ეს მეტად მტკივნეული საზოგადოებრივი მოთხოვნილება თითქოს კიდევ განაღდებულია და ვითომდა კარის სამსახურიდან უკვე დაუთხოვნიათ მოუმზადებელი, „რეკვენი“, „უწვრთნელი“ სახელმწიფო პირები, რომელთაც არა პირადი დამსახურებით, არამედ მემკვიდრეობით და შთამომავლობით ეპირათ თანამდებობა. და თითქოს თანამდებობიდან გადაყენებულებს არა თუ სახელმწიფო საქმიანობაში, თვით ლხინშიც კი აღარ უშვებდენ:

ღირსი ვინც იყო, იახლა, უღირსთა არ დასმიდესა,  
უცოდნელსა და უგბილთა კარშია გამოჰყრიდესა. 170/1034  
ღირსნი სიახლეს დგებიან, უღირსნი გარდა გარემან. 92/543

ბჭუიანი და გონიერი მათ ვეზირი დააყენეს,  
საკითხავი კაცი ბძენი ტახტსა წინათ წააყენეს;  
უგბილნი და უსწავლელნი არ მიუშუეს, ააყენეს;  
იგი დასუსს საკითხავად, სხუანი კარში გააყენეს. 13/52

როგორც საისტორიო წყაროებიდან ვიცით, შაჰნავაზის მეფობაში (1658 — 1675) ამ მხრივ არავითარი რადიკალური ცვლილებანი არ მომხდარა; მაგრამ საინტერესოა, რომ მგოსანი მეცენატის მკობაში აკუთვნებს მეფეს ვითომდა უკვე მის მიერ ჩადენილ დამსახურებას და მით აყენებს საკითხს სახელმწიფო აპარატის განკურნებისას, — „უღირსი“, უსამართლო და მზავრელ მოხელეების შეცვლისას, რომელნიც ვითომდა მეფის სიტყვას ამრუდებენ და ალბად ვაქარ-ხელოსანთა საქმიანობასაც ავიწროებენ. ამ რიგათ ფეოდალურ სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის მოთხოვნილება, — მეტად დროული მაშინდელ საქალაქო ჯგუფებისათვის, — პირველად ფეშანგის პოემაშია გამჟღავნებული. და ფეშანგი უსათუოდ თავისი წრეების ინტერესთა და გულისთქმის გამომსახველია.

მაგრამ ამაზე შორს კარის მსახური მგოსანი ვერ მიდის<sup>1</sup>. მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ, რომ შაჰნავაზიანი უპირველესად დინას-

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში უფრო გაბედული და ნამდვილი მამზილებელი მწერალია ფარსადან გორგიჯანიძე. როგორც ვაქართა წარმოშობის მოახროვნე ის თავისს ტირადებში არ ჰხოგავს მსარცველ მეფეებს და დიდებულთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორდა კარის ისტორიას, შეიძლება კარის დაკვეთითაც. მაგ., მეტად უშიშარი ნათქვამია XVII ს. მწერლის მიერ: „მდიდარნი და მოძალადენი ძალით რჯიან გლეხთა და უღონთა და [გლეხთ] ხელით მაგვირ არ შეუძლოა. მაგრამ გულ ამოსკვნით ახებითა და ვაგბის თქმით და ტირილით ღმერთს უჩივიან; დათმობის მეტი ღონე არსითა აქვე; ნეტარძი ამათია (ე. ი. გლეხთა. გ. ლ.) თმობისთვისაო“. (გვ. 87) „ყოველნი მეპატრონენი წართმეულის საქონლით გაზდილან... (გვ. 89) კემწიფეთა და მეფეთა და მეპატრონეთა დაერიდენით, ამისთვის, რომ თავად ამაყნი და მოძალადენი არიან“. (87) იგი სრულიად უშიშრად პერსონალურადაც კი გვისახელებს „მოძალადე“ მეფეებს: თეიმურაზს და შაჰნავაზს: „მე ფარსადან გორგიჯანიძე ვიტყვი ამაო, ღმერთი უტყუარია და ამ საქმეხედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სული მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაეხებას, მრავალნი უბრალოთ დახოცდითყვენენ, მრავალნი დედანიადტირებინოსო“ (გვ. 48); ძალათა და უსამართლოთ მამისაგან შეგროვებული საქონელი შვილს საკეთილოთ არ გამოადგება. ვითაც შაჰნავაზ მეფის ქონება სულ სხვათაგან ძალათა და უსამართლოთ წართმეულ იყო, — შეილებსაც ამიტომ დავლუათო, — ნაძალადევემან ასრეიცისო“. (გვ. 68). „ნაძალადევი არეის შერჩებისო“ (გვ. 54), ამბობს სხვაგან ლევან დადიანზე.

ასე გაბედულად ლაპარაკობს ფარსადანის პირით XVII ს. სავაჭრო საზოგადოება, რომელმაც საქმიოდ განიცადა თავისს ზურგზე მდიდართა და კელმწიფეთა



ტიის ისტორია და არა ფართე მასების, ყოველდღიურ ცხოვრების „წერილად“ ამბავთა აღწერა, რომ მგოსანს უფრო მეტი ტენდენციები გამოემჟღავნებინა თავისი ჯგუფის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური იდეალებისა.

მართალია, კარის ბრწყინვალეების მადიდებელი მეხოტბე პატრონისადმი დაკემულ ქებაში, მეფისა და მისი ოჯახის ამბავთა აღწერილობაში კლასების სოციალურ დიფერენციაციასაც გამოგვიხატავს:

თავადთა ცხენთა დგენა აქუს, მუშათა იწყეს თესანი. 12/50

მაგრამ მგოსანი არაფერს გვეუბნება მდიდართა უპაცირობის ბატონობის შესახებ და ღარიბ უმრავლესობის, — „უსუსურის“, „დაბალი კაციის“, „მუშათა“ უფლებებზე, ვისი მეურნეობა და საქმიანობაც ასე ითვლებოდა ფეოდალური თარეშების დროს. პირიქით, ის ბევრს ლაპარაკობს მონურ შრომაზე დამყარებულ ლხინებსა და უკუყრაზე. რასაკვირველია, იმ ეპოქის მწერალს, ისიც კარის მგოსანს ვერ მოვთხოვთ გაბედულ იდეოლოგიას და აქტიურ ბრძოლას მისი გამჟღავნებისათვის, მაგრამ სასახლეში შესულ „გააზნაურებულ“ ვაჭარს, კარისკაცს, ძლიერის თავყანისმცემელს და ვერცხლის მოყვარე მდივანს არც შეეძლო ფეოდალურ წყობილების კრიტიკა, რადგანაც ისიც კარგად იცოდა, რომ:

ვინ კელ ყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვნებს ისარებს. 63/357

ფეშანგიც გამომსახველია ფეოდალური მორალის, რომელიც ასე მტკიცედ იყო მაშინდელს ლიტერატურაში ჩამოყალიბებული:

პატრონ-ყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეით დასახულა;  
როგორც ყმისა საშახური, ყმა პატრონთგან შენახულა.

(იოსებ ტფილელი, „დიდმოურავიანი“, 70/338)

თუ პოემის შინაარსს შევისწავლით, შევამჩნევთ, რომ პოემას კურტუაზული ელემენტები ახასიათებს: თბრობის დიდი ნაწილი გაუთავებელ მეჯლისებს უჭირავს. მგოსანს უყვარს კარის ცერემონიები

„ნაძალადეობა“ და „რთმევა“. იგი ვეღარ მალავდა თავისს გულის წყრომას, თუმცა იმავე დროს პასიურს, რადღან ღვთის სახელით ჰპირდებოდა რევანშს მჩაგრველ კლასს: „იესოს ნაბანები სიტყვები აქ გათავდება, რომ უბანებია, — რომლისაც საწყაოთი მიუწყაო, იმავეთა მოგწყოსო“ (48).

ამ მხრივ გორაკჯანიძე ჩვენში სრულიად უცნობია და შეუსწავლელი. მისი სათანადო დამუშავება შესაფერ ფეჟეტს მოგვცემს XVII ს. ქართულ კარის, ფეოდალთა და ვაჭართა ურთიერთობისათვის.

სასახლის ბრწყინვალე შეხვედრები, გამოჩვენება და „უკუყრა“ — ლხინი  
ნები, რაც ავტორს ნატურალურად აქვს აწერილი:

ლხინი გამართეს, შეიქნა სმა, ლხინი, მეტნი მღერანი;  
სიმთურაღე გახდა კაცთაგან, მიაჭუს იქი აქ რყევანი;  
ღვინომ დალაკა ერთობით, მათში შეიქნა მრღუევანი. 28/144

თავისმელნი სმენ ღვინოსა გობითა დაუშალავად;  
უფროსი ერთი დაითრო, შეექნა კარში მლაღავად;  
კალთაში უდგმენ ჩარებსა, ვერ შესმენ დაუძალავად. 33/168

იყო შეუბა და უკუყრა, თქართქარი, პირი მცინარად. 132/782

ღვინომ დალაკა ყუღლანი, არვინ სხანს ფეცხე მდგომია. 168/1019

გაუკაცრავდენ პირთაგან, კალთა აივსო, დაღუარა. 38/208

მგოსანი მუდამ „სალხინოდ მომართულია“ გრძელი სუფრების  
მოლოდინში:

... გავიშალოთ სუფრა წინა,  
ამას რალა უაშეა, სასმლად გქონდეს სავეს მინა. 81/477

ყამნი გარდაკდენ გლოვისა, აწ მოერთოთ ნადიმობანი,  
ქაცუი მოვიძროთ გულთაგან, აღარად გუიწყოს სობანი. 161/975  
და სხვა.

როგორც ჰხედავთ, კარის მგოსნის ოფიციალური განწყობილება  
ეპიკურულია, ხოლო თუ ჩაუკვირდებით პოეტის ემოციონალურ  
კონცეფციას, დავინახავთ, რომ პოემაში გაბატონებული ეპიკურული  
პათოსი მხოლოდ ვარგისი ეფექტია. პოეტი, როგორც კარის მსა-  
ხური, მეცენატის დაქირავებული მადიდებელი, — შენიღბულია და  
ფეშანგის შინაგანი კონცეფცია პესიმისტურია. პოსტსკრიპტუმებში იგი  
შეუმჩნევლად ამელანებს რელიგიურ-მორალურ დარიგებათა სახით-  
საკუთარ სკეპტიკურ მსოფლმხედველობას.

ასეთია მგოსნის ღალადება „ცრუ სოფელის“ და მისი „დაუნდო-  
ბლობის“ შესახებ:

ცრუმან სოფელმან სიმუხთლით არვინ დაინდო, სად არა. 89/521

არვინ დაინდო სოფელმან, მეხანათი და ცრუ არსა. 46/252

ნურვინ ხედავთ საწუთროსა, ჰქონდეს თქვენი სიბრალული;  
ვერ გაუვალ მოსათქმელად, რაც მასმია მისგან ქმნული;  
დაუნდო და მეხანათი, სიავითა დანერგული;  
მიგინდობს და შეგვიღიხლებს, ბოლოდ შეგქნას დადაგული. 173/1050

სხუანიც გარდაკდენ მრავალნი, სახელოანნი მეფენი,  
წავიდეს, გავლეს სოფელი, ოკრად დააგდეს სეფენი. 9/34

უნებლად გავლეს სოფელი, ტაბტი დასცალეს მათითა;  
ვერა ირგეს რა, საწუთრომ ბოლოს გააკადა დაგითა;  
აქ დარჩა მათი საჭურკლე, ვის გესმით, თუაღნი აგითა. 9/35

უსიკუდილოდ არვინ დარჩა, სოფელი საქმე იცი კაჭა;  
 მეფენი და კემწიფენი საწუთროთგან გაიბარგა;  
 აქ დააგდეს დიდებანი, მათთვის სრულად დაიკარგა. 161/971

სოფელსა სჭირს ესე გუარი, რაც უქნია მასვე შურება.  
 სიმალითა მოამდაბლა, სალარიბოს უწყყო რება;  
 ვინ ბრძენია, ეს სოფელი მისგან ადულილ გაიშუება. 97/573

ვინ დარჩა კაცი უკუდავი, ან ვინ გაიტანს გუარსა;  
 თუ ხედავთ, ჩარბი მბრუნავი არ დასწყნარდების, მუნ არსა;  
 არვინ დაინდო სოფელმან მუბანათი და ცრუ არსა;  
 მას დარჩა სასუფეველი, ვინცა ვინ ეტყუის უარსა. 46/252

სჯობს საუფუნე ეძებნოს, სიმშუიდის ბარგსა ჰკურიდესა,  
 თუარამ ბოლოვამ ინანდეს, ამ სოფლის გარდამკიდესა. 7/20

ამ სენტენციებში გამოთქმულია საშუალო საუკ. ცნობილი, ფეო-  
 დალური იდეოლოგია ამ ქვეყნიურ ამაოების, „დიდების სიძულვილის“  
 შესახებ, თუმცა თვით მქადაგებლები არა ჰრიდებდნენ ოქროს,  
 ბრძანებლობას და უფლებას.

რასაკვირველია, მგოსნის რელიგიური განწყობილებაც მკაფიოდ  
 მოსჩანს პოემაში. მისთვისაც, როგორც ამავე სოციალურ ფენიდან  
 გამოსულ ფარს. გორგიჯანიძისთვის, „ღმერთი კემწარტი ყოვლის  
 ძლიერის გამქარებელია“, ყოველი მზაგვრელის მომსკობი, როგორც  
 იგივე ფ. გორგიჯანიძე იტყოდა: „...ღმერთსაც ასე უბძანებია, ათას და  
 ერთი სახელი მქვიანო, ყოვლისგნითაო, თავი ჩემი სახელი სა-  
 მართალი არისო. არას კემწიფეს, არას ძრიელს კაცსაო, არას  
 უღონოსა და საბრალოს გლახას დაჩაგრულთ ნაძალადევსაო.  
 არ შევარჩენო. რა გინდა ვინმე ნამეტნავად მდიდარი  
 იყოსო და ძრიელიო, ჩემთან სუსტი და უღონო და გალახულნი  
 არიანო და ორსავე სოფელს მოვკითხავო და რისხვით ვაზღვევინებო“  
 (ფ. გორგიჯ. ისტ., 48). ასეთი ღმერთის დიდება დაჩაგრულ სავაქრო  
 წრეებში რასაკვირველია სრულიად გულწრფელი იყო და ბუნებრივია  
 ფეშანგისაგანაც მუდმივი აგიტაცია „ღვთის შიშის“ მოსაგონებლად:

ღმერთი უჩნდეს სადიდებლად კორციელი ვინცა ვინა;  
 მას ვეხად და მას ვიგონებ, ან მის მეტი სხუა რა მინა;  
 მუდამ შიში, მორიდება, მისი მქონდეს გულსა შინა. 42/229

უღმერთო საქმე ვინ ინდომა, ცუდია და ცუდად სცდების. 80/475

უღმერთოდ ვინ წაკდა სულდგმული, რაც ოდენ დაიბადება. 65/371

უღმერთოდ ვინ ჰმოვა სიმაღლე, ცუდილა დანაყბედია,  
 არ ასცილდების წყალობა, ვინ ლუთისა მოიმედია. 107/626

მას ნუ მისდევ, რაცა ღმერთთან, საქმე ნდომით არ აშენა. 70/410

ვის ღმერთი სწყალობს, ძნელიცა იქნების სულ ადულია. 16/113

ვიცი, ბძენი ამა პირსა არ დამიგმობს, რაცა ვკადრე.

მართებს ში ში მოწყალისა... 7/19

და სხვა.

მგოსანი საშუალო საუკ. წყობის ადამიანია. მისი მსოფლმხედველობისათვის, ისევე, როგორც ყველა ფეოდალურ მწერლებისათვის, დამახასიათებელია პასიური დამორჩილება ბედისადმი, ბედისწერის მიმდევრობა. ფეშანგს სწამს ბედი, განგება:

განგებასა რაც სწადის, უსათუოდ იგ მოკდების. 53/311

მაშინვე სწერდენ ჩენილნი, როს კაცი დაიბადება;

არ ასცილდების ბძანება, ცუდ იქმნა სხვისა ქადება. 51/276

ბედი უკუღმა წასულსა, ვის ძალ უც მოსაბრუნებ? 52/291

კარგათ ივით, ნდომით საქმე უგანგებოდ არ მაკდარა. 66/378

კაცი ნუ სცდების, წერილი, ვის მისცემს, მისკენ ის არებს.

ბედი მას მისცემს, ციერნი, ვის დაუშუენებს ის არებს. 63/357

... თუთ წერილი არ ამკდების 67/383

არ გამოადგეს უგანგებოდ, რადგან შენად არ აშენა. 70/410

მომავალი საქმე ხენა კაცსა ზედა არ აკდების. 80/475

ბრძანებაა, გარდამბდების მამავალი საქმე ხენა. 97/571

არ ასცილდების ღმრთისაგან კაცსა ბედი და აწერა. 112/651

საერთოდ, პოემას ახასიათებს მორალის ტონი, დამოძღვრა; ავტორი ეპიფონემის სახით გვაძლევს რიტორიულ სენტენციებს, მორალურ მცნებებს, იჩენს რა საზოგადოდ რელიგიურ-ფილოსოფიურ ცოდნას მეცენატის წინაშე. თუმცა ფეშანგი თავის თხზულებაში პლატონსაც კი გვისახელებს, მაგრამ იგი, როგორც შინგაზდილი, მთარულ ფილოსოფიას უნდა იცნობდეს მხოლოდ და ისიც გაგონილით. აღსანიშნავია, რომ მას არც საღვთისმეტყველო მწერლობის ერუდიცია ეტყობა, კერძოდ ის არასოდეს არ მიჰმართავს არც ბიბლიას, არც სახარებას და არც მოციქულთა წიგნს. მართალია, მას არა აქვს ეპოქის ფილოსოფიური ცოდნა, არც ისტორიული წარსულის შეგრძნობა, არც ფართე გონებრივი მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას გაგვიზიაროს თავისი პრაქტიკული გამოცდილებით საკუთარი დაკვირვებანი სენტენცია-აფორიზმების სახით

... სცდებისო სოფელსა კაცი კუჯათ მიუყოლელი.

კამს მოიძებნოს სიწყნარე, არ ცუდად იყოს მრბოლელი. 22/117

კამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა. 25/130

ქუიშა, გინა მარგალიტი სწორიაო ბძენთა წინა. 42/229

... სიძუნწეა ნაძრახი, ბძენთაცა ეს იწამესა. 46/251

ზე მისად მგზავსად ნაყოფსა მოისხამს, აგრე თქმულია. 41/227

ვინ კელი ჰყო სიავესა, იგ არ მორჩა დაუმცდარე. 55/207  
 აღარ არგებს სინანული, კაცს მოუვა საქმე აუად. 73/427  
 რაღას არგებს კაცს ნაქმარი, მისი მასვე გარდაკედების. 72/419  
 ვინ კელყოს დიდთა ძაგება, ის მოიბოვნებს ისარებს. 63/357  
 დავიწყება სჯობს ჭირისა, ქნას სევედა გარდავლილია. 79/469  
 თქმულა, თუთონვე გაებას კაცი მახისა მდგმელია. 98/576  
 ავი კაცი მისად მგზავსად მას ისაქმებს, რაც არ ვარგა. 80/473  
 მოკმარება კამს მოყურისა, ეგზომ სიკეთედ კმარისა. 87/509  
 თქმულა, რეგუნეი ბოლოვამ ბრძენთაგან დაიმშვიდება. 104/605  
 თქმულა, გამწყრალი სპილოცა სიტკბოთი მოიყუანება. 104/606  
 კამს პატრონისა სიმდაბლე, მიჰყუეს მათსავე ნებასა. 111/645  
 ყუავი ვარდისა მიჯნური, ვინ ნახა მისი უნარე. 149/893  
 სე კვების წდომისა მიმყოლი, არ მისცემს შემოქმედია. 107/626  
 კამს თუ კაცმან გონებანი მოიძებნოს მისთუის წესად;  
 რაც უჯობდეს, მას იქმოდეს, აღარ დარჩეს სულთქმა, კუნესად;  
 მიჰყუეს ბძენთა საუბარსა, უკეთესთა საქმის მქნესად;  
 თუარემ მიჰყუეს სირეგუნესა... 143/851  
 მოკმარება და სიკეთე კაცზე კაცისგან კიდია. 156/940  
 მოკმარება კამს მოყურისა, ძუელითგან დანაწესია. 158/952  
 და სხვა.

პოემაში ავტორი საკმაოდ გვიმხელს რელიგიურ განწყობილებებს. მუდამ „ღვთის შიშს“ ჰქადაგებს და „ღმერთი უჩანს საღიღებლად“. მაგრამ შესამჩნევია, რომ პოემაში არ სჩანს ხაზგასმით ქრისტიანიზმი, მისი აპოლოგია და იდეალები. ერთი სიტყვით, პოემაში ქრისტიანობა ავტორის სარწმუნოებად არ არის აღიარებული. რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი საეკლესიო ასკეტიზმის იდეებზე. მართალია, ავტორს მოხსენებული ჰყავს: „სუე ზი ცხოველი ღვთისგან ქმნილი“ (108/1022); „მცხეთას ღვთივ აღმართებული საყდარი“ (გვ. 12); „წმინდა სამებისთვის“ არჩილის „წამება“ (8/29); „სარწმუნოებით სავსე“ დავით აღმაშენებელი, რომელმაც „მრავლად აშენა საყდარი“ (9/31). მაგრამ პოემაში, რომელიც ისახავს XVII ს. ქართულ სინამდვილეს, უგულვებელყოფილია რელიგიური ცხოვრების მოყვანები, ქრისტიანული მითოლოგია (თვით სახელი „ქრისტესი“ არც ერთხელ არ გვხვდება); საინტერესოა ერთი დეტალიც: ლექსითი პროლოგში, საქართველოს მეფეთა ცალკეულ ღვაწლის შეფასების დროს ავტორი „მცხეთელი მირიანის“ მიღწევად მხოლოდ მის მიერ „ურიცხუი ლაშქარის“ მომრავლებას (8/27) სთვლის და ერთი სიტყვითაც არ ეხება მირიანის ოფიციალურ დამსახურებას ფეოდალურ საქართველოში (რომ იგი პირველი ქრისტიანი მეფე იყო, საქართველოში ქრისტიანულ რელიგიის დამამყარებელი); ამ ფაქტს ავტორი



სრული სიჩუმით გვერდს უვლის, მაშინ, როცა არ იფიქვებს „ბაგრატი-  
კურატის“ შედარებით მცირე ღვაწლს,— „ქუთათის ყოვლანდობის“  
შემკობას. სამაგიეროდ, პოემაში გამჟღავნებულია ერთგვარი სიმპატი-  
მაჰმადიანობისადმი. მაგ. პატივით არის მოხსენებული „მაჰმადი“  
(40/221); „ალია“ (111/648; 146/896); „მუსაფი“ (40/217;  
105/607). საგულისხმოა კიდევ ერთი წვრილმანიც: ავტორი არავითარ  
სარწმუნოებრივ აღმთვითებას არ გამოსთქვამს პოემაში ნახსენებ ორ შემ-  
თხვევაზე, — არჩილის და კაცია ამირეჯიბის გამაჰმადიანებაზე (162/979,  
146/869); პირიქით, პოეტი იწონებს კიდევ მეცენატის მიერ „მუ-  
საფის“ დაუგმობლობასაც, (40/217) როცა ათქმევენებს:

ღმერთი შემწედ მყავს, ყაენი, თვით მაშეკმართს ალია (111/649)

ერთი სიტყვით, პოემაში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნო-  
ებად არ არის აღიარებული; შაჰნავაზიანს არ ახასიათებს სპეციფი-  
ური ქრისტიანული მორალი. სამაგიეროდ ავტორი მაჰმადიანობის  
პატივისმცემელი გამოდის და პოემაში ისიც მჟღავნდება, თუ მგოს-  
ნის სიმპატი მაჰმადიანობის რომელ სექტისადმი მიმართული. ავ-  
ტორი ცხადად ემზრობა შიიზმს, ე. ი. სპარსთა ოფიციალურ აღ-  
მსარებლობას. ასე, პოემაში დამცირებულია სუნიზმი, „ომარის“  
თაყვანისცემა:

ჩვენ არ ვახსენოთ ომარი, არც მათი გუარიშვილობა! (111/648)

ყიზილბაშთა სწამს მაჰმადი, ვინღა ახსენა ომარი? (40/221)

შესაძლოა მაჰმადიანობისადმი პატივის გამოჩენა რელიგიურ შემ-  
წყნარებლობადაც მივიჩნიოთ ავტორის მხრივ, ან იქნება ვიფიქროთ,  
რომ პოემის წერის დროს ავტორს დაუტოვებია ქრისტიანობა და  
მაჰმადიანობაში გადასულა. მაგრამ ფეშანგი რომ ქრისტიანედ დარ-  
ჩენილა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ იგი მაჰმადიანობას „ზმანებას“  
ეძახის (162/979).

მაშ რით აიხსნება ასეთი გაურკვევლობა? საქმე იმაშია, რომ  
მაჰმადის სჯულის პატივით ხსენება პოემაში და ქრისტიანიზმის სიმ-  
პატიებისაგან თავდაქერა აიხსნება იმ გარემოებით, რომ პოემის  
დაწერის წლებში მაჰმადიანობა ქართლ-კახეთის სასახლის, შაჰნავა-  
ზის და შაჰნაზარხანის—არჩილის კარის ოფიციალურ სჯულად ითვ-  
ლებოდა.

ცნობილია, რომ ქართველი მეფეები, ფეოდალები და კარის მო-  
ხელეები, ტახტის მისაღებად, პოლიტიკური კარიერისთვის, ყაენისა-  
და ზონთქრის ჯამაგირისა და წყალობის საშოვნელად ხშირად მაჰმა-  
დიანობაზე გადადიოდნენ, უმეტესობა მართალია, გარეგნულად. ამ  
ხანებისათვის თავის სარწმუნოების დატოვებამ ფეოდალურ არის-

ტოკრატიაში მასიური ხასიათი მიიღო, „არლარა იყო ზრუნვა სულიერი“. რელიგიურ გულცივობის დამახასიათებელი ფაქტია, რომ ქართველ დიდებულებს თვით „ზიარება სირცხვილად უჩნდათ“<sup>1</sup> (ქ. ცხ., II, 54).

თუ ფეშანგიც ამ „გათათრებულ“ კარის მოხელეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, — ნომინალური მაჰმადიანიც რომ არ ყოფილიყო, მას პოემაში მაინც უნდა გამოესახა მეცენატის ოფიციალური ზნეობა; თუ ვახტანგ-შაჰნავაზი სპარსეთის ვასალი მაჰმადიანობას აღიარებდა, მაშასადამე, კარის მდივან-მწიგნობარს მგოსანსაც შესაფერი პატივით უნდა მოეხსენებინა კარის ოფიციალური აღმსარებლობა და სათანადო ტაქტიც ეხმარა. ამით აიხსნება მის მიერ თავის შეკავება ქრისტიანიზმის ოფიციალურ აღიარებისაგან.

როგორც ვხედავთ, კარის კონფესიონალიზმი პოეტის მიერ მტკიცეთ დაცულია.

მაგრამ მგოსანი მარტო რელიგიურ ორმაგობას როდი გვიჩვენებს; პოემაში ცხადად მოსჩანს პოლიტიკური ოპორტუნიზმიც. ჩვენს ნაწარმოებში, რომელსაც ასე ახასიათებს ცენტრალისტური პატრიოტიკა, — თავიდანვე გამჟღავნებულია იდეალიზაციაში გადასული სიმპატიები ერანის მბრძანებელისადმი. ქართველი მგოსანი ყაენს უწოდებს „მოსამართლეს და მოწყალეს“, „უსწორო მზიერს“, „ციერთა პატრონს“, „სრულად ქუეყნის მპყრობელს“,<sup>2</sup> და თუმცა ყაენის მახვილმა საქართველო ძირიანად მოთხარა, გაერთიანებულ საქართველოს მოტრფიალე მგოსანი მაინც ყაენს აღიღებს სამკებრო ლექსით:

ერან-თურანის კემშიფე სიმაღლით ცისა სწორია;  
უძრწის და მონებს ყოველი, ახლოს ვინ, ანუ შორია.  
მისის შიშითა მდაბლობენ, მთა ვაკედ განასწორია. 39/215

და რაც საინტერესოა, მგოსანმა ყაენის დიდებას დაუმორჩილა თავისი ალტაცებული ხოტბის ობიექტიც, — „ამა ქუეყნისა მპყრობე-

<sup>1</sup> ცალკე აღსანიშნავია, ფეშანგის კრიტიკა ქართულ სამღვდულოებისა, რომელიც აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმიანობაში და მით ხელს უწყობდა ფეოდალურ ანარქიას. ასე, ცაგერელ და ბოდბელ ეპისკოპოზებს, რომელნიც შაჰნავაზის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობენ, — მგოსანი უწოდებს „ზმაგს, უკუოსს, რგუენს“ (71/415) და „ჩხუბით სავსეს“, რომელნიც „საღვთო გზას არ წაგლიან“. 178/1079.

<sup>2</sup> ჩვენამდე შენახულა უცნობი ავტორის პოეტური ნაწარმოები „შაჰაბაზის ქება“ (წ. ქ. №110 გვ. 185—193), რომელიც ისევე ქართველ კარის მგოსანს უნდა ეკუთვნოდეს.

ლი ყოველთა მფეთა შორის უწარჩინებულესი მეფე შაჰნავაზ<sup>1</sup>, „რომლისა მგზავსი არა ყოფილა და არცა ხსენებულა“, „რომლისა მგზავსი არა ნახულა ადამითგან დღეთამდე“. და იგი პოემით არა თუ ყაენის ბრძანების პირშუქცევლად შემსრულებელია, თვით პირ-მშო შეილსაც კი სპარსეთში უგზავნის, რათა „მქნელი იყოს სამსახურთა, შარიერმა რაცა ბძანოს!“ 162/653.

ოფიციალურად, — აქ ისტორიულ ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე. ყოველი ზემოთქმული ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. სწორედ არის გადმოცემული სიუზერენის წინაშე დამოკიდებულება შაჰნავაზისა, რომლის ბეჭედზედაც ეწერა: „ქ. ღთით შაჰაბაზის ფეხთა მტვერი, ძე შეფისა დავითისა ტომისა, ვახტანგ“. (საქ. სიძე., II, 131).

ამ ფაქტშივე მშვენივრად მელავენდება აგრეთვე სასახლის წრეების ქედლადრეკილობა დამპყრობელ სპარსეთის ძლიერების წინაშე. რასაკვირველია, კარის მგოსნის ფეშანგის ხოტბაც ყაენისადმი მიმართული, ფარისეველურია, ისევე, როგორც მაჰმადის სახელის დემონსტრაცია მგოსნის მიერ „სპარსულ ცენზურის“ პრიზმაშია გატარებული<sup>1</sup>. ცხადია, ეს მოვლენა გამოწვეულია პოლიტიკური პირობებით, ფეშანგის ოფიციალური მდგომარეობით ქართლ-კახეთის XVII ს. სამეფო კარზე, რომელიც სპარსეთის ვასალიტეტს წარმოადგენდა.

## 5

შაჰნავაზიანის მთავარი დამსახურება — მის მიერ აღიარებულ რეალისტურ პრინციპებშია (რეალისტური, ცხადია, თავისებური გაგებით). პროლოგში რუსთველის, სერაპიონის და თეიმურაზის შესახებ მგოსანი დასძენს:

<sup>1</sup> სპარსული ცენზურა თვით XVII ს. სადაიღმამულო საბუთებშიც სჩანს, სადაც ქრისტიანულ მითოლოგიურ სახელებთან ერთად მაჰმადიანური საეკლესიო კულტის სახელებიც იხსენიება.

ასე, 1697 წ. კარის მდივანის გივი თუმანიშვილის ნასყიდობის სიგელში, რომელიც ამილახვრის მდივნის ჯაგ ხიშვილის პაპუნას ხელით არის დაწერილი, — (და რომელსაც თვით სულხან ორბელიანიც ამტკიცებს თავისი ბეჭედით), — „ცხოველყოფილ პატრიოსან ჯვართან“ და „ქრისტეს უბრწუნელ მკლავებთან“ ერთად იხსენიება „ყოველთა მუსხურმანთა რჯულის დამამტკიცებელი მაჰმად ფელამბარი და მურთუხალი“ და „საუფლო სინაქსართან“ ერთად, — „წმინდა ყორანი, ზაბერი, თარათი და ინჯილი“. (საქ. სიძე., II, 115, 116).

ანალოგიურ მოხსენებულობას ვხედავთ აგრეთვე კახეთის გამაჰმადიანებულ მეფეების, — ნახარალიხანის, იმამყულიხანის და მაჰმადყულიხანის — მიერ გაცემულ სიგელებში.

მაგრამ მათ აქვს უცხონი: ინდო და არაბელია;  
ხოცი სხუაც ვინმე ახსენეს, ცუდად ნადირთან [მ]კლელია. 6/8.

[მ]ათნი ტკბილნი გონებანი მიკუთრის, ვისთუი გარდააგეს!  
რამდენ გუარად სიტყუა მკვერი ათქვევინეს ტურფა ბაგეს;  
გამოჩხრიკეს დაუკლებლად, კარგ სიტყუათა თუაღნი აგეს;  
უცხოთათუი საბძოლელად მიდგეს, კმალი არ ჩააგეს. 6/9

რას ეკლყუის საქებარად ტარიელ და ავთანდილი?  
სად იცნობდეს უცხოთ უცხო.—ან რა ნახეს მთგან ქმნილი?  
ყუყულა ტყუილი შეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი;  
აქეს ვინმე უმეცარი, ვაიმწარეს მათთუი ძილი! 6/10

ამნაირად, თავისი ლიტერატურული იდეალების გამკლავებისას მგოსანი კადნიერად უბედავს შეკამათებას ფეოდალური მწერლობის ოლიმპიელებს, იწუნებს რა მათ შემოქმედებაში ფანტასტიკის ელემენტებს, იგი ილაშქრებს ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ ესთეტიურ ტრადიციების წინააღმდეგ, როგორც პრაქტიკული მიზნების ადამიანი.

სამაგიეროდ, ფეშანგი თავის პოემაში გვიჩვენებს რეალურ პიროვნებებს, ცოცხალ ადამიანებს და თან ამაყად გვიცხადებს, რომ მისი პოემის გმირები ძველთაებრ ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის,—მისივე თანამედროვე ადამიანები არიან, ხოლო პოემის ამბებიც „მართალი“ არის, მის მიერ ნანახი და არა ტყუილი:

„რაცა მენახა, ვიუბენ“. 173/1053

თუით მინახავს პატრონისა ძალი, სიმუნე, ჯომარდობა,  
კუმწიფობა ცისა სწორად; მუდამ იკვრის დაბდაბ, ნობა,  
მტერი ყოლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახუარ სობა. 6/12

ყველა ვსწერო, ვერ გაუვალ, მართლად ვიტყუი, არა კორად;  
სამამაცო მისგან ქნილი, რაც მინახავ გმირთა სწორად. 6/13

ამნაირად, ფეშანგი გვევლინება, როგორც ნოვატორი, რეალისტური პრინციპების მატარებელი მწერალი. იგი გადმოგვეცემს თავისი დროის პოლიტიკურ ცხოვრების სინამდვილეს: „მართალი“ და არა—სარაინდო, საზღაპრო ეპოქის ფანტასტიკა, მითოლოგია, ეგზოტიკა, ანუ, როგორც არჩილი იტყოდა: „ზღაპრულთა შაირთა ტყუილად გასაგონარი“. ასეთია ფეშანგის დეკლარაცია.

რასაკვირველია, ავტორის სიფხიზლე მისი წრეების, მისი სოციალური ოჯახის ცნობისმოყვარეობით და მოთხოვნილებით არის გამოწვეული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეშანგის ახალი

ლიტერატურული შეხედულობა უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც ჩვენი ავტორიც ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პროგრამა, ახალი პრინციპები, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და რით უმეტეს „უსწავლელ და უშუერ“ ფეშანგს.

ამ პრინციპების ჩამოყალიბება გამოიწვია ქვეყნის სამეურნეო ზრდამ, აღებ-მიცემობის განვითარებამ, გარედ გასვლამ ბურჟუაზიულ ელემენტების ჩასახვის ხანაში. ვინ იყვნენ ფეშანგის პრინციპების თანახმად? ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ მისივე მეცენატი არჩილი, რომელიც ოფიციალური ლიდერი იყო XVII ს. მეორე ნახევრის ლიტერატურულ მოძრაობისა<sup>1</sup>. მან გაბედულათ უარჰყო აღმოსავლური, სპარსულ საგმირო ეპოსის ფანტასტიკა, უწოდა რა მას „სპარსთა შეტმასნილი ამბავი“ (არჩ. გვ. 22), „სპარსთა ნაქორი“ (გვ. 8), „ზღაპართქმულეები ლაყაფი“. ამავე მოტივით მან არ დაინდო თვით ელინური მითოლოგია:

ელენთა სიბრძნე ბევრი აქეთ, ზღაპრული შეტმასნილია...

ყველა ზღაპრული ცოდნა აქვს მართალთან არ შესართავი...

არჩილმა თავის ლიტერატურულ პრაქტიკაში ფეშანგის მსგავსად ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალურ ლიტერატურის ზღაპრულ ესთეტიურ ტრადიციებს და ენერგიულად წამოაყენა დღეიში მართლად, სწორად თქმისა:

სწორად უნდა დექსი ვინ სთქვას!...

რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები...

სიმართლე და კვლავ სიმრუდე...

მართალია, არ თუ ტყუილი...

კარგად და მართლა მოგახსენებთო...

ასე ხაზგასმით გვეუბნება თავის პოემის შესახებ, სადაც აწერილია თეიმურაზ პირველის ცხოვრება.

ფეშანგის მოღვაწეობის ხანაშივე იმავე კარზე მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი იოსებ ტფილელი, — შესანიშნავი ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ ავტორი. მისი პოემაც საუკეთესო თვითდამტკიცებაა ახალ ლიტერატურულ სკოლის სიძლიერისა და იმავე

<sup>1</sup> ამ სკოლის ერთგულ მიმდევრად უნდა ვაღიაროთ პოეტი თეიმურაზ მეორე (1700—1762 წ. წ.), რომელმაც არჩილის გავლენით ეთნოგრაფიული, ყოფითი მასალებიც კი გახადა თავისი პოეტური შთაგონების საგნად; იგი ერთი შეგნებული ავტორია სინამდვილის პრინციპებისა პოეზიაში. ტყუილად კი არ ესაყვედურება რუსთველს მისი გმირების ირრეალობას. „თეიმურაზის აზრით, შოთა „დაშვრა ტყუილზედ“ და „თუმცა მართალზედ თქმულიყო“ ვეფხისტყაოსანი, — უფრო მეტ ღირსებაში შევიდოდაო. (იხ. წ. კ. ხელნაწერი №1512)



დროს ეროვნულ თვითშეგნების ინტენსიურობისა. მართალია, ფეშანგი მარტოდ-მარტო არ იყო ახალ შეხედულებათა ავტორი, მაგრამ არჩილის და ტფილელის გავლენაც ფეშანგზე წარმოუდგენელია. ორივე პოეტი ჰასაკით ფეშანგის ეპოქის უმცროსი თაობის მწერლები არიან და მათი ცნობილი თხზულებანი შაჰნავაზიანზე 15—20 წლით დაშორებულია. ამიტომ ფეშანგის ლიტერატურული ფესვები უნდა ვეძიოთ წინა ხნის მწერლობაში, რომელიც სამწუხაროდ ჯერ შეუსწავლელი და შეუმუშავებელია.

ამნ. ირად, ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვიცნობთ ფეშანგის წინამორბედებს, სინამდვილის პრინციპების მედროშეთ<sup>1</sup>; არ ვიცნობთ ისეთ ლიტერატურულ ძეგლს, ფეშანგზე ადრე დაწერილს, — სინამდვილის რეალურ ყოფის გადმომცემ პოეტურ ნაწარმოებს, რომელშიც შინაარსთან ერთად გამოტანილი იყოს ამნაირი დეკლარაცია. ასეთი ძეგლი შესაძლოა კიდევაც აღმოჩნდეს, ვიდრე კი — ოფიციალური პრიორიტეტი შაჰნავაზიანის ავტორს ეკუთვნის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ჯერ კიდევ XVI ს. მწერალი ბაგრატი ბატონიშვილი იძლევა „ზღაპრულ“ მწერლობის გადაფასებას. ამირანდარეჯანიანის გმირებზე იგი გვეუბნება: „არა თუ ეგვიტარითა სიმენითა ახოვან იყენენ, ვითარცა გვითხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მათ (ჯარენე კაცთა“) მიერითა ზღაპრობითა განვრცელობით აღუწერიეს მოთხრობა იგი“. (პრ. კ. კეკელიძე, ლიტ. ისტ., II, 23); თეიმურაზ პირველიც „ზღაპრად შეთხზულს“ საგმირო ეპოსს „უსარგებლო თქმულეს“ უწოდებს, მაგრამ ორივე მწერალი „ზღაპრულ“ შემოქმედებას — საეკლესიო, „სამღვდლო“ მწერლობას უპირისპირებს.

<sup>2</sup> ისტორიულ სინამდვილის გამომსახველ პირველ პოეტურ თხზულებად XVII ს. მიღებულია თეიმურაზ I-ლის „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც პროფ. კ. კეკელიძის სიტყვით, დაწერილია 1629—1634 წლებში (ლიტ. ისტ., II, 332), მაგრამ არც შინაარსით, არც მასშტაბით ის ვერ შეესაბამება ისტორიულ პოემის ფართე მოთხოვნილებას.

სამაგიეროდ, ყოფილა მეთრე ისტორიული პოემა გიორგი სააკაძეზე, რომელიც დღემდის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს და იგი უსათუოდ შაჰნავაზიანზე ადრე უნდა ყოფილიყო დაწერილი. მისი არსებობის საბუთს იძლევა შემდეგი: იოსებ ტფილელის დიდმოურავიანში, ბაზალეთის ბრძოლის ეპიზოდის შემდგომ პოეტი გადმოგვცემს, რომ ბაზალეთის ომის შემდეგ მომხდარ დიდმოურავის გადახვეწის ამბებს დაწერილებით აღარ აწევრო, რადგან, —

„სხვაგან სწერად ამ წერელ მან ზვანთქართანა წასვლა მისი“ — თ. 65/335  
 ხალო „სხვაგან“ დაწერილ ნაწარმოებში აღწერილი ყოფილა სააკაძის თაგადასავალი ოსმალეთში: „სობტაების ამოწყვეტა... ბევრი ბრძოლა... მოყვრობის გამოჩენა... ზვანთქარისაგან ცნობა... შტერთ გავლენის დამდაბლება... დუშმანთა ამოწყვეტა... 65/335, 336. ცხადია, პოემა (რომ იგი მხატვრული ნაწარმოები, პოემა არ ყოფილიყო, ტფილელი მას ანგარიშს არც გაუწევდა თავის პოემაში), სადაც სააკაძის ამბები დაწერილებით ყოფილა აღწერილი, სააკაძის ამბების თანადამხდურს, თანამედროვეს უნდა დაეწერა. თუ ეს ასეა, — უცნობი პოემა გიორგი სააკაძის ცხოვრების შესახებ ქრონოლოგიურად შაჰნავაზიანზე ადრე უნდა დაწერილიყო.

პოემაში ზოგი ისტორიული დეტალი გადასხვაფერებულია და სინამდვილეს არ შეეფერება.

ასე, პოემაში არ არის სისწორით ვადმოცემული ვახტანგ-შაჰნავაზის პიროვნება მისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში და სრულიად უგულვებელყოფილია ნამდვილი ისტორია მისი ტახტთან მისვლისა. პოემის მიხედვით, ვახტანგი ჯერ კიდევ ყმაწვილი, ერთხმად იქმნა მეფედ გამორჩეული „სრულიად ქართულელთა მიერ“. ისტორიულ წყაროებით კი ჩვენ ვიცით, რომ გამეფებისას (1658 წ.) ვახტანგი საკმაოდ ხანში შესული ადამიანი იყო (და უკვე მამა ყველა შვილებისა, როგორც კი მას ყვანდა). ასე, ვახტანგი სრულიადაც არ ყოფილა ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, არამედ ეკუთვნოდა მუხრანბატონების შტოს, როგორც მუხრანის მაიორატის მპყრობელი. გამეფებამდე ვახტანგ იწოდებოდა „ბახუტა ბეგად“ და როსტომის ტახტზე გამტკიცებამდე სპარსთაგან უკმაყოფილოთა ბანაკს ეკუთვნოდა, როგორც თეიმურაზ I-ის მომხრე. შემდეგში ის შეურიგდა სპარსთა ძალაუფლებას და ყოველი გზით მეცადინეობდა, რომ უშვილო როსტომს იგი ქართლის ტახტის მემკვიდრედ დაემტკიცებინა, როგორც დინასტიური ნათესავი<sup>1</sup>. ვახტანგმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავისს განზრახვას და მომავალ მამობილს ერთგულობა არა ერთხელ დაუმტკიცა. მაგროდესაც როსტომმა გაილაშქრა შეთქმულ ერისთავების წინააღმდეგ ახალგორში, წინაღულს „ფიცხლავ მუხრანს ბატონს ბახუტას წიგნი მისწერა, შენის ლაშქრით გზას დამხედით“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 41); ამ ბრძოლაში ვახტანგს თავი უსახელებია: „იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება სთქვესო“ (იქვე, 42); შემდეგში, როცა თეიმურაზმა თავდასხმა დაუპირა ცხირეთში მდგომ როსტომ მეფეს, ეს ფარული გეგმა როსტომს ვახტანგმა შეატყობინა. (ქ. ცხ. II, 48) თეიმურაზი უკუიქცა, „ამას ვახტანგ მუხრანბატონი მიეწია და ავნო დიდი სივლტოლვად“ (იქვე); კიდევ თეიმურაზზედ ვალაშქრებისას (1648 წ.) როსტომმა თიანეთს ვახტანგი წარავლინა და ეს ბრძოლა თეიმურაზის სრული დამარცხებით გათავდა.

ასეთი საშინაური თა და თავგამოდებით ვახტანგმა მალე მიიღწია საწადელს. როცა როსტომს მოუკლეს გაშვილებული ლუარსაბ ბატონიშვილი და მისმა ძმამ ვახტანგმაც უარი სთქვა მემკვიდრეობაზე (1658), როსტომმა გაიშვილა ვახტანგ მუხრანბატონი, რადგან „არღარა-ვინ ჰყავდა უახლოესი ტომი თვისი“; ყენმა ვახტანგი გაამაჰმადინა, უწოდა „შაჰნავაზ“, დაასაჩუქრა დიდად და წარმოგზავნა ქართლის გამგებლად. ამიერიდან ვახტანგ — შაჰნავაზი ჰმართავდა ქარ-

<sup>1</sup> ვახტანგი ჩამომავალი იყო ქართლის მეფეების, სახელდობრ, შვილიშვილი ქართლის მეფის კონსტანტინესი (1478-1505).

თლის საქმეებს როსტომის მოხუცებულობის გამო და როსტომისგან გაცემულ წყალობის წიგნებშიც იგი „პირმშო და სასურველ ძედ“, „საყვარელ ძედ“ იხსენიება (ს. ს. სიგ. ფ. № 532; 14665, 14668; საქ. სიძე., II, 73, 130) და როსტომის ბეჭედთან ერთად სამეფო განკარგულებებს თავისი ბეჭდითაც ამტკიცებს. როსტომის სიკვდილის ხანს ვახტანგმა ერთს მეტოქესაც სძლია, ზაალ არაგვის ერისთავს, რის შემდეგ „ყვენმა მოსცა მეფობა ქართლისა, ნიჭი და საგანძურნი როსტომისნი“ (ქ. ცხ., II, 49)

ასეთი ძნელი და გრძელი გზით მიაღწია ვახტანგმა ტახტს და არა პირდაპირი მეპყვიდროებით. როგორც მკითხველი დაინახავს, პოემაში სრულ იზოლიაციაშია მოყოლილი არა თუ როსტომის როლი ვახტანგის გამეფებაში, თვით როსტომის სახელიც არსად პოემაში არ იხსენიება, ალბათ, მგოსნის აზრით, როგორც დამამციკრებელი მოგონება ვახტანგის ახლო წარსულისა.

არა სწორ ცნობას გვაწვდის ავტორი შაჰნავაზის მეუღლის — მარიამ დედოფლის ვინაობის შესახებაც. პოემით, ვახტანგი ტახტზე ასვლის ხანაში უცოლო, „უჯუფთო“ იყო. მეფის ვეზირები ძლიერ სწუხდნენ ამ გარემოებით, „მეფისა ესრეთ უმეჯუფთოდ ყოფას შექირებდნენ“ (თავი VI) და ბოლოს ლევან დადიანის ასული (sic)<sup>1</sup> დედოფლად უთხოვეს (თ. VII, VIII, IX, X). ისტორიული წყაროებით კი, მარიამი იყო ასული მანუჩარ დადიანის, დაჲ ლევან დადიანის და მეორე ცოლი როსტომ მეფისა<sup>2</sup>.

უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ (1658 წ.) მარიამი ყაენმა დაიბარა თავისს პარემში, მაგრამ დედოფალმა სიბერის ნიშნად ყაენს თავისი თეთრი თმა გაუგზავნა. მაშინ ყაენმა ვახტანგს უბრძანა შეერთო. „ხოლო ვახტანგს შეუძნდა შერთვა მარიამ დედოფლისა“, რადგან მას ჰყავდა ცოლად როდამ ორბელიშვილი „სიკეთითა აღმატებული“; „არამედ ულონო ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“. (ქ. ცხ., II, 50) შეცვლილია კიდევ რამოდენიმე ისტორიული ფაქტის დეტალი, რაც თავის დროს აღნიშნული აქვთ აკად. მარი ბროსეს და პროფ. კ. კეკელიძეს. მათ კრიტიკას აქ აღარ შეუღდგებთ, რადგან ზოგი ასეთი გადახვევანი და შეუსაბამობანი „შელამაზების“ ნიშნით უფრო გამოწვეულია პოემის სპეციალური სამჭებრო ჟანრით,

<sup>1</sup> თუმცა ერთგან ავტორი ამჟღავნებს, რომ მარიამი ლევანის დაჲ იყო და არა ასული. (იხ. 31/158).

<sup>2</sup> მარიამს 1611 წ. დაწინდვას უპირებდნენ ქართლის მეფე ლეონტიძეს (იხ. „არჩილიანი“, გვ. 82 „დიდმოურავიანი“<sup>18/86</sup>), 1621 წ. მისთხოვდა სვიმონ გურიელს, რომელსაც 1625 წ. მარ. ძმამ, ლევან დადიანმა პოლიტიკური მოსაზრებით უკანვე წაართვა. 1636 წ. მარიამი იძულებით, „ვუფემით“ ლევანმა მოხუცებულ როსტომს მიათხოვა. მარიამი გარდაიცვ. 1683 წელს.

კარის სპეციალური დაკვეთით, რომლის მოთხოვნილებით ხოტბის საგანი ჰეროიკული, „ციებრ ზებული“ უნდა ყოფილიყო, ყველა დეფექტებს მოშორებული<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ამვე მიზეზით აიხსნება პოემის პათეტიური, ჰიპერბოლისტური ტონით მისი გმირების ფიზიკური იდეალიზაცია, ხოტბის ადვოკატების ფიზიკური და სულიერი მდიდარი თვისებანი, სილამაზე, ძალა და გმირობა, აღმოსავლური პოეზიის და კერძოდ ვეფხის ტყაოსნის უშუალო გავლენით გამოწვეული<sup>2</sup>.

შაჰნავაზიანის მთავარი სამკაული ჰიპერბოლაა. ასე, ვახტანგის „მსგავსი არა ნახულა ადამითგან დღეთამდე“ (გვ. 10); ვახტანგის დასახატად ყაენმა სეფე მხატვარი წარმოგზავნა, მაგრამ მხატვარი მეფის სახიდან გამოკლენილ „სხივთაგან დაება“, „დიდხანს იყო გაშტერებით“, „თულნი ვერ შედგა სხივთაგან“ და უკან ხელცარიელი გაბრუნდა. ხოლო როცა თვით ვახტანგი ჩავიდა სპარსეთში ყაენის სანახავად, „მოვიდა სულად ერანი, უკვარდათ მეფის სიმშვენეიერე და სისრულე ეზომ, რომე გაყრა ეძნელებოდათ“ (გვ. 20) ხოლო ტფილისში მისი მშვენიერების სანახავად მოდიოდნენ: ინდოველნი, არაბნი, ჩინელნი და მაჩიხელი, ოსმანნი და ჩითახნი, ფრანგი და ბერძენი, რუსნი და ხაზარნი, ოვსნი და ყივჩანი და „რა ნახიან, მოიძაგიან მათი ქუეყანა“ (გვ. 4) და ღმერთს ხელაპყრობით მადლს მისცემდენ, „რომელ, ამისებრი ნაყოფი გამოგილია, რომელ ამისებრი არ ნახულა“-ო (იქვე). ასეთი გადაჭარბებით აგვიწერს კარის მგოსანი მოხუცი მეფის გარეგნობას<sup>3</sup>. ამის შემდეგ ვასაგებია თვით დედოფლის შესახებ ასეთი შედარებები:

სულ ციერნი გააკვირვა, თქუფს: რასა იჴს მის მეტს მზე რა! 27/141

ზღუათა მეფისა ასულმა სინათლით მხესა დარია. 37/198

მისთა სხივთაგან გამოჰკრთის ციმციმი გასაკმანია. 36/195

<sup>1</sup> ასეთივე „შელამაზებით“ არის დაწერილი ისტორიული პოემა XVIII ს. „ვახტანგისანი“, სადაც მაგ. ვახტანგ VI-ის სპარსეთში დაჭერა, მისი იქ ძალით გამაჰმადიანება უგულვებელყოფილია, თითქოს ვახტანგი „თვით წაბრძანდა ერანისა შინჯვა კერეტად“. პოემაში აგრეთვე არაფერია ნათქვამი ვახტანგის 1724 წ. დამარცხებაზე (ტფილისში).

<sup>2</sup> ვახვიადებულნი ტონი, ეტყობა, ასევე სავალდებულო ყოფილა კარის ისტორიკოსისათვისაც. მაგ. შვევიძლიან ს ე ხ ნ ი ა ნ ხ ე ი ძ ე დაეასახელოთ, რომლიც თვით შაჰნავაზის სიკვდილის კარგახანის შემდეგ, მაგრამ იმავე შაჰნავაზის შვილიშვილის კარზე მოსამხატვრე, ასე აგვიწერს შაჰნავაზ მეფის პიროვნების სიდიადეს: „იყო მეფეთა მეფე ესე სახელდებული, სვე ამალდებული; ხელმწიფობით სჴადარი, ამილბარობით სბასპეტი, ლაშქარ-ჭაეროვნებათა ზე-აღმატებული, ოთხთავე კიდეთა ქვეყანისათა ზარ-განზდით ხმა განფენილი, ყოველთა მებრძოლთა ზედან დიდად მძლეველი და თვით არ ვისგან ძლეული, თვით მპყრობელი საჭართველოსი“. (იბ. კ. ცხ. II, გვ. 13. ჰოტ. გმც.)

<sup>3</sup> 1672 წ. შარდენის სიტყვით, შაჰნავაზი უკვე 80 წელს გადაცილებული იყო (Путешествие по Закавказью, გვ. 195)

„პირაზე“ დედოფლის „ლაწვთა ელვარება სინათლითა მზე და მთუარეს სჯობდა“.

ხოტბის ხასიათით არის გამართლებული მგოსნის მიერ დახატული ეროტიული სცენებიც მოხუც მეფე-დედოფალს/ შორის:

საწოლს შევიდა ხეშიფე, ნახა მზის მოვანებანი.

შემოეგება ხოშგუარად, ვის შვენის მოარებანი. 94/553. (იხ. აგრეთვე: 95/555)

ასე ამკობდა ერთფეროვანი კარის დაჭირავებული პანეგირისტი „ქალს კეკლუცს“, „მნათობს“, სამოცი წლის დედოფალს, რომელიც იმ დროს ყაენის იძულებით მესამედ გათხოვდა.

ასეთივე სპარსული სტილის ჰიპერბოლისტურ სამკაულებით ასახულია პოემის ზოგი სხვა გმირებიც. მაგ. არჩილ, ვახტანგის პირმო, სილამაზის განხორციელება:

...არა გაეს ქვეყნიერსა, არის ვინმე ზეციელი.

მის სანახავდაც მოისწრაფვიან—იგივე „არაბი, ჰინდი, ჩინელი“, რომელნიც იტყოდენ:

ან მზე და მთვარე მოსულა, ამას არ უნდა მისანი! 114/665 და სხ. (174/1062, 39/210)

არაჩვეულებრივი ფიზიკური სილამაზით არის დაჯილდოვებული ვახტანგის მეორე შვილიც გიორგი (39/211), ლევანი, მასაც „თულსა ვერ შესდგმენ სხივთაგან“ და მისი სახის გადაღებაზედაც ისევე ცილება აქვთ მხატვრებს. „მხატვართა შექნეს ცილება, მაგრამ ვერავინ სახედაო.“ 39/211.

ერთი სიტყვით, შაჰნავაზიანში მოიპოვება პანეგირისტულ ოდების ყველა ელემენტები, აღმოსავლურ, სპარსულ სტილზე გადასულ მეხოტბეების ყალბი პათოსის ხარკი. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ფეშანგის ჰიპერბოლა მხოლოდ გარეგანი, ტექნიკური სამკაულია, ეპოქის სტილის დაცვის აუცილებლობა; და მისი ევფუიზმი, ამის მიუხედავად, მაინც შენელებულია.

პოემის ზეიმურ სიტყვაობაში და დამლღელ რიტორიკაში, სადაც მგოსანმა გაგვაცნო გმირების სილამაზე, სიბრძნე, ძალა და შემმართებლობა, მიუხედავად კარის მგოსნებისთვის ჩვეულ აწვეულ ტონისა, მაინც მოსჩანს ფხიზელი, თავდაპირილი და ცხოვრების რეალისტურად ამსახველი მწერალი. პოემის მდიდარ სიტყვიერ შეკავშირებაში და პათეთიკაში რამოდენიმედ შესამჩნევია სიმშრალე, რაციონალობა. მგოსანი ორივე ფეხით დგას რეალურ საფუძველზე და პოემის მთავარი ღირსებაც ის არის, რომ მისი მდიდარი შინაარსი რეალურია, ეპოქის სრულ ისტორიულ სინამდვილეს შეიცავს. ფეშანგი არა თუ ლალატობს ფაქტების სინამდვილეს, არამედ მისი რეალიზმი სწორედ ამ ფაქტების დაწვრილებით გადმოცემაში, გეოგრაფიულ პუნქტების სწორედ აღნიშვნაში, დეტალების თხრობაში გამოიხატება.



ამგვარად, მგოსანი, რომელსაც ასე ახასიათებს მხატვრული სტიქია პანეგირისტისა, მინც ორიგინალურია. აბსტრაქტულ და სუმბურულ შედარებების და ზღაპრების მაგიერ მან რეალური სიუჟეტი აიღო, თვის მიერ ნახა ამბავი გალექსა, რომელშიც მონაწილეობას თვითვე იღებდა, როგორც კარისკაცი.

ისტორიული პოემის ავტორს ერთი უნდა შეენიშნოთ: მას ნაკლებ აინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული. ლექსითი პროლოგში, ქართველ მეფეების ჩამოთვლის დროს, მის მიერ „კურატის“ ხმარება „კუროპალატის“ მიერ, ვახტანგ „გურგასალის“ შემდეგ მირიან მეფის ქრონოლოგ. თანმიმდევრობა (sic!) და თვით ის ორიოდე ზერელე და ზეპირგანავგონი ცნობები, რომლიც მას შესავალში აქვს მოთხრობილი (სტროფები 25-35), საკმაოდ გვარწმუნებს ფეშანგის ისტორიულ ერუდიციის უმწიფობაში. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მისი თანამედროვე მწერალი ფარსადან გორგიჯანიძე შეგვიძლიან გავიხსენოთ, — ისიც ვაქართა წრეების წარმომადგენელი. ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძეც თავის ისტორიას გაგონილი ამბებით სწერდა და „ძველ ამბავის“ შესახებ დასძინდა: „გ ა გ ო ნ ე ბ უ ლ ა მ ბ ა ვ ს დ ა ვ წ ე რ მაგრა წიგნი არ მინახავს“. ფეშანგსაც ასევე ზეპირსიტყვაობა ჰქონია წყაროთ, ზეპირი ცნობებით ჰქონია წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე, როგორც „შინგაზდილს“.

ეს ფაქტი შეტად დამახასიათებელია სავაჭრო წრეებიდან გამოსულ ორივე მწერლისათვის. როგორც ახალი კლასის ადამიანებს, მათ არა აქვთ ინტერესი „ძველისადმი“ და, რასაკვირველია, არც შეძლებაც ისტორიულ საკითხების გაცნობისა და გარკვევისა.

## 7

ფორმალურად ფეშანგი ისევე, როგორც ალორძინების ხანის ყველა პოეტები — რუსთველს სკოლის ეპიგონია. ვეფხის ტყაოსნის გარეგანი გავლენა შაქნავაზიანზედ ამოუწურავია.

„თქმა რუსთველს დარჩა ლექსისაო“ 173/1051, — ტყუილად კი არ აცხადებს მგოსანი

მთქმელი და გაუმომეტყველი მისებრი არსად არია. 5/8  
 მრუდიცა მართლად გამართა, ნახულთა დასადარია. 5/3

შეერთა ტბილქართულად, სიტყუა მკვერი ახად ასო. 5/4

ასე უმღერის ფეშანგი „სიბრძნით სავსეს რუსთველს“, რომლის სიტყვას, სხვათაშორის ვახტანგზე ბევრად ადრე, ის განმარტავს, როგორც „სამღთოდ გასაგონს“:

სიტყვა საღმთოდ გასაგონი მშენებლათუი ა, სად ასო? 5/4

მიუხედავად რუსთველის კრიტიკისა, ფეშანგი მხატვრულ პრაქტიკაში ანხორციელებს იმ დროის ლიტერატურულ სკოლების ლო-

ზუნგს — რუსთველის წაბაძვისა („შოთას რად ვერ წაბაძესა...“), და ბრმა მიმდევრობისას ფორმალური ხაზით:

ვინ ვერ მიჰყევს რუსთველის თქმულსა...

მეღექსობა არ შეგვენის... (არჩილი)

და მართლაც, შაჰნავაზიანი გაპოზიერებულია არა მარტო რუსთველის სურათებით, შედარებებით, ეპითეტებით, სენტენცია-აფორიზმებით, არამედ ფრაზეოლოგიით და ლექსიკითაც<sup>1</sup>. მათი სრული კატალოგიზაციის მოხდენა მეტად შორს წაგვიყვანდა<sup>2</sup>.

ცალკე აღსანიშნავია როსტომიანის გავლენა. მისი გვირული ჰათოსი, სახეები და ბოლოს ლექსიკური მასალა (მარტო სიტყვა „შარიერი“, როსტომიანიდან აღებული, 51-ჯერ აქვს ნახმარი) საკმაოდ ახასიათებს ჩვენს ავტორს. შესაფერი ხარკი გადაუხდია აგრეთვე ეპოქის პოეტური კერპის — თეიმურაზისათვის.

თეიმურაზ პირველის ლექსის მუსიკალობის, მისი გადა-მღერების ცდები, გარეგნულ ეფექტების მიბაძვა, ხალხურ ფორმებისადმი მიდრეკილება, თვით თეიმურაზისეულ მაჯამების პოეტურ თვით-მიზნად სმარება, საკმაოდ გამჟღავნებულია პოემაში.

ვეფხისტყაოსნის, როსტომიანის და თეიმურაზის გავლენა პოემაში ხშირად სტილიზაციის სახეს იღებს. ამოად კი არ განსაზღვრავდა ფეშანგი ქართულ პოეზიას ამ სამი დიდი პოეტური სახელით: „სხვა ცუდია, ნუ მოსცდებისო!“ 5/7. შაჰნავაზიანში შევნიშნეთ ნაწილობრივი გავლენა აგრეთვე ნოდარ ციციშვილის „ბარამ გურისა“, რომელიც ჩვენს პოემაზე 8—9 წლით ადრე დაწერილა<sup>3</sup>. მცირე ფორმალური სესხების გარდა (შდ. შაჰნავ. თ. IV და „ბარამ გურის“ IV თავი), მას ერთგან ნოდარის კრიტიკული რეზიუმეც გამოუყენებია:

ნოდარ ციციშვილი:

(რუსთველის, თეიმურაზის შესახებ)

სხვა მეღექსე ვინცა ვინა, მათად სწორად არ იქნების;

თუ ვინ თავსა მათ ადარებს,

ცუდმაშვრალობს, ცუდად

სცდების;

თუ ვინ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, ცუდ—

—საოჯგული წაუდების;

ვინ სხვათ ლექსთა მათ ადარებს, თურმე

ლექსთა ვერ მიხვდების.

(ბარამ გური, 7/8)

ფეშანგი:

(რუსთველის, სერაპიონის,

თეიმურაზის შესახებ)

მათ შემაყუეს საუბარი; სხუაცუ-

დია ნუ მოსცდების;

ნუც ედრების მათ მეღე-

ქსე, დაილაღვის, ვერ მის-

წუდების;

შეუმოკლდეს ლექს ქართული, მაშინ

ცეცხლი მოედების;

დაილაღვის ცუდად რბენით, სხუას

ვერ აენებს, თუით იენების.

(5/7)

<sup>1</sup> ფეშანგს გამოყენებული აქვს რუსთველის თვით სიტყვიერი კომბინაციები: „მიდამოდა“ 124/725; 76/1063; „შერაშენა“, 160/1004.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე პროფ. კ. კეკელიძე, ლიტ. ისტ., II. 346, 347.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრებით „ბარამ გური“ დაწერილია 1655 — 1656 წლებში. („შვიდი მთიები“. გვ. XIII).

სხვათა შორის, ფეშანგის პოემაში იმდენი სტილისტიკური ვულგარიზმები არა გვხვდება, რამდენიც მოსალოდნელი იყო სავაქრო წრიდან გამოსულ მგოსნისგან. მოგვყავს რამდენიმე: „ერთოფლა“ 111/690; „მამლოდნე“ 18/85; 21/105; „მებძოლი“ 24/126; „იქს“ 27/141; „ბძენი“ 28/143; „ეგეთნი“ 135/804; „რისათუი“ 32/156; „მასკულავი“ 32/157; „დაუყონლად“ 33/172; „სიამოვნე“ 36/190; „იქი“ 38/209; „მზები“ 135/799; „შურსთ“ 40/219; „პწყინარე“ 156/942 და სხ.

შესაძინევია ის ზომიერებაც, ავტორი რომ იჩენს სტილისტიკური და ლექსიკური არქაიზმების ხმარებისას. „მდაბიო“ მგოსანს ზედმეტად არა აქვს გამოყენებული მწიგნობრული და „სამღვდელო“ სიტყვის რესურსები; სამაგიეროდ, პოემაში იგრძნობა სტილის ხალხურული დამდაბლება, რაც ფეშანგზე ბევრით ადრე, „როსტომიანის“ რკალის პოეტებიდან იწყება.

ზემოდ ფეშანგის ფრაზის სომხური კონსტრუქცია ავნიშნეთ და ორი შემჩნეული სომხური ტერმინიც მოვიყვანეთ. ხოლო სპარსულ-თათრული ლექსიკა პოემაში მოცემულია სიუხვით. ამ შემთხვევაში ფეშანგი პირდაპირი მეშვედრეა „როსტომიანის“ გამლექსავ პოეტების და აგრეთვე თეიმურაზ პირველის ენობრივ („სპარსთა ენის სიტკბოს“) ტრადიციებისა.

ცნობილია, რომ XVI—XVII ს. ქართული არისტოკრატიის ენა აკრელდა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროებიდან შემოსულ სპარსულ-თათრული სიტყვებით. ისეთივე ცვლილება ვაქართა სპეციალურ ენამაც განიცადა სპარსეთ-ოსმალეთთან ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე. ფეშანგის ენაში სპარსულ-თათრულ ტერმინების სიმრავლე ისევე ცხადსაყოფია, როგორც ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში. ეს ის ენობრივი ნორმაა, XVII ს. საბოლოოდ რომ შემუშავდა საკარო და სავაქრო საზოგადოებაში. სწორედ ეს უცხო სიტყვის სიმძიმე უნდა ყოფილიყო ერთი ის მიზეზიც, რომლითაც ლიტერატურული გემოვნების ახალ კანონმდებელს არჩილს არ უნდა მოსწონებოდა მისი კარის მგოსნის ნაწარმოები, რომელსაც ლიტერატურული ხათრით იღებდა:

სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით ვით ლიტრიანი!

არჩილის პურიზმი კი მეტად გარკვეული იყო:

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია.

ეგ ნუ გგონიათ სხვა ენა მე არ ვიცოდი სხვასავით;

მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვასავით. (გვ. 177)

არჩილმა თითქმის პირველმა დააყენა მაშინ ლიტერატურულ ენის საკითხი და მისი მოღვაწეობის დრო ტყუილად როდია დრო ახალ ლიტერატურულ ენის გაფორმებისა;

ეროვნულ ქართულ ენის შესაქმნელად არჩილის აუცილებელი პირობა იყო ენის სიწმინდე და ბრძოლა უცხო სიტყვართან.

მაგრამ ლიტერატურული ქრონოლოგიით ფეშანგი არჩილზე უფროსია. იგი წინა სკოლის წარმომადგენელია; იმ თაობისა, რომელმაც „ქართულს ენაში მარილად ურთო სპარსული“ და „თათრულიც გაურია“ (არჩ. გვ. 18). არჩილი პროვინციალიზმებსაც შენიშნავდა („მეგრული“, „ხიზიყური“ „ჯავახური“), — ხოლო ფეშანგს პროვინციალიზმებიც ახასიათებს, თუმცა არც ისე „მრავალი“, როგორც ჰგონია პროფ. კ. კეკელიძეს (ლიტ. ისტ., II, 348).

ამნაირად ფეშანგი დაშორებულია არჩილის პრინციპს ენის საკითხში. ამიტომ შაჰნავაზიანის ავტორი ვერ ჩაითვლება თანამშრომლად არჩილის და მისი სკოლისა, რომელიც ენის გაწმენდას, ენის დეფულგარიზაციას ახდენდა<sup>1</sup>. (არჩილის სკოლამ იოსებ ტფილელის და სულხან ორბელიანის მონაწილეობით ამ მხრივ სახელოვანი მუშაობა ჩაატარა; ამ სამმა ბრწყინვალე ოსტატმა ახალი პოეტური სტილი შექმნეს.)

როგორც პროფ. კ. კეკელიძესაც შენიშნული აქვს, ფეშანგის პროვინციალურ ფორმებში ყურადღებას იპყრობს ზმნათა პრეფიქსებში მა-ს ხმარება მო-ს ნაცვლად („გამამკრთალი“. 41/225; „მამივიდა“. 90/525; „მამწონსო“. 132/781 და სხ.)

პატრონისათვის „დადაგულს“ და „გულმორთულ“ ფეშანგის გამოთქმული აქვს პრეტენზიები ლექსის „ხელოვნების“ და ოსტატობის: სიტყვა მოვკრიფე, გასინჯეთ, თუ რაგუარ დავაბენია. 173/1055 ვარდი მოვკრიფე უეკლო, ცუარით ავისილი დილისა. 173/1053

ასეთი წარმოდგენისა იყო თავის ლექსზე და ამაოდ არ აქვს მას დიდი რეზონანსის იმედი:

არ დამიგმოზენ პასუხსა, თუ სადმე ნაზუნ ბქენანი:  
მიმიკუდებიან ნათქვამსა, მათ აქუს სიტყვათა სმენანი. 173/1054

უპირველესად ფეშანგის პრეტენზიებში დამახასიათებელია მოკლე ხოტბის ფორმის — მაჯამის ხმარება უფრო ლირიკულ ადგილებში. მაჯამის ხმარება კი იმ დროისათვის, როგორც მოდა, მაღალ პოეტურ ტენიკის ნიშნად ითვლებოდა.

<sup>1</sup> თავის მხრივ არჩილის მზღებელი ფეშანგი ერთი იმ კარისკაცთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც თანადაზნდური და მსაზური თეიმურაზ პირველისა, არჩილს მემუარული მასალებით ეხმარებოდა „თეიმურაზიანის“ დაწერის დროს, როგორც თვით არჩილი გადმოგვცემს თხზულების პროზაულ შესავალში:

„მეფის თეიმურაზის... სარუჯლით ამბავი თვით მნახავთა და თანნახლთ მეფის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა; არა ხოტბა, არამედ მართალი. რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გუერთს მახლდენ, ვკითხევდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდესო“.

აი ფეშანგის მაჯამები:

კელი მიჰყუფს გასაგზავნად, მარგალიტი მან და ლალა;  
 დაარჩივა საკადრისად, უმჯობესი მან დალალა,  
 თქუეს: ვპოვეთ ესე გუარი, მზისა ზღვბად მანდა ლალა;  
 ნახონ უტხო მოსაწონი, მის არ მართებს მანდა ლალა. 26/133  
 ამად ვჩივი, სოფლისაგან, არ დაზინდო მისობასა;  
 გამამყარა სიცოცხლესა, არ მაშორვა მისობასა;  
 ვერ მოურჩი გაყრა გაცლით, ამად შემქნა მისობასა;  
 გულსა მამეს მონასროლი, ვით გაუძლო მისობასა. 74/435

მართალია, ფეშანგის მაჯამები, ისევე როგორც სხვა პოეტებისა, უმეტეს შემთხვევაში სუმბურულია და შინაგანი სიცარიელის მაჩვენებელი — მაინც, თავისებური ცდაა ოსტატობისა. მაჯამას ფეშანგის პოემაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს; მაჯამებით იგი აქარბებს თვით ნოდარ ციციშვილის „ბარამ გურს“, რომელიც მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე შაჰნავაზიანი.

რით უნდა აიხსნებოდეს ფეშანგის ასეთი გატაცება მაჯამით? საქვე იმაშია, რომ ეს უმცირესი ქანრი, ქართულ ზმასთან ერთად, სასახლის ლხინების ერთი სამკაულთაგანი იყო. მაჯამას „იკითხავდენ და თარგმნიდენ“, იგი „საძებარ სათარგმანებელი“ იყო და, ცხადია, ყველაზე მეტად მაჯამის მოძებნაში ანუ „თარგმანში“ კარის მგოსნები უნდა ყოფილიყვნენ დახელოვნებულები, როგორც განუშორებელი მონაწილენი სასახლის მეჯლისების და ნადიმებისა. ვფიქრობთ, კარის მგოსანს ფეშანგს საკუთარი მაჯამების გარდა არა ერთი და ორი მაჯამა უნდა ჰქონდეს პოემაში შეტანილი სასახლის შაშინდელი მგოსნებისა, იმ დროის პოეტურ კამათებიდან. (რასაკვირველია, ლექსის სხვა სამკაულებთან ერთად.)

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფეშანგი ვერ იჩენს ორიგინალობას პოეტურ სახეების შექმნაში. იგი რუსთველის, სერაპიონის და თეიმურაზის საღაროდან სარგებლობს. მისი საკუთარი სახეებიდან მაინც აღსანიშნავია:

ყმას ღიმილი აქუს, სხივს აძლევს, ვითა ჩახზახსა კავია. 112/656  
 ცისკარს უგუანდა ყელყური, გავსით მთქარუსა<sup>1</sup> დარევდა. 39/210  
 ამას გავს სახლი საყუფი ოქროში გააცურესა. 36/194

ან ენერგიული, სრულყოფილი თქმანი:

<sup>1</sup> პოემაში ავტორს 90 მაჯამა აქვს შესრულებული ანუ 360 მაჯამური რითმა. იხ. სტროფები: 4, 27, 30, 31, 73, 85, 103, 122, 126, 133, 141, 143, 148, 157, 160, 161, 176, 177, 180, 184, 186, 191, 198, 199, 200, 210, 218, 224, 243, 250, 257, 308, 332, 332, 334, 336, 337, 357, 369, 374, 376, 410, 412, 433, 435, 437, 440, 459, 467, 478, 479, 494, 503, 511, 521, 536, 546, 555, 556, 568, 569, 580, 588, 597, 631, 633, 641, 662, 646, 650, 651, 691, 749, 750, 765, 766, 781, 795, 900, 909, 931, 950, 954, 960, 998, 0131, 1043.



მტერი კლმითა გაიბერტყა, საქმე მოხდა საფარგული. 145/858  
შეჭურვილ იყუნეს რკინათა, სიშავე მოსჩანს ფარისა. 116/978  
ალარსად იყო მოწყენა, ადგა ლომგულის ჩრდილია. 33/173  
ცის კამკამი ჩამოვარდა მოწყალება დაუთვლელად,  
მზე გუმბახით ამოვიდა, ქართველთათუი კმაღლთა მცუელად. 135/800  
ცხენი დადალეს რბენითა, შამბსა მიჭქონდა შრიალი. 45/245  
ლბინი შექენს უსაზომო, ჩანგსა მკურელმა დაუშინა. 135/800.  
აწ გამოჩნდების ცხენთაგან ცასა შეწდომა მტურისა. 44/238

ეპითეტებში, მეტაფორებში იგი ჰბაძავს უმთავრესად ვეფხისტყაოსანს და როსტომიანს, — „მათი თქმული სახედ ჰქონდა“, იგივე ტრადიციული ელემენტები, გამოსახვითი საშუალებანი; კონფიგურაცია მნათობების (მზე ნახსენები აქვს 56-ჯერ; მთვარე 20-ჯერ), ძვირფას ქვების ელვარების მოხმარება (გუარი 12-ჯერ; ვერცხლი 18-ჯერ; მარგალიტი 23-ჯერ; ოქრო 25-ჯერ) და სხ.

შაჰნავაზიანის გმირთა სულიერი ანალიზი უბრალოა, ფსიქოლოგია — პრიმიტიული; სჭარბობს ჩვეული, დამლელი სპარსული სანტიმენტალიზმი.

ფორმალურ ეპიგონს, დაქირაებულ მგოსანს მეცენატის „ქებადიდებაში“ ხანდახან სძინავს ისეთივე ძილით, რანაირიც ხშირად ემართებოდათ მისი რანგის და სკოლის მგოსნებს, რომელთაც „სთქვეს იძულებითა“, „ბრძანებით“ და არა საკუთარი მოთხოვნისგან, „თავის ნებით“.

მაგ. პოემაში გვხვდება ტექნიკურად ასეთი გაუმართლებელი „ოფლით ნაწურვალი“ ადგილები, ასეთ რითმებით:

აწ გიაჯი მამისმინო, ფიცთა ტეხას არ გამრიო;  
არ გამყარო კვიარსა, უსამართლოდ არ მამრიო;  
სამრანავად არ დამედვას, არკვეინ თქუას ჩემზე: „რიო!“  
სამუდამოდ მუსაფისა წაკითხუაზე არ ამრიო. 105/607

ბაგრატს ჰკითხა კემწიფემან: „რომელი ვქნათ? მართლა სთქვია!  
სამალავად რალას გარგებს, სრული სიტყუა გამოსთქვია!  
სადით გიჯობ, იქ გაგიშუებ წასატანსა გარდმოვსთუღია;  
ლარსა მოგცემ უხოჟოსა, თუესა ერთსა ვერ დასთუღია. 154/924

ან ისეთი სტროფები, სადაც რითმას — „წერილი“ ერთიმება: „გამოწერილი“, „დაწერილი“, „შემოწერილი“ (იხ. სტროფი 911); რითმას — „ცემითა“ — „ამოცემითა“, „გამოცემითა“, „დაცემითა“ (153/847); შენიშნულია ერთი შემთხვევაც, როცა რითმა მიღებულია ზედმეტი „და“-ს შემწეობით:

შემოეხუიენეს გარეშე ამა კემწიფის ძესა და;  
ყულამ შეჭადრა სალამი ამა უსწოროს მენესადა;  
დაუწყეს სიტყუა ზომ გუარი ამა კეთილოა მენესადა;  
სადიდებელნი პასუზი, ვინ იცის, სადით თქუესა და! 10/40

რითმის მიღების ასეთი ხერხი უფრო მეტად ახასიათებს ეპოქის გან-  
თქმულ ოსტატებს, — თეიმურაზ პირველს, ნოდარ ციციშვილს, ასევე  
ზოგჯერ იოსებ ტფილელს, არჩილს.

ასე წარმოვიდგება კარის მგოსანი, რომელიც, თავის მცირე პოე-  
ტურ მიღწევებთან ერთად, ზოგჯერ „უცები“, „სიტყვა არეული რი-  
ტორია“ და ხშირად „ლექსთ ვერ აძლევს სიტკბოს“. მაგრამ ფეშან-  
გის მნიშვნელობა ხომ მუსიკობასა და ენის სიტკბოში არ გამოიხა-  
ტება. ისიც უნდა ითქვას, რომ შაჰნავაზიანის ფორმალური მხარე  
სრულიადაც არ არის ნაკლები, — მაგ. მამუკა თავაქალაშვილის,  
ბარძიშვაჩინაძის, „ომინიანის“ და ვალექსილ „ამირანდარე-  
ჯანიანის“ ავტორების პოეტურ პრაქტიკაზე. პირიქით, მისი ლექ-  
სი უფრო ენამეტყველია, ხოლო იდოლოგიური არსით მათზე წინა  
დგას.

რაც მთავარია, საქებრო ისტორიული პოემა შაჰნავაზიანი ერო-  
ვნულ სიუჟეტური ნაწარმოებია, რეალისტურ მოტივების შემცვე-  
ლი და ნაწილობრივად საეპროსო ჯგუფთა ფსიქოლოგიის და მი-  
სწრაფებათა გამომსახველი.

ფეშანგი თავის დროის სინამდვილიდან ყოველდღიური ცხოვრე-  
ბის და საზოგადოებრივი ყოფის არა ერთს ცოცხალ სურათს იძლევა  
(— „რომ არ იქნას დაკარგული“).

ცალკე აღსანიშნავია ფეშანგის თხრობის პათოსი.

ასეთია მოკლედ შაჰნავაზიანის ლიტერატურული და ისტო-  
რიული მნიშვნელობა.

## გიორგი ლომიძე.

P. S. შაჰნავაზიანის ტექსტის გამოცემა დიდხანია რაც მაინტერესებდა. ამ  
მიხნით 1928 წელს მე გავემგზავრე ლენინგრადში და იქ, საკავშირო მეცნიერებათა  
აკადემიის ყ. სააზიო მუზეუმში ხელნაწერის ფოტო-პირი გადმოვიღე და თვით  
ტექსტიც იქვე გადმოვიწერე. ჩემგან დამოუკიდებელ და ტექნიკურ მიზეზების გამო  
შაჰნავაზიანი მხოლოდ ახლა დაიბეჭდა საკმაო დაგვიანებით.

სასტამბო ტექსტი ცალკე დამზადდა ფოტო-პირის მიხედვით ჩემს და სოლ.  
იორდანიშვილის მიერ. ლექსიკონის და საძიებლების შედგენა ს. იორდანი-  
შვილს ეკუთვნის.

აქვე მინდა აღვნიშნო: 1928 წ. ჩემ მიერ შეკვნილ ხელნაწერის აწერილობის და-  
კარგული ნაწილი პროფ. აკაკი შანიძის თხოვნით დოც. ს. ჯიქიამ ლე-  
ნინგრადიდან აღმიდგინა. (მას ეკუთვნის ხელნაწერის აწერილობა მხოლოდ მინა-  
წერებამდე). მეგობრული დახმარებისათვის ორივეს დიდათ ვმადლობ.

შ ა ჯ ნ ა ვ ა ზ ი ნ ა ნ ი

քայլերունցն զանմամբ. զարտ. փրկու. արև. զարևոյ. լուս. լուս.  
 Երեսման. յառաջինը. զամբար. արար. զարև. լուս. լուս.  
 Բնա. երանցան. յարևոյ. և զայ. զարևոյ. զարև. լուս. լուս.  
 Ը Ը. Երան. զարևոյ. և զարև. զարև. լուս. լուս. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Ը Ը. Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Ը Ը. Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.  
 Ը Ը. Զարև. զարև. զարև. զարև. զարև. զարև. լուս.

[პროზითი პროლოგი].

...ს ყოველსა ქუეყანასა. და ჰქონდეს უფლება ყოველთა 9  
 დიდებულთა ზედაო. და იყო დღე ყოველ საკემწიფოთა საქ-  
 ციელთა და ზნეთა სწავლა. და აივსო ყოველისა საცოდნელითა.  
 ესე იყო სწავლა მისი: ბურთობა, ნადირობა, ლხინი, სოიბათი,  
 სიუხუე, სიჩაუქე, ასპერეზობა, სიმენე, კისკასად ქცევა ლომისა  
 მგზავსად<sup>1</sup>, ნაკუთიანობა, გუნებისა სიმდაბლე, სიტყუით, სიტ-  
 კობებით სრულ ქმნილი, გლაბაკთა მოწყალე, დაქვრდომილთა  
 კელის ამპყრობელი. ამა ყოველისა ზნეობითა სრულ იქმნა და  
 განივსო კეთილისა მყოფელობითა. და გავიდა სახელი მისი ქუე-  
 ყანასა ზედან. და იქმოდა ყოველი კაცი მის კერძ მოსულასა.  
 ნახიან და იკუირვებდიან ყმაწუილისაგან ეგზომ საქციელსა.  
 მიესმათ თავადთა და დიდებულთა ქარტლისათა და შექნეს  
 დიადი ვახარება. შეიყარნეს სულიად ქართუელნი და მომართეს  
 ამა დიდთა კემწიფის ძესა ვახტანგს და შემოეხუივნეს და ჰკა-  
 დრეს სიტყუა ესე ვითა: „ესოდენი ხანია იმა უსწოროთა კემწი-  
 ფეთა ტახტი დაიცალა და უპატრონოდ ვართ აბეზარ ქმნილნი. 10  
 და ვმადლობთ იმა სახიერსა ღთსა, რომელმან ესრეთ შეენი-  
 ერი ნაყოფი გამოგილო და შეგქმნა მის წილ მოღვაწედ და  
 მოგუივლინა პატრონად ჩუენდა. აწე მკუიდრ საპატრონოსა ამისო  
 მოედ და დაჯედ ტახტსა ამასა შენსა და ჩუენ ვიყოთ სიკუდი-  
 ლამდი მოსამსახურე შენი“. ესე ქართუელთა ნაუბარი მოისმინა  
 მან ყმაწუილმან და მიჰყუა ნებასა მათსა. და მოიყუანეს მცხე-  
 თას, საყდარსა სამეფუოსა. აკურთხა კზმან და მიულოცეს სუ-  
 ლად ქართუელთა და უწოდეს სახელი მეფე ვახტანგ. დამორ-  
 ჩილდენ ყოველნი ქართუელნი ბძანებასა მისსა. და გარივდა  
 კარი დარბაზისა. ყოველი მოკელე მის მისის რიგით განირ-  
 ჩივეს და საკადრისად სამსახურსა იქმოდინან. დიდებულნი და  
 საკითხავნი კაცნი გაუყრელად გუერცა იახლიან. თემისა და  
 ქუეყნის ჩენილნი და მოურავნი სამართლითა იქცეოდინან. ვინცა  
 უსამართლო რამ იკადრის, — თავითგან განაშორიან. ესრეთ 11  
 მშუიდობა შექნა, ვითა თხა და მგელი სწორად სძოვდიან. ვერა  
 იკადრის მგელმა თხისა კბენა. ამა მალლისა კემწიფისა სიმენე,

<sup>1</sup> დედ.-მგზავსახ.



შუენიერება და მოსამართლეობა გაისმა ყოველსა ქუეყანასა ზედა. უცხოთა და შორიელთა კაცთა იწყეს მოსულა. და მოვიდნენ ინდოველნი, არაბნი, ჩინელნი და მაჩინელნი, ოსმანი და ჩითაბნი, ფრანგნი და ბერძენი, რუსნი და ხაზარნი, ოგსნი და ყივყაჩნი. ესე ყოველისა ქუეყნის კაცი მოვიდის ამა კემწიფისა სანახავად და რა ნახიან მოიძაგიან მათი ქუეყანა და იყუიან ქალაქსა თბილისისა ეამიერად. ცნიან: მეფე გამოვაო,—იღვიან სრისა კარსა და ჰქონდათ მოლოდინი გამოსულისა. და როდეს იგი უკადრი მეფე გამოვიდის და ნახიან, კელ აპყრობით ღთსა მადლი მისციან და ამას იტყოდინან: „რომელსა ამისებრი ნაყოფი გამოგიღია, რომელ ამისებრი არა ნახულა“. დიდად გაიხარიან და ამ წესითა იყოფებოდინან. და უჩნდის მათთვის სასიცოცხლოდ. და უბძანის მეფემან ტკბილნი და ამო სიტყუანი ესე ვითა: „საპატრონოსა ამა ჩუენსა თქუენი მავნე არა გამოჩნდების, ნებასა თქუენსა ზედან ვანისუენეთ“. მათ გარეგანთა კაცთა პირი მიწას მოათრივეს და მალლისა კმითა კემწიფეს დალოცვედნენ. ამაზედან გამოვიდა მცირე რამე ხანი და მოახსენეს შაჰ შარიერსა ვითა: ქუეყანასა ქართლისასა ესეთი ვინმე გოლიათი და თუალ შეუდგამი მეფე დაჯდომილაო, რომ მისებრი კაცი ქუეყანასა ზედაი არავის ასმიაო. შარიერსა დიდად გაუკუირდა და სიამოვნე მიეცა დიადი. და ინება მის გუერდით წუევა. და ვითარის მიზეზით გაემართა, წავიდა და, ან ვითა წესითა ყაენი მიეპყრა და, ან ვითარის დიდებით გამოისტუმრა, ამბავსა მას ლექსი მოგითხრობს. შეიქნა ქუეყანა მდიდარი. აღარა იყო სათემოზე ზრუნვა. აყვავდა საპატრონო. იხარებდა ყოველი სული. და განავეს სადედოფლოს რივი და ითხოვეს ზღუათა კემწიფის დადიანის ლევანის ასული პირ მთუარე მარიაჲ. და შეიყარნეს ესე ორნი სატურფალნი და დააშუენეს<sup>1</sup> სრა და სამყოფი. იხარებდა მათისა ნახვით ყოველი სული. ამა დიდთა კემწიფეთა ინებეს ცხორება მათი. და კელ ჰყო მონამან ვინმე გალექსუად წიგნისა ამის.

<sup>1</sup> დედ.—დაშუენეს.

## [ლექსითი პროლოგი]

1

ქ. ესე ამბავი იწყების ქართულელთა კემწიფეთანი;  
ვინ კლმითა ბადრობს, მეძძოლთა შეაქნა ყოლგნით კუეთანი;  
ვერვინ დაუდგა სულდგმული, აბჯართა უწყო ფეთანი.  
სხუა ვით მოუთქუა სიკეთე, ანუ სისავსე ზნეთანი.

13

2

ჟამნი გარდაკდენ. მეფეთა არვის უბძანეს წერასა.  
არცავინ კელჰყო გამოთქმად, ტკბილ საუბართა თქმევასა.  
ან შელექესა რა რჯიდა, ველად დაეწყო რბენასა;  
დაუმაღლებლად სიტყუანი სად წარმოეთქუა ენასა?!

3

სიბძნით სავსემან რუსთულმან აქო ნესტანჯა, ტარია;  
იგ თინათინ და ავთანდილ, მართ მათი შესადარია;  
მრუდიცა მართლად გამართა, ნახულთა დასადარია.  
მთქმელი და გამამეტყუელი მისებრი არსად არია.

4

შეაერთა ტკბილ ქართულად, სიტყვა მკვევრი ასად ასო;  
მიჯნურთათუი ეშყი გულსა დასათრობლად ასად ასო;  
სიტყუა საღმთოდ<sup>1</sup> გასაგონი მსმენელთათუი ასადასო;  
თინათინით მოიპოვნა, ტყვედ ნესტანჯარ ა სადა სო.

14

5

როსტომ აქო სერაპიონ, კაცი სრული, არ თუ ნასი;  
ხოტბა ჰკადრა ფალავნური, იგ შეამკო მეტად ხასი;  
ბევრს მორიგა უნებლიედ, ვის შეეძლო სიტყუით ბასი,  
მან შელექსე მოიმღურვა, აღარ მისცა დასტიფასი.

6

კახთა მეფემან თეიმურაზ იწყო ლექსებსა წერასა;  
აქო ლეილი და მაჯუნნი, თუით გაისაჯა მწუე რასა;  
უსუფ ზილღხაც შეამკო მიჯნურთა ფეკთა მტუერასა.  
მას სიბძნე ჰქონდა ზღუისაებრ, უგბილთა შენამტერასა.

7

მათ შეამკუეს საუბარი; სხუა ცუდია, ნუ მოსცდების;  
ნუც ედრების მათ შელექსე<sup>2</sup>, დაილაღვის, ვერ მისწუდების<sup>3</sup>;

<sup>1</sup> დედ.-სა ლთოდ. <sup>2</sup> შელეგსე. <sup>3</sup> მისცდების.



შეუმოკლდეს ლექს<sup>1</sup> ქართული, მაშინ ცეცხლი მოედების;  
დაიღალვის ცუდად რბენით, სხუას ვერ ავნებს, თუით ივნების.

8

მაგრამ მათ აქეს უცხონი: ინლო და არაბელია:

ზოგი სხუაც ვინმე ახსენეს, ცუდად ნადირთან ვლელია; 15

. . . . დაუნახეს ნაქმარნი, იყუნეს რის საქმის მქნელია.

. . . . სიტყუა სათქმელად, ვერ დაიმაგრებს მოქმელია.

9

[მათნი ტკბილნი გონებანი მიკუთრს ვისთუ გარდაავეს!  
რამდენ გუარად სიტყუა მკვეცი ათქმევინეს ტურფა ბაგეს;  
გამოჩნრიკეს დაუკლებლად, კარგ სიტყუათა თუალნი აგეს;  
უცხოთათუი საბძოლელად მიდგეს, კმალი არ ჩაავეს.

10

რას ეკელყუის საქებარად ტარიელ და ავთანდილი?  
სად იცნობდეს უცხოს უცხო, ან რა ნახეს მათგან ქნილი?  
ყუელა ტყუილი შეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი;  
აქეს ვინმე უმეცარი, გაიმწარეს მათთუი ძილი.

11

აწ, თუცა ვარ უგუნური, კემწიფისა ყმა და მონა,  
არც სიბძნე მაქუს, შემეტყობის რომე სიტყუა მამეგონა;  
პატრონისთუის საქებარად მწარე ტკბილად მამეწონა;  
ვდგავარ მათად სამსახურად, დამიყრია ჭკუა და გონა.

12

თუი, მინახავს პატრონისა ძალი, სიმკნე, ჯომარდობა, 16  
კემწიფობა ცისა სწორად; მუდამ იკვრის<sup>2</sup> დაბდაბ, ნობა;  
მტერი ყოლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახუარ სობა.  
ტინი კლდეცა ვერ დაუდგის, შიშისაგან შექნის დნობა.

13

ყუელა ვსწერო, ვერ გაუალ; მართლად ვიტყუი<sup>3</sup>, არა ჭორად;  
სამამაცო მისგან ქნილი, რაც მინახავ გმირთა სწორად.  
რაცა ბძანის, მეუნებლემ ვერა ქნის რა ერთი ორად,  
თუარემ ცეცხლებ მოეკიდის, წამსვე შექნის დასამორად.

14

თუ მამისმენ კემწიფისთუი ვით ვაუბნო ტკბილად ენა;  
მას ვაქებ და მას ვადიდებ, თუარემ რა მრჯის, ცუდად რბენა?  
თავი დამიც საწამებლად, ვერ დამიგმობ, რაცა ვთქუნა;  
სიმკნე მითქუამს კემწიფისა, ვის არ მართებს ამის სმენა?!<sup>4</sup>

<sup>1</sup> დედ.-ლექ. <sup>2</sup> იკრის. <sup>3</sup> ვიტყუა. <sup>4</sup> ამისმენა.



15

გიაჯი, სოფელს მყოფელნო, ისმინოთ ჩემგან თქმულია;  
 რას ვიკელოვნებ უგბილი, ანუ ვით მოვრთვე გულია;  
 ვისი მწადს ქება, დიდება, მისთუი ვარ დადაგულია;  
 ამად მიგმართე სიტყუანი, არ იქნას დაქარგულია.

16

ვადიდოთ დამბადებელი, ღმერთი<sup>1</sup> არსითგან ქებული.  
 წამის ხანს შექმნა ყოველი, მის გამო არდაკლებული;  
 ცა, მიწა, წყალი შეათხზნა, მზე, მთუარე მიწყივ<sup>2</sup> რებული;  
 ანგელოზთ დასი შეამკო, ეშმაკი შექმნა ვნებული.

17

17

ადამ შექმნა მიწისაგან, მას უჩინა გუერდსა ევა.  
 მათ სამოთხე მიიბარა, ვერ იტუირთა, მით ქნა ჰე, ვა!  
 ამცნო სიბძნე, სურნელება, რომ ესმინა მისი თქმევა,  
 მაგრამ დასცდეს გუელისაგან, მით მიეცა ეზომ წყევა.

18

რალას არგებს სინანული, რადგან დარჩენ ბალსა გარე;  
 სიტკბოება მოეშალათ, მათ მოჰკრიფეს ხესა მწარე;  
 სამოთხესა გაეყარენ, დაუბნელდა ყოველი არე;  
 ვინ დაბადა, მათ უარყუეს; სხუა ვინ დარჩეს დაუმცდარე?!

19

ვიცი ბძენი ამა პირსა არ დამიგმობს, რაცა ვკადრე.  
 მართებს შიში მოწყალისა, მემცა ამად შევეკადრე.  
 ვინცა ეძებს სიმართლესა, უსათუოდ ჰჰოოს აღრე.  
 კაცი ღთისა მიუნდობლად თუ გამოდგეს, დაცამფადრე!

20

არ დააკლდების<sup>3</sup> სიმაღლე, ვინ გზა მართალსა ვლიდესა;  
 სავაქრო ჰქონდეს ძუირფასი, აღუილ არ გარდაჰყრიდესა;  
 სჯობს საუკუნე ეძებნოს, სიმშუილის ბარგსა ჰკურიდესა,  
 თუარამ ბოლოყამ ინანდეს, ამ სოფლის გარდამკიდესა.

18

21

ღმერთო<sup>4</sup>, შენ გაქებს ყოველნი, კელით შექმნილნი შენითა;  
 საკურველო და საშიშო, ძნელად საქებო ენითა;  
 გიაჯი შეწყნარებასა, ცოდვილთა რაცა ვქენითა;  
 რადგან ადამს აქვს<sup>5</sup> ოხება, ნურც შუილნი შევიჩუენითა.

22

გავბედე სიტყუა მცირედი, ღმერთო<sup>6</sup>, ძალითა შენითა,  
 მამეც შეძლება სიტყუის თქმად, ვიყო უსტართა რჩევითა;

<sup>1</sup> ღედ.-ლ<sup>2</sup> თი. <sup>2</sup> მიწყი. <sup>3</sup> დაკდების. <sup>4</sup> ღ<sup>2</sup> თო. <sup>5</sup> აქს. <sup>6</sup> ღ<sup>2</sup> თო.

არსად შევლონდე, პასუხი უკლებლად მოადენითა;  
კელვყავ ამბავთა წერასა, საქმითა ესოდენითა.

23

დავით, სიბძნითა სავსემან, მოირთო ტკიბლნი ებანი;  
იესოს ხისა ნაყოფი, შეითხზნა იგ სავსებანი;  
ახსენა დამბადებელი, შეასხა მგზავსად ქებანი;  
ქრისტიანეთა დაუგლო სიტყუა, ურთიერთებანი.

24

სოლომონ ფილასოფოსმან ზეცით გუირგუინი მოიცა;  
მას სიღრმე ჰქონდა სწავლისა, მით საპატრონო მოიცა;  
სჭირდა წყალობა ზეგარდმო, ჩამოეფინა, მოიცა;  
მცირეს სიტყუითა უარ ჰყო, მისგან გაძება მოიცა.

19

25

ვახტანგ გუარგასალ მეფემან დაიპყრა ხაზარელია;  
რუსნი დაჰფანტა, ყივყაჩნი, უომრად მათ არ ელია;  
თარაყან მოკლა, ბალათარ, საქმე ქნა საზარელია;  
ყაბარდის მეფე შეიპყრა, თქუა: „წასულას ნულარ ელია“!

16

ჩერქეზი<sup>1</sup> დაიონავრა<sup>2</sup>, მინდორი სულა დაფანტა<sup>3</sup>;  
შეიპყრა ციხე ქალაქი, მებძოლი ყუელგნით დაფანტა;  
კმალს შეაჯერა კუეთანი<sup>4</sup>, დაჭრა, დახია, დაფარტა;  
მას არ მიაჩნდა სულდგმული სწორად, მართ ვითა აპანტა.

27

მოვეყუეთ მცხეთელსა მირიანს, ვინ მეფე იყო რომელი;  
დგდა ქალაქი კელთ ჰქონდა, მას ვერა სჯობდა რომელი;  
ჰყუანდა ურიცხუი ლაშქარი, უანგარიშო რომელი;  
გარდაკდა, გავლო სოფელი, მას ვითლა ნახავ რომელი.

28

აშოთ კურატმა ძლიერმა თურქთ უყო დიდი რიალი;  
მათ შეანანა ნაქმარი, ვინცავინ<sup>5</sup> შექნა ყრიალი;  
მოსრნა, მოსწყუიტა ერთობით, გაქცეულთ შექნეს გრიალი; 20  
ქართუელნი დაათამამა<sup>6</sup>, ჰქონდათ ზათქი და ზრიალი.

29

მან დიდმან არჩილ მეფემან ირწმუნა წმიდა სამება;  
ახსენა არსთა მპყრობელი, ინდომა მისი ამება;  
ქართუელნი იხსნა თურქთაგან, დასწყვიტა ცრემლთა თქამება,  
სამოთხე დაისაკუთრა მით, რომ თავს იღვა წამება.

<sup>1</sup> დედ.-ჩერგეზი. <sup>2</sup> დაიონავრა. <sup>3</sup> თაფანტა. <sup>4</sup> კუეთანი. <sup>5</sup> ვინც ვინ. <sup>6</sup> დათამამა.



ბაგრატ კურატმა სიმენითა საქმე ქნა დევთა სადარი.  
 ჟამნი გარდაკდენ, მისებრი აღარ იხსენა სად არი.  
 ქუთათის ყოვლაწმიდისა მანვე შეუმკო სადარი,  
 და ჰქმნა შეძლება ღთისაგან და სათარველი სადარი.

## 31

ყოველთა იცით სიდიდით, თუ რა ქნა იმან და ვითა;  
 სხუა დიდნი მოსრნა მეფენი, ურიდლათ იმან დავითა;  
 სარწმუნოებით სავსემან, არ გასცა იმან დავითა;  
 მრავლად აშენა საყდარი, არა ქნა იმან დავითა.

## 32

თამარ მეფემან სიწყნარით მოირთო ყოვლი რიგია;  
 თავი მამაცად მოირთო, უნდოდა არ დარიგია,  
 გლახათა მისცის უზომო, თქუა: „სულსა მით მოვიგია“.  
 სამოთხე ჰპოვა უთუოდ, მისი სამყოფი იგია.

21

## 33

იტყოდინან: „ქალმან კმალი სამესისხლოდ ვით მოლესა.  
 საკელმწიფო, ტახტ გუირგუინი მას შეჰფერობს“, — აგრე თქუესა.  
 ჩინ მაჩინს ღ იმა მაშრიყს აქებდიან მისსა ზნესა,  
 მის ჟამშია საქართველოს ლომთაც ვერა დააკლესა<sup>1</sup>.

## 34

სხუანიც გარდაკდენ მრავალნი, სახელოანნი მეფენი;  
 წავიდეს, გავლეს სოფელი; ოკრად დააგდეს სეფენი;  
 უხუნი, გუნება მდაბალნი, არ სიჩქარითა მცქეფენი.  
 აწ გამიგონეთ, მსმენელნო, ვის უქო სიიეფენი.

## 35

უნებლად გავლეს სოფელი, ტახტი დასცალეს მათითა;  
 ვერა ირგეს რა, საწუთრომ ბოლოს გაჰკადა დავითა;  
 ვის შიში ჰქონდის უფლისა, ევედრის ტურთა ბაგითა;  
 აქ დარჩა მათი საჭურჭლე, ვის გესმით, თუაღნი<sup>2</sup> აგითა.

<sup>1</sup> დედ.-დაკლესა. <sup>2</sup> თუღნი.

**I. აქა ამაგაჲი უბაროს ხამწიფიშუილის მახტანგისა, რომლისა  
მგზავსი არა ნახულა აღამითგან დღეთამღა.**

36

მათგან დარჩა ვაჟი ვინმე, შუილი იმა კემწიფეთა; 22  
მის საკელად ვახტანგ დასდევს, აქებდიან კაცთა ძეთა;  
ცოტა იყო, ხუთის წლისა, ასწავლიდენ გმირთა ზნეთა;  
მართ მაშინვე დაამგზავსეს<sup>1</sup> დამრღუეველად სალთა კლდეთა.

37

სულ შეიყარა ქართუელნი, თავადი თუ სად არისა; 23  
არჩივეს ბრძენთა სიტყუანი, პლატონის შესადარისა;  
თქუეს თუ „გარდაკდენ მეფენი, ვახტანგ პატრონად კმარისა,  
ანუ ვინ სჯობდა წასული, ვაჟი მგზავსია მთუარისა!“

38

შეკრეს პირი ერთობილთა, შეიმოწმეს იგი რჩევა;  
ერთგულთა და მისანდოთა არ ინდომეს სხუისა თქმევა;  
ვინცა იყო მეუნებლე, მათ დაუწყეს შემოსევა;  
დაასრულეს<sup>2</sup> საუბარი, დაშლას ვერვინ გაერევა.

39

კათალიკოზი<sup>3</sup> მოუძღუის, მოსდევს სად რჯულის თავია;  
დიდთა დიდ გუართა თავადთა დროშა მიუძღუის, ქავია;  
მიჰყუების აზნაურები უანგარიშო, ზუავია;  
მედგრად მორთულთა მთიულთა ფარი ეკიდა შავია.

40

შემოებუიენეს გარეშე ამა კემწიფის ძესა და;  
ყუელამ შეჰკადრა სალამი ამა უსწოროს მკნესადა;  
დაუწყეს სიტყუა ხოშ გუარი ამა კეთილთა მქნესადა;  
სადიდებელნი პასუხი, ვინ იცის, სადით თქუესა და.

41

მოახსენეს: „მეპატრონე შენის მეტი არვინ არსა; 24  
შენ შეგფერობს ტახტოსნობა, შეუყუარდი ამად არსა;  
აწ დღეთგან შენი ვართო, ეპატრონე ამა სარსა;  
ჩუენ გმსახურებთ სარტყელ შერთყმით, საქმისაგან დაუმცდარსა“.

42

კულაცა ჰკადრეს: „მათ მეფეთა შენ დაგიგდეს ტახტი<sup>4</sup> სრული,  
ლახტი<sup>5</sup> დიდის ვახტანგისა, კმალი მკუეთი, იგ ბასრული,

<sup>1</sup> დედ.-დამგზავსეს. <sup>2</sup> დასრულეს. <sup>3</sup> კ-ზი. <sup>4</sup> ტახტი. <sup>5</sup> ლახტი.

რაში ეტლთა მიმგზავსებით, ღრუბელთაგან ჩამოსული;  
მოემართე ლომის მგზავსო, მტერი შეჰქვენ გაბასრული“.

43

ვახტანგ ბძანა: „თქუენი სიტყუა დავიჯერე მემცა განა,  
მკუილრი ჩემი საპატრონო მამხდომია, ღმერთმა<sup>1</sup> ბძანა,  
ერთგულნო ლ მისანდონო, თქუენ არ მოგკუდეს ჩემგან ნანა,  
ვის არ უნდი სადიდებლად, მას შიგა უც გულსა დანა.

44

ზურგი ყოფილხართ ტახტისა, შემსწრობნი ამა ხანისა;  
ხლებიხართ<sup>2</sup> იმა მეფეთა, პატრონთა იმა ხანისა;  
აწ გიპოვნივარ სათქუენოდ, ნდომა გაქუს ამა ხანისა;  
„სოფელსა მოაქუს სიმუხთლეს; ხან ეს არის ლ ხან ისა“.

45

რა მოიზარდა იგი ყმა, ვით აღვა მიერკეოდა: 25  
„თუალად და ტანად საროსა ჰგავსო, სამოთხის ხეოდა“.  
უცხო თემთაგან მოსულნი საქურეტლად მიეხუეოდა;  
მეტის დაჯრითა მოყმეთა კალთები დაეხეოდა.

46

სიფიცხე ჰქონდის ვეფხისა, ძალად ვით ლომი დგებოდა;  
მთუარესა გუანდის გავსილსა, მის უფრო არ ეგებოდა;  
მშუილდი ვერ ჰპოვეს ასეთი, საზიდრად მას რომ რგებოდა;  
მისნი მქურეტელნი სამისოდ სადალად გარდეგებოდა.

47

სოფლის მორკმა გაუკუირლად მას მიაჩნდის არცა ჩირად.  
შეეტყობის ესე მოყმე მტერსა ვაკდის ასატირად<sup>3</sup>;  
ურჩნი ყუელგან გაამწაროს<sup>4</sup>, სინათლეს ჩნდეს მათთვის<sup>5</sup> ძუირად.  
სათემოზე მას სახელი გაუვიდეს არა მკირად.

48

ამ წესითა იზრდებოდა, ვითა ეტლი ჯავარ სრულად;  
ლომს მიმართის საომარად, არც ყოლ ჰქონდის შიში გულად;  
ბურთი ჰქონდის სათამაშოდ, ნადირს სდევდის არ დამცდრულად;  
იმღერდის და ნადიმობდის, კმუნეა იყუის გარდასულად.

<sup>1</sup> ღმედ.-ღ-თმა. <sup>2</sup> ხლებიხართა. <sup>3</sup> ასტირად. <sup>4</sup> გამწაროს. <sup>5</sup> მათთვის.

II. ამა ქართულნი დიდებულნი უმიყარნეს და არჩივას  
ამა ძლიერის ვახტანგის ბატონოება და მომართეს  
დიდი ვინ იყო, ანუ წუჩილი.

[ . . . . . ]

III. ამა ამა მალღისა და უსწორო ხეშვიფის ქე ქართულთა  
მიუხუანეს მცხეთას მას ღვთივ: აღმართულს სახლარსა მათ  
დიდთა მფხთა სამარხონასა და მფხედ აქუთხეს და  
უწოდეს სახელი მფხე ვახტანგ, დამორჩილდენ ქარ-  
თულნი ბქანებასა მისა.

49

მეფედ აკურთხეს ლომგული, დასუეს მას ტურთა სეფესა;  
უწოდეს გურიგუინოსანი ამა უსწოროს მეფესა;  
გარდააყარეს ძუირფასი, მათვე ლაშქართა კრიფესა;  
ვისცა მიესმათ ყოველგნით, სამისოდ მოისწრეფესა.

50

შეიქნა შუება, უკუყრა, აღარსად ისმის კუნესანი;  
გარიგდა ტახტი მეფეთა, ვის არ მოსწონდეს ესანი.  
თავადთა ცხენთა ღგენა აქუს, მუშათა იწყეს თესანი;  
მონოზანთ წირვა გამართეს, იყუნეს კეთილთა მქნესანი.

51

მის მის ალაგსა მოკელე გარიგდა წინას ყოფილი;  
მანდატური<sup>2</sup> ღგას ბოლუქად, არ იყო განაყოფილი;  
სულად მოვიდენ ყუელანი, ვინც იყო გარდაყოფილი;  
აი ვსებთან ლარითა, ექნებათ გასაყოფილი.

<sup>1</sup> დედ.-ლ<sup>2</sup> თიგ. <sup>2</sup> მანტლატური.

52

ჭკუიანი და გონიერი მათ ვეზირი დააყენეს;  
საკითხავი კაცი ბძენი ტახტსა წინათ წააყენეს<sup>1</sup>;  
უგბილნი და უსწავლელნი არ მიუშუეს, ააყენეს;  
იგი დასვეს საკითხავად, სხუანი კარში გააყენეს<sup>2</sup>.

53

აივსო თემი ლარითა, არვის ასმია წინასა;  
ოქროთ მოირთეს ჭურჭელი, არვინ<sup>3</sup> ინდომებს მინასა;  
კმალი მურასად ნაქმარი არტყიათ, სძაგუნ რკინასა;  
იტყოდენ: „ქუეყნად სულდგმული ვინ გამოჩნდების გუინასა“.

<sup>1</sup> დედ.-წაყენეს. <sup>2</sup> გაყენეს. <sup>3</sup> არვი.



**IV. ამა ამა ყოვლის საქციელ სკულისა და დიდებით სახელ გასუ-  
ლის მეფის ვახტანგის სიგნე, სისკულე და შუანიეკაბა მიხსა  
შაჰ შარიეასა, დიდად იამა და მხატუარი გამოგჳაჳნა მეფის  
სახის გარდაღებად; ჰქონდა სურვილი მხატურის დროჳი  
მიხულისა.**

54

გაისმა ყოვლგნით ამბავი ამა უსწოროს მეფისა.

30

თქუეს: „მოსულაო სამოთხით საყნოსლათ სულთ იეფისა;  
უსულოს სულსა მიჰბერავს, ვინც მისკენ მოისწრეფისა;  
ვინ ელირსების საჭურეტლად, დრო მიხუდეს ვარდთა კრეფისა“.

55

ყაენს ჰკადრეს: „საქართუელოს მოჰფენია შუქი მზისა;  
მას უნათობს, საკემწიფო არ ეყრების, დგას, თუ ზისა;  
სულ მოუცავს სრა სამყოფი ელვარებით ანაგზისა;  
ვის ძალ ედვას საახლებლად, დავლა მართებს იმა გზისა.

56

ტანი ჭანდარსა მიუგავს, ანუ აზადსა საროსა;  
მისებრ უებრო მამაცი სხუა ნახულიყოს აროსა;  
პირი ცისკარსა მიუგავს, უღრუბლოდ მოედაროსა;  
ტკბილად საუბრობს, მოყმეთა არ ეტყვის<sup>1</sup> გასამწაროსა“.

57

ყაენს იამა უზომოდ ამა ამბვისა სმენითა;  
თქუა: „მიჩანს დიდად იმედად, ანუ ვით დავამცრენითა;  
რად დამიმაღლეთ ამბავი, ამდრომდი არა თქუენითა;  
სანამდი ვნახო სფაადი<sup>2</sup>, მას ვინატროდე ენითა“.

58

უბრძანა თუ: „ვაშად მოხუელ, აწ მიაშე სით ხარ მგლეღი; 31  
რამც იცოდე დავედრულად, შეიქენო მისი მთქმელი;  
მოჰყევ აღდილ საუბარსა, ნურა გინდა გასაძენელი;  
მიმაჩნია საალერსოდ<sup>3</sup> ყაენითგან აქ მამსულელი“.

59

მოახსენა: „კემწიფო, ვით რა ვკადრო სიტყუა მცდარი;  
გამამგზავნა შარიერმა, ვის უჭირავს მთა და ბარი;  
მათ მიესმა ქება თქუენი, ვის გინათობს ესე არი;  
მოველ, გნახე, სინათლითა დაგიჩაგრავს შუე და მთუარი.

<sup>1</sup> დედ.-არ ეტყის. <sup>2</sup> სფაადი. <sup>3</sup> სალერსოდ.

60

კელოვნება მაქუს, უებროდ დავბატავ ყოვლსა სახესა;  
რა შემოგკედე, სხივთაგან დავები ძნელსა მახესა;  
ციაგი შენად სამხერად დავრიდე, ვერა ვნახესა;  
არ ძალ მიც სახის აღება, კაცთა რაზომცა მძრახესა“.

61

ბძანა მეფემ: „მაემანი გარდუკადოთ ამა ყმასა“.  
დაჰპატიჯეს, მოიყუანეს კემწიფეს წინ იმა სარსა;  
თულს არ გაჰყრის საქურეტელად, დაიწყებდის ამოკურასა;  
გაიკურავა, ეზომ თურე გულმან უწუის ამოთქმასა.

62

მას მხატუარსა საბოძუარი მისცეს მრავლად, დაუთულელი; 32  
გაისტუმრეს გზასა გძელსა; იგ აღუილად არის ვლელი.  
მივა, შიამქუს გასასყიდლად სულ უფასო განძი ძელი;  
ჰპოვებს ჭირთა სამუქფოსა, შეიქნების ამბვის მოქმელი.

63

მივიდა, ნახა კემწიფე, მორკმული, ტახტსა მჯდომარე.  
კელი მოექდო მხატუარსა, ეგრეთად იყო მდგომარე.  
ყაენმა ბძანა: „მიამბე რა ჰქენ მას გზასა რომ არე,  
ანუ ვით ნახე ლომგული, თუ არ დავიკუდა მწყრომარე?“

64

მხატუარმა ჰკადრა ყუელი, რაც იყო მისგან ნახული;  
თქუა: „არ მასშია მისებრი კაცთა ძე გამოსახული;  
თულნი ვერ შევდგი სხივთაგან, იგ მქონდა სულ დაფახული;  
ველარ დავბატე, შევიქენ კაცთაგან ამაღ ძრახული“.

65

გაუკუირდა შარიერსა, მას შეექნა ნახუის ნდომა;  
ივას ვახის წამიერად, ნატრა ჰქონდის ათი ზომა;  
თუ წავიდე მისად შეყრად, არ მინდოდეს აქა დგომა,  
ვნახო იგი მოყმე ვინმე, არ წამიკდეს ცუდად შრომა.

66

მოახსენეს: „შარიერო, ნურას გუიწყენ ამა თქმათა. 33  
აქა მოსულა არ ეგების, ნუ გამოვჰყრით იმა ყმათა;  
იგი უვის სასიცოცხლოდ, მას აძლევენ სულთა ღგმათა;  
ვით ფარვანა ევლებიან, მისით ხედვენ იმა სრათა.“

67

გკადრებთ, ისმინეთ თბრობილი, თუ ნახუა მისი ვნებავსა.  
გავგზავნოთ ვინმე მხატუარი<sup>1</sup>, მცოდნელი კარგა მცნებავსა.

<sup>1</sup> დედ.-მხატუარი.

მივიდეს, ნახოს სფაადი<sup>1</sup>, იყოს მის წინა მქებავსა.  
დახატოს სახე, მოგართუას, ნახო, გულს მოვიღებავსა“.

68

რაცა ჰკადრეს შარიერსა, მოუსმინა მათგან თქმული.  
გამოგზავნეს დიდი ვინმე, კემწიფისა შინა ყული,  
მხატურობისა დია მცოდნე, კაცადაცა მეტად სრული.  
შეიღს დღეს თბილას<sup>2</sup> შემოვიდა ისპანიით<sup>3</sup> წამოსრული.

69

მოახსენეს ვახტანგ მეფეს უცხო თემთა კაცთა მოსულა;  
ბძანა: „კარგად დააყენეთ<sup>4</sup>, აწ არა კამს აქ შემოსულა“.  
მარტო დასხდეს სავეზიროს, სხუათა უთხრეს კართა გასულა;  
მათ არჩივეს რამცა იცის, სიტყუით გუინდა თავსა ასულა.

70

ზოგმან ზოგი თქუა და ზოგმან მიუკუდა რაცა ჰკდებოდა; 34  
კაცი ამგზავსეს მხატუარსა, სხუა რა ჩანს რა მოკდებოდა;  
თუ იკმეს მეფე უკადრი, ვითა ქნეს, არ მოკდებოდა;  
შეატყუეს ყულის ამბავი ვირემდი ჩამოკდებოდა.

71

რა გათენდა, მეფე შეჯდა, მინდორთაკენ გაემართა;  
ჯარი მისდევს უმარავი, მათ ქორები მოემართა;  
დაჰპატიჯეს მას მომსულელსა, სიტყუა მისთუის ეწალმართა.  
მოვიდა და კემწიფესა მუკლთ საკოცნად აემართა.

72

რა შეხედნა, ყმასა თულნი აეშალა, გაავცნობდა;  
მისნი ეგზომ გონებანი დაეფანტნეს, ველარ ბძნობდა;  
დიდს ხანს იყო გაშტერებით, სიტყუას ვერც ყოლ ვერ უბნობდა;  
მეფე ტკბილად ეუბნების, გულსა ამით მოუღბობდა.

73

თქუა თუ: „ღმერთო<sup>5</sup>, მადლი შენდა, მეფე შეჰქენ ესე შენად;  
მზე და მითუარე შეადარე, თუით კელი ჰყავ ასაშენად;  
ვის გამოჰკრთის ელვა მზისებრ, მჭურეტელთაოუი დასაშენად,  
ვინ ეღირსოს სიახლესა, დაუკლებლად არის შენად.

74

ანუ ვიკმოთ სიტყუა ტკბილი, შეუთუალოთ იმა გმირსა; 35  
ნუ თუ მამხუდეს შეყრა მისი, კულაცა ვნახავ აქა ვლილსა;  
სულსა მივსცემ გაუყრელად, არ დაუქერ ოქრო, მილსა,  
ლალ, ზურმუხტსა გამქუირვალსა, იაგუნდსა განათლილსა“.

<sup>1</sup> დედ.-სფაადი. <sup>2</sup> თბილისი. <sup>3</sup> ისპანიით. <sup>4</sup> დაყენეთ. <sup>5</sup> ღ-თო.



75

გამოგზავნეს მოციქული, სიტყუა ტკბილად მოუბარი,  
კუთიანი და გონიერი, იგი საქმის დაუმცდარი,  
შეუთულეს: „მეფევე ვახტანგ, ვის გიჭირავს ეგე მზლუარი,  
ჩუენ გუასმია: შენებრ მოყმე ქუეყნად კაცი არსად არი.

76

მოდი გუნახე, შეგიმცნო, მიგიჩნო ძმადა, შუილად;  
დია მსურის შეყრისათუის იქნას სევედა გარდავლილად;  
მოგცე ჩემი საპატრონო, გაგატანო ლალი თლილად;  
გიაჯები, არ დაურჩდე, აწ შეიქნა ჩუენკენ<sup>1</sup> ვლილად“.

77

გამოდგა ყორჩი მისითა მოკაზმულობით სრულია;  
ცხენი და კაცი კეკლუცად ნაქსოვში გამოსრულია;  
მოვა ცხენ მალედ, უკუყრით<sup>2</sup>, არ უჩანს აღსასრულია,  
სწორამდი მეფეს იახლა იგ, მზისა დასასრულია.

78

მეფეს ჰკადრეს: „უცხო ვინმე ვნახეთ ქალაქს შემოსრული; 36  
ყორჩი არის, შეეტყობის, შარიერით წამოსრული“.  
უბძანა თუ: „წადით, ნახეთ, რადგან არის აქ მოსრული  
უმასპინძლოდ, ეამიერად სარაითგან ჩამოსრული“.

79

ნახეს იგი მოყმე ვინმე, ჩამამკდარი წყლისა პირსა;  
უთხრეს: „სით ხარ მომავალი, ჩუენ ამბავი ვკადროთ გმირსა“.  
თქუა: „ვახლავარ კემწიფესა, შორით გზითა გამოვლილსა,  
თუ მიბძანებს, ვიახლები, ყუელას ვკადრებ, რაცა მჭირსა“.

80

მეფეს ჰკადრეს მონახსენი. ბძანა ხანსა დაყენება.  
მეჭმანდარი გაუჩინეს, კელის წყობად რაც იქნება.  
მას დღე იყო თავის წინა, კაცსა მისცეს მოსვენება.  
უმასპინძლეს აზნაურთა, მას აჩუენეს დიდად შუება.

81

დილა გათენდა. სალხინოდ მოკაზმეს დარბაზებია;  
კედელ ყურენი შეამკუეს, გაუბეს ფარდაგებია;  
ქვეშ საფენელი უებროდ, ოქსინოთ დანაგებია;  
კარზე უდგანან მოკაზმით ყოშუმად სარანგებია.

82

მეფე დაჯდა ტახტსა ზედან მზიარულად, ვითა მთუარე; 37  
მისსა ეგზომ შუენებასა გაენათლა შინ თუ გარე;

<sup>1</sup> დედ.-ჩუენ. <sup>2</sup> უკუყრით.

Handwritten notes in the left margin: 93.656 and a large handwritten number 4.

ეხუეოდენ სულად ჯარი, სავსე იყო იგი არე;  
უმძანებდის ყოველთავე მუდამ ტკბილად მოუბარე.

83

მოიყუანეს იგი ყორჩი, ეთაყვანა კემწიფესა.  
ტახტის გუერდით დაჰპატიჯეს დიდებულთა, ვითა წეს ა.  
დავედრული მოახსენა, რაც იცოდა, ყუელა თქუესა.  
წიგნი ჰქონდა, გამოიღო, მან მიართუა ზესთა ზესა.

84

წაიკითხეს სიტყუა ტკბილად ნახეს, მათგან მონაწერი.  
ეგზომ მისსა სიყუარულსა გაეკუირვა ყმა და ბერი.  
თავს შეესუა საუბრითა, იგ შეჰქნოდა ვითა მტუერი.  
ეთქუა: „შენად შეყრამდისინ არ მოუვა ვარდსა ფერი.

85

ვარ მამლოდნე, ნუ იყოვნი, მოდი მნახე ამას რასა;  
მიგიჩნევ და პატივსა გცემ, მე მოვრჩები ა მასრასა  
თან გაგატან ლალ გუარსა, ან კელსა ვყრი ამას რასა  
შენის ნახუით ვარდი ბაღსა გარდაურჩეს ამას რასა“.

86

მეფემ ბძანა: „მათი სიტყუა არის ჩემგან დასაჯერად; 38  
შარიერსა ჩემი ნახუა სწადის, დავდგე აქა მე რად?  
წაველ მათად შესაყრელად, ვიყო გძელთა გზათა ვლელად;  
მორჩილი ვარ ბძანებისა მათსა, სიტყუას გარდუვლელად“.

87

ხუალე წასულისა ნდომა აქუს; მუნ ხანსა არ დაზმიდესა;  
თან წასატანი საქურტკლე რაც იყო, გამოზიდესა.  
ლხინი აჩუენა მას ყმასა, ვით მართებს აგრე ზმიდესა;  
რადგან სჩქარობდენ წასულასა, მით ნელად არ იზროდესა.

88

ქუეყანას მცუელი უჩინა; თავადი ვინცა ვინარე.  
უმძანა: „ჩემად მოსულამდი ნუ გინდათ მოსაწყინარე.  
მონაპირენი ყოველგნით იდგენ, არ იყონ მძინარე;  
ადრე გაცნობო ამბავი, იყოთ უკუყრით მცინარე“.

89

თან იახლა მცირე ვინმე, მაგრამ კაცად მეტად ხასი;  
ნაქებნი და გულოანი, თუალად სრული, არ თუ ნასი.  
კემწიფე და მისი ჯარი მიდიოდენ არც ორასი.  
თქუა: „მცირე კამს საახლებლად<sup>1</sup>, რად მინდაო ბევრათასი“.

<sup>1</sup> დედ.-სახლებლად.



90

გადგა, წავიდა ლომგული იმა სამგზავროს წესითა;  
ყორჩი მიუძღუს, მიუბნობს შაქრისგანც უამესითა.  
აქლემის ყათარს ოთალი ჰკიდია, მივლენ კუნესითა;  
სადაც დადგიან, ხანები დახუდიან დღივ და დღესითა.

39

91

„მეფე მოვაო“ — ყოველგნით შეიქნა კაცთა მოდენა;  
გზასა და უადგილოსა ვინ იცის რას იქმოდენა;  
იჯრებოდინან საქურეჭლად, იქით და აქათ რბოდენა;  
მეტის დაჯრითა გუერდები დანებით დაიკოდენა.

92

უმასპინძლებდენ ხანები, არმოდნად მოაქუ სულია;  
იყო სევდისა უკუყრა, რა ნახეს კარგ უსულია;  
ნატრობდენ თუალის შეკურასა შორითგან წამოსულია;  
ყოშუმად დგიან საქურეჭლად, მოდის ერანი სრულია.

93

ყორჩმან ჰკადრა: „შარიერმან თქუენი მისულა უნდა სცნასა;  
წინათ წავალ, მოვახსენებ, მას ვიქმოდეთ რაცა თქუასა;  
ვიცი თუითან მოგეგების, რადგან გიკმობს მისად ძმასა,  
ნუ მაყოვნი, გამისტუმრე, მიბძანერა ამა ყმასა“.

94

დასტური მისცა, წავიდა, ყორჩმა ქნა მალედ რბენანი; 40  
მივიდა, ნახა ყენი, იკმარა ტკბილად ენანი;  
ჰკადრა: „მოვაო სფაადი<sup>1</sup>, ვინ ქნა სიტყუათა სმენანი“.  
სიხარულითა აივსო, ბძანა: „მწყალობდეს ზენანი!“

95

თქუა: „ხანები მიეგებოს, აქა მყოფი ვინც ვინ არი“.  
დაეკაზმნეს მისაგებად, რა ისმინეს საუბარი.  
ნახეს, მდაბლად უსალამეს, გაუკუირდათ მისგან ქნარი;  
უალერსეს მგზავსიერად, თქუეს: „ვინ ნახა ესე გუარი!“

96

გაუძღუეს, ჩამოაკდინეს, სად იყო ტურფა სრებია;  
ფენდაზებად უფენდენ, სად მძიმე სარასებია;  
მოვიდენ მოქალაქენი, შეასხეს მრავლად ქებია;  
თქუეს: „გუელირსაო სიახლე, აღარსად გასაშუებია“.

97

შემოვიდა შარიერი, არ აცალა ჩამოკდომა;  
უალერსა, პირს აკოცა, თუცა ჰქონდა ნახუის ნდომა.  
მეფემ დია მიაშურა, კელის კოცნა მოინდომა;  
ეთაყუანა კემწიფესა, ქება ჰკადრა თუ რა ზომა.

<sup>1</sup> დედ.-სფაადი.

V. აქა შავ შარიეკა ამა სახელოანის მუჟის ვახტანგის ნახუა  
 მოინდომა. ყოჩი გაგზავნა, დავკაბიჯა. და წავიდა ესე ახლ-  
 ვანი მუჟი და შიყარანს. მაჟინდელს მათგან სიამოვნება კა-  
 ცის ენით თქმად გაუვალთ. მოვიდა სულად ეკანი. უპირდათ  
 მუჟის სიხუენიეკა და სისრულე ეჟოგ, როგო გაყრა  
 ექნელეგოდათ.

98

ბძანა: „მადლი სახიერსა, შენის ნახუით გამახარა; 42  
 რომე მესმა ქება შენი, ათის ზომით უფრო ხარა“.  
 არც ყოლ თული არ მოსხლიტის, შხერით თავი არ დახარა;  
 ეუბნების: „ბევრსა მივსცემ, მოსულა შენი ვინ მახარა“.

99

რალას ვაგძელვებთ, მიეპყრა ყენი თავის სწორობით;  
 საუბარს უსმენს სიტყუასა, არა იქს ერთსა ორობით;  
 არ იყრის, მუდამ თან ახლავს, არცა თუ უნდა შორობით;  
 მარგალიტს აძლევს გობითა, უყრია წინა გორობით.

100

სხუა თულ გუარი ურიცხუი, ბადახშანისა ლალია,  
 ანათობს ვითა სანთელი, არა თუ იყო მქრქალია;  
 ოქროს შუშები მრავალი უყრია, ვითა სალია,  
 ჰკუთრობდა მისი მნახუელი, სად იყო ეზომ მალია.

101

ისპაან<sup>1</sup> შარი საკელოდ უბოძა, ამილბარობით;  
 მადლსა იკდიდა ლომგული, არ დია სიტყუა მცდარობით;  
 კისკასად მქცევსა უკდების წავლა, ვის მართებს ჯანობით.  
 თქუეს: „მტერსა შეიქს საწყალად, ამისის შემჯანობით“.

102

გილანი და იგ ზონი ყენისა არის ხასი; 43  
 შარი მრავლად მოწყობილი, კაცი სახლობს ბევრ ათასი;  
 იგინიცა საყმოდ მისა, ფალანგისა გარჯის ფასი.  
 მოდიოდენ სასალამოდ ქუეყნიერნი დასად დასი.

103

ერან თურანი საკითხად, ამრივად, მოაბარა მან;  
 მთანი და ბორცუნი კვლთ მისცა, აწ ასრე მოაბარა მან;

<sup>1</sup> დედ.-ისპან.

ჩამოუფინა სიუხვით<sup>1</sup>, თუარ ღმერთმან<sup>2</sup>, მოაბარა მან;  
ესე ლომ ვეფხი<sup>3</sup> საერთოდ, ეს მიკუირს, მოაბარა მან!

104

ყაენმა ბძანა: „მეფეო, ვით ვიყო შენგან შორობით;  
ტახტი მიგელის მნათობი, სიმაღლით ცისა სწორობით;  
გაყრისა სევედა არა კამს, გზათა შეიქენ წარობით;  
ქართუელთა მილოდინი აქუსთ, არ იქნა მათზე მცდარობით“.

105

მეფემ ჰკადრა: „შორს ყოფნითა შემექნების მეტად ნანა;  
ხლება შინდა კემწიფისა, მსახურებდე მემცა განა;  
უკუფიყრი კაემანსა, არ დამესმის გულსა მანა“.  
„გაგიშუებო, წასულა გიჯობს“, — შარიერმა კულაცა ბძანა.

106

საკელი გამოუცულა, უკმო შაჰნავაზ მეფობით; 44  
მისცა ყოველი გაგება, უთხრა თუ: „იყავ იეფობით,  
გამართე ლხინი უკლებლად, მორკმული იჯდე სეფობით,  
იკარ ბუქსა და ტაბლასა, ქარან მალიად<sup>4</sup> მყეფობით“.

107

გამოისტუმრა შაჰნავაზ, მეფე ღუთივ<sup>5</sup> გუირგუინოსანი;  
დიდს ხანს გამოჰყუა ყაენი, მორთუითა დოლბანდოსანი;  
მოუბნობდენ და ლაღობდენ, წინათ მოუძღუის მგოსანი;  
თქუეს: „ნატრა ჰქონდეს უცილოდ, მნახველთა ამა ღროსანი“.

108

გამოესალმა ყაენი, ავედრებს სიტყუას ამოსა;  
ეტყოდა: „შენი გაყრილი ვით ვიყო თუალთა წამოსა;  
მიმაჩან თუალთა საჩენად ნათელსა დაულამოსა“.  
ვინცა იახლა მეფესა, ყუელა სტაერიითა დამოსა.

109

გამოეყარა ლომგული, კელ გაშლით გამართულია;  
სუე სუიანობით მიშორობს, ვით აღვა ამართულია;  
მიუძღუის ეტლი საკეთო, საქმე ღუთივ<sup>6</sup> წაღმართულია;  
შუქური კელსა უწყობდა, სამისოდ მომართულია.

110

მახარობელი გაგზავნა, ქართუელთ აცნობა ყოველი. 45  
შესთუალა: „ტკბილად მოგუკედა, ცა წყალობისა მთოველი,  
ვიშოვე განძი უზომო, რისაცა ვიყავ მთხოველი,  
ვპოვე წამისად სიამე, კულაცა უფროსა მოველი.“

<sup>1</sup> დედ. სიუხით. <sup>2</sup> ღმერთმან. <sup>3</sup> ვეფხი. <sup>4</sup> მალიად. <sup>5</sup> ღმთივ. <sup>6</sup> ღმთივ.

111

მოვდივართ, დამხვდით შეყრილი დიდი ვინ, ანუ წურილია;  
მაშინლა შექნათ აჯაბნი, რა ნახოთ ჩემგან ქნილია;  
ქუეყანას მივსცე მშუილობა, სხუა საქმე გარდავლილია;  
ვის ღმერთი<sup>1</sup> სწყალობს, ძნელიცა იქნების სულ ადვილია“.

112

კაცი მივიდა, ქართუელთა უმახარობლა ყუელასა;  
გარდააყარეს<sup>2</sup> წითელი ამა სიტყუისა მთქმელასა;  
გამოემართეს წასავლად, ბარგი გაიღეს ველასა.  
არ დააკლდების<sup>3</sup> სიმღიდრე კარგთა საქმეთა მცდელასა.

113

თბილისს<sup>4</sup> მოვიდა კემწიფე; შეიქნა დიდი ყრიალი.  
სიმხიარულე ვაქართა; ჰქონდა ერთობით ზრიალი.  
გარდააყრიდენ<sup>5</sup> ოქროსა, კმასა მიჰქონდა გრიალი.  
უსუსურს ფეკთ ქვეშ იგებდენ, თეთრს შოულობდა ძრიალი.

114

მოვიდეს სულად ქართუელნი, აივსო იგი არები; .  
აღარეინ ჰკითხა სარანგთა, ვერ დაიმაგრეს კარები,  
მოვიდეს, ნახეს კემწიფე, ტახტს იჯდა ვით ცისკარები;  
სიხარულითა სავსენი ეყარნეს, ვითა მთურალეები.

46

115

რალა გითხრა მაშინდელი უკუყრა და ანუ შუება;  
ადიდებდეს კემწიფესა, მრავლად იწყეს მისი ქება;  
ერთგულნი და მისანდონი საქურჭლითა აივსება;  
ორ თუეს იყო შეყრილობა, არსით უჩნდათ მათ დამცრება.

116

შეიქნა ლხინი, უკუყრა, წინწილი კმობდა ტკბილობით;  
მას გუერდით ზმიდენ თავადნი, აყრიდენ ოქროს მილობით;  
სულ დიდებულთა სახლისა, ვინც იყო გუარიშუილობით;  
საქმე გამართეს ქართუელთა მათის კერკით და ქნილობით.

117

თქუეს თუ: „სცდებისო სოფელსა კაცი კქუათ მიუყოლელი,  
კამს მოიძებნოს სიწყნარე, არ ცუდად იყოს მრბოლელი;  
მახეს გაებას უთუოდ სიცრუის გარდამყოლელი;  
სხუაც გუიძეს გამოსარჩევად მეფისა იგ საყოლელი“.

<sup>1</sup> დედ.-ლ<sup>1</sup>თი. <sup>2</sup> გარდაყარეს. <sup>3</sup> დაკლდების. <sup>4</sup> თბილისს. <sup>5</sup> გარდაყრიდენ.

**VI. აქა ამა ზაჟიანთა და ბჟანთა ვეზირთა მუჟისას მსკით უმე-  
ჯუჟთოდ უღვას შვიზირგვადან და შაქნის რჩევა  
და საუბაკი.**

118

თქუეს თუ: „მეფე უღედოფლოდ ყოფილაო არა ოდეს;  
სჯობს რომ ესძებნოთ ქალი სითმე, აწვე თქუი, თუ ვის გასმოდეს“.   
ჰკითხვედიან ყოველსავე, კემწიფესა ვინცა ჰყმობდეს.  
სარჩლა<sup>1</sup> ჰქონდათ ვეზირებსა, რაც მართებდათ, მას იტყოდეს.

119

არჩივეს და ვერსად ჰპოვეს ქალი ყმისა შესაფერი. 48  
მეფე სკმუნავს უმზეობით, მოჰკლებია გულსა ფერი.  
ყმთა ჰკადრეს: „კემწიფეო, ვით რა გკადროთ მოსაფერი;  
ხანი მცირე დაიყოფნე, ნუ თუ ვპოვოთ სითმე ფერი“.

120

კაცმა თქუა: „გეტყუი სიტყუასა, არ გუანდეს დასაგმობელსა;  
ზღუათა კემწიფე მასმია, ლევანს უკმობენ რომელსა;  
მას ქალი უვის კეკლუცი, რომ არ ჰყოლია რომელსა;  
ნატრა მიხუდების ღთისაგან, ვის ძალ უც მისსა მიხოელსა.“

121

შეეყრივარ მისსა მნახუელსა, საქებრად ენა დაება;  
თქუა თუ: „ანათობს უებროდ, მზემან ვით ჰკადროს დაება,  
ანუ მთვარემა გავსილმან მას თუ უყიელოს დაება;  
ბროლსა მკერდზედან ზურმუხტი იგ მისად მგზავსად დაება“.

122

მას მზესა ჰქუიან მარიამ, ვინ ნათლად იცისკარება; 49  
თუითან მორთულა ბულბულად, ვარდისა იცის კარება;  
მკვეალნი უზის მთიებნი, მათივე იცისკარება;  
ტახტი უშუენის, შუქთა ჰვენს, ხან ბალსა იცისკარება“.

123

რა მოისმინეს ვაზირთა სიტყუა სალხენი გულისა,  
თქუეს: „ვპოვეთ სითმე წამალი, მამთელბებელი წყლულისა;  
მონელდა გული ცეცხლთაგან, აქამდი დადაგულისა;  
მეფეს მოვგუაროთ იგი მზე, ვინ არს ჩამდგმელი სულისა“.

<sup>1</sup> დედ.-სრჩლა.



124

თქუეს: „მოციქული გავგზავნოთ მის მზისა მათხოვარია;  
შევთუალოთ სიტყუა ამონი, არა თუ ვკადროთ მწარია;  
მოგუცენ ასული დედოფლად, ვინ ნათლად შემეკობარია;  
დიდთა მეფეთა საფერი მისმეტი არსად არია“.

125

გამოარჩიეს, გავგზავნეს თავადი, სიტყუა სრულია;  
შესთუალებს ტკბილნი<sup>1</sup> სიტყუანი, მას წინ რაც სავარგულია;  
ჰკადრეს თუ: „ზღუათა პატრონო, ისმინე ჩუენგან თქმულია;  
ამა უსწოროს მეფესა მოეციოთ თქუენ ასულია.“

126

ესე დიდგუარი კემწიფე არის მტერზედან მორევით;  
მაგა პირმზისა ამბავი მოესმა, იქნა მორევით;  
უჩანხართ დიდად იმედად, თქუენ ვით შეჰკადროთ მორევით;  
ჩალად სჩანს ყოვლი მებძოლი, არის გამკუეთი მორევით“.

<sup>1</sup> დედ.-სკბილნი.

**VII. აქა ლევან დადიანის ასულის ქება ამა დიდსა ხემწიფს  
მოახსენეს და სთხოვნელი ერთი ვინემ დიდბული  
გაგზავნეს და შესთუალეს სამოქურო და ტკილი  
საუბარი.**

127

კაცი გაგზავნეს, წავიდა, არ დადგის თულის<sup>1</sup> წამესა;  
ოდიშს მივიდა იგი ყმა სამს დღეს და ოთხსა ლამესა;  
დადიანს ჰკადრეს ამბავი იგ, ძილპირისა ჟამესა.  
მათ სიხარული მიეცათ, მის უფრო რა იამესა!

128

დილა გათენდა, მაშინვე მოიკმეს მოციქულია;  
უთხრა: „გუიამბე ყულაი, რაც იცი მათგან თქმულია“.  
მან მოახსენა: „პატრონო, ვარ თქუენს წინ მონა, ყულია;  
მან გამამგზავნა, რომელსა აქუს საკემწიფო სრულია.“

51

129

მოგახსენა კემწიფემან სიტყუა ტკილი, არ თუ შქისი.  
მათ მიესმათ ქალი ჰყავსო, იგ ანათობს ვითა დლისი.  
გთხოვა მისთვის სადედოფლოდ, ნდომა აქუსო აღარვისი.  
მოყრობა კამს დღეის იქით, თქუენ იქნებით ძმა და თუისი“.

130

ლევან იტყუის: „მათი სიტყუა მოვისმინე დია კარგა;  
ვიციტ დიდნი შეფენია, ჩუენ არ გუინდა სხუისა დარგა;  
კამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა;  
დამიც პირი მოყურობისა, წაიტანე თანა ბალგა“.

131

მოვიდა, ჰკადრა შეფესა გულისა დასადებელი;  
პირ მზიარულად იგი ყმა იყო მის მზისა შქებელი;  
თქუა თუ: „მოგცაო მნათობი, რისაცა იყავ მძებნელი“.  
შეფეს მიეცა ლხინება, თქუა: „გამინათლდა მზე ბნელი“!

132

მოახსენეს: „კემწიფეო, თქუენ არ გინდა დარიგება;  
სჯობს ნიშანი გაუგზავნოთ, იწყევ საქმის გარიგება;  
მიელიან თქუენს ამბავსა, დაყოვნება არ ეგება“.  
მეფე ბრძანებს: „თუალ გუარი იმა მზეზე გარდეგება“.

52

<sup>1</sup> დედ.-თულის.

133

კელი მიჰყუეს გასაგზანად, მარგალიტი მან დალალა;  
დაარჩივა<sup>1</sup> საკადრისად, უმჯობესი მანდა ლალა.

თქუეს: „ვპოვეთო ესე გუარი, მზისა ხლებად მანდალალა;  
ნახონ უცხო მოსაწონი, ვის არ მართებს მან დალალა“.

134

ამზადეს<sup>2</sup> მენიშენი, ვით მართებდა კემწიფესა;  
გასაგზანად ესე გუარი არ ენახოს კაცთა ძესა;  
ვინცა ნახა გაუკუირდა, არ მოსჩანსო ამა მკნესა;  
არ მიაჩანს დასადებლად მძიმე ლარი მძლეთა მძლესა.

135

წამსულელსა სიტყუას აბარებს, მზიარულისა პირითა;  
ჰკადრე: „სინამდი ვიცოცხლოთ ჩუენ ვიყოთ ამა ნირითა;  
გაუყრელნი ვართ მოყუარე<sup>3</sup>, გულ ტკბილად შენამზირითა;  
ვინ გამოჩნდების მებძოლი, ადრე ავაგსოთ ჭირითა.

<sup>1</sup> დედ.-დაარჩივა. <sup>2</sup> ამზადეს. <sup>3</sup> მოყარე.

VIII. აქა ამა ძლიერა ხმწივან დადიანს ლევანს ნიშანი  
 გაუგზავნა იმა პირ მთუარის ქალის შესაგმელად.

136

ორნი გაგზავნა, თავადი ერი და ერთი ბერია.  
 წავიდეს, მიაქუს გუარი, კაცთაგან დასაჯერია.  
 ვარდაიარეს ლიხეთი, დადგენ საღ მთისა წუერია.  
 ამა ტრფიალთა შეყრასა ბძანება ლუთისა<sup>1</sup> ერია.

137

დადიანს ჰკადრეს: „მოდიან კემწიფის მოგზავნილია;  
 ნიშანი მოაქუს უფასო, არიან თქუენს წინ ვლილია;  
 იაგუნდი და ზურმუხტი, ლალი შაშხანად თლილია;  
 მარგალიტს სიმსხო კუერცხს უგავს, რას ევარგების წულილია“.

138

შექნეს მზადება ყოველგნით, ქნეს საქმის მართებულები;  
 წიგნი გასწერეს სასწრაფოდ, იქ იკმეს დიდებულები;  
 ბანოანნი და მოყმენი, ვინც იყო უფლის წულეები;  
 თან წასატანად მრავალი, უცხო აქუს სავარგულები.

139

წინ მიაგება თავადი, მენიშნეს დააყენებდენ:  
 ღირსნი იახლეს დადიანს, უღირსთა გააყენებდენ<sup>2</sup>;  
 მათ მანდატური უჩინეს, პატივით მოაყენებდენ;  
 ისწრაფის იგი მენიშნე, იტყუის: „როს წამაყენებენ?“.

54

140

მოვიდენ ყოველგნით თავადნი, აივსო იგი არები;  
 ბანოანთ ქება ვით ითქმის, იყუიან ტურფათ დარები;  
 მოჰფინეს იგი პალატი, დაშუენდა მგზავსად სარები;  
 ფარდა აუბეს ძუირ ფასი, ოქსინოთ შენაკარები.

141

ქალი მორთეს მისად ფერად, ვის არ მართებს მისი მზერა!  
 სულ ციერნი გააკუირვა<sup>3</sup>, თქუეს: „რასა იქს მის მეტს მზე რა!“  
 შეჰჭრფინვიდა მუნა მყოფი, მჯდომი იყო, ან ზეზერა.  
 თქუეს: „ეყოფის ეზომ სხივნი, მოიმატოს ამაზე რა“.

<sup>1</sup> დედ.-ლ<sup>1</sup>თისა. <sup>2</sup> გაყენებდენ. <sup>3</sup> გაკუირვა.

142

შეიწუიეს დიდებულნი დასასხდომლად იმა არეს;  
ქალთა ჯარი ცალკე იხდა, სიკეკლუცე მათზე კმარეს;  
მარიამ ზის ტახტსა ზედან, იგი სჯობდა მზე და მთუარეს;  
მენიშენი მიაართუმდენ, რაც მეფესა დაეზარნეს.

143

შეაბეს ბროლსა ყელზედან, რა ზარგალიტი, რა თუალი;  
ჰკუირობდა მუნა მყოფელი, თქუეს: „შეუდგამსო რა თუალი“.  
ბძენთა თქუეს: „არის უზომო, ვით გაუზუიდე, რა თუალი; 55  
გუმართებს ნაცუალი შევიზლოთ, ან შევიწიოთ რა თუალი“.

144

ლხინი გამართეს, შეიქნა სმა, ლხინი, მეტნი მღერანი;  
სიმთურალე გახდა კაცთაგან, მიაქუს იქი აქ რყევანი;  
ლუინომ დალაკა ერთობით, მათში შეიქნა მრლუევანი;  
ქუუსა გარდურეგს, წესია, ლუინოს აქუს მისი ჩუევანი.

145

დილა გათენდა, შეიქნა მენიშნეთ გასტუმრებანი;  
აჩუქუეს ვერცხლი, ნაქსოვი, მრავლად, არ თურე მცრებანი;  
გამართენ და წავიდენ, დიდად თქუეს<sup>1</sup> მათნი ქებანი;  
გამოიარეს გზა გძელი, არსადით უჩნდა ვნებანი.

146

კემწიფეს წინა მოვიდენ სიხარულითა მეტიითა.  
მათ მოახსენეს ნახული, ქება თქუეს მეტის მეტიითა.  
ჰკადრეს მის მზისა ამბავი: „თულნი ვით გაძლეს ქურეტიითა;  
სრა და სამყოფთა სიკეთე, ტახტი უთქს ოქროს სუეტიითა.

147

მოგახსენა დადიანმა სიტყუა შაქრად შენაერთი:  
„შენი ვართო გაუყრელად, ამ საქმითა ფიცა ღმერთი<sup>2</sup>;  
ქორწილისა სიჩქარესა ბევრჯელ ბძანა, განა ერთი. 56  
აქუს სიმდიდრე ზღუისა მგზავსად, იგი მტერთა წანაერთი“.

148

მეფემ ბძანა: „ეგე სიტყუა არის ჩემგან უკუსაყრად;  
მივაშუროთ ვარდის ბაღსა, აღარ დავრჩეთ უკუსაყრად;  
მისი ეშუი გულსა ჩემსა შემოჰყრია უკუ საყრად;  
იგი მიჩნდეს სასიცოცხლოდ, სხუანი გაკდენ უკუსაყრად“.

149

წიგნი გასწერეს ყოველგან, ქნა ქორწილისა გაგება;  
შესთულა: „მოდით ყოველნი, მაქუსო საქმისა წადება;

<sup>1</sup> დედ.-თქუს. <sup>2</sup> ღ-რთი.



აწევ იარეთ, ნუ გინდათ ხუალე მოსულისა ჭადება;  
მივალ, შეყრა მწადს რომლისა, მისებრ არ დაიბადება.

150

„მორთუით წამოდით, იქონეთ საგძალი თუისა ორისა;  
ცხენ აბჯარ აკაზმულობით გიკმობდენ გმირთა სწორისა;  
მტერთა გასცემდეთ პასუხსა, იგ თქუენგან დასამორისა;  
ნუ თუ შორს წასულა მოგუინდეს, გარდავლა მთისა, გორისა“.

151

გაგზავნა ორნი თავადნი მის მზისა მოსაყუანებლად;  
თან გაატანეს ურიცხი საქმისა მოსაგუარებლად.  
მიდიან, საადუილოსა<sup>1</sup> იყუნენ თავისა მარებლად;  
კაცთა, ბძენთა და კკუიანთა საქმე ქნეს დაუმცდარებლად.

57 .

<sup>1</sup> დედ.-სადუილოსა.

**აბა აბა სახელოანება მიფიგან შაკნავაჲ მის ქუეხნის მნათის  
მოსაყუანებლად ოკნი ღიღებულნი გავჯავნა, თუითან  
ალს მივიდა.**

152

ოდიშს მივიდენ მაყარნი ღიღისა კემწიფისანი;  
ლევენს აცნობეს: „მოვიდენ, მოლოდინი გუაქუს ვისანი“.  
ბძანა: „უჩინეთ სადგომი, სადაცა იყოს სხუისანი;  
გუმარჯებს გაგება საქმისა, სისწრაფე ამა ღღისანი“.

153

შექნეს შზადება ყოველგნით საქორწილოსა წესისა; 58  
მოვიდენ ჯარი მრავალი, ვინც იყო უზედესისა;  
ბანოანთ რიცხუი თან მოჰყუა სხუა და სხუა უკეთესისა;  
მათ შექნეს ლხინი, თამაში, კმა არ ისმოდა კუნესისა.

154

უმასპინძლეს მათ მაყართა ზომისაგან ნამეტნავად;  
აჩუქებდენ მრავალ გუარად, კარგადრამე, არ თუ ავად,  
გარდასთულეს სამჯერ ოცი, გუერც მოუდვეს ოქრო თავად.  
სამზითოსა გამოზიდეს ზღუისა მგზავსად, დაუმცრავად.

155

კუბო მოჰკაზმეს მურასად, საჯდომლად იმა მზისანი;  
ოქროთ მოქედეს კამარა იგი ალვისა ხისანი;  
ზედ გარდაბურეს ნაქსოვი ძუირფასი, სარასრისანი;  
ალარ ხედვიდენ ღამესა, სინათლე ჰქონდის ღღისანი.

156

მიაბარეს სადედოფლო, მისი მზითუად წასატანი.  
აიყარნეს მასვე წამსა, ალარ დაყუენ მუნდა ხანი.  
მზე უკადრი გაყრისათუი, ვნახეთ იყო მონავანი.  
ისწრაფოდენ წასასულელად, მათ დაიწყეს გზათა ვლანი.

157

მზესა ჰკადრეს: „შენ შეგფერობს, ვინ იკელთოს, ანუ შენა. 59  
მოაწუივე ვასკულავთ რიცხუი, შემოისხი ანუშ ენა;  
სულ სურნელად საყნოსელო, ვითლა გმართებს ანუშენა;  
მე რა ვირგო შორს ყოფნითა, გაქრა მამხუდეს, ანუ შენა“.

158

შემოვიდა შარიერი, მზეს დაუჯდა მორთუით წინა;  
უთხრა: „სულთა უამესო, ძმისა გაყრით მოგეწყინა?  
წესი არის სოფლისაგან, ასრე მოდის ვინცა ვინა;  
აწ ისმინე, უკუყრა<sup>1</sup> სჯობს, რადგან მოხუელ შენსა შინა“.

159

მას ღამე მათი მხლებელი მოასხეს, პირობს კამასა.  
მეფე უკადრი უსულობს, თქუა: „რალა მიჯობს ამასა!“  
მოასხეს მკურელი, მუტრიბი, ვინ რომ იქმოდა სამასა.  
ჰქონდა სოფლისა უკუყრა, თუალს არ მოსხლეტდა წამასა.

160

ლხინი ნახეს უსაზომო, მოემატა ვარდსა ფერი;  
დააშუენეს<sup>2</sup> იგი არე, მოიპოვნა ვარდსა ფერი.  
მისსა მკურეტსა მართებს ღა რა, შეჰკადროს რამ ვარდსა ფერი.  
ეტყობის რომ აღარ ხელობს, უშოვნია ვარდსა ფერი.

161

მულნსა ჰკრეს, ძალსა მოსწივეს, ზილს ჰქონდა მორთუით  
ებანი; 60  
ქამანჩა მორთეს სატკობობლად, დაჰირამ იწყო ებანი;  
წინწილის კმასა შეემკო<sup>3</sup> სახლი, შუკა და ებანი;  
სამოთხის მგზავსად ისმოდა, იმრიგად კმობდა ებანი.

<sup>1</sup> დედ.-უკუყრა. <sup>2</sup> დაშუენეს. <sup>3</sup> შემკო.

ამა თბილისს<sup>1</sup> მოვიდა მაღალი ხანძარი და განაგო  
ქოჩვილი თუხისი.

162-

თბილისს<sup>1</sup> მივიდა ტახტზედან, ქნა ქორწილისა გაგება; 61  
წიგნი გასწერეს ყოველგნით, შესთუალეს დიდად მზადება:  
„ადრე მოდითო, ნუ გინდათ სიგუიანე<sup>2</sup> და კულადება:  
ამა გუირგუინთა დახურვა თუით არის ლუთისა<sup>3</sup> წადება“.

163

მოვიდენ დიდნი თავადნი, თან ბანოანი ჰყუებოდა;  
მოსდევს რიგი და გაგება, მის უფრო არ ეგებოდა;  
სრულად აივსო ქალაქი, ზოგი ნაპირად დგებოდა;  
ერისთუებსა და უფროსთა კემწიფე გაეგებოდა.

164

თულ უწომელსა მინდორსა დადგეს სეფა და კარავი;  
გარ შემოავლეს თეჯირი, მას ვერას აენებს მპარავი;  
მოჰფინეს ორხოვებითა, ოქსინოთ შენაკარავი;  
ტახტი დაუდგეს მურასა, დაჯდების მტერთა მზარავი.

165

მომართეს რიგი ყოველი<sup>4</sup>, რაცა ლხინისა წესია;  
საქმელი ფერად ფერადი, შაქრისგანც უამესია;  
სხუა და სხუა რიგი შილანი, ერთმანეთს უკეთესია;  
შეიქნა წუევა, მოწუევა, მასპინძლობს ზესთა ზესია.

166

პირშე დასუეს ტახტსა ზედა, დააშუენა<sup>5</sup> იგი არე; 62  
მეფე უზის მხიარულად, გავსილია ვითა მთუარე;  
შემოისხეს ბანოანი<sup>6</sup>, ყუელა მნათობთ დასადარე;  
შეიწუივებს დიდებულნი, იგი ლხინთა დაუმცდარე.

167

სუფრა მიიღეს<sup>7</sup>, შეიქნა სმა კამა, მეტნი შუებანი;  
არვის ასმია კაცთაგან, მათ შექნეს შემოკრებანი;  
კაცი და ქალი მორთუით ზის, ეტყობის არა კლებანი;  
მულნსა ჰკრეს, ამოდ იუბნეს, იგ ტკბილად ამომღერანი.

<sup>1</sup> დედ.-თბილისს. <sup>2</sup> სიგუიანე. <sup>3</sup> ლ-თისა. <sup>4</sup> ყველი. <sup>5</sup> დაშუენა. <sup>6</sup> ბანოანი <sup>7</sup> მიიღეს,

168

სწორამდი ლხინი გამართეს უკლებლად, დაუძალავად;  
თავისმელნი სმენ ლუინოსა გობითა დაუძალავად;  
უფროსი ერთი დაითრო, შეექნა კარში მალავად;  
კალთაში უდგმენ ჩარებსა, ვერ შესმენ დაუძალავად.

169

ლხინი ნახეს ეზომ რომე, არ ნახულა იმ კამათი;  
ბანოანნი<sup>1</sup> ტრფიალობენ, ვითა ვინ თქუას ქება მათი;  
ლალს უჭირდა ფეროვნება, რას ივარგებს მასთან სათი;  
სიმთურალითა დაიფანტნენ, თულა იჯდა კაცი ათი.

170

კემწიფე ლალი, უკადრი, დასკლის გობსა და თასებსა; 63  
აღარვის ძალუც დაღევად იგ დიდებულთა ხასებსა;  
შესუამს, უჭირავს მინები, კიდევ და კიდევ ავსებსა;  
გასცემს ჯამსა და ჭურჭელსა, იგ ძუირად დასათასებსა.

171

სუფრა აიღეს, წავიდენ, გავლეს დარბაზის კარესა;  
სიმთურალემ მეტად დალაკა, თავსავე დაიბარესა;  
ქალნიცა გამოეთხოვნეს იმა ულამო მთუარესა;  
წავიდეს საწოლისაკე, შათ ქმართა მიებარესა.

172

მე ვითა ვთქუა მაშინდელი ლხინი, ანუ ლართა ცემა!  
მეფისაგან ძუირ საფასო დაუყონლად გაიციემა;  
სიტკბობება<sup>2</sup> მრავალფერად მათ მიჰფინა, ართუ ცემა;  
გაიყარნეს წასასულელად, წყნარი არსად დაეციემა.

173

საშოებლითა აივსო დიდი ვინ, ანუ წურილია;  
ლარი წაიღეს უზომო, ყუელა შეიქნა ვლილია;  
დიდებულთ ჰქონდა საჩუქურა [დ] ლალი ბადახშანს თლილია;  
აღარ სად იყო მოწყენა, ადგა ლომგულის ჩრდილია.

174

ამა ლომგულის ამბავსა მოვყუები, ვათქმევ ენასა; 64  
სიტკბობითა სრულია, მით შეუყუარდა ზენასა;  
ზე მისად მგზავსად ნაყოფსა დაუწყებს ამოცენასა;  
უხუსა, გუნება მდაბალსა მას უქებ რა მოთმენასა.

175

საახლებლად<sup>3</sup> სპათა ჯარი მუდამ იყუის სავედ სარი;  
იმათებრი მეომარი, მამისმინე, არსად არი;

<sup>1</sup> დედ.-ბანოანი. <sup>2</sup> სტკბობება. <sup>3</sup> სახლებლად.





მამაცი და გულოანი, იგი გმირთა დასადარი;  
მათსა კმალსა ვერ დაუდგამს კლდეცა იყოს მეტად სალი.

176

ბევრჯელ შექნის მიემანი, რა მივიდის ტურფა სრასა;  
კელი გაშლით, გული სივრცით, დაიწყებდის ლართა სრასა;  
დაარიგა<sup>1</sup> სულ საჭურჭლე, თქუა: „ვაქნეო ამას რასა?“  
მეუნებლე მოამდაბლა, მტერნი მისცა ღია სრასა.

177

გაცის ურიცხუი ტაიკი, მოკაზმულობით მერანი;  
მოსხმა უბძანა მეჯოგეს, თქუა: „სადაც მყუანდეს მერანი;  
ერთგულთა ყმათა ბოძებად არ დაუშურო მე რანი;  
ამა სპათაგან მენახოს მებძოლთა ზედა მე რანი“.

178

ზოგჯერ დაჯდის სასამართლოდ, შემოიხსის<sup>2</sup> კაცი ბძენი. 65  
დაიჭირის შიში ლუთისა<sup>3</sup>, თქუის: „რაცა კამს, იგი ვქენი“.  
სამართლითა გაარჩევდის<sup>4</sup>, არა ქნისა შესაჩუენი;  
ყუელაკასა მას იქმოდა, რაცა ბძენთა მონასმენი.

179

თბილის ქალაქი შეამკო, არ ითქმის კაცთა ენითა;  
დუქან ბაზარი გამართა ბალახანითა ზენითა;  
ყოფილა უცხოთ თემთაგან, აივსო მუდამ დენითა;  
ასი ზომა სჭირს სიკეთე, ამაზე რაცა ვთქუენითა.

180

რა გიამბო, ძუირ საფასო იშოების თუ რა ლალი.  
სიტკბოება მრავალ ფერად გამოისმის თურალალი.  
ზოგს დაბმია სასაუბრო, რას იძრახებს თურალალი.  
ბევრი მივა სავაჭრებლად მათ შექნია თურალალი.

181

სახლი ვაქართა ვით გიქო, როგორ მორთუით აქუს თალარი;  
მორკმა, სინდიდრე ზღუისაებრ უყრია იმათა ლარი;  
თუალ მარგალიტი უზომო, თუ როგორ განათალარი;  
მათ რომე სჭირდა ლართა ყრა, ვერა ვთქუი ნათალარი.

182

ამ რიგად მორთო ქუეყანა, სიმდიდრით მეტისმეტითა; 66  
იყო ზათქი და ზეიმი, თუალნი ვერ გაძღის კურეტითა;  
მინდურად დადგიან კარვები, უფროსი ოქროს სუეტითა;  
უცხო თემთაგან მოსულთა ქება თქუეს ნატრა ნეტითა.

<sup>1</sup> დედ.-დარიგა. <sup>2</sup> შემოიხსის. <sup>3</sup> ლ-თისა. <sup>4</sup> გარჩევდის.

183

კემწიფის ტახტი საკადრად დგას ქალაქს შუაგულოსა;  
სრა და ოთალთა სიკეთე კაცმა ვით განიგულოსა;  
ოქრო მელნითა სურათი ტანს მოსუით მას აგულოსა;  
ყოლგნით მოვიდის მნახუელი, კარი არ დაეგულოსა.

184

უზის ლალი და ზურმუხტი ტახტსა, ვინ ჰკადრა ამარტა;  
აღმასი ღამე მნათობი, მან თავი თუისი ამარტა;  
არის უსწოროს ფასისა, სხუათა ერთობით ამარტა;  
არ იყო ამათ საფერად, სეილანი არვინ ჩამარტა.

185

სახლი სალხინოდ ნაგები, მტკუარს ადგა ტურთა თალარი.  
ფრანგთ ოსტატთაგან ნაგები, მათგანვე განათალარი.  
ჰკრეს მათნი კელოვნებანი, მომართეს ამო თალარი.  
კემწიფე, ლხინთა ჩუეული, უბოძის მოყმეთა ლარი.

186

იგ ბალსა შუა სალხინოდ მორთვით დგას აინახანები; 67  
მისსა მნახუელსა სარჩლა აქუს, გულო ნუ ხელობ, ხან ები;  
ეშყი სურვილთა ბადეა, ხან ძალი მისწევს, ხან ები;  
მათ მოსძულდების სამყოფი, რა შევლენ, ნახვენ ხანები.

187

სურა დგას იაგუნდისა, სხვა ზურმუხტისა თასები.  
შირაზულისა ლუინითა არის უწყვეტლად საესები.  
სხუა თუალ გუარის ხონები, კაცთაგან დაუფასები;  
შევლენ, დალევენ ფიალას იგ დიდებულთა ხასები.

188

გუარით არის მოცული, თუალს აღარა აქუს ტევანი;  
ხშირად მიუბამს, ჰკიდია მარგალიტისა მტევანი;  
ნახჩი აქუს იაგუნდისა და ზურმუხტისა<sup>1</sup> ხევანი;  
კარს წინ მოუდგამს საჩრდილად სრავ ზაბარჯისა სევანი.

189

წყალი დის, ავზი სავსეა, მებალე ვარდსა რწყუიდისა;  
რა გაზაფხული მოვიდის, სადენლად არ დასწყუიდისა;  
ვარდის წყლით სავსე ყუელაი, მინებსა ვერ დასთულიდისა;  
რა დაჰქნის ვარდი, ბულბულმან იმედი გარდასწყუიდისა.

190

შევიდის მეფე საწოლსა, განათლდის იგი არენი; 68  
შეიყრებოდენ ტრფიალად, სამისოდ მზე და მთუარენი<sup>2</sup>;

<sup>1</sup> დედ.-ზურმუხტისა. <sup>2</sup> მთარენი.

კორც შესხმით მათებრ სულდგმული სოფელს ვინ დავადარენი;  
სიამოვნითა სავსენი, ლხინთაგან დაუმცდარენი.

191

ვინ დაბადა კელ აპყრობით გულსა ჰქონდა მისი ესვა;  
ადიდებს და ვევედრების, მის კერძ იყო მისთუის ესვა;  
ვინ მიენდო სიმართლესა, გულს ლახუარი მას არ ესვა;  
თუარამ მიჰყუეს სიმუხთლესა, არ ასცილდეს მას არეს ვა.

192

სოფელს მყოფსა მეფე ვინმე არ ნახულა ამხსთანა;  
ულმრთოდ<sup>1</sup> საქმეს არ მიმართა, მით არ მიხუდა სოფელს ნანა;  
კაცი მიჰყუეს სიმართლესა, თუინიერმა ასრე ბძანა;  
ვინ უარჰყო ფიცი სრული, მას შიგა უც გულსა დანა.

193

მორთო ყოველი სიმდიდრე, მეფეთ სახლისა წესები;  
ოქრო, ვერცხლი და ჩინური რაც იყო უკეთესები;  
იაგუნდისა სურები, არვის ჰქონია ესები;  
ბროლისა გობა სასმელად ეყარის დასაკუნესები.

194

ფარდა ოქსინოთ ნაკერი მოვლიან კედელ ყურესა; 69  
ქვეშ საფენელი სტაფრისა, სხუას ნაქსოვს არ უყურესა;  
მარგალიტისა სუზანი საფენსა გარდაბურესა;  
ამას გავს, სახლი სამყოფი ოქროში გააცურესა<sup>2</sup>.

195

მარიამ უზის დედოფლად, პირად მზე, სარო ტანია;  
მისთა სხივთაგან გამოჰკრთის ციმციმი გასაკმანია;  
ბროლსა ყელზედან შეშუენის გიშრისა თმათა მსხუანია;  
სურის მჭურეტელთა ისმინონ ტკბილთა სიტყუათა თქმანია.

196

შეამკო ტახტი ნათლითა ელვარედ შექთა მფენემან,  
ტკბილ მოუბარმან, მდაბალმან, მუდამ ცისკროვნად მთენემან,  
სამოთხის ნერგმან შეუენებით სულ სურნელ ამომცენემან,  
მთუარისა მგზავსად გავსილმან, ნაზად თავისა მქენემან.

197

ბანოანი გაუწყუეტლად მუდამ ახლდის ქალთა ჯარი;  
მათი ეგზომ სიკეკლუცე არის ვასკულავთ დასადარი;  
პატრონს თავსა ევლებიან სამუდამოდ დაუმცდარი;  
ვით გაუვალ საქებარად, მათ შეემკო იგი არი.

<sup>1</sup> დედ.-ულ-თოდ. <sup>2</sup> გაცურესა.

198

ზღუათა მეფისა ასულმა სინათლით მზესა დარია;  
ცასა მოსტაცა კამკამი, ქუეყნად მოჰფინა დარია;  
მნათობთა შექნეს ჩივილი, პირმზის სევდამან დარია;  
თქუეს: „მისი ვართო მონანი, ვის რომ არა ჰყავს დარია“.

70

199

ზის უღრუბლოდ ქუეყნის მნათი, მისთა მქურეტთა  
დალაღევდა;  
ლაწუთა მისთა ელვარება სინათლითა დალაღევდა;  
გუელნი ხშირად შემოეწნა, ართუ მარტოდ დალაღევდა;  
ჩალანა ჰკომბს ამოდ რასმე, აგრე ჩანგი დალაღევდა.

200

სრას ავლია ტურფა ბალი, სულ სურნელობს დღე და ღამე;  
ვარდი ყუავის მისებურად, დავადარო სხუა რალა მე;  
ბულბული სცავს მისი ხელი, თქუა: წავიდე სადალა მე?  
ვპოვე ჩემად სასიცოცხლოდ, ამად ვიქენ სადალამე!“

201

სხუა ყუავილთა ფეროვნება არ იქნების კაცთა ენით;  
ზამბახი და იასამან თუით ყაყაჩო ვით ვაქენით;  
ნარგიზისა ფერი მამწონს, სხუა რა უქო სულთა<sup>1</sup> დენით;  
ვარდი მეფობს ყუავილზედან, ილაღვიან ცუდად რბენით.

202

ვერ დაღსთულე ოქროს კოკა, დააწყუიან მგონი ასი, 71  
მნახულთაგან მოსაწონი, იგი უცხო დასაფასი;  
ჩარა ძნელად დასაღევი, გორად ჰყრია ოქროს თასი,  
თუალი უსხბდა გამჭუირვალი, მოსაწონი არ თუ ნასი.

203

რა ლხინი ბძანის მეფემან, მორთიან ყოვლი რიგები;  
უხუცესნი და უმცროსნი, მოკელე თუით იმ რიგები,  
რაცა უბძანის, იქმოდენ, არ იყო სიტყუის მიგები;  
მოწყალის პატრონისათუი, ყმამა თქუა, გარდავიგები.

204

მოაწუივეს დიდებულნი, აპირებენ ლუინის სმასა;  
მოდგა ჯარი უთულავი, უბან-უბნად, დას და დასა;  
იგ იყუიან დევთა სწორი, თულადაცა მეტად ხასა;  
საჯიღე და თავსახუევი მათი ვერვინ დააფასა<sup>2</sup>.

205

ქამა გარიგდა, მოიღეს უანგარიშო ხონები;  
ფერადფერადი ქამადი უქირავს, დგანან მონები;

<sup>1</sup> დედ.-სუთა. <sup>2</sup> დაფასა.

ათასი რიგი შილანი, კაცთაგან მონაგონები;  
მეფე მოერთო სალხინოდ, არა სკირს დასალონები.

206

მომღერალთა ჩანგი მორთეს, იმღერიან ტკბილის კმითა; 72  
ჩაღანა და უდ ქამანჩა, მულნი დაშურა ამო თქმითა;  
დაპირაზე მოთამაშემ ხლტომა შექნის თურა ქნითა;  
ლხინი მათი მაშინდელი ქება წლამდი ვერა ვთქუითა.

207

შეიქნა სმა და გასმევა, მგზავსი მეფეთა წესისა;  
დალივეს გობა ოქროსი სხუა და სხუა უკეთესისა;  
მეფე ამგზავსეს სოლომონს, ანუ „დავით არს“, თქუეს ისა;  
დამთურალიც არვინ გაუშუეს<sup>1</sup>, კარს იასაული დგეს ისა.

208

ხანები უსხდა მრავალი, ბეგი, სულთანი აღარა;  
ლუინომ დალაკა იგინი, სხუა მოითხოვეს აღარა;  
ჰყრიან უსულოს მგზავსებით, კმასა ვერ ასმენს ნალარა;  
გაუკაცრავდენ პირთაგან, კალთა აივსო, დალუარა.

209

სწორამდისინ ლხინი იყო, მათ გაუშუეს კაცი არსა;  
ამას გუანდა სიმრავლითა ცას ქუეშეთი იქი არსა;  
აქებდიან კემწიფესა, შეუქნია იგი არსსა;  
მაღლი ჰკადრეს შემოქმედსა, პატრონი ჰყავს ამასარსა.

<sup>1</sup> დედ.-გაუშეს.



XI. აქა აგზავი აგა უსწოროსა<sup>1</sup> და მალლის ხამწივის  
 შიულუებისა, რომლისა მგზავსი არა ყოვილა და არცა  
 ხსენებულა ამათებრი.

210

უფროსსა<sup>2</sup> არჩილ უწოდეს, რომელი ლომსა დარევედა;  
 ცისკარს უგუანდა ყელყური, გავსით მთუარესა დარევედა;  
 ედემის მგზავსად შუენოდა, სურნელებითა დარევედა;  
 რა მოიზარდა იგი ყმა სულად თემზედა დარევედა.

211

მისსა შედეგსა გიორგი, ვის ტანი უგავ საროსა;  
 შუენებით მგზავსი<sup>3</sup> ალვისა, მისებრ ნახულა აროსა;  
 თულად და ტანად ტარიელს, ან როსტომს დაედაროსა;  
 მისსა მნახველთა საქებრად ჰქონდის კაცთაგან კმაროსა.

74

212

ორთა ზნე სრულსა, მომტანსა შეჰტრფინავს ყოველი სულია;  
 ხე ნორჩი, ალვა ნაზარდი სამოთხით გამოსულია;  
 მთუარეა პირგავსებული, ანუ მზე ჩამოსულია;  
 ვარდია ტურფად გაშლილი, ფეროვნებითა სულ ია.

213

ლეგანს უწოდენ სახელსა, არიან მისნი მკომბელნი;  
 მუნა მყოფელთა ლხინი აქუ გაყრისა ვერ დაჰმომბელნი;  
 თულასა ვერ შესდგმენ სხივთაგან, არიან იგ დამკომბელნი;  
 თქუეს: „ედემს შესულას ამგზავსოს ხანისა აქ დამყოფელნი“.

214

მზატუართა შექნეს ცილება, მაგრამ ვერაეინ სახევედა;  
 მათ ვით ძალ ედვა თუინიერ, მოწყალე გამოსახევედა;  
 მიდიან თავის უქებნი, ერთი მეორეს სძრახევედა;  
 ვიცოდით, ესე მთიები მნახავს თულს დაუფახევედა.

215

გრან თურანის კემწიფე სიმაღლით ცისა სწორია;  
 უძრწის და მონებს ყოველი, ახლოს ვინ, ანუ შორია.  
 მისის შიშითა მდაბლობენ, მთა ვაკედ გასასწორია;  
 მეუნებლეთა დაამკობს<sup>4</sup>, ექნების დასამორია.

75

<sup>1</sup> დედ.-უსწორასა. <sup>2</sup> უფროსა. <sup>3</sup> მზავსი. <sup>4</sup> დამკობს.

216

მას უჭირავს ჩინ მაჩინი, აგრევე სულად ინდოველი;  
არაბნი და ქურთისტანი, მსახურებენ მათი ელი;  
დაამდიდრა მისნი ყმანი, ვის უჭირავს გაშლით კელი;  
შემცოდესა არ გაიცდის, იგ უწყალოდ არის მკულელი.

217

მეფე შაჰნავაზ ყაენსა მიაჩანს ძმად და ძმობილად;  
ფიცი სწამს, ამაღ იმოყუსებს, მუსაფი არ დაგმობილად;  
ერთობა უძეს, მიაჩანს, სიტყუა შეჰკადრა ლმობილად;  
სხუა პატრონ ყმანიც ყოფილან ამათებრ არა შობილად.

218

არეზს აქეთი სულ მოსცა ხანების ბეგლარ ბეგობა;  
ყმათ მოახსენეს: „მეფეო, სიდიდედ კმარის ეგობა;  
თქუენ გახლდეს ხანი, სულთანი, გმსახურებდიან ეგობა;  
ლხინი აჩუენო შენებრი, სასმლად ეჭიროსთ ე გობა“.

219

მეფის კელთ არის საკითხად კემწიფის კარი სრულია; 76  
ისპაან შარი<sup>1</sup> საკელად უჭირავს დასასრულია;  
ერთგულთა სწყალობს დიდებით, ორგული გაბასრულია;  
თავს ევლებიან ყაჯარნი, არა შურსთ ამო სულია.

220

გილანი და მაზანდარა სხუაც უჭირავს მრავლად შარი;  
ბარხანასა დაუდგომლად უზიდევდენ მეტად კმარი;  
ხარა, ნახლი, მძიმე სტაერა, სხუა მისებრი არსად არი;  
თუალ გუარი ძუირ საფასო, სინათლითა მზისა დარი.

221

თუის თავზე მოვა ხალათი, თავჯი, ჯილა და თომარი;  
თუალ<sup>2</sup> მარგალიტი უზომო და ფლური ასი სომარი;  
თავადებს ჯამაგირი აქუს, კარზე ვინ არი მდგომარი;  
ყიზილბაშთა სწამს მაჰმადი, ვინლა ახსენა ომარი.

222

მეფე ბძანებს: „რას მიაჩანს თუალთა ჩემთა ეზომ მალი,  
სუე სუიანობს ტახტი ჩემი, სხუას ვის მართებს ნასამალი!  
მე ვარ გუარად დიდი ვინმე, სოლომონის ნატამალი,  
მით მივმართე შარიერსა მოვიძებნე ამაღ ალი“.

223

სათუთად ზდიდენ მშობელნი, უნდოდათ თუალთა საჩენად 77  
სატრფილო და სანდომი, ლაშქართა გამოსაჩენად;

<sup>1</sup> დედ.-ისპან შარი. <sup>2</sup> თულ.

მისის შურიტა მთუარესა ლები აც პირსა დაჩენად;  
თქუეს: „ვაჯობინოთ ზუალსა, ბძენთა შეჰქნია გაჩენად“.

224

მიწის ნაყოფსა ვის ძალუც სხუა<sup>1</sup> იყოს ამისა დარად;  
ვისმცა ასმოდეს ნახული, რომლისა გზითა სადარად;  
ანუ ციერი მნათობი ჩამოეფინოს სადარად;  
კამს ყოველთათუის სულთა დგმად, ანუ თუ იყოს სადარად.

225

ლაწუი ბადახშანს ლალს უგავს, ყირმიზად გამჟუირვალთა;  
წარბი გიშრისა ქამანდსა, მეღნის ტბით სრულობს თუალთა;  
ყელ ყური ბროლ მინაქარსა, მოელვობს, ართუ მქრქალთა;  
ლექუი ლომს ბაძავს ზნეობით, ვისგან რომ გამამკრთალთა.

226

სხუა უმცროსნი მეფის ძენი მარგალიტსა დავადარე;  
დაუხატავს [ზე]ციერსა, მით უშუენის ყოვლი არე;  
სამოთხისა ყუავილთაებრ სურნელობენ, შუენის სარე;  
ასული ჰყავს მზისა მგზავსი, სულ ანათობს შინ თუ გარე.

227

ხე მისად მგზავსად ნაყოფსა მოისხამს, აგრე თქმულია, 78  
სიტკბოებითა მორთულნი ვით ედემს ამოსულია;  
ფეროვნება აქუსთ ვარდისა, ანუ არიან სრულია;  
თავსა ვლენა აქუს ყოველთა, არმალნად მიაქუს სულია.

228

მეფემ უჩინა შვილებსა თუითო და თუითო თემია;  
მუშაითობენ, სწავლობენ, სამამაცოსა ზნენია;  
მათ შუენის ქცევა უსული, ვერ დამგმობ რაცა ვთქუენია;  
საფარველი აც ლუთისაგან<sup>2</sup>, არიან მადლის მთქმენია.

<sup>1</sup> დედ:-სზა. <sup>2</sup> ღთისგან.

XII. აქა შაჰზადიარისაგან მეფის შაჰნავაზის დიდად  
მოკითხუა.

229

ღმერთი<sup>1</sup> უჩნდეს სადიდებლად კორციელი ვინცა ვინა; 79  
მას ვესავ და მას ვიგონებ, ან მის მეტი სხუა რა მინა;  
მუდამ შიში, მორიდება მისი მქონდეს გულსა შინა;  
ქუიშა, ვინა მარგალიტი სწორიაო ბქენთა წინა.

---

<sup>1</sup> დედ-ღ-თი.

XIII. აჲა აჲა ქლიერაჲ ხემფიჲმან სანადიროს წასულმა  
ბჲანა და გაჲმართა.

230

მეფემ ბჲანა ველად გასულა, ნადირთაკენ თავნი ვაროთ; 80  
ვის შეგეძლოს მშუილდოსნობა, იგ ნადირი გავამწაროთ;  
კანჯრის ჯოგი ამოვსწყუიტოთ, სისხლი მათი ველად ვლუაროთ;  
ვინცა ვიყოთ უკეთესი, თავი გმირსა დავადაროთ.

231

გათენდა, გადგა კემწიფე, გაჲყუა საღ დიდებულთა;  
უანგარიშო თავადი სასროლად, ვინ მორთულია;  
ვინც არ იახლა მეფესა, შეიქნა დაკარგულია;  
ქორ, ავაზა და სონლული გაჲყუა რაც სავარგულია.

232

იყო ფრინველთა სიმრავლე, მიწის პირს დაფარვიდესა;  
უანგარიშო სონლული, მნახუელნი ვერ დასთულიდესა;  
მეძებარი და მწეგარი იდგიან განაკიდესა;  
მკეცთა რა ექნა ფრინველსა, იმათსა გარდამკიდესა.

233

მეფემ ბჲანა: „ბაზიერი სიახლოეს მამისხენით;  
ტაბლი კარგად გააფიცხონ<sup>1</sup>, რაც უბჲანო, ისრე ქენით;  
გაევაზს<sup>2</sup> ბარი მივადევნოთ, ჩუენ ვიშუებდეთ მათის ფრენით;  
მაგრამ სონლულს სიმაღლითა ვით ვადაროთ რაცა ვთქუენით“.

234

თეთრი ქორი ჰყავს მრავალი, მასთან ვახსენეთ ბარია; 81  
მათ ვერ მოურჩეს ფრინველი, რაზომცა იყოს მალია;  
კოკობსა, ანუ ღურაჯსა, იხუსაცა მეტად დარია;  
დაიფორაქეს ერთობით, სხუა სძებნეს არსად არია.

235

ერთი ყათარი აქლემი დაჲტუირთეს დანაჲკერითა;  
უთხრა თუ: „პირმზეს მიართუით, რაც ბჲანოს, ისრე ჰქენითა;  
ჩუენ ყარაიას წავედით მკეცთა სურად, ცხენთა დგენითა;  
ხუალელა გიძლუნა ნადირი, მოკლული ამა ცერიტა“.

<sup>1</sup> დედ.-გაფიცხონ. <sup>2</sup> გაევაზს.



236

მოვიდა, მეფემ დახედა, ჯერგასა<sup>1</sup> ჰქონდა ყრილობა;  
 „მე უკუეთ მოვკლავ, მე უკუეთ“, ვაეკაცთა ჰქონდა ცილობა;  
 კარგთა მესროლთა ღიმი ჰკრეს, შეექნათ მათ სიცილობა;  
 მეფე შზა არის სასროლად, აქუს მისი გამოცდილობა.

237

იმგრგულივ სულად შემოფრტყენ, მათ მოიცეს მთა და გორი;  
 კელი კელთა დაეჭირა, არ იდგიან შორი შორი;  
 სისქით ვერსად გაატანდა<sup>2</sup>, უკან ედგა ერთსა ორი;  
 ჯარსა შიგან შიში იყო, ვერ ჰკადრიან დასალორი.

238

შუაზე კარი გამართეს სასროლად შარიერისა;  
 იქით და აქათ თავადთა ჯრა არის, ყმა და ბერისა;  
 მარჯუელ უჭირავს ისარი, ვის იმედი აქუს ცერისა;  
 აწ გამოჩნდების ცხენთაგან ცასა შეწდომა მტურისა.

82

239

შეიქნა შემოკივილი, ძახილი მეტის მეტია;  
 მოვიდა ჯოგი ნადირთა, მინდორად აღარ ეტია;  
 ცხენთა რა ესმით სარბენლად ყურები დაუცქებთა;  
 მათ პატრონ ყმანი გაუკდენ, გაჰკუირდა მათი მჭურეტია.

240

მეფე მისდევს გამალებით, მას კანჯარი ურბის წინა;  
 ჰკრა ისარი, შიგ ვაავლო<sup>3</sup>, მასვე წამსა მიაწუნა;  
 მას უკანის ირმის ჯოგსა მისწუდა, არად მოეწინა;  
 კარი მოკლა ოცამდისინ, რისხუა მათზე მოაწინა.

241

დაკოცეს მკეცი მრავალი, ანგარიშ მიუზომია;  
 დაშურა ცხენი და მესროლი, ძლივ არი ფეკზე მდგომია;  
 მეფეს მოუკლავს კელ ფიცხად, რაცა კარზე მოკდომია;  
 შეჯერებულან სროლითა, მკეცთა სრუა აღარ ნდომია.

242

მოიტანეს ყოველთავე მას დღეს, რაცა დაეკოცათ;  
 დანაცდენთა ისართაგან მიწა ერთობ მოეკოცათ;  
 მეფისაგან დანაკოცი ნახეს, მეტად მათ ეოცათ;  
 თქუეს: „მოკლულსა ესე ჩუენსა ერთი ღირდეს, მგონი, ოცად“.

83

243

გაგზავნა პირმზეს წინაშე რაც კემწიფესა მოესრა;  
 რაც შეეტყორცა<sup>4</sup> უცილოდ ივ დაუცდენლად მოესრა;

<sup>1</sup> დედ.-ჯრგასა. <sup>2</sup> გატანდა. <sup>3</sup> გავლო. <sup>4</sup> შეტყორცა.

მოაკრფეს მოქალაქენი, თქუეს თუ: „რა ვნახეთ მო ეს რა“!  
მოართუეს, ნახა მნათობმა, იგ მისად მგზავსად მოესრა.

244

ბძანა: „კარგად უსროლია ლომგულსა და იმა სპათა;  
ტინი კლდეცა ვერ დაუდგამს, თუ მიმართეს რადგან მათა;  
ან ნადირი ვით მოურჩეს, ნუ დამიგმობ ამა თქმათა;  
მეფისაგან შენატყორცმან, ან ისარმა მოკლას რათა“.

245

კულაცა ისროლეს კელ ფიცხად, ნადირთა უყუეს რიალი;  
ცხენი დაღალეს რბენითა, შამბსა მიჰქონდა შრიალი;  
ისარი სრულად დალივეს, ვის მშუილდი ჰქონდა ძლიარი;  
ნადირი სრულად გაწყუიტეს, აღარა ჰქონდათ ყრიალი.

246

მეფემ ბძანა: „რაცა ოდენ კმარის სისხლი შევისხენით; 84  
აწ წასულა კამს სახლსა ჩუენსა, ჩამოვკლები ამა ცხენით;  
მართებს სპათა მოილხინონ, წყენა უჩანს არცა ხენით;  
მივსცე ლარი უთულავად, დავიჭირო არცახენით.

247

გამობრუნდა მზიარულად მეფე ლალი ნადირობით;  
ლაშქართაგან მოისმოდა სიტკბოება მრავალკმობით;  
ადიდებდეს კემწიფესა: „დავმდიდრდითო მისის ყმობით!“  
ირმის ტყავით ავისილ იყუნენ, ნადირისა დანამკობით.

248

ქალაქს მოვიდა, შეიქნა სიხარული და თქარება;  
მოაკრფეს ხედვად ყოველნი, თქუეს ეტლსა შეუენის მარება;  
მეფე დალოცეს გულტკბილად, ვისლა ეკადრა მწარება;  
შევიდა ნახა მისი მზე, მათ რალა შეეგუანება<sup>1</sup>.

249

მას ლამეს შექნეს ხალვათად სმა, ლხინი, ნადიმობანი;  
მზესა შეშუენის უკუყრა, ლომგულის ნადირობანი;  
უკურენ ჩანგსა და ჩილანას, რა ტურფად უკმობს ნობანი;  
ნუ ეკობ სოფელს სულდგმულსა ექნას ამათ ღნობანი.

250

ხუალისა ლხინსა აპირობს მეფე ზნით მკნე დამკედარი; 85  
მოერთო ლუინის სასმელად, აგრე გავს მისთუის მკედარი;  
გაკუირვებულან ერთობით, ვინც არი მათი მკედარი;  
თქუეს: „ვხედავთ ამა ლომგულსა მებრძოლთა დამამკუედარი!“

<sup>1</sup> დედ.-შეგუანება.

251

გორი დგას მარგალიტისა იმა პირშისა არესა;  
არად მიიჩანს მთიებსა წონად ერთისა დრამესა;  
გასცემს ლალსა და ზურმუხტსა ერთსა თუალისა წამესა;  
თქუა: „სიძუნწეა ნაძრაბი, ბძენთაცა ეს იწამესა.“

252

ვინ დარჩა კაცი უკუდავი, ან ვინ გაიტანს გუარსა;  
თუ ხედავთ ჩარხი მბრუნავი არ დასწყნარდების მუნ არსა;  
არვინ დაინდო სოფელმან მუხანათი და ცრუ არსა;  
მას დარჩა სასუფეველი, ვინცა ვინ ეტყუის უარსა“.

253

ესე გუარი იმა მზემან დაიზრაბა გულსა შინა;  
„რა ბრალია დასაძრობლად ვარდსა თრთუილმან მოუშინა;  
მას ბულბული გაეყაროს, აღარ კუირდეს მისთუი მინა;  
ბალი დარჩეს უყუავილო<sup>1</sup>, მცუელსა მეტად მოეწყინა“.

254

ლომგულმა ბძანებს: „ჰე მზეო, არა კამს სოფლის მღურვანი;  
კელის ყრა გუმართებს, იცოდი, ცუდია ეგე ურვანი; 86  
სხუანიც ვარდაკდენ მეფენი, ათი ათასი თუ რვანი;  
რაც მათ ივარგეს, ჩუენც მივყუეთ, რას გუიჯობს ცრემლთა  
წურვანი“.

255

მოუსმინა იგი მზემან, კემწიფემან რაცა ბძანა;  
შექნეს გეშტი სავარდესა, აღარა აქუს გულსა ნანა;  
მათ იფრქუიფეს სოფლის ეშყი, რაც ისურნეს მან და მანა;  
ჰკადრა: „ლომო, მოგყოლივარ, რას იქმოდე მემცა განა“.

256

ბანოანთ ჯარი უწყუეტლად ახლდიან ამა მზესა და;  
ილხენდენ მასთან ყოფითა, ვითა პარონთა წესადა;  
მათ არა ჰქონდა შეწყენა, არცა უნდომად კუნესა და;  
მიჰყუნენ სოფლისა წესებსა, იყუნენ ლხინისა მქნესადა.

257

თქუეს: „ვანაცუალოთ სიცოცხლე, ვინ გუივის მზისა სადარი;  
ვის შეუშკია კეკლუცად მისი ანათობს სადარი;  
კამს ჩუენგან ხლება სიახლე, ანუ თუ ვიყოთ სადარი;  
ვისგან შეიქნენ მთიებნი დალალვით, ანუ სადარი“.

<sup>1</sup> დედ-უყავილო.

XIV. აჰა მეფენი იმერელთანი გარდახდენ, რომელსა  
ერჰუა ალექსანდრე, კი მისი ბაგრაბ მეფედ აკურთხენ.  
ულალაბა დედის ნაცუალმა ნესტანდარეჯან და თუალს  
მილი შემოავლო და შეირთო ვახტანგ ბაგრაბოანთა  
გუარისა. აჷ ნახეთ გოლო ამისა, თუ რა მოხდების.

258

ვთქუათ რამე მონასმინები იმერელთ კემწიფისანი:  
უკმობდენ ალექსანდრობით, პატრონი იყო მისანი;  
მას ჰქონდა მორკმა, დიდება ლხინი ღამე და დღისანი;  
გარდაკდა, გავლო სოფელი, შუქი მოშორდა მზისანი.

259

მას შუილი ჰყუნდა<sup>1</sup> გურიას, იქ იზღებოდა ფარულად; 88  
დედის ნაცუალსა მოსტულდა, მით ექნა გარდაფარულად;  
მას სხუა ეწადა საქმარი, მით დააცდინა<sup>2</sup> ქალურად;  
ღუთის<sup>3</sup> განგებამან მოშალა, შეიქნა განამცდარულად.

260

დედოფალს ჰყუნდა ასული მის საყუარლისა ძმისანი;  
თქუა: „მოიყუანეთ ბაგრატი, თუცა ნდომა მაქუს მისანი;  
მას შევრთო ესე ასული, ვის შუქი უჩანს დღისანი;  
ნულარ იყოვნით, იარეთ, საქმე კამს სისწრაფისანი“.

261

კაცი გაგზავნეს გურიას დაუყოვნებლად ხანისა;  
შესთუალეს: „მიდი პატრონად გიკმობენ ამა სარისა;  
მეფე გარდაკდა, საჯდომი მოგელის თუ რა ხანისა;  
თუცა დაგინდო სოფელმა, ვინ სულად არ უხანისა“.

262

რა მივიდა მიგზავნილი ბაგრატს უთხრა ესე ყუელად;  
შექნა დიდი სამძიმარი, ხელი იქნა გაქრა ველად;  
მოსთქუა მისი საპატიჯო, იწყო მისთა ქირთა მთქმელად:  
„თუ წავიდე, დედოფალი დამინდობსო, მგონი, ძნელად“.

263

წამოვიდა მასვე წამსა, ხანსა არსად არ დაზმიდა;  
მას ეგონა პატრონობა, მაგრამ ეტლი სხუაებრ ზმიდა;

89

<sup>1</sup> დედ.-ჰყუნდა. <sup>2</sup> დაცდინა. <sup>3</sup> ლ<sup>ა</sup>თის.

ქალსა ჰქონდა გული მღურევით, აწ როგორღა მოეწმიდა;  
ბედი მისი უკულმართი სამართავად არ მივიდა.

264

მივიდა, ნახეს ლაშქართა, ქნეს ფეტა შემოხუევიანი;  
რადგან მოგუფინე ნათელი, კამს რომ ისმინო თქმევიანი;  
გეკიროს ტახტი, შენ გშუენის, მოგკულები არა მცრებანი;  
გუიპატრონე და გუიმონე, გაქუს მეფობისა ჩუევიანი.

265

მამა იტირა მან ყმამან, ახსენა მეფეთ მეფობით;  
კმა მალლად მოსთქუამს: „რა იქენ, ვინ იყავ ვარდთა მკრეფობით;  
გქონდა ლხინი და უკუყრა, საქებო სიიეფობით<sup>1</sup>;  
აწ მე რა მართებს უშენოდ,, ან ვითლა ვიყო სეფობით!“.

266

მკუდარი დამარხეს, გააგეს<sup>2</sup> სამეფოს წესი, რიგები;  
ბაგრატი მეფედ აკუროხეს, აღარსად იყო რიდეები;  
ქორწილი უყუეს, მას შერთეს გულისა დასამშუილები;  
უყურეთ, ბოლოს რასა იქს ქალისგან დასაკილები.

267

დედოფალმა თქუა: „სამეფო ვის მივსცე უჩემობითა; 90  
ქმარსა შევირთავ, მე მშუენის, რომ ვიჯდე სრასა ნობითა;  
ბაგრატი ჭირსა შევაპყრა, რომ იყოს ლახუარ სობითა;  
ტახტი მე დამრჩენ, თავადნი ილხენდენ ჩემის ყმობითა“.

268

თქუა და აგრე გააპირა<sup>3</sup>, მან განაგო საქმე თუისი;  
საქმრო მისი მოიყუანა, ნდომა ჰქონდა თუცა ვისი;  
ბაგრატ კელთა დაიჭირა, დამშავეა ნეტარ რისი?  
იტყუის: „ღია უბრალო ვარ, მამეკმარე ძმა და თუისი“.

269

აღარ აღროვეს, მაშინვე თუალს შემოავლეს დაღია;  
სინათლისაგან დასცალეს, კარი არა ჩანს აღია;  
სული დაილო მან ყმამან, დასთმო სავარდე ბაღია;  
გამოიმეტეს საკუდავად, ეგდო უკადრი, ლაღია.

270

შეირთო ვახტანგ, ამეფა ბაგრატოანთა გუარისა;  
ტანსა შემოსა ზარქაწი, პატრონად იმა სარისა;  
უყუარს და იხუევეს მკერდზედა, მისთუის სალხენად კმარისა.  
თქუა: „ვანაკუალო სულელები ჩემთა ნათელთა თუალისა“.

<sup>1</sup> დედ.-სიეფობით. <sup>2</sup> გაგეს. <sup>3</sup> გაპირა.



271

ეგონა თუ: დავიჭირე სამეფო და ტახტი სრული.

91

ჩემიაო სრა სამყოფი, გადიოდეს ჩემგან თქმული;  
ვახტანგ მიჩნდეს სასიცოცხლოდ, მას მივანდო სული, გული;  
ნახეთ, ბოლოს ცრუმ სოფელმან როგორ შექნა დაკარგული!

XV. აპა ბაგრატიის დაშავებამდე ვახტანგის შერთუით ნახათ თუ  
დედოფალსა და მის საქმროს ვითარად სიძვე დაშავებამის.

272

რა მიესმათ იმერელთა, მათ შეექნათ დიდი წყენა;  
თქუეს: „დავედით უპატრონოდ, რა გუმართებსო ნეტარ ჩუენა?  
ქალმან მისის სირეგუნითა რისხუა ჩუენზე მოაყენა, 92  
მოაოკრა საკემწიფო, ვინ აუბნა ტყუილად ენა“.

273

შეიყარნეს და არჩივეს ვახტანგის დიდი მტერობა;  
აგრე გავს რომე დაჰკარგონ დედოფლის ბედნიერობა;  
ეტყობის აღარ ინდომეს სამსახური და ფერობა;  
აწ დაინანოს რეგუნმა ამა საქმესა მქნელობა.

274

თქუეს: „დადიანი ვინდომოთ, მას მივცეთ ტახტი სრულია;  
ხედავთ უმკუიდრო შეიქნა, მეფობა გარდასრულია;  
ერთმანერთს ზურგი მოვაბათ ვირემდი აღსასრულია;  
ქალი დავეკარგოთ, მივიდეს ვისია იგ ასულია“.

275

დადიანს წიგნი მისწერეს, შესთჟალეს: „მაღე მოდია;  
შენ გუიპატრონე ამ ჯარსა, რაც გითხრათ, მას იქმოდია;  
მეფობა მოგცეთ ქუეყნისა, რას ირგებ ცუდად რბოდია;  
უბრალოდ მისი მოყუასი ბქენსა ვის დაუკოდია“.

276

დადიანს ესმა, აჩქარდა, შექნა წამოსულის მზადება;  
ცუდად იჭირვის სულდგმული, იქნების ლუთისა<sup>1</sup> წადება;

<sup>1</sup> დედ.—ლთისა.

მაშინვე სწერდენ ჩენილნი, როს კაცი დაიბადება;  
არ ასცილდების ბძანება, ცუდ იქმნა სხუისა ქალება.

277

გამოელაშქრა, მოვიდა სადა სამძლვარი ხონია;  
მეგრელი მუქრობს: „ქუეყანა ჩუენ კლმითა დაგუიმონია;  
ახლა მოგუეცა ვისგანცა, აღუილი ნუ ვის გონია“.  
იმერელთაგან სიფთხილე ძუელთაგან გაგუიგონია.

278

მიეგებნეს იმერელნი, მათებურად მორთეს ენა;  
ტყუილი სძულსო მოწყალესა, მთქმელი ამად შეეჩუნა;  
მოახსენეს: „ყმანი ვართო, არა გმართებს ამის წყენა;  
თქუენც ვასმია, ესე ჩუენგან მეტობისა გარდავლენა“.

279

შევაგოკლოთ საუბარი, რას უშუელის სიტყუის სიგძე.  
კელი მიჰყუეს წასაკდენლად, სად მეფობდა ვაჟი ვინ ძე;  
როდის იქნა საქმე ესე, წახდებოდენ მუნით ვიგძნე.  
წყუელმცა<sup>1</sup> ხარ პირველითგან საქმე ასრე ვინ დახინძე.

280

დედოფალმა თქუა: „ეემწიფეს შაჰნავაზს შევეხეწები;  
ვახტანგ მეფესა ვაახლებ, ან თუითან გარდვიხუეწები;  
ციხე ქალაქსა მივართუამ, მონურად მივერეწები“.  
სტავრა ნახლისა ტყავებსა გიშერს უგუანდეს ბეწუები.

281

მოციქული აამხადეს, გაისტუმრეს მასვე წამე;  
გაგზავნილმან იმედი სცა, თქუა თუ: „გზასა წავეწამე;  
მივალ ტკბილი საუბრითა, მოვახსენებ რაც ვიწამე;  
და ნუ ღმერთმან<sup>2</sup> მოაგუაროს, მოვიდოდღე მე აწამე“.

282

მივიდა ჰკადრა მეფესა დედოფლის დავედრულები:  
„ხარ უხეშთისი ყოველთა, თქუენ გეძებს დაკარგულები;  
გახლავს და გმონებს მეფენი ერთგულად, არ ორგულები;  
უშუელე შეჭირვებულთა, ჰქენ შენგან სავარგულები.“

283

მოვახსენა დედოფალმა: „ვინ პატრონობ ბევრსა ერსა,  
არ ღამინდო დადიანმა, იგ ძუელიდგან შენამტერსა;  
ყმანი სრულად გარდამბირა, წაუვიდენ ფიცსა ბევრსა;  
მამინდომა წასაკდენლად, ვით რას ეტყუის შემოქმედსა.“

<sup>1</sup> დედ.—წყუემცა. <sup>2</sup> ღმერთმან.

• 284

ჩუენ თუ წაგვდებით, მემკვიდრე დღეს თქუენისმეტი ვინარე?  
 თქუენ გშუენის ტახტი სამეფო, სჯობს რომ წამოდგე წინარე;  
 რა მოხუალ, დაიფანტუიან, ეცემის მოსაწყინარე; 95  
 თქუენის შიშითა ვერ დადგენ, აღარცა იყონ შძინარე.

285

სალარო და საქონელი, თუალ გუარი მიიბარე;  
 საპატრონო<sup>1</sup> თქუენ იქონე, სრა სამყოფი, ყოვლი არე;  
 ერთგულთ<sup>2</sup> მიეც ზენარო<sup>3</sup>, ორგულთ მეტად დააბარე;  
 ჩუენც რამ გუარგე ნატირალსა, თუცა ვპოვე ტკბილსა მწარე“.

286

მეფეს რა ესმა ნათქუამი, მოციქულს ეუბნებისა:  
 „რა დააშავა მან ეაქმა, საქმე თუ ჰკითხა ყმებისა;  
 დიდნი ყოფილან მეფენი, ახლა ვით დაიმცრებისა;  
 აგრე აღუილად კემწიფე ქალთაგან ვით ივნებისა?“

287

ქალი მისცა, დაისიძა, თუ ინდომა ძმა და შუილად;  
 პირი მისცა დანდობისა, მით შეიქნა მისკენ ვლილად;  
 სულ ქუეყანა დაიმონა, მიირთუემდენ<sup>4</sup> ოქრო, მილად;  
 ბოლოს ასრე გასაწყუეტლად ვინ გამოჩნდა იგ საგზილად?

288

ვინ ურჩია სამესისხლოდ, გუართა ჩემთა საკიცხუელად;  
 ბაგრატოანთ სისხლის დაღურად, გუბი ადგა ეზომ ველად;  
 ვეჭუ ცოცხალი არ მამირჩეს, ვინცა იყო ამის მქნელად; 96  
 ხუალ წამოვალ, იგინიცა დამხუდენ ჩემად სისხლთა მზლუევად“.

289

დარბაისელთ შოახსენეს: „ჰქენით რამე მოწყალემა;  
 დედოფალსა ნუ უწყრებით, მას ყყოფის გულსა ლემა;  
 თავადთაგან<sup>5</sup> ვინ ურჩია, მათ მიეცეს თქუენგან მცრემა;  
 სულ გავსწყუიტოთ ცოლშეილითა, სალაროთა მათ აკლება“.

290

გაისტუმრეს მოციქული, მან დაიწყო მწარედ ვლება;  
 მივა აბრკობს გულსა შინა: „საქმე გუიჩანს დანაკლება;  
 ვინდა გუიჩნდეს მაკურნალი, ჩუენ მოგუეცა ეზომ ვნება;  
 მათ კელი ჰყუეს, უგუნურთა, ანთებულთა სანთლის ვსება“.

291

მივიდა, ჰკადრა მან ყმამან კემწიფის დავედრულები.  
 რა მოისმინეს, წყენითა შეიქნენ დაკარგულები.  
 ბედი უკულმა წასულსა ვის ძალ უც მოსაბრუნები?  
 მათგან ნაქმარსა საქმესა შეექნათ დასაწუნები.

<sup>1</sup> დედ.—საპატრონო. <sup>2</sup> ერთგულთ. <sup>3</sup> ზენარო. <sup>4</sup> მიირთუემდენ. <sup>5</sup> თავათაგან.

XVI. აჲა აჲა ღუთიჳ<sup>1</sup> აღმაბჲაჲულს მალალს ხმჳფიჲჳს ნესტანდარჲ-  
 ჯანის ჴემოგნახუჲფიჲი მოციჲჲული მოჲჲიდა. აჲა | კახუხი მისცა 97  
 ჲჲროგინა და მჲჲაროგინაგან კიღჲ. „ესჲ ვითა მჲჲეთა სიხსლი  
 ჴემგინახჲს, მჲჲან დამჲჲღით. ჩუჲნცა ჴემჲრილნი მოჲჲალთა და  
 ვინცა ესჲ უმგჲავსო სჲჲმე გჲამართა კახუხი გჲმცჲს“, ჲჲანა  
 სიბჲჲა ესჲ და ხუალიხა ჲახულა გჲამართა.

292

კემჲიფეს გჲჯავრებულსა ნახე ვინ დააჲყნარებსა! 98  
 მივა ურიცხუის ჲაშჲრითა, მათ ჴეჲყრის გასამჲარებსა;  
 ჴემცოდე მოკლას ყუელაი, ინანდეს მათგან ჲნარებსა;  
 მაჲინლა ნახონ ჲართუელნი, არლუევედენ მთა და ბარებსა.

293

ყოვლგნით გჲგზავნა ამბავი, ჲაშჲართა საკმობარია;  
 ჴესთუალეს: „ღროზე იარეთ, საჲჲე ჩანს საგმობარია;  
 კაცს<sup>2</sup> ნუ დაიკლებთ, ჴენაარ<sup>3</sup>, მოაგრგნეთ ყოვლი არია,  
 იმერეთს ჲავალ უთუოდ, საჲყრომლად მათზე კმარია“.

294

დაუყოვნებლად მოვიდენ, ახლოს ვინ, ანუ ჴორია;  
 სამოსი ჲჲონდათ რკინისა, ჴოგი ჩანს ვითა გორია;  
 გამოჩნდეს ვინმე მებჲოლი, მათ უნდათ მათი სჲორია;  
 მაჲინლა ნახო ჲართუელნი, მტერს მისცენ დასამორია.

295

მეფე ჴავრობს და იძახის, არ იტყუის სიტყუას ჲყნარებსა;  
 გამოდგა<sup>4</sup> მძიმის ჲაშჲრითა, ჲგავს არვის ჴეიჲყნარებსა;  
 მათ ჴემცოდეთა უპირობს გარდაყრა, გამჲარებსა;  
 ბჲანა: „ვინ ჴეჲჲნა სიავე, კირსა მიეცეს კმარებსა“.

296

ახლავს თავადი მრავალი, უანგარიჲო, ულვევი; 99  
 მათ მათი ღროჲა, ჲაშჲარი თან ახლავს განაგულვევი;  
 ათი ათასი ჲინ მავლად უჩინა კაცი სრულვევი;  
 გუერც ახლავს ასი ათასი უფროსი, დანასრულვევი.

297

მთასა გარდაკდა, მაჲინვე მოეგებოდა ყუელანი;  
 კოლბაურს დასცეს კარავი, აივსო იგი ველანი;

<sup>1</sup> დედ.—ღთივ. <sup>2</sup> კაც. <sup>3</sup> ჴენარ. <sup>4</sup> გამოდგადგა.





მეწინავესა შეეპყრა მათისა გზისა მცუელანი;  
 ორგულთ მიესმა, მოედვა ცეცხლი უშრეტი, მწუელანი.  
 298

წერეთლები და ვინც იყო, სახუეწრად მოაშურესა;  
 თავსა მართლობდენ იგინი, იდგიან ერთსა ყურესა;  
 მათსა საქმესა იმართუნ, შემცოდეს არ უყურესა;  
 ჰკადრეს: „მეფეო, უვიცთა თქუნ, ლომი, მოგიმღურესა“.  
 299

მეფემ ბძანა: „უბრალოსა მოსაკლავად ნუ აქუს რიდი;  
 მეფეთ სისხლი ვინ შეიღვა, მას სარჯელი არ დავრიდი;  
 ვეკობ ზღუაში შევაცურვო, სად წამივა იგი ფლიდი;  
 გამიძელით მას აღგილსა, სადაც იყო, მათკენ ვლიდი“.  
 300

საზანოს დადვა კემწიფე, მეფე უკადრი, სუიანი;  
 ლაშქარი ახლავს უზომო, მთა, ბარი, სულ სავსუიანი;  
 მათსა მებძოლთა შეჰყარონ დასამკობელად ზიანი;  
 ქართუელნი მეტად მუქრობენ, ვინც არის იგი კლმიანი.  
 301

მოუვიდენ იმერელნი, თავადები ვინცა ვინა;  
 მუკლ მოყრილნი სახუეწარად იჯრებოდენ მეფეს წინა;  
 ერთგულთ<sup>1</sup> მისცა საბოძუარი, ორგულუმსა მოაწყინა;  
 თემი შანიტ დააწყინარა<sup>2</sup>, არა სადით არ იწყინა.

100

<sup>1</sup> დედ.—ერთგულთ. <sup>2</sup> დაწყინარა.

XVII. აბა ვაჩიყ დადიანს მიუძღვის მისულა უამბოს და უმეჩხნა  
წყინა და რჩევა.

302

ვამეყ დადიანს მიესმა ლაშქრობა დიდთა მეფეთა;  
მოწყენა შექნა ასეთი, თუ სთქუა, ლახუარსა ეფეთა;  
„მოსულა ჩუენად სამტეროდ, ვის კობზენ სისხლთა მჩქეფეთა;  
მათთა შემბმელთა დაჰკოცენ, მათის აბჯრისა მკრეფეთა“.

101

303

არჩიეს: „მივსცეთ იმერეთს რაც იყოს, მთა და ბარია;  
ძუელად მეფეთა ნაქონი, განძი და რაც რამ არია;  
თუალ მარგალიტი, გუარი; ან ბადაშხანის ლალია;  
ნუ თუ მით მოვრჩეთ ლომგულსა, სხუა ლონე არსად არია.“

304

ჩუენ და მეფენი ყოფილვართ ნიადაგ მოყუარენია;  
მძახობას შევეპატიჯოთ, არ მოგკუდეს მოსაწყენია;  
სჯობს მიეყუეთ მათსა წადილსა, რაც ბძანოს, მისი მქნელია;  
მოციქულს უთხრეს: „ამრიგად შენც მოიკმარე ენია“.

305

გამოისტუმრეს, წავიდენ მოქუელი, ბედიელია;  
რაცა დავედრეს ამბაენი, შეიქნეს მისი მთქმელია;  
გავლეს, სასწრაფოდ მიდიან, დალივეს ტყე და ველია;  
კემწიფეს წინა მივიდენ, გულტკბილად დახუდა ქუელია.

306

მოახსენეს: „კემწიფეო, ხარ ყოველთა უზედესი;  
სიუხუითა ზლუასა გევხარ, ანუ შირვან უკეთესი;  
ერთგულთათუის მოწყალება გკირს, შაქრისგან უტკბილესი;  
რაცა გკადროთ, მოგუისმინე, არ წავიდეთ დანაკუნესი.“

102

307

მოგახსენა დადიანმა სიტყუა ტკბილი, არა მწარე;  
ჰე მეფეო, კელთ გიჭირავს სიმდაბლითა ყოვლი არე;  
არას გკადრებთ უწადინსა, თუარემ თქუენვე დაგუაბარე;  
ვინ<sup>1</sup> კელი ჰყო სიავესა, იგ არ მორჩა დაუმცდარე.

<sup>1</sup> დედ.-ვი.

308

მოიწადინეს ლიხელთა მეფისა გარდაშენება;  
 უწყალოდ მოკლეს ბაგრატი, დაუწყეს ლახურით შენება;  
 დედოფალს ავად ურჩივეს, მით გაიოკრეს შენება;  
 გერისა აღარ იკითხა, იწყო თავისა შუენება.

309

აწ შეიქნა იმერეთი უპატრონოდ, ასრე ოკრად;  
 ქალი დარჩა უიმედოდ, ვისგან დაჯდა ასრე ოხურად;  
 დაუბრუნდა სუიანობა მას, დაეწყო ძულთა მოხურად;  
 ტახტიდამე ჩამოაგდო, წაიყუანა კორცთა მცობრად.

310

ჩუენ გავიყოთ საპატრონო, რადგან ასრე ცუდად ძესა; 103  
 პირი დავდუათ მოყურობისა, ქალი მოვსცა მაგა ძესა;  
 კაცმა ჰპოვოს სიამოვნე, მაშინ სევდა გაიძესა;  
 თქუენ ყოფილხართ ჩუენი ზურგი, კულაცა ვალი ბევრი გუძესა“.

311

მეფემ ბძანა: „ავნაქმარი მათი მათვე გარდაჰკდების;  
 განგებასა რაცა სწადის, უსათუოდ იგ მოკდების;  
 თქუენცა იცით უმემკუიდროდ ეს ქუეყანა ამოსწყდების<sup>1</sup>;  
 კაცი ლუთისა<sup>2</sup> მიუნდობლად, ეს იცოდი, მალ წაკდების.

312

ნათესავი ვარ, მე მმართვებს<sup>3</sup> სხუას არვის მივსცე თემია;  
 სრა და სამყოფი მეფეთა, მკუიდრი ვარ სულად ჩემია;  
 თქუენ მადლი გმართვებს რაც მოგცე, თუარ ცოდად დაიჩემია;  
 საქართუელოსა პატრონი ყოფილა პაპაჩემია.

313

სხუარიგად მოყუარენი ვართ, პირობა დავდვათ ახალი;  
 ჩუენ ვიყოთ მისის ერთობით, იგ იყოს ჩუენი მძახალი;  
 ოდიში მკუიდრად<sup>4</sup> ეჭიროს, არა სჭირს სხუაგან სახალი;  
 ამას არა იქს ავკიდო, ვით ყუავსა მისი ბახალი“.

314

კათალიკოზი შუა ჰყავს, მით ელის დაწყნარებასა; 104  
 მან მოახსენა: „მეფეო, რა მოაქუს კაცთა ვნებასა;  
 ასეთი ბძანეთ, კდებოდეს სიტყუა, ერთმანეთს ებასა;  
 ვინც გაიგონოს, ყუელამან იტყოდეს დიდად ქებასა.

315

თქუენ ხართ მალალი კემწიფე, საქართუელოსა თავია;  
 ერან, თურანი შენ გმონებს, სხუამ ვინ შეგკადროს დავია;

<sup>1</sup> დედ. — ამოსწყდების. <sup>2</sup> ლ<sup>1</sup>თისა. <sup>3</sup> მართვებს. <sup>4</sup> მკუიდრა.

ისპან<sup>1</sup> შარი გიჭირავს, გილანი სრულად სრავია;  
 ღმერთსა<sup>2</sup> ნუ აწყენ, გეყოფის მეტის მეტობაც ავია“.

316

მოუსმინა პატრიაქსა, რაც ინდომა მისი თქმევა;  
 გველენა აქუს მეფესთანა, თუცა სჭირდა პირველ ჩუევა;  
 ბძანა: „შენვე გაისტუმრე, გარიგებით შენ ამცნევა;  
 მიეც მცირე საპატრონო, ბევრიც მქონდეს, რას ვაქნევა“.

317

გაისტუმრეს მოციქული, აუსრულდა მათი ნდომა;  
 წამოვიდენ მხიარულად, გზაზე უჩანს არ დადგომა;  
 რადგან ცუდად არ წაუხდათ მათ ეგზომი მათი შრომა;  
 იგ აივსნეს საბოძურითა, არ თუ ეცა მათ გაწყრომა.

318

მოვიდეს ვამეყს წინაშე, ამბავი ჰკადრეს არ ავი;  
 მათ გაიხარენ უზომოდ, შეიქნენ გაუმწარავი;  
 უთხრეს: „გაგიყო ქუეყანა, გაცემის დაუზარავი;  
 მოყურობა შექნა ლომგულმა, ვინა შუქ დაუფარავი.“

105

319

სამძღუარი ზუსა დაიდუა, საღ წყალი არის, მდინარე;  
 მას აქეთ მოგცა ქუეყანა, შემცილე არავინარე;  
 ჩუენ დაგზუდა უხუი გულტკბილად, ნიადაგ მოუწყინარე;  
 ვის ჰვარავს ჩრდილი მეფისა, იყოს თავისთუი მწინარე“.

320

მათში შექნეს სიხარული, დიდი იყო, ანუ მცირე;  
 თქუეს: გავგზავნოთ საჭურჭლენი, წავიდოდეს მეფე ვირე;  
 მას შეშუენის ლალგუარი, მემცა რატომ დავიჭირე“.  
 დაუყონლად გაუგზავნეს მეფისათუი ოქრო მილე.

321

მიართუეს მეფეს ურიცხუი, უანგარ იშო ლარია;  
 სხუა არ ნახულა მისებრი, მათ რომ მოიღეს ლალია;  
 მოლარე ჰკუირობს, ვყარა თუალ მიუწდომი მალია;  
 თქუეს, თუ: „ეზომი სიმდიდრე ბოლოს იქნების მქრქალია“.

322

იმერელთ ჯარი გუერც ახლავს, დიდი ვინ, ანუ წულილია; 106  
 რაც დაიჭირა ქუეყანა, არიან მასთან ვლილია;  
 ხალათი მისცა ყუელასა, კაცთავან დაუთულილია;  
 ბევრს შეკაზმული ცხენები, ვინ რომ თავადიშულია.

<sup>1</sup> დედ.—ისპან. <sup>2</sup> ღმერთსა.

323

დაამდიდრა ერთობილნი, ყუელა ლოცავს შარიერსა;  
 მას ეამშია უშოენელად არ დაარჩენს<sup>1</sup> ყმა და ბერსა;  
 გაერთგულდა<sup>2</sup> ყოვლი სული, ვერვინ ნახავ შესამტერსა;  
 უხუსა მოსდევს ყოვლი სული, კუალაცა ვნახავ ბევრთა ბევრსა.

324

პირმზეს წინ კაცი გაგზავნა, ამა ამბვისა მოქმელია;  
 შესთულა: „დამრჩა სამეფო, თუცა სამკუიდრო ძუელია;  
 ავიღე მათი საქურქლე, ნოვალ უკადრი, ქუელია;  
 ღმერთთა<sup>3</sup> ჩუენზე წყალობით<sup>4</sup>, მუდამ კეთილთა მქნელია“.

325

მახარობელი მივიდა, ჰკადრა მეფისა ბძანება;  
 თქუა: „დარჩა ნკუიდრი სამეფო, იმას რა დაეღარება;  
 იმერელთ ჯარი გუერც ახლავს, სიმრავლით გაიკმარება;  
 ლომსა იახლონ თავადნი, ერთგულს<sup>5</sup> არ უნდა ბარება“.

326

მახარობელსა უბოძეს ხალათი მეტად ხასისა; 107  
 ჰკითხა: „სუაადი რასა იქს, მარტო მამსურელი ასისა;  
 ნიანგთა მიაკრებელი, მამრევი გმირთა დასისა;  
 მას ვინ დაუდგამს სულდგმული, მებძოლი ყოლგან დასისა?!“

327

პირმზემ ჰკითხა მას მონასა: „დელოფალი სად არია?  
 მისნი ეგზომ ყოფა, ქცევა, ან სიწყნარე სადარია,  
 ვინ იკელთა უმგზავსომან იგი ცისკართ სადარია?  
 ვაი, რომ ვარდი თრთუილისაგან დაიცალა, სადარია!

328

ან პატარ ქალსა რა უყუეს, იმა საწყალსა ბედითა?  
 მამიდამ მოსრნა ყუავილი, თუითც თავი გაიბედითა;  
 უბრალო სისხლი მეფეთა ქალმა ვით დაიქედითა?  
 ბაგრატ და ვახტანგ რა იქნენ წამკლარი ცუდის ყბედითა?“

329

მოახსენა: „იგ ქალყმანი დადიანმა წაიყუნა;  
 ვახტანგ კელთა დაიჭირეს, მას შეექნა მეტად ნანა;  
 დელოფალი გამოჰყარეს, საქუდად ჰქონდა კელთა დანა;  
 ფიცხლავ ბობოთს მიიყუნეს: ტყუედ ამყოფეთ—ასრე ბძანა.

330

დაიფორაქეს საქურქლე, დელოფლის სამკაულები: 108  
 ყელსაბამი და საყური, ძუელად ნაუფლისწულები;

<sup>1</sup> დედ.—დარჩენს. <sup>2</sup> გაერთგულდა. <sup>3</sup> ღთთა. <sup>4</sup> წყალობი. <sup>5</sup> ვრდგულს.



სხუა ამბარჩა და ყელ ჯაჭვი, კოდით წაიღეს ფლურები;  
მეგრელებს ვერსად მოურჩა, რაც ჰქონდა მათ დაფლულები.

331

მკევალინიცა დაგლეჯილნი მისდევდიან პატრონთანა;  
მიტიროდენ უცხოდ რასმე, არ მინახავ იმისთანა;  
იტყოდენ თუ: „მზე უკადრი სალარიბოდ თანის თანა.  
დავსთმოთ ქირი სოფელს ყოფით, ტყუდ ვიყოთო მარტო თანა“.

332

ბძანა: „მიმიძიმს ქალისათუის, რომ შეჰქნია დანარევით;  
საბრალოა სასიკუდილოდ, შემოჰყრია დანარევით;  
სიჩქარემან თუალთა ჩენა აუბნია<sup>1</sup> დანარევით;  
ვარდის ნაცულად მას ეკალი კელთ უქირავს, დანარევით“.

333

ხანი გამოკდა მცირედი, მოვიდა მეფე ლალია;  
წინ მიეგებნეს, სამისოდ წყალობის კარნი აღია;  
ჩამოკდა, შევა საწოლსა, გავლო სავარდე ბალია;  
წინ შემოჰყარეს ფიალით, ერთი მორთული სალია.

334

შევიდა, ნახა მნათობი, მზისგანაც უფრო დარევედა; 109  
თქუეს: „მოსულიაო სადაგი, მისთუი სალხინოდ დარევედა“.  
შემოგებვა მცინარედ, ართუ სხუას რასმე დარევედა  
მთუარე გავსილი ღიმოდა, მას მზესა მეტად დარევედა.

335

რალას ვავძელებთ: მობძანდა მეფე, ლუთივ<sup>2</sup> გუირგუინოსანი;  
ახლავს ურიცხუი თავადი, ნაქებნი მეტად კლმოსანი;  
მოსდევდენ მოშაითენი, მომღერალნი და მგოსანი;  
სიხარულითა აივსნეს მნახუელნი იმა დროსანი.

336

შეიყარნეს მათნი მჭურეტნი, მათ გაჰკადეს მუნარევით;  
სხიეთა მათთა ელვა ჰკრთომით გაენათა მუნ არე ვით;  
კუდ მაშურალობს მასთან მუშთარ<sup>3</sup>, შეიქნების მუნ არევით;  
ვინ გამოჩნდეს მაქებარად, თუ არ მზეა მუნ არევით.

337

მას ღამე დასხდეს ხალვათად, ლომმა<sup>4</sup> და იმა მზემან და;  
იუბნეს ტკბილად სიტყუანი, აფრქუიეს ღამაზემან და;  
მორთეს მუტრიბთა ქამანჩა, ძალისა იყუნენ მზემან და;  
მადლი შესწირეს, ვინ შექმნა ეტლმან და იმა ზემან და.

<sup>1</sup> დედ.—უბნია. <sup>2</sup> ღთივ. <sup>3</sup> მუშთა. <sup>4</sup> ლომა.

XVIII. აჲა აგა სახელოანება, მაღალმა ხმეწიფებან იმეხეთი დიხირა.  
 მუნეზური საჲმე განაგო და უჲირველად ლარითა საჲსე  
 ბახტსა მისსა თგილისს<sup>1</sup> მოგჲანდა. ჰჲონდა უოველთა  
 დღეთა ლხინი და ნადიმი.

338

გათენდა, მოდგა ქალაქი, ძალად არ გამოჲყრიდესა;  
 მეფეს ლოცუიდენ ყოველნი, მარგალიტს გარდაჲყრიდესა;  
 უშოებელი არ დარჩა, ვინც იყო განაკიდესა;  
 უჲყურა იყო ყოველგნით<sup>1</sup>, გულ მხიარულად ზმიდესა.

111

339

დაეთხოვნეს დიდებულნი, წავიდოდენ მათსა შინა;  
 მადლი ჰკადრა კემწიფემან, თავადები ვინცა ვინა;  
 ბძანა: „კულაცა მოხუილოდით, დაუყონლად ჩუენსა წინა.  
 მიმაჩანთო ძმადა შუილად, სიამოვნე თჲუენთან შინა“.

340

ყუელას უბოძა მრავალი ხალათი სარასრებისა;  
 მადრიელობდა ლაშქარი, რალა ვთჲუა მათგან ქებისა;  
 მათ მიაშურეს სამყოფსა, უვნებლად მათის ნებისა.  
 ვინ პატრონს მონებს გულწმიდად, მას აროს არ ევნებისა.

341

გაიყარნეს და წავიდენ, პატრონის განაყარები;  
 საშოებლითა სავსენი, არა თუ ცუდად მცდარები;  
 მიაქუს ძუირ ფასი ნაქსოვი, უფროსი ოქრო მყარები;  
 სარჯელს მოშორდენ მოყმენი, დალაკნეს მათნი არები.

342

მეფე ყოველდღე მეჯლიშსა გარდაჲკდის მათსა მონებსა;  
 იცით, სიმდიდრე ვისცა სკირს ბევრს რასმეს მოავონებსა;  
 კელის შემწყუდევა, სივიწრე კაცს მეტად შეალონებსა;  
 სიკუდილს ანატრებს უცილოდ, სამარედ განაგორებსა.

112

<sup>1</sup> დედ.—ყოველნით.

XIX. აჲა აჲა უსუოროჲ ქლიბრა ხაფიფიჲმან შაჲნავაჲ მისის ქის  
სასუკველის არჩილისათუის დაწინდულის ვაჲჲუ დაღიანის ქალის  
შესაგმელად ნიშანე გაუგჲავნა. ნახეთ გოლოს სჲჲჲ.

343

მეფემ ბჲანა: „წესი არის ზუნგან ნიშნის გასტუმრება; 113  
რაცა კაჲდეს დაარჩიონ<sup>1</sup>, მათგან ითქუას არა მცრება;  
მარგალიტი დაუფასო, რომ იტყოდენ დიდად ქება;  
სარძლოს ჩემსა მიაართუემდენ, არა ჰქონდეს გულსა კლება.

344

მოიღეს საესე გობითა იაგუნდი და ლალია;  
ფრანგეთს ნაქმარი, ნაქსოვი, მძიმე მართ ვითა სალია;  
არჩიევს: „ეზომ გავგზავნოთ, ვერა ზიღვედეს ქალია;  
რა დააკლდების<sup>2</sup> მეფესა, ჰფარავს მოწყალის ძალია“.

345

დიდმან მეფემან სიტყუანი ბჲანა, რაც ეფერებისა;  
ზის მორკმული და უკადრი, საქმე სჲირს მისის ნებისა;  
შემცოდე საჲრობილესა მისი უწყუეტლად ებისა;  
კმა გაკუდა ყუელგან, მივიდა მისთა სივრცეთა ქებისა.

346

გაისტუმრა მენიშნენი: თავადი და მასთან ბერი;  
გაატანა წასაღებლად მარგალიტი ბევრჯელ ბევრი;  
ეზომ ლარი გასაცემლად, მოინდომა ვითა მტუერი;  
კემწიფესა ქალი უნდა თუით ძისავე შესაფერი.

347

წავიდენ, მიაქუს სალარო, უანგარიშო, ასები; 114  
ოდიშს ვამეყთან მივიდენ, ვის ჩხუბი სჲირდა საესები;  
მივიდეს, დახუდენ შეყრილი იგ დიდებულთა ხასები;  
შექნეს ლხინი და უკუყრა, შესუეს ჯამი და თასები.

348

დაღიანმა თქუა: „დღეს გუმართებს მენიშნებთანა ლხინები!“  
მოჲფინეს ტურფად პალატი, აწუიეს ვინცა ვინები;

<sup>1</sup> დედ.—დარჩიონ. <sup>2</sup> დაკლდების.



ქალსა შემოსეს კეკლუცად, კმასა სტკობს იგ წინწილები; მოიღეს გობი ოქროსი, საესე დგას ღვინით მინები.

349

შემოვიდა დედოფალი, თან მისდევდა ქალი ნაზი; ტახტზე დასხდეს საფერისოდ, მათ აიღეს მზისა ბაზი; ახლდეს მრავლად ბანოანი, ტურფანი და მუნ ლამაზი; ეშყი ჰქონდათ სამიჯნურო, ვის არ ექნა მათზე ჰაზი.

350

მოაწუიეს დიდებულნი, დასამზობლად შექნეს რიგი; უფროსნი და უდიდესნი, სიახლოეს დასუეს იგი; დადიანი შემოვიდა, გულსა ჰქონდა სხუა დარიგი; აქუს სიმრუდე, თქმა და რჩევა, აწ მართალმა ვით მოვიგი.

351

არ გაათავებს<sup>1</sup> განგება, ვის პირი მართლად არ ება; კაცს მართებს მისი შორს ყოფნა, არ იწყოს მისკე არება; კამს სძულდეს სიტყუა უპირო, არც ხილოს მისი არება; ნუ მიენდობის გულითა, გააგდოს<sup>2</sup>, შექნას არება.

115

352

გაისტუმრეს მენიშენი, მათ აჩუქეს დია მცირე; წამოვიდენ დაუყონლად, გზას არა ჩანს გასაქირე; თქუეს: „უძრახოთ დადიანსა, ნუ თუ კულაცა არ ვეპირე; გონებოდა აქ არ გუეველო, პატრონს იქავ დავეკირე.“

353

ვინ აღირსა ნას ეგზომნი, ქუეყანა და ანუ სრანი; არა შუენის პატრონობა, ტახტსა მისცეს ამან სურანი; უფერსა და შეუგუანსა გარდაკდების გაბასურანი; არც ვეზირი უვარგია, ყოფილანო კაცნი რანი“.

354

ხანი გამოკდა, არჩიეს მათ დიდთა ფიცთა ტეხანი; არ გაიმართუის კაცთაგან საქმის უკულმა გრეხანი; ნახოს ღუთისაგან<sup>3</sup> გაწყრომით, სიმრუდით ეცეს მეხანი; გარდაკდეს ავთა სანაცულოდ, მიხუდეს თავისა ტეხანი.

<sup>1</sup> დედ.—გათავებს. <sup>2</sup> გაგდოს. <sup>3</sup> ღუთისაგან.

XX. აქა ვაჩუხ ღადიანმა მუჟის შაჰნავაზს ფიცი გაუბიხა და 116  
 მოუპუროგიღამე გაეუარა. ამ საქმითა კოკვიხს  
 დასრულეგასა მისსა.

355.

ღადიანმა თქუა: „ქართუელთა არ ვემოყურები აროსა;  
 ქალს ქმარს უშოვნი უთუოდ, ვერავინ დამაბაროსა;  
 ვინ შემეცილოს სიტყუასა, მან თავი გაიმწაროსა;  
 სულთა ამოგვკდი გუამთაგან, მიწასთან გაესწოროსა.

356

ღადისიძებ თავადთაგან, ვინ დიდგუართა ისუდარებს; 117  
 ასულს მიეცემ მზისა მგზავსა, ვინ ციერთა ის უდარებს;  
 არვის მივსცემ უმისოსა, რაზომ ველად ისუდარებს“.  
 მაგრამ, ნახეთ სოფლისაგან მზისა ნაცულად ის უდარებს.

357

კაცი ნუ სცდების, წერილი ვის მისცემს, მისკენ ის არებს;  
 დახუდების მორთუით უკლებლად, იგ მისად მგზავსად ისარებს;  
 ბედი მას მისცემს ციერნი, ვის დაუშუენებს ის არებს;  
 ვინ კელჰყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვენებს ისარებს.

358

მათ განაგეს საქმე ძნელი, ბოლოდ მათი დასამზობი;  
 ქალი მისცეს ცუდსა ვისმე, იქნა მათთვის დასაგმობი;  
 ვისცა ესმა გონიერსა თქუეს: „ვართ უქკუოთ შენასწრობი,  
 თუ არ შმაგმა, ყულზე მეფე ვინ გასცულა შენაყმობი.

359

გუასმია იგი კემწიფე მალალი, უხუი, მდიდარი,  
 ყოველთა ზედა მოწყალე, ავის საქმისა მრიდარი,  
 ლომ, ვეფხთა მყოკრებელი, დევთა საომრად მზიდარი,  
 უქკუოთა ქალი წაართუეს<sup>1</sup>, რა იყო დასაკიდარი“.

<sup>1</sup> დედ.—წართუეს.



XXI. აქა ამა სახელთან მფხვსა ვამხვ დადინისაგან სიმუხთლმ და  
გოჲუროგიდამე გაჲრა მოახსენეს. ნახეთ, თუ რას უპიროგს.

შეიყარა თუალ უფლომელი ლაშქარი და გაემართა  
მისად სამხაროდ.

360

მოახსენეს კემწიფესა სიტყუა მეტად საწყინარი;  
თქუეს: „მოყურობა გაგუიცივა, ვინ არ მორჩა შეუმკლარი;  
სარძლო თქუენი გაათხოვა<sup>1</sup>, ყულსა მისცა დასანთქმარი;  
დედოფლობა დაუკარგა, ასულს შერთო ეზომ ქმარი.

361

ვამეყ გატეხა ზენარი, ფიცი, სიმტკიცე სრულია; 119  
ვეზირი უჯდა რეგუენი, ჭკუსისაგან გარდასულია;  
არჩივა ძნელი საქმარი, მით წაიწყმიდა სულია;  
მან მოაოკრა ქუეყანა, მოჰგუარა აღსასრულია“.

362

რა მოისმინა მეფემან ეგზომ ამბავთა თქმულობა;  
წყენა შეექნა<sup>2</sup> დიადი, გულსა დაედვა წყლულობა;  
ბჰანა: „ოდიშსა დავაქცევ, მქონდეს არ საბრალოლობა;  
ვამეყსა მოვჰკლავ, გარდაკდეს რეგნულად მისგან ქნილობა.

363

ლხინისა ნაცულად ირჩივა მან ჩემი ესრე მტერობა;  
ოდიში ჰქონდა საკუთრად, მართებდა მისი ჯერობა;  
აფხაზი ახლდა, თავადთა იწყიან მისი ფერობა;  
ესე ყუელაი კელთ ჰქონდა, დაჰკარგა ბედნიერობა.

364

ამა საქმითა მაზედან ნახოს რა მოიწყვისა;  
თავსა ტიროდეს, მაშინ სცნას, რა ჭირნი მიეპყრობისა;  
რა ნახოს ჩემგან ნაქმარი, ცეცხლი ვით მოედებისა;  
არ სადით უჩნდეს მეშუელი, საწყალსა რა ექნებისა“.

365

თქუა: „დადიანი კელთა მყავს, პატრონი იმა სარისა; 120  
მემკუიდრე, ძირი ქუეყნისა მისმეტე არსად არისა;

<sup>1</sup> დად.—გათხოვა. <sup>2</sup> შექნა.



შამადავლე აც სახელად, მოყმე ერთ კაცად კმარისა;  
მივსცე ურიდლად ქუეყანა, თავობა იმა ჯარისა“.

366

წიგნი გასწერა ყოველგნით, ლაშქართა მოსაწუეველად;  
აპირობს ლადი, უკადრი, მტერთა სისხლისა მზღუეველად;  
დაუყოვნებლად სწრაფობენ შეიქნან მათკენ მღეეველად;  
მინდურად გაიღეს კარვები, იყუნეს საქმისა მკულეველად.

367

კაცი გაგზავნა იმერეთს, შესთუალა სიტყუა ასები:  
„მივალ მტერზედან საბძოლად, სისხლით აუესო თასები;  
მზას დამზვდით, მოვალ ლაშქრითა, თქუენ დიდებულთა ხასები;  
ერთგულთა მოგკე წყალობა, აღარ გინდოდეს ფლასები.

368

ვამეყ მიმუხთლა რეგუნულად, არჩია ჩემი მტერობა;  
ვერ დაინახა სიმუხთლით, იწყო ამ საქმის მქნელობა;  
გულში სხუა ედვა თათბირი, გამოჩნდა მისი მელობა;  
ვექობ, არ შერჩეს ლმრთისაგან<sup>1</sup> ეზომ ჩემზედა ტრელობა.

369

რა დავმოყურდით მასუკანით ჩუენ ვაწყინეთ მოაბარა; 121  
მან ასული ძესა ჩემსა, იცით, ჯუფთად<sup>2</sup> მოაბარა;  
ზურმუხტი და მძიმე ლალი, მარგალიტი მოაბა რა;  
აწ საკუდავად ასრე მისგან მიწა ჩუენზე მოაბარა.

370

ზურგი ყოფილხართ, ნიადაგ, დიდთა მეფეთა სარისა;  
ხართ ვინმე კარგი მამაცი, მამკულელი უზებარისა;  
ნაქები გულოვნობითა თქუენებრი არსად არისა;  
გიაჯი ბძოლად მოერთოთ, მაგა აღრიდგან მცდარისა“.

371

წიგნი მივიდა, მაშინვე შექნეს იმერელთ მზადება;  
თქუეს: „ყმანი ვართო მეფისა, ვინ ლომსა დაექადება;  
ულმრთოდ<sup>3</sup> ვინ წაკდა სულდგმული, რაც ოდენ დაიბადება;  
წინ მიუძღუებით ყუელანი, ვითაოთ მათი წადება.

372

გადგა მეფისა ქარხანა, მძიმე და ძვირი ლარია;  
სამას ყათარსა აჰკიდეს ოქრო და რაც რამ არია;  
საკეწიფონი ქურკელი კაცთაგან დათულად კმარია;  
მრავლად მურასა იარალი, რომე არ უჩანს დარია.

<sup>1</sup> დგ. - ლთისაგან. <sup>2</sup> ჯუფთად. <sup>3</sup> ულთოდ.

373

ამართეს დროშა მალალი, ქიანურის კელისა;  
მოვიდენ ყოვლგნით ლაშქარი, იყუნენ აჯაბთა მთქმელისა;  
სახელოანი თავადნი, მებძოლთა სისხლთა მღურელისა;  
მუქარას ითხოვებთან, ომის მოქმედნი ძნელისა.

374

გადგა, წავიდა კემწიფე იმა მტერზედა მორევით;  
თუალ უწდომელი ლაშქარი მივა მართ ვითა მორევით;  
მათსა შემბმელსა დაჰკოცენ, შეიქნან მათგან მორევით;  
დაიონვარონ მებძოლი, ვერვინ შეჰკადროს მორევით.

375

აღს მივიდა მეწინავე, მათ მოიცეს მთა და ბარი;  
რკინით იყუნეს შეჭედლილნი, იგი დევთა დასადარი;  
მიიზიდვენ სამესისხლოდ, მითხარ მემცა რა ვაბარი?  
ღმერთი<sup>1</sup> უზამს სამართალსა, ადრე წაკდეს ნამტყუნარი<sup>2</sup>.

376

დროშა მიუძღუის მეფესა, მთასა გარდაკდა მალია;  
იმერელთ ჯარი იქ დაკუდა, ჰგავს არ არიან მალია;  
სული მიართუეს არმალნად, ვით დაუშურონ მალია;  
ვის სამართალი მიუძღუის, მგზავსად მოჰკრიფოს მალია.

377

უსალამეს ერთობილთა, მუკლს აკოცეს შარიერსა; 123  
ჰკადრეს სიტყუა სასამძიმრო, ვით მართებდათ იმა ბევრსა:  
„ვინ გაბედა ესე საქმე უმეცროლად დანაყბედსა;  
თქუეს: „შევაკლათ თავი ჩუენი, რას კელსა გუყრი ყმა და ბერსა“.

378

მეფე ბძანებს: „სირიგუნითა საქმეს ვერას ვერ მიმკუდარა;  
კარგად იცით ნდომით საქმე უგანგებოდ არ მამკუდარა;  
სამართლისა მოიმედე ვინ სდევს საქმე არ წამკუდარა;  
მაზე შევჰყრი სულ ციერსა, ვამეყ გულსა ვერ ჩამკუდარა.

379

თქუენც იცით, მივეც ქუეყანა მეფისა დანარჩომია;  
მოყურობა შევქენ, იფიცა ვინ შექმნა ცისა ხომია;  
ვიყავ გულმართლად საერთოდ, სიავე არა მდომია;  
აწ ვამიტება ზენარი, ირჩია ჩემი ომია“.

380

მოახსენეს: „კემწიფეო, მოვისმინეთ თქუენგან თქმული;  
ვიცით რომე უმართლებარ, სიმცროთგანვე სიტყუა სრული;  
ჩუენ მივმართოთ იგ საგზილსა, შეიქნების დაკარგული;  
რა შეიგნას მეფე მოვა, არ მოუვა თუალთა ლული“.

<sup>1</sup> დედ.—ღთი, <sup>2</sup> ნამტყუნარი.

381

124

გადგენ, მუნითგან შეიქნენ არგუეთისაკენ ვლილია;  
ლაშქარი მისდევს ზღუის ოდნად, სამართალს იგდებს ქუელია;  
ქუეყანაზედან კაცთაგან ამათი ომი ძნელია;  
აწ დადიანი რასა იქს, ანუ რის საქმის მქნელია.

382

დადიანს უთხრეს: „მოვაო, ვინა სჩანს მტერთა ბაღია;  
გუერც ახლავს ქუიშისოდენი ლაშქარი დაგეჟულადია;  
მოაგრგნის ტყე და მინდორსა, მათ ვერ დაუდგამს ქუაღია;  
თუ შეძლება გაქუს მიმართე, შენ კლმითა დაექადია“.

383

თქუა: „ლაშქარი შევიყაროთ“, ცაგერელსა ეუბნების;  
„მივეგებოთ კელიერთად, არა ვიცი რა მოკდების;  
ჩუენ შევებათ შარიერსა, თუით წერილი არ ამკდების;  
მაგრამ სჯობს რომ გაუფთხილდეთ, უსამართლო მალ წახდების“.

384

შემოიყარა ლაშქარი, მივა წინ მისაგებავად;  
გულში სხუა ჰქონდა თათბირი, თავისა წასაგებავად;  
იტყუის: „გავსტეხე ზენარი, ვინ იყო ჩემად მრჩევავად;  
ოკრად დამრჩების საჭურჭლე, რაც მქონდა დასადებავად“.

385

დედოფალი თან მოჰყუების, გუერც იახლა ქალთა ჯარი. 125  
თქუა: „მეგრელნო, თქუენ დაგიყო საგანძური რაც რამ არი;  
ჩუენი ზურგი ყოფილხართო, — იწყო ესე საუბარი;  
შეებნით იმა ლომსა, ნურა გინდათ სხუა საქმარი“.

386

ცაგერელს უთხრა: „შეიდევ სისხლი მეფეთა ძნელია;  
თქმულა: ვეზირის სიწყნარე არ აგრე უქკუო ხელია;  
შენებრ ცქაფი და უშუერი მიწყი ავისა მქნელია;  
მეფე მოსულა, შეები, შეიქენ მათკენ მვლელია“.

387

ბეენ იტყუის: „რად მოვლორდი, რა ეშმაკი მამეჩუენა?  
არა ვიცი უბედომან, თუ რას საქმეს წამაყენა;  
ვიუარე, ვერ მოურჩი, დამაყარეს თუ რა ენა;  
აწ გარდაკდეს თავსა ჩემსა სირეგუნითა რაცა ვქენა“.

388

ბერს დაება ენა გძელი, ველარ იყო მისებურად;  
თან მისდევდა იგ ლაშქარსა, არა იცის რა ქნას თუ რად;  
ჯავრით ტუინი დაბნეოდა, შემოჰყროდა გულსა მურად;  
თქუა: „შევსცოდე შარიერსა, მით შეიქნა ჩემზე მღურვად“..

389

ქუთათის<sup>1</sup> დადგა ვამეყი. ფიცთაგან შეშინებული;  
ზეპირად მალლა იძახის: „მე ვარ სფაადი<sup>2</sup> ქებული;  
ჩემსა შემბმელსა დავამკობ, წავიდეს დია ვნებული!“  
ლაშქარს იმედსა უღებდა, თუით გული ჰქონდა ლებული.

390

კაცი გაგზავნეს ჯაშუშად, მართლის ამბვისა მბობელი;  
მივიდა, ნახა ლაშქარი, თქუა თუ: „ვერ მოვრჩეთ მიხრობელი;  
ვეჭუ დაასრულოს ოდიში, ამა მეფეთა მკობელი;  
თქუა, ამა დღისა შემსწრობმა, დავსწყიო ჩემი მშობელი!“

391

მივიდა, ჰკადრა პატრონსა ეგზომ ლაშქართა ყრილობა:  
„მათ ტინი კლდეცა დაადნონ, ამას არ უნდა ცილობა;  
იმა მეფეთა მტერობა გეგონათ თქუენ აღუილობა;  
სჯობს ზენაარი<sup>3</sup> ითხოვოთ, შექნათ სიტყუათა ღბილობა“.

392

დადიანმა თქუა: „გააძეთ<sup>4</sup>, ეს არის შეშინებული;  
კაცი სულდგმული ჩემზედა ვით შეიქნების ვლებული?  
წინ მივეგები ცას ქუეშეთ სუო იყოს შემოკრებული;  
იმა მეფესა შევებმი, რაგინდ რომ იყოს ქებული“.

393

დედოფალი იქ დააგდო, უთხრა: „იყავ გულდადებით; 127  
ერთგულთ<sup>5</sup> მიეც საგანძური, ზოგზე იყავ კულავ ქადებით;  
ნუ თუ დაგრჩეს საპატრონო, იყო ჩუენზე ვალდადებით;  
თუ დამარცხდეს, გიპატრონონ, არ შეიქნა მათგან ვნებით“.

394

გამოდგენ მეწინავენი იმა მეგრელთა ჯარისა:  
ვამეყის დროშა ამართეს, ელვა ჩანს იგ აბჯარისა;  
წამოეყარა საომრად, მაგრამ შიში აქუს ჯუარისა;  
შორით მუქრობს და იძახის, ახლოს ვერ მიეჯარისა.

395

მეფეს რა ესმა, იამა ვამეყის პირის პირობა;  
თქუა: „აწ შევჰყარო საკმილსა, ვიზე მიქნია ყრილობა;  
ვეჭუ, დავანანო საგზილსა რეგუნულად მისგან ქნილობა;  
სისხლისა ლუარი ვადინო, ვინ იწყო შემოცილობა.“

396

სამართლითა მე მიდგია, ვინცა შექნა ზლუა და კმელი;  
თუით გააძოს წამის ყოფით, არ უყუარდეს ავის შქნელი;  
მას წინ ყუელა აღუილად ჩანს, რაგინდ იყოს საქმე ძნელი;  
სისხლი მათი ველად მოვრწყო, რადგან დამიც კმალსა კელი“. 128

<sup>1</sup> დედ.—ქუთათის. <sup>2</sup> სფაადი. <sup>3</sup> ზენარი. <sup>4</sup> გაძეთ. <sup>5</sup> ერთგულთ.



XXII. აჲა ღადიანს ვაჲმუს ღმერთჲან<sup>1</sup> ჴიცის ტჲხა ჰჲითხა ღა სჲჲმ  
აჲშალა. ჲაიჲცა ღა სხელოანი მჲჲმ შაჲნაჲაჲ შჲან მისღჲს.  
ნახე იჲა ჰიროჲა ჲაშთაჲჲაჲლს რა ღაჲმართოს.

397

წამოუვიღა ღადიანს ჰილაძე ჰჲოინდელია;  
მას თან ჲამოჰჲუა ძმა მისი, რომელსა ჰჲუიან ჰჲელია;  
მიჲელაძენი ვინც არის, ყუელია მისკენ მღელია;  
შამადაღლესა მომართეს, ერთგულობისა<sup>2</sup> მთჲმელია.

398

არეულობა შეეჲნათ<sup>3</sup>, ოდიშართ იწყეს კლებანი; 129  
ფიცმა შეშალა ვამეყი, მით მიხუღა ეზომ ვნებანი;  
ნახეთ სიმუხთლემ რა უყო, ვით ჰჲოვა ცეცხლთა დებანი;  
დაება ჰირსა უხსნელსა, მას მოეშალა შუებანი.

399

თჲუა თუ: „ყმათა მილალატეს, ვით შეეება იმა სჲათა;  
უჲულმავე მივბრუნდები, დავიჯერებ ამა თჲმათა;  
ოდიშისკენ დავიკარგუი, თუ მოურჩი ამა ყმათა;  
ანამც სადმე მილალატონ, ვით მივენდო სხუაგნით სხუათა“.

400

ფიცხლავ ჰჲუთათის<sup>4</sup> მივიღა, საღ დედოფალი დგებოდა;  
უთხრა: „გუიმუხთლეს მოყმეთა, ვინ საჲართალსა ჰჲუებოდა;  
გუეკითხა ავად ნაჲმარი, თუარ ჲარი არ დამცრდებოდა;  
ვით მისულევიყავ საომრად ლაშჲარი არა მზღებოდა.

401

ჩუენ წავეიდეთ, დავიკარგოთ ვირემ მეფე მოვიდოდეს;  
მისთა სჲათა ვერ მოურჩეს, რაზომ კაცი მალედ რბოდეს;  
შიში ჰჲონდათ სფადისა<sup>5</sup>, არ იცოდენ, რას იჲმოდეს;  
ან შევსცურდეთ ზღუაშიაო, უფროსიერთ მას იტყოდეს.

402

თჲუეს თუ: „დავჲყაროთ საჲურჲლე, რაც იყოს მძიმე ძჲირია; 130  
მოსუენებულთა იხუედრონ, ჩუენ მოგკუდა ვასაჲირია;  
არ მოკდა ჩუენი თათბირი, არც ცუდი დანაჲირია;  
ღბინისა ნაცულად ვიშოვეთ აწ ასრე ასატირია.

<sup>1</sup> დედ.—ღმან. <sup>2</sup> ერთგულობისა. <sup>3</sup> შეჲნათ. <sup>4</sup> ჰჲუთათის. <sup>5</sup> სფადისა.

403

რამანც კაცმან ფიცის ტეხა მოიძებნა მისთუის წესად;  
შიში ლუთისა <sup>1</sup> მოიძავოს, იგი უჩნდეს უკეთესად;  
მას სატანა ემოყურების, ბოლოს დაჯდეს ჩემებრ კუნესად;  
ჩუენ ვყოფით გზა და კიდად, ნუ ვინ დარჩეს უარესად“.

404

ფიცხლავ წავიდენ, დააგდეს რაც ჰქონდათ სამძიმარია;  
ციხეს ვეზირი მიუშუეს, თუცა ჰქუისაგან მცდარია;  
უგზოსა ვლიდენ საწყალნი, სიმტყუენემ ასე არია;  
თქუეს: „შარვაშიდეს მიემართოთ, სხუა ლონე არსად არია“.

405

ქუთათის კიდი ჩაყარეს, ქალაქი დარჩა კიდესა;  
იგინებოდენ ყუელანი, ვამეყის გარდამკიდესა;  
მეფეს მომართეს სახუეწრად, მათგანვე დაიმშუიდესა;  
ჰკადრეს: „გაიქცენ, რომელთა სიავეს არ დარიდესა“.

406

ბძანა: „სად წავა გძნეული, ვერ მამრჩეს რაზომ ვლიდესა; 131  
არ მოვასუენო საძილად, ვერცა სალხინოდ ზმიდესა;  
შარბათის ნაცულად მიეცეს მუდამ სამსალას სმიდესა;  
მას სამართლისა მოქმედსა რადგან არ დაერიდესა“.

407

ნალარას ცემენ, იძახის ყუირი, სტუირი და ქოსია;  
შემოეყარნეს: მთიულნი, სუანი, დუალი და ოსია;  
ლხინი მიეცათ, იშუებენ შემსწრებნი იმა დროსია;  
უხუად <sup>2</sup> უბოძა სფაადმა <sup>3</sup> ხალათი შესამოსია;

408

ამა ლაშქართა სიდიდე რა ვითხრა, მეტის მეტია;  
აავსო მთა და მინდორი, ადგილად აღარ ეტია;  
მეფე აშუენებს ლაშქარსა, ჰკუირობდა <sup>4</sup> მისი მკვრეტია;  
რაზმსა აწყობს და არიგებს, უჭირავს ოქროს კეტია.

409

ქუთათისს <sup>5</sup> დედა ქალაქსა დადგა უკადრი, ლალია;  
დიდთა მეფეთა სამყოფი ნახა იგ ტურფა ბალია;  
სრა და საწოლი დახჩული, კარი ჩანს არსად აღია;  
თქუა: „უპატრონოდ ქნისათუი შემქნია გულსა დალია!“

410

მას ნუ მისდევ, რაცა ლმერთმან <sup>6</sup> საქმე ნდომით არ აშენა, 132  
არ გამოდგეს უგანგებოდ, რადგან შენად არ აშენა;

<sup>1</sup> დედ.—ლუთისა. <sup>2</sup> უხად. <sup>3</sup> სფადმა. <sup>4</sup> ჰკუირობდა. <sup>5</sup> ქუთათის. <sup>6</sup> ლთმან.

დავრიდე არ მოილო, შენზე მიწყვი არა შენა;  
ამით ჰპოვო ზეგარდამო, სიტკბო დიდად არა შენა“.

411

ციხოანთ სროლა დაიწყეს, ეჭირათ ჯაზაირები;  
შემცოდე სიკუდილს მოელის, დიდი ვინ, ანუ წულილები;  
ქუეყანა შემოსდგომია, დაუდგამს ვერ ქუიტკირები;  
სჯობს ზენაარი<sup>1</sup> ითხოვონ, შეშლით არიან ვირები.

412

იყო ვინმე ლეჩუმელი კაცი, ომთა დანაბადი;  
გული ედუა სამესისხლო, შალი ეცუა და ნაბადი;  
თქუა: „ავილო ესე ციხე, მათ წაულო დანაბადი;  
ნახოთ, აღრე მოვურლუივო იგი კოშკი დანაბადი“.

413

ხოსია ერქუა სახელად, ვინ რომე მესისხლეობდა;  
კემწიფის ერთგულობასა<sup>2</sup> ცდილობს და მეტად ქუელობდა;  
შიადგა, ციხე აილო არ ცუდ მაშურალად ტრელობდა;  
გამოიყუანა შემცოდე, სიკუდილისათუის ჭრელობდა.

414

მოიყუანეს კელ შეკრული ცაგერელი მეფის წინა; 133  
უთხრა: „ბერო, შენგან<sup>3</sup> არი, რაზომ კაცი მოიყიენა;  
მოინდომე მოსათხრელად, საქართუელო ვინცა ვინა;  
ახლა ბძანე საპასუხოდ, ავის ნაცულად შე რა ვინა?

415

„ჩიქოანი ხარ გუარ მოკლე, იჩემებ თავადობასა;  
ბაგრატოანთა საბრძოლად მოგერთო, სცემდი ნობასა;  
თავის უფალი შეიქენ, ამბობდი შენსა ბძნობასა;  
შმაგი ხარ, უქკო, რეგუენი, მიგცე ლახუართა სობასა“.

416

თავს მართლობდა იგი ბერი, უარობდა მისგან ქნილსა;  
თქუა: „არ ვიცი ეგე საქმე, გუნებაში განავლილსა;  
მოინდომეს მათის ნებით, ქალი მისცეს იმ საგზილსა;  
ნურას მკითხავთ, არა ვიცი აღრიდგანვე გამოყრილსა“.

417

მეფე გაუწყრა, გააძო<sup>4</sup>: „რას მეუბნების გძნეული!“  
კელი შეუკრეს თოკითა, შეიქნა გამოძეული.  
უთხრა თუ: „სომხითს ვაგზავნეთ, მათი შეიქნას წუეული;  
საპყრობილესა ჩააგდონ<sup>5</sup>, ლხინი დავიწყდეს წლეული“.

<sup>1</sup> დედ.—ზენარი. <sup>2</sup> ერთგულობასა. <sup>3</sup> შეგან. <sup>4</sup> გაძო. <sup>5</sup> ჩაგდონ.

**XXIII. აქა ამა მთარეოდან დიდად გამარჯვებულმა ხმარითმანა  
ჟუთაინის ციხე აიღო, შემცოდენი გამოიყვანა.  
ციხის სპაში გაარია<sup>1</sup> და ოღიშისაქენი გახმარათა  
ვახუშის ქაზნად.**

418

ციხის საქმე გაარია<sup>1</sup>, შიგ დააგლო<sup>2</sup> კაცი ქუელი;  
მოლარები მიუჩინა, რაც ეყარა განძი ძუელი;  
კოშკები და ნარიყალა, არ გაუშუა დაუვლელი;  
გამაგრეს<sup>3</sup> შინ და გარეთ, მტერისაგან მოუვლელი.

419

რალას არგებს კაცს ნაქმარი, მისი მასვე გარდაკდები 135  
ოღიშს მივა შარიერი, აწ ნახეთ, თუ რა მოკდების;  
ვინ მოუვა თავადთაგან, სინანული არ მიკუდების;  
ტახტიდამე გარდავარდა, ვამეყ ზლუაში ჩავარდების.

420

მას დღეს მალლაქსა მივიდა მეფე და მისი ჯარია;  
მოიცეს იგი ადგილი, აივსო მთა და ბარია;  
მეგრელნი ბჟობენ: „მიემართოთ, სხუა ღონე არსად არია;  
ჩუენგან თავისა მოჩინა არ არის დასაზარია“.

421

მოეგება მიქელამე, ერთგული<sup>4</sup> და მათზე მკუდარი;  
მამაცობის იადგარი, ლაშქრობისა დაუზარი;  
ომში ხშირად წინ მიმსულელი, ვერ დაუდგის უზებარი;  
ხლება შექნა კემწიფისა, მრჩეველადაცა მეტად კმარი.

422

ოტიამ ჰკადრა, მეფეო, სუემცაა შენი სუიანად!  
მტერი დაჰკარგე, შეიქნეს ზლუასა მცურავი ყმიანად;  
თქუენზე იმტყუენეს ცთომითა, მათაც ეყოფის ზიანად;  
აწ მიაშურე, წასულა კამს, ნუ გინდა საქმე გუიანად“.

423

აიყარა მასვე წამსა, მოუსმინა მისგან თქმული; 136  
გაემართა სამესისხლოდ, ვის მოერთო რკინად გული;  
რაცა ბძანის, არ გარდაკდის, მუდამ იყუს სიტყუა სრული;  
ფიცა: „ვამეყს არ დავარჩენ, თულა მახსოვს მისგან ქმნული“.

<sup>1</sup> დღდ.—გარია. <sup>2</sup> დაგლო. <sup>3</sup> გამაგრეს. <sup>4</sup> ერთგული.

424

ხონს მივიდა მეგრელები, იქ დაუდგნენ დაჯარებით;  
ეხუფეიან მუკლთ საკოცნად, მეფე იყო გაჯაგრებით;  
ბძანა: „ვამეყ დამიჭირეთ, მისი მინდა გარჯა, ნებით;  
მოველ მისად შესაპყრობლად, უძლეველი ვარჯანებით“.

425

ღეისმამა კემწიფისა პირველ იყო შემცნეურად;  
თქვა: „ემსახურო<sup>1</sup> კემწიფესა, ვით მართებდეს ყმასა ყმურად;  
ნუ თუ მივხუდე ვამეყს სადმე, აღარ მქონდეს გულსა მურად;  
კელ შეკრული მოვიყუანო, იგი იყოს ჩემზე მღურვად“.

426

გაუძახა მეწინავე მეგრელთაკენ იწყეს რება;  
გაუტყხეს სიმაგრები, მათ მიეცა დიდი ვნება;  
სულ აიკლეს ცოლშეილითა, ერთმანეთსა აღარ ება;  
ტყუე<sup>2</sup> ალაფი უმარავი, მძიმე ლართა უყუეს კრება.

427

დაიფანტა სრულ ლაშქარი ვამეყისა საძებარად; 137  
ვერსად ჰპოვეს, დაიკარგა, მთას იყო და, ანუ ბარად;  
თქუეს: „წავიდა ხომალდითა, ზღუას მიეცა დასანთქმავად;  
აღარ არგებს სინანული, კაცს მოუვა საქმე ავად“.

428

შანა აიღეს მეგრელთა საქმისა დასანდობია;  
შიში გავიდა მეფისა, ქუისაცა დასადნობია;  
იგინებოდნენ, უბნობდნენ, ვამეყის დასავგობია:  
„რად მივყევითო რეგუნესა, წყეულმცა<sup>3</sup>, ვინა ჰყმობია!“

429

დედოფალმა თქვა ელენემ: „ნეტარ ვიქმოდე მე რასა?“  
თქვა: „დადიანი რა იქნა?“—ხშირად ჰკითხევდა ყუელასა.  
ასული ახლდა საწყალი, გულმან დაუწყყარ ძვერასა;  
თქვა: „რატომ მშობებ დედაო!“—იგ დაუწყებდის წყევასა.

430

არჩევს: „მივმართო სოლომონს, ის არის ჩემი ღონეო;  
მისმეტს ვერავის ვენდობი“—თქვა: კარგად მოვიგონეო;  
შუილს მივგური<sup>4</sup>, მძევლად დაუგდებ, ამ რიგად დავემონეო.  
მისი სიმკნე და სიკეთე წინასვე მოვიწონეო“.

431

როსტომ იყო აფაქიძე, დედოფალი სიძედ ჰყმობდა; 138  
იგ მიაჩნდა დასანდობლად, პირველადცა მისად ჰყმობდა;  
ეგონა, თუ მითუისებსო, მაგრამ ბოლოდ არა სჯობდა;  
საქმე ეღუა გაჭირებით, რას იქმოდა ვერა ჰსცნობდა.

<sup>1</sup> დედ.—მსახურო. <sup>2</sup> ტყუ. <sup>3</sup> წყეულმცა. <sup>4</sup> მიგური.





432

ასული როსტომს დაუგდო<sup>1</sup>, თუითან წავიდა მალია;  
აფხაზეთს შეჰკდა სოლომონს, ჰკადრეს: „მოვიდა ქალია;  
კაცი გაგზავნე, იკითხე, სით არის მომავალია.  
ულაშქროდ ეხომ სავალი მარტომან როგორ დალია“.

433

მოახსენა დედოფალსა: „თქვენ ყოფილხარ მარტოსადა.  
ანუ ყმანი რა გიქნია, გზა გივლია მარტო სადა?  
ერთი ვინმე არ იახლე, სასაუბროდ მარტო სადა;  
არც მკვევალი მოგყოლია, დაგიგდია მარტო სადა?“

434

ქალმან თქუა თუ: „საწუთრომა კელყო ჩემზე დანასმევით;  
მიმაწურვა სატაგრუცედ არ დამრიდა დანასმევით;  
სწყურის, არის გაუძლომლად, სისხლთა ჩემთა დანასმევით;  
რაზომსაცა დავერიდე, მოურჩები დანასმევით.“

435

ამად ვჩივი, სოფლისაგან არ დამინდო მისობასა; 139  
გამამყარა სიცოცხლესა, არ მაშორვა მისობასა;  
ვერ მოურჩი გაყრა გაცლით, ამად შემქნა მისობასა;  
გულსა მაძეს მონასროლი, ვით გაუძლო მისობასა“.

436

კაცსა უთხრა საუბარი ტკბილი რამე, არა მქისი:  
„ვიაჯები მამეკმარო, ძმა შემექნა, ან მეყუისი;  
შემახუეწე შარვაშიძეს, სათნო იყოს არავისი;  
მიიბაროს საკემწიფო, ნურა უნდა დასამცრისი“.

437

თქუა თუ: „სოლომონს მოვმართე, ვინა სჩანს მტერთა დარევით;  
ბევრის მცემელსა ვიაჯი, ვის არა სჩნია დარევით;  
სფაადი მოგულდევს გამწყრალი, მით შევიქენით დარევით;  
ყმათ გუიორგულეს, მივეცით ასრე ლახუართა დარევით“.

438

მივიდა, ჰკადრა სოლომონს ქალისგან დავედრულია;  
თქუა: „გამოჭრილა სახუეწრად, მარტო ვით დაკარგულია;  
მას შუილი მძველად გუერც ახლავს, ვითა ნასყიდი ყულია;  
მოკმარებასა ვიაჯის, ფარვა რა სავარგულია“.

439

სოლომონ გაწყრა: „მეფესა ვით გაუმართო კმალია. 140  
ქალი წაართუა<sup>2</sup> ცთომითა, თავს დასდუა ესე ვალია;  
ვინ დაამშვიდებს სულდგმული, თუ გაწყრა პილო მთურალია?  
მეც მასთან წავალ უთუოდ, დღესა თუ, ანუ ხუალია“.

<sup>1</sup> დედ.—დაუგო, <sup>2</sup> წართუა.

XXIV. აპა სოლომონ დედოფლის დახედა მოინდომა და ახხილა  
ერთმან ვინემ ნახსახურმა კაცმან და გამოიპარა, წაჰიდა.

440

ეწადა ქალის შეპყრობა, ამას არჩევდა მალეებით;  
ორსა გაანდო<sup>1</sup> მონასა, ამა საქმესა მალეებით;  
თქუა: „მეფეს მიეგური უთუოდ, ამას არ უნდა მალეებით,  
წყალობას მიზამს ზღუისაებრ, მგონი ამავსოს მალეებით“.

141

441

ერთმან ვინმე ყურად ილო, რომე ასრე დაეჟადა;  
თურმე ღმერთსა<sup>2</sup> იგი კაცი მოსაკმარად დაეზადა;  
მალეით უთხრა: „აწვე წადი თქუენ გივლია სადით სადა;  
მახსოვს თქუენგან შეწყალება, თუარემ თქმაცა არ მეწადა“.

442

მადლი უთხრა მას მბობელსა, გამოულო, მისცა რიდე;  
თქუა თუ: „გაეხარ კარგსა ვისმე, ამად გიმობ, შენცა მიდე;  
თუ შევეპყარ მაგა ყმასა, გასაემლად დავემშუიდე;  
მამარჩინე, მადლი ღმერთსა<sup>2</sup>, გზასა საელად გავეკიდე“.

443

რა შელამდა, ცხენსა შეჯდა, მალეით გავლო იგი არე;  
მას მიეცა სოფლისაგან სარჯელი და კმუნვა მწარე;  
იტყუის: „ჩემი უბედობა მე მრჯის, ვისლა დავაბარე;  
გავეყარე სიცოცხლესა, დამიბნელდა მზე და მთუარე!“

444

მიმართა აფაქიძესა როსტომს, ვის სიძედ სძრახევდა;  
უთხრა: „გამწირა სოფელმან“—იგ მწარედ ოკურა ახევდა;  
გამოეგება ასული, ტირილით დედას ნახევდა;  
ქმარ შუილის გაყრით იწუება, აღმასის დანა დახევდა.

142

445

შეებუეწა<sup>3</sup>: „მიპატრონე, არვის მიმცე მე საწყალი!“  
უბეს ედვა, გამოილო სასახელო მისა ლალი;  
იქი აქა ჯავრისაგან ეპენტება ვითა მთურალი;  
„მოყუარე ხარ, შემიხუეწე, ღმერთსა<sup>4</sup> დასდევე ესე ვალი.“

<sup>1</sup> დედ.—განდო. <sup>2</sup> ღმერთსა. <sup>3</sup> შეებუეწა. <sup>4</sup> ღმერთსა.

446

ნუ დამიშლი ციხეს გიჯდე, სასიკუდილოს, ავის მქნელსა;  
საგლოველი მამკდომია, სიმძიმელი ეგზომ კუნესა;  
არ დავიკლო გაუწყუეტლად ტირილი და მოთქმა ესა;  
მე ვიქნები ამ წესითა ვირე ვნახავ იმა მკნესა“.

447

როსტომ მეტად იმედი სცა, მუნით ციხეს დააყენა <sup>1</sup>;  
თქუა: „ცოცხალმა არვის მიგცე, ან ვის ძალ უც შენი წყენა!“  
გულში სხუა აქუს სათათბირო, მაგრამ ამბო ტკბილი ენა.  
ნახე, რა ქნა სიცრუემა, ან რას საქმენ წააყენა <sup>2</sup>?

448

ბანძის დგას დიდი კემწიფე, ლომგული, გმირთა გმირია; 143-  
სწუენ და არბევენ ყოველგნით, არა ჩანს გასაჭირია;  
როსტომ მიმართა მაშინვე, მისულოდა მისაბირია;  
ნახა კემწიფე, იამა, სიტყუები უთხრა ლბილია.

449

როსტომ ჰკადრა: „შარიერო, არ გიტყუო ქადებული;  
თუ მიბძანებ ერთსა რასმეს, კკადრებ ჩემგან გაგებული;  
ასული და დედოფალი მე მაქუს მათი ბადებული;  
გავბრუნდები აწევ მოგგური <sup>3</sup>, იქნას თქუენი წადებული“.

450

რა მოისმინა მეფემან ეგზომნი მისგან მზობანი,  
მადლი უბძანა მას ყმასა, იამა მისგან თხრობანი,  
უთხრა: „მოგცეო მრავალი, თუით აგისრულო ყმობანი;  
ერთგულობისა ბადე ხარ, ვის ძალუც შენოდნობანი“.

451

ბძანა: „ნუ ჰყოენი, მამგულარე, ქალი ციხესა მჯდომია;  
ასული მისი თან მოჰყუეს, სარძლოდ არ მოსანდომია;  
მათი ქონება შენ დაგრჩეს, რაც იყოს უსაზომია;  
მკევალი ყუელა იახლოს, ერთობით იქი მდგომია“.

452

გამობრუნდა მასვე წამსა, როსტომ მივა თავის შინა; 144-  
მოწყენით და მოწიწებით დაჯდა ეგრე ქალსა წინა;  
ნახა ეგრე დაღრეჯილი, დედოფალსაც მოეწყინა;  
უთხრა: „ძმავო, სამძიმარი შენზე ვინ რა მოაწივნა?“

453

მოახსენა ტყუილი რამე, თავს მართლობდა იგი წბილი;  
სხუათა ვისმე აბრალებდა საეშმაკო მისგან ქნილი;

<sup>1</sup> დედ.—დაყენა. <sup>2</sup> დედ.—წაყენა. <sup>3</sup> მოგგური.



ჰკადრა: „მეფეს შემასმინეს, თქუენი უთქუამს<sup>1</sup> აქა ვლილი; დედოფალი კელთა ჰყავსო, მასთან არი ქალიშვილი.

454

უთხარ: მამკალ შარიერო, შემიძლია ეგე არა; არ მასშია, თუ სად არის, ვინ რომ გკადრა, იგ მამცდარა; ესე გუარი მოვახსენე, სიტყუა მეტად გამიკმარა; გამიწყრა და გამამაგდო, მისულა ადრე დამაბარა“.

455

ქალმან უთხრა: „ეჰა, ძმაო, მე ვით მმართვეს<sup>2</sup> შენზე მღურვა; მამევლინა ზეგარდამო რისხუა მისი შუიდი თუ რვა; ტახტ გუირგუინსა მამაშორვა, ასრე საკუდად მიმაწურვა; ღმერთსა<sup>3</sup> უნდი დასამკობლად, ჩემი გაქუსო ნურც ყოლ ურვა“.

456

უთხრა: „ვიყო წამამსულელი, არ მიმაჩანს აქა დგომა; 145 ვარ ბედისა მომღურავი, მიწყი წაკდა ჩემი რჩომა; ამატირა ცხელის ცრემლით, თუალთა მამკუდა არ გაშრომა; დამიგდია საპატრონო, წყალსა მივეც ჩემი შრომა.

457

წამიძელ და წამოგყუები, ვითლა ვიყო სრასა მდგომი; დამითმია სოფლისაგან ჭირი მამხუდეს, თუ რაზომი; კემწითესთან მიმიყუანე, ნურა გინდა გასაწყრომი; ნუ თუ მამკლას ამ სოფელსა, აღარ ვიყო ფეკზე მდგომი?“

458

თავსა ჩადრი<sup>4</sup> გარდიბურა, მან ტირილით გაგლო კარი; მოსთქუა მისი სუიანობა, იგ ტახტისა გასაყარი; სოფლისაგან ნაჯავრებმან მისივე თქუას დასაგმარი; იტყუს: „ტყუე ვარ დაკარგული, რა მინდაო სხუა საქმარი?“

459

მიუძღვის, მისდევს მას ყმასა, ცრემლი სწუეთს ლაწუზე მიღევით; აღარად სავსობს, ეტყობის, მთუარე გამკდარა მიღევით; სიტკბო შეჰქნია სამსალად, უჭირავს, არის მიღევით; მოშორვებია სამყოფსა ტახტისა არის მიღევით.

<sup>1</sup> დედ.—უთქამს. - მართვეს. <sup>2</sup> ღმერთსა. <sup>4</sup> ჩარი.

XXV. ამა ამა ვალაღს ხმეწიფვს როსტომ ავაჟიქიმ დედოფალი-  
ელენე და ასული მისი მოკვარავს. ნახეთ საზარტალი  
ლუთისა<sup>1</sup>.

460

მოიყუნა მეფეს წინა, თუცა ჰქონდა ქალსა რიდი;  
უთხრა: „ტახტი დაგიდია, უადგილოდ სადა ვლიდი?  
ქმარმა შენმა არ დამინდო, სად წამივა იგი ფლიდი;  
სარძლო ეგე რად გამიეც, ყულსა შენსა რადა რთუიდი?“

461

დიდხანს იყო გაშტერებით, სიტყუის თქმასა დაელონა; 147  
უნდოდა, თუ კემწიფესთან სიმართლე რამ მოეგონა;  
ჰკადრა: „ასრე გაოხრება ჩემი არც ყოლ არ მეგონა;  
ან ოდიშართ თავადები თქუენად საყმოდ დაგემონა.“

462

აწ თქუენ დაგრჩა საპატრონოდ, არსთა მკელი მოიგონე;  
ნურას აწყენ ქმარსა . . . . . წა]დღეს<sup>2</sup> დაიმონე;  
შემცოდეთა პატივი გუ[ეც . . . ]ისაგან<sup>2</sup> მოიწონე;  
მრისხანე ხარ, დაგუიწყნარდი, აწ შეიქენ ჩუენი ღონე“.

463

მეფემ ბძანა: „არას გაწყენ, იყავ, ვნახოთ რა მოკდების;  
თუ არ მოვა ქმარი შენი, სულ ოდიში გაოკრდების;  
მოვა, ვფიცავ, არას ვაწყენ, ყუელას უზამ მისის ნების;  
მოკცემ შენსა სამკუიღროსა, შუილთა შენთა არ ევენების“.

464

წაქუიჯს მივიდა ლომგული, იმა ციხისა არესა;  
შემოებუივეს ლაშქარი, მოიცეს შიგან გარესა;  
მაშიგ ზის ნესტან დარეჯან, ვინ ტახტით გარდმოყარესა;  
ამა დრომდისინ ტყუედ იყუნენ, მათ ბელი გაიმწარესა.

465

რა შეიტყო მეფეაო, შემოქმედსა მადლი მიცა; 148  
თქუა: „დაიხსნის ბორკილისგან, მეშუელე ჰყავ მისებრ ვისცა“.  
მიხუდა დიდი ვახარება, არ თუ კიდე ცრემლი სდისცა;  
ალარა კამს ჰიროთა ხსოვნა, ჩამოხედავს ტკბილად ვისცა.

<sup>1</sup> დედ.—ლ<sup>1</sup>თისა. <sup>2</sup> [ეს ადგილი დედანში ამოხეულია]



466

იტყუის: „ყოველთა მოწყალე . . . ფლები ზენასა;  
 შენ შემიწყალე, რომელს . . . სმენასა;  
 მიშუელე ამა ტყუე ქმნილსა . . . ცრემლთა<sup>1</sup> დენასა;  
 ვირემ ცოცხალვარ საქებრად, შენთუი ვაუბნებ ენასა“.

467

დაჩხრიკა სულად სალარო, ნდომით აილო რაცა რა;  
 სხუა გამოკლიტა საქურჭლე, მუნვე დაადგო<sup>2</sup> რაცა რა;  
 თუალ მარგალიტი უზომო, მისთუის წაილო რაცა რა;  
 ბედი უკულმა მბრუნავი, არ გაიმართუის რაცა რა!

468

მიუგზავნა კაცი ვინმე, სიტყუა ჰკადრა შარიერსა:  
 „ლომო, გუიხსენ ტყუეობიდამ, რომელი ჰფლობ მაგა ერსა;  
 ციხე მოგცე, საგანძურსა ჰპოვებ შენსა შესაფერსა;  
 ლალ გუარსა, მარგალიტსა მოიკელთებ არა მცრესა“.

469

კაცმან რქუა სიტყუა უკლებლად დედოფლის დავედრულია; 149<sup>1</sup>  
 უბძანა: „მოველ საშუელად, დავიხსნა ალვა რგულია;  
 ვეცდები უყო პასუხი, ვისგან არს დადაგულია;  
 დავიწყება სჯობს კირისა, ქნას სევდა გარდავლილია“.

<sup>1</sup> დედ.—[წერტილებიანი ადგილი ამოხუელია]. <sup>2</sup> დაგდო.

XXVI. ამა ამა სახელთანა ხაფიფიანა წაქუჯის ცინა აილო და  
მაში მჯღომი ნესთანდარეჯან და კატარა ქალი  
ტყუომიღამ დაიხსნა.

470

ციხისა კარი გაუღეს, მიღვა მისანლო ყმებია;  
შევიდა შეფე უკადრი, თან შეჭყუა სარანგებია;  
წინ მოეგება მაშინვე ტყუედქმნილი დად დადრებია;  
იგ მოიკითხა სთაადმა<sup>1</sup>, სიტყუა თქუა საეარგებია.

150

471

მეფემ ბძანა: „თქუენც გასმია ლევანისა კემწითობა;  
მას მონებდენ ოდიშარნი, მებძოლზედა ჰქონდა ფლობა,  
მორჭმული და მოვლენილი, ვის ძაღედვა იმოდნობა;  
მისმა კმაღმა შეაშინა, მტერთა მისცა ღია დნობა.

472

რა ის გარდაკდა, ვის მიეც მისი მორჭმა და დიდება?  
ლევანის ტახტი მოშალე, ლუთისა<sup>2</sup> არ შეჭქენ რიდება;  
ნათესაეობა დაჰკარგე, შექენ ვამეყის მშუილება;  
აიისა ყოლა ვის მართებს, ან მისი გარდაკიდება?“

473

უთხრა: „შენგან მორჩენილმან დაგისწავლა ღია კარგა;  
ავი კაცი, მისად მგზავსად, მას ისაქმებს, რაც არ ვარგა;  
ღმერთმან<sup>3</sup> ჰკითხა სიავენი, ამაღ მისთუის დაიკარგა;  
სამყოფთავან მოიშალა, დამრჩომია მისი ბარგა“.

474

ღედოფალმა მოახსენა სიტყუა წყნარად მოუბარი: 151  
„ჰე, მეფეო, დაგიპყრია მაგა კლმითა ყოვლი არი;  
შენ შეგფერობს რახტოსნობა, კელთ გეკიროს მთა და ბარი,  
რაცა ბძანეთ უმართლე ხართ რაზომიცა დამაბარი“.

475

იმედი სცა კემწიფემან, ღედოფალსა ეუბნების;  
უთხრა: „დავო, ნულარ სქმუნავ, რაცა გინდა იგ მოკლების;  
მომავალი საქმე ზენა კაცსა ზედა არ აჰკლების;  
უღმერთო<sup>4</sup> საქმე ვინ ინდომა ცუღია და ცუღად სცდების.

<sup>1</sup> ღედ.—სთაადმა. <sup>2</sup> ლ<sup>2</sup>თისა. <sup>3</sup> ლ<sup>2</sup>თმან. <sup>4</sup> უღ<sup>2</sup>თო.

476

სალარო გახსნა, წაილო მათი მძიმე და ძვირია;  
ზოგი ლაშქართა დაუყო, აძლევს მართ ვითა ჩირია;  
უშოვებელი არ დარჩა დიდი ვინ, ანუ წულილია;  
ასსა აქლემსა აპკიდეს, ზიდვა აქუს გასაჭირია.

477

დედოფალი იქ დააგდო<sup>1</sup>, ბძანა: „ზუგდიდს წასულა გუინა;  
ტახტი ვნახოთ ლევანისა, მაზე ჯდომა არ გუეწყინა;  
დაგურჩა მტერთა სრა სამყოფი, გავიშალოთ სუფრა წინა;  
ამას რალა უამეა სასმლად ქონდეს სავსე მინა“.

---

<sup>1</sup> დედ.-დაგდო.

XXVII. ამა ისე კუხუნი მხარობელი მფხე შახნავაჲ ზუგდიდს მივიდა  
 მხა სახელოანის ლეჲან დადიანის სრასა და მოჲუარე მისი შახა-  
 დავლე დადიანად დასუა. მისთა საპატრონო იგი და სახელი  
 უწოდა ლეჲან და ამოგრილა ეგრი, მებრი და აზხაჲნი.

478

ზუგდიდს მივიდა მორთული, ნახა კაცთაგან საამო<sup>1</sup>. 153  
 პალატი ცასა უმადლე, თქუა თუ: „მივხუდიო საამო“<sup>1</sup>.  
 უქო პირველი პატრონი, მას შეადარა საამო<sup>1</sup>.  
 სრა რომთა მეფეს კეისარს ეს მასთან ითქუა საამო<sup>1</sup>.

479

სულ გასინჯა კემწიფეთა ნაშენები ტურფა სარა;  
 თქუა: „რეგუენში ჩაიგდების მოიწონოს ვინ ეს არა;  
 სულ სურნელობს ბალი, ბახჩა შესაფეროზს სულესარა;  
 კამს მეფეთა მამანი, მას აქებდეს ვინ ეს არა.

480

ჩუენ დავსთუალეთ სალაროსი სახლი იყო შუიდი, თუ რუა;  
 ტყუივით იყო შექედილი, არ თუ ჩალით დაებურვა.  
 ფიცხლავ მცუელი მიუჩინა, კაცი არვინ მიაწურვა.  
 ბძანა: „გავსცემ ყუელაკასა, არ მინდოდეს კაცთა მდურვა“.

481

ტყუითა აივსო ლაშქარი, მოუდისთ ჯოგად ჯოგია,  
 უფროსი აზნაურები, გლებთა არ იყო ზოგია.  
 ვერცხლი, ოქრო და ნაქსოვი ვინ იცის, თუ რაზომია!  
 მეგრელი სულად გალაკეს, ვისლა შეეძლო<sup>2</sup> ომია.

482

შამადავლეს შეჭფრფინვიდეს ოდიშარი ვინცა ვინა; 154  
 ამედს უდებს იგი ვაეი: „თქუენი მავნე არა ვინა;  
 ვამეყ მთხრელმა ქუეყნისამან გუარი ასრე მოაყივნა.  
 ამა დრომდი ვის ასმია სხუა მებძოლი ჩუენსა შინა“!

483

მეფემ ბძანა: „საპატრონოდ მიუთუალოთ ამა ყმასა;  
 გამამაგროს<sup>3</sup> მთა და ბარი, მოსვენებით იჯდეს სრასა;

<sup>1</sup> დედ.-სამო. <sup>2</sup> შეძლო. <sup>3</sup> გამაგროს.

ბურთობდეს და ნადირობდეს, დაისწავლის ამა თქმასა;  
ჩუენ მიგუაჩნდეს შუილის ოდნად, ვინდომებდეთ არა სხუასა.

484

დადიანობა უბოძა, თუცა მემკუიდრე მისია;  
სახელი დასდუა ბიძისა მალლისა ლევანისია,  
მიულოცა და შეარტყა მან კმალი არა მჭისია;  
ტახტზედა დასუა, გუირგუინი<sup>1</sup> უნათობს ვითა დლისია.

485

შექნეს ლხინი, გახარება ზომისაგან ნამეტნავად;  
თავს აყრიდენ მარგალიტსა დიდებულნი ვინცა თავად.  
ოდისართა საპატრონოდ ლევან უჩნდა საესავად;  
ორგულთა და შემცოდეთა მოუვიდა საქმე ავად.

486

აფხაზნი სრულად მოვიდენ, მუკლს ეხუევიან მეფესა; 155  
ჰკადრეს: „სუაადო<sup>2</sup>. გიაჯით, გუამყოფო თქუენსა სეფესა;  
ან მიგუეც ლევანს ვსახუროთ<sup>3</sup>, ამა სისხლისა მჩქეფესა,  
ერთგულთა<sup>4</sup> გუიყოს წყალობა, უქებდეთ სიიეფესა“<sup>5</sup>.

487

მეფემ ბძანა: „ოდისარნი რადგან მივეც მემკუიდრესა,  
აფხაზეთი ვით წავართუა, სახემწიფო დაიმცრესა!  
თქუენ მსახურეთ კელიერთად ძუელთაგანვე ვითა წეს ა“.  
დაუმაღლეს კემწიფესა მათი სიტყუა რაცა თქუესა.

488

ლევანს უჩინეს ვეზირად იგ დეისმაშა ჟოლია;  
იცის რიგი და გაგება, არ ცუდად განარბოლია;  
საქმისა კარგად შემტყობი, არც სიტყუა განასროლია;  
თქუეს: „ჩამამავლად სხუანიცა პატრონსა კარგა ჰყოლია“.

489

ლევან იტყუის: „მასპინძლობა დია გუმართებს პატრონისა;  
ლხინი ნახოს ჟამიერად უმაღლესა ვინცა ცისა,  
ჩუენ ვიშუებდეთ მისის ხლებით, იმღერდიან ვინც იცისა;  
ვინ წყალობა გუიდიდა, ლხენა მოგუცა ამა დლისა.

490

რუხის ქალაქი გასინჯეს, ციხისა სიმაგრებია, 156  
დიდის ლევანის ნაშენი, სხუა მასთან რა სადრებია:  
კოშკები ცასა უმაღლე, თავს ტურფად რამე სრებია,  
გარ გალავანი საფერად, მისგანვე მონავლებია.

<sup>1</sup> დ.დ.-გუირგინ. <sup>2</sup> სუაადო. <sup>3</sup> მსახუროთ. <sup>4</sup> ერთგულთა. <sup>5</sup> სიეფესა.





491

მაშიგ ძეს ბადალიჩები, სასროლად საზარელია,  
შაყოლოზი და შაინი მასთანა რა სათქმელია!  
დღის სავალს მივა ფინდიხი, უწყლად კაცისა მკულელია.  
აწ კელ თოფები ვახსენოთ, ანუ რის საქმის მქნელია!

492

მეფემ ბძანა: „სხუა კემწიფე ლევანისებრ არა თქმულა,  
მამაცი და გულოვანი, თუალადაცა ჯავარ სრულა.  
მტერი კლმითა დაუფანტავს, სამუქაროდ სად წასულა.  
ურჩინი ადულილ შეუყრაა, გაუკიცხავს, გაბასრულა.

493

აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმელად;  
ზაფხულ სუფუს მივიდოდის, იგი იყუის ხანდაზმულად;  
ჯიქისა და ალანისა დაუდგომლად სისხლთა მღურელად,  
ორგულისა მავნებელნ, ერთგულთათუის კარგის მქნელად.

494

მთას გავიდის ეილაღად, მას საპატრონო ებარა;  
ფასლი მოვიდის აყრისა, სადაც მართებდა, ებარა;  
მას უმგზავსოსა წალკოტსა ნაყოფი მცირე ებარა;  
აწ მისად ნაცულად მიმართა, შავთა მიწათა ებარა“.

157

495

ლევანს უბძანა: „გასინჯე, რა მიაქვს დიდებისაგან;  
სოფელსა მოაქუს სიმუხთლე, ადვილად გაჰყრის ძმისაგან;  
მოკლე და დაუნდობელი, მამშლელი სულთა დგმისაგან;  
სიუხუე მორთე, ესე კამს ისმინე ამა თქმისაგან“.

496

ლევან ჰკადრა: „კემწიფეო, მოვისმინე, რაცა ბძანე,  
ვითა გფერობს საუბარი, სიკეთესა მიაგუანე;  
ხარ მშობლურებ ჩემი მწრთუელი, კემწიფეთა მონავანე;  
თქუენი ვნახო დაკლებული, მაშინ მიწა ვიაკუანე.

497

მეც შემიტყუია, საწუთრო უკულმა არი მბრუნავი,  
მისსა მიმყოლსა აროდეს არ დააკლდების მუნ ავი;  
მას ღარჩა განძი უფასო, ვინ იქნა მისი მწუნავი;  
ლხინი გავმართოთ, ნუ გუინდა უხანო ხანთა მჩმუნავი“.

498

ლხინი აჩუნა მან ყმამან, მორთო წესი და რიგები.  
მეფე მორთუით ზის, აცუია ზარქაში განაზიდები;  
მთუარისა მგზავსად გავსილსა შეუნის თავზედა რიდები.  
თქუეს: „გუასმიო აროდეს კემწიფე ეზომ დიდები!“

158

499

ზუგდიდს საღარო გააღეს<sup>1</sup> ანგარიშ მიუკდომელი;  
ყუელა გაეყო დადიანს, მისცა არ დაუმცრომელი:  
თულ მარგალიტი უფასო, რაც იყო მათი ყოველი.  
ნახე წყალობა ლუთისაგან<sup>2</sup>, რისა შეიქნა მშოელი!

500

ოდიშართ საქმე ამრიგად გარიგდა, დააყენა მან<sup>3</sup>.  
პატრონ ყმობისა პირობა დასდუეს და შეაჯერა მან.  
აწ იმერეთსა გამართავს იგ ეტლთებრ ამოცენამან.  
შეიქნა შუება, უკუყრა, დასწყუიტა ცრემლთა დენამან.

501

მეფემ ბძანა: „წასულა გუმართებს, ხანი დავყავ იქა რაცა,  
ჩამოგუკედა ტკბილად რასმე სიუხუითა მადლით რაცა;  
კმარის ეზომ სიარული, ჩუენ მოარეთ გზანი რაპცა,  
სუე ბედი და გამარჯუება მას უმადლი, ვინ რომ მიმცა“.

<sup>1</sup> დედ.-გაღეს. <sup>2</sup> ლუთისაგან. <sup>3</sup> დაყენამან.

XXVIII. აქა დადიანი ვამეხ სუანებს მიენდო და უღალატეს, მოკლეს.  
 მისხს მასთან გახოლილი შუილი მოკვზარეს და ჩაცა ქნილიყო  
 უხულა მოახსენეს. ეპითხა ეზოჲნი სიაჰენი.

502

გამობრუნდა შარიერი, მხიარულად მივა შინა.  
 ამაზედა კაცი მორბის, გზასა მეტად აექშინა,  
 თქუა: „მოკლესო დადიანი, სუანეთს იყო იგ მაშინა;  
 ვამეყ წაკდა ფიცთა ტეხით ლუთისგან<sup>1</sup> აროს შეეშინა<sup>2</sup>.”

503

ოკრად დაურჩა სამყოფი, უანგარიშო რა მალი;  
 წაუკდა მისი თათბირი, აწ მოეკიდა რა მალი;  
 ბძანება მიდგა ზენითა, მას გაეწყობის რამალი;  
 უნდა გარდაკდეს წერილი, რაზომცა იყოს რა მალი.

504

არ დადგის უშოგებელი, ჰქონდის გაკრა და სურები;  
 არ გასცის სულად სადებრად, ჰქონდის, ეყარის სურები;  
 თეთრისა იყო მოყუასი, მისი შეჰქნოდა სურები.  
 აწ ნახეთ მისად სანაცულოდ ვით ჰპოა აღსასრულები.

505

არ დაინდო საწუთრომა, რისხუა მაზე მოაყენა:  
 მან შეიზლო მისად მგზავსად, რადგან ფიცი არ აყენა;  
 ლუთისა<sup>3</sup> წყრომით გარდავიდა, იგ დაიწყო საკუდად რბენა;  
 ეშმაკს მიჰყუა ავ საქმარად, არა ჰქონდის კაცთა სმენა.

506

შეილი მოჰგუარეს მეფესა, ვამეყთან გაყოლილია,  
 შიშს დაებნიდა ყმაწუილი, არსად მოსულოდა ძილია.  
 გაოკრდა მათი ქონება, სამყოფთათ გაოლავლილია.  
 დედოფალი და ასული თან მოჰყავ ვაეიშუილია.

507

წაქვიჯს იყო დედოფალი, ვინ იმერეთს იჯდა სრასა,  
 მეფემ ბძანა მოყვანება, ანუ ციხეს იქსო რასა;  
 მიუყუანეს დაუყონლად, მისი ნახუით იქმენ ჯრასა;  
 პატივი სცა შარიერმა, ვით მარცებდა მისსა დასა.

<sup>1</sup> დედ.—ლ<sup>1</sup>თისგან. <sup>2</sup> შეშინა. <sup>3</sup> ლ<sup>1</sup>თისა.



508

ბრძანა: „ბაგრატ მებრალების, მოიყუანეთ ჩემსა წინა,  
ანუ ვახტანგ სად დაევაგლოთ, შეინახავს აქა ვინა?  
როდის წაყდენ დავიძძიმე, გაოკრება სულ მეწყინა,  
წავიყვან და შევინახავ ძმა არიან, არ თუ სუინა“.

509

გამოესალმეს ზეფესა ლევან და მისი ჯარია:  
წავიდა ოდიშისაკენ, ვინ ეტლთა დასადარია.  
კემწიფემ მისცა ქვეყანა, სამყოფი დაუმცდარია.  
მოკმარება კამს მოყურისა, ეგზომ სიკეთედ კმარია.

510

ქუთათის დადგა კემწიფე, ლუთისაგან<sup>1</sup> საესე დიდებით;  
მტერზედან გამარჯუებული იგი უვნებლად მშუიდებით;  
შემცოდნე მოკლა, წაართუა საქურკლე მუნ ცოლშუილებით.  
ვინ გელყო ავსა საქნელად შეიქნა გარდაშლილებით.

511

შაჰნავაზ მეფის სიჩღომა სულ საქართუელო დაფარა, 162  
მებძოლი ყუელგნით გაწყუიტა, დაქრა, დახია, დაფარა,  
დაიონვარა ერთობით, კმალი სცა, ვერვინ დაფარა,  
აილო მათი საქურკლე, თუ რამდენ გუარად დაფარა.

512

შეიყარნეს იმერელნი, მათ არჩიევს რა ქნან თუ რა,  
თქუეს: „მეფემან გუიპატრონოს, სხუისა საქმე გუინდა ნურა;  
შუილი მოგუცეს საკემწიფოდ, ღმრთულებ<sup>2</sup> შუქი მოაწყურვა;  
სიკუდილამდი მას მსახუროთ, წელი დავყოთ შუიდი თუ რვა“.

513

მიუგზავნეს მოციქული, მათ შესთულავს სიტყუა ტკბილი;  
ჰკადრეს: „ლომო, გიაჯებით არ დაგუადნო, ვითა ცუილი;  
ნიანგნი და მიწას მყოფნი იკუირვებენ თქუენგან ქნილი;  
შუილი მოგუეც საპატრონოდ, არ შევიქნათ გარდავლილი“.

514

მეფემ ბძანა: „ეგე საქმე მოიგონეთ დია კარგა;  
მარტო ჩუნენ ვართ მეპატრონე, სხუა უმკუიდრო სადრა ვარგა?  
არჩილ თქუენად საპატრონოდ მოგცე, ედემს ვინ ხე დარგა;  
თუ რა ევნოს დაიკარგეთ, წყალს მიეცით თქუენი ბარგა.“

515

მათ პატრონ გარდავლენილთა ეტლმან უბედა სუემან და, 163  
მოჰფინოს შუქი მზისაებრ იმა კემწიფის ძემან და.  
ბაგრატ მეფისა გუირგუინი დაიდვას, რასა ძე მანდა  
მოვგუაროთ სითმე მნათობი, ვერ აჯობინოს მზემან და“.

<sup>1</sup> დედ.—ლ<sup>1</sup>თისაგან. <sup>2</sup> ლ<sup>1</sup>თულებ.

516

მეფემ ბძანა: „მახარობლად კაცი გუინდა პირმზეს წინა;  
ჩუენ ვაცნობოთ ესე საქმე მტერი როგორ მოიყინა;  
დედოფალთა აქა მოსხმა, ვეკობ, რომე არ ეწყინა;  
ლევანისა ბატონობა იამების ვინცა ვინა“.

517

წიგნი მისწერა შესთულა: „ვინ ნათობ მავა არესა,  
ამბავი ჩუენი ისმინე, თუცა არ გკადრებ მწარესა,  
ჩუენ ჩამოგუხედა წყალობით, ვინ ჰფარავს მთა და ბარესა<sup>1</sup>;  
ნაქმარნი ნახეს ლაშქართა ჩუენ გმირსა დაგუადარესა.

518

რა მივედით, მოგუეგებნეს იმერელთა ჯარი სრულად;  
ტახტი დაგურჩა, იგ მეფენი შექმნილიყუნენ<sup>2</sup> გარდასულად;  
ციხე კელთა დავიჭირე, მცუელი შევქენ გაბასრულად;  
შემცოდენი დაიკარგენ, ზოგნი გაკდა სულ წასულად“.

<sup>1</sup> მთა ბარესა. <sup>2</sup> შექნილიყუნენ.



XXIX. აჲა აჲა მალალჲა ხმჲფიჲმან პირგჲს წინ მახარობელი  
გაგჲაჲნა და ჴმსთჲალა მსე ჴოჲელი ნაჲმარი. და  
ასჲრჲველი ძე მათი არჩილ იხმლ იხმარეთის  
საბატონოდ ჴამსა მას.

519

„დადინი საომარად ჩუენკენ იყო მამავალი,  
ჯარი სრულად წაუვიდა, მარტო დარჩა იგ საწყალი;  
გარდინუეწა, ველარ ვნახეთ, მას მოედვა ცეცხლებ ალი;  
რაცა სტყუა, მას ნაცუალი მიეგება მისგან ქნილი.

520

შემცოდემ თავი საკუდავად მიანდო სუნთა ყრილებსა; 165  
არა იცოდა რა ექნა იგ სევდა შემოყრილებსა;  
დედოფალს მოშორებოდა, ველარ უქურტდა შუილებსა;  
ლუთისა<sup>1</sup> გმობამა რა უყო ჳკუისაგან გარდაშლილებსა.

521

საწყლად მოეკლათ, არ ვიცი სად მისულიყო, სად არა;  
შუილი ხლებოდა, მამგუარეს, იგი საბრალოთ, სადარა,  
მან თავი თუისი სირეგუნით უცხოთა თემთა სად არა.  
ცრუმან სოფელმან სიმუხთლით არვინ დაინდო, სად არა.

522

აგრევ კაცმა მოირბინა, თქუა: „მოგგურიო<sup>2</sup> დედოფალსა;  
მას ასული გუერცა ახლავს, არ გაჲჲყარო იმა ქალსა“.  
დავუმაღლე, ბევრი მივეც, გარდაყრიდი ვით სოქალსა;  
გავისტუმრე, მალ მამგუარეს, თუცა გუანდენ იმა შქრქალსა.

523

კახთა მეფისა ასული, ვის ჳკმობდენ ნესტანჯარობით,  
მას პატარ ქალი გუერც ახლდა, ტყუედ იყუნეს მათის ჯარობით;  
ორნივ დავიხსენ სარჯელსა, მტერზედან მემაჯანობით;  
მებძოლთა უყავ ფორაჲი, ამად ვარ სულთქმით, ჯანობით.

524

ავილე მათი სალარო, ანგარიშ მიუკდომელი; 166  
თუალ მარგალიტი უზომო, რაც იყო მათი ყოველი;  
ლეგან უჩინე პატრონად, არის ტახტისა მშოველი;  
ოდიში მივეც სამკუიდრო, რისაცა იყო მთხოველი.

<sup>1</sup> დედ. — ღუთისა. <sup>2</sup> მოგურით.



525

თუალ დამწურებიც წამოვასხი, სამკუიდროსა მეფეთ შუილი.  
ესე გუარი ვინ დამართა, ყოფილიყუნენ სულ შეშლილი.  
მადლისათუის შევინახავ, ვის საქმე აქუს გარდავლილი.  
გურიელი მამივიდა, იგიც იქნა ჩემკე ვლსილი.

526

თუალუწდომელნი ქუეყანა ვნახეთ და მოვიარენით;  
ვნახეთ თემი და ადგილნი, ადვილად გავიარენით;  
ერთგულთ<sup>1</sup> მივეციოთ ზენარი, ორგულნი გავამწარენით;  
მკუიდროსა სამკუიდრო მივეციოთ, შემცილე გარდავყარენით.

527

იმერეთს მოველ ტახტზედა, დავჯედ მორკმით და სუიანად;  
დარბაისელნი გუერც მახლავს, ვინც არის მათის ყმიანად;  
შექნეს ხუეწნა და მუდარა, არ ვიყოთ მათზე ზიანად;  
მათ არჩილ მთხოვეს სამეფოდ, აღრე არა თუ გუიანად.

528

ამრიგად დამრჩა ქუეყანა, მეფობა ამა არისა;  
ლუთისაგან<sup>2</sup> ეპოვე სიმაღლე, ეზომ კაცზედან კმარისა;  
მაქუს საქართველოს უფლება, მგზავსებით კეისარისა;  
მაქებენ ჩემნი მნახუელნი ნაქმარსა ჩემის მკლავისა“.

167

529

დაწერა, მისცა ფაიქსა, უბძანა: „მალედ ვლიდია;  
მიართუი იმა მნათობსა, არ იქნა განაკილია;  
ნურას იყოვნი, ისწრაფე, ანამც სად ლუინოს სმიდია,  
ჰკადრე ყუელაი რაც იქნა, არა თუ სხუასა ზმიდია“.

530

დაუყოვნებლად მივიდა, თუცა გზა იყო შორია,  
ჰკადრა უკლებლად პირმზესა მართალი არ თუ ჰორია;  
კულავ წიგნი ჰქონდა, მიართუა: „გიწერსო ცათა სწორია,  
მტერი შეიპყრა ომითა, კელთა ჰყავ დასამორია“.

531

დედოფალს მეტად იამა ამა ამბვისა სმენითა;  
მადლი შესწირა უფალსა, თქუა: „ქნილა ყუელა თქუენითა;  
ჩუენ გავუახარე სრულობით, მტერი ჰყავ ცრემლთა დენითა;  
მოგუხედე ეზომ წყალობით, ნაცუალი ჩუენ რა ვქენითა?“

532

თქუა: „ვის ასმია კაცთაგან ეზომნი გამარჯუებანი,  
ანუ კემწიფეთ დაკოცა, მათთა ცოლშუილთა ვნებანი;  
ძუირ საფასოთა ჰურკელთა ერთობით სულ აკლებანი;  
წინას ყოფილა ტარია, აწ ლომსა მართებს ქებანი!“

168

<sup>1</sup> დედ. — ერთგულთ. <sup>2</sup> ლუთისაგან.

XXX. ამა ამა პირიჭმამ მარიაშ შარხიშს წინ გამარჯუების წიგნი  
იქალრა და სასურველი შუილი მისი განსტუმრა სამოფოლ.

533

მიუწერა: „შარიერო, რომელი ჰვლობ მაგა ერსა,  
მტერზე შენი გამარჯუება სდომებია ზეციერსა;  
ვის ძალედუას შენოდნობა, გმირულად სცემ ერთი ბევრსა,  
ნიანგნიცა ვერ დაგიდგამს, სპილოს გარევე შიგა მტუერსა.

169

534

ლევან დაგისუამს ტახტზედა, გიციღია შენი გმირობა,  
მტერი მოგიკლავს, ექნების აღარ სად გასაქირობა;  
ოდიშს ვინც იყოს თავადი ერთგულად<sup>1</sup> შექნან ყრილობა,  
ზურგად თქუენ ჰყავხარ სფაადო<sup>2</sup>, ვის ძალუც შემოცილობა.

535

შუილი გახლავს არჩილ მეფეთ, იმერელთა შიბარე,  
ტახტი მიეც საკემწიფო, დააშუენოს<sup>3</sup> ყოველი არე,  
საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ ვითა მთუარე,  
ერთგულთ<sup>4</sup> მიეც გახარება, ურჩნი ყუელა გაამწარე<sup>5</sup>.

536

თქუენ თბილის ქალაქს მობძანდი, ტახტმან იხაროს შენითა,  
დაჯედ მორქმით და დიდებით, ოკერი იქნას შენითა,  
მეუნებლენი დაჰკარგე, შეიქნან შენგან შენითა  
დაიმორჩილე ყოველი, რომ იყონ აგრე შენითა“.

537

გაისტუმრა საყუარელი შუილი არჩილ ამა შხემა;  
ესალმების, პირს აკოცებს, ტკბილად უთხრა ზესთა ზემა,  
უთხრა: „წადი, გამარჯუებით, ტახტოსნობა დაიჩემა“.  
მკვეალთაცა კელთ აკოცეს, იგ დალოცა სულად თემა.

170

538

გადგა, წავიდა ყმაწუილი, ვით აღვა მიერხეოდა,  
სამოთხის ნერგი ყუაველი, შიმალსა იგ მორეოდა,  
მისთა უებროდ შეუნებას ბძანება ღმრთისა<sup>6</sup> რეოდა;  
ეხუეოდიან საქურეტლად, ბევრს ჰკუა გარდარეოდა.

<sup>1</sup> დედ. — ერთგულად. <sup>2</sup> სფაადო. <sup>3</sup> დაშუენოს. <sup>4</sup> ერთგულთ. <sup>5</sup> გამწარე. <sup>6</sup> ღმრთისა.



539

მივიდა, შეკდა იმერეთს ვის ტანი უგავს საროსა,  
ეზომ უებრო ყუაილი, ვეკობ, სამოთხეს ქმაროსა,  
მწეებრ მიჰფინოს ციმციმი, რა ტახტზე დაემყაროსა,  
შექნას ქუეყანა მდიდარი, მას სხუა რა დაედაროსა!

540

მიესმა მისულა ვაჟისა, ყუელა წინ მოეგებოდა;  
ეხუეოდინ ერთობით, მის უფრო არ ეგებოდა;  
თქუეს: „ამისებრსა პატრონზე ყმა ვით არ გარდეგებოდა,  
ვილხენდეთ მისის ხლებითა, ვის კელი მიგუიწუდებოდა“.

541

მოახსენეს კემწიფესა: „არჩილ მოვა გმირთა წესით,  
ვინ კისკასობს მკედრობითა, რაშს შეუსუამს, მოვა კუნესით;  
მას შეშუენის ნავარდობა, ვით შეშურობს არის მქნესით,  
ვით სონღული ეგრეთ მალობს, მონათრენი არი ზესით“.

171:

542

შემოეგება კემწიფე, სულ დარბაისელთ ჯარია;  
გარდაუკოცნა თუალ პირი, აგრე ბაგეთა არია,  
უთხრა: „მოგელის სამეფო, აწ ტახტსა დაემყარია  
პირველ მეფეთა ნაქონი ბალი, ბაღჩა და სარია“.

543

ჩამოკდა, კელსა აკოცა მან ვაემან, ლომთა დარემან;  
ტკბილ მოუბარმან დასძლიოს, რალას ივარგოს მწარემან;  
ღირსნი სიახლეს დგებიან, უღირსნი გარდა გარემან;  
არ შეიერთა უგბილი, მგზავსი იშოვნა არემან.

545

იმერელთაგან რა გითხრა სიხარული და შუებანი.  
პატრონი ჰპოვეს უებრო, სხუაგან არ უნდა რებანი;  
მათ აღარ ახსოვს პირველი, სარჯელი, არცა ვნებანი;  
თქუეს: „მეფეთ კამსო კურთხევა, მალლად უცემდეს ებანი“.

546

მირონ ქალაქის მკირავი კემწიფე რჯულის თავია.  
აგრევე მიქუინტას მჯდომელი აფხაზთა საესაფია.  
ამ ორთა გუირგუინოსანთა კათალიკოზად ვთქუ აფია.  
მეფეთ აკურთხეს არჩილი, გაშორდა საქმე აფია.

172:

546

მოდგა ყოველი მოკლე მეფეთ სახლისა სულ ელი;  
შექნეს საქმისა რიგება, მათ მოაწივეს სულელი;  
ყმა მალლად ვერვინ ვერა ჰკმობს, ასრე შეიქნეს სულელი;  
მათ აქუს სურვილი მეფისა, ვითა მაჯუნზე სუ ლელი.

547

ამა ლომგულმა გამართა მეფეთ სახლისა რიგები;  
შვილს უთხრა: „იყავ მშუიდობით, ავს ნურას გაეკიდები;  
ჩუენ წავალთ ჩუენსა სამყოფსა, ურჩთათუი დასამშუიდები;  
ჩალად არ მიჩანს მებძოლი, სცემია მოსაწყინები“.

549

მეფემ ბძანა: „აქა დგომა აღარა კამს, წავალ ხუალე;  
თქუა: „ქარხანა გაისტუმრონ, აწევ გადგენ“, უთხრა, „მალე!  
სალარო და სამძიმარი რაც რამ იყოს დაუთუალე“.  
მასვე წამსა გამოზიდეს, წასასულელად იყუნეს მლალე.



XXXI. აჲა აჲა ჟუჲჲნის მჲჲროგელჲ მჲჲმჲნ ჲჲჲნჲჲჲ სჲსჲრჲმლი  
 ჲუილი მისი არჲილ მჲჲჲლ დჲსჲჲ, დჲჲმორჲილა: ჲუჲჲჲნ  
 ჲჲჲნჲჲჲს მისსჲ დჲ თუითან გჲმორჲმარტჲ სრჲს თუიხსჲ.

549

შუილი დაგდო<sup>2</sup> კემწიფედ, გამოდგა მეფე სუიანი;  
 ლაშქართ უხარის, სჩქარობენ, წასულა ჩანს არაგუიანი;  
 საშოებლითა აიგსნეს, არვის სცემია ზიანი.  
 ყმა პატრონიჲა იხარებს, თუცალა არის კლმიანი.

550

მივა და მისდევს კემწიფეს იმერელთ დიდებულები; 174  
 ტირილით ესალმებიან, ჰკადრეს: „თქუნ გაცუა გულები,  
 ლომო, დაგუაჩნდეს უთქუნოდ, შევიქნათ დაკარგულები;  
 დაიმორჩილე სიუხუით, ვინც იყო იგ ორგულები“.

551

მადლი უბძანა მეფემან მან მისთა გამოთხოვილთა;  
 უთხრა: „დაბრუნდით, იახლეთ ტახტზედა იგ დაჯდომილთა;  
 წყალობა მოგცე დღეითგან მივა გუნება ლმობილთა,  
 არჩილ მეფესა უღირხართ, ვითა ძმა, მისთუის ძმობილთა“.

552

რა ქართლს მოვიდა მაშინვე შეიქნა შემოგებება;  
 მინბაშები და ყულები, სად ციხეს იდგა ბეგება;  
 მიულოცვედენ ყუელანი კაცთა არ იყო შეგება.  
 გარდააყრიდენ<sup>3</sup> ფლურებსა, მის უფრო აღარ ეგება.

553

პირმზე გორს გახუდა, შეიქნა გახარება და შუებანი;  
 საწოლს შევიდა კემწიფე, ნახა მზის მოვანებანი;  
 შემოეგება ხოშგუარად, ვის შუენის მოარებანი,  
 ჰკადრა: „გარჯილხარ მეფეო, თუცა გაქუს მკლავთა ძლებანი“.

554

მოიკითხეს ერთმანერთი იმა ორთა სატურფალთა; 175  
 მს ლამესა უმასპინძლა მზემა ლომსა ტურფა სრათა;  
 მოიუბნეს ტკბილის სიტყუით, არ მოსხლეტდა ქალი თუალთა;  
 მომღერალნი მალლა ჰკმობდა, რალა ითქმის ჩანგთა კურათა.

<sup>1</sup> დედ. — დამორჩილა. <sup>2</sup> დაგდო. <sup>3</sup> გარდაყრიდენ.

555

საწოლს შეკდა მხიარულად, არა ჰქონდა გულსადალი;  
მოიპოვნა იასამანი, ბალი შევლო, გულსადალი;  
ვარდი მისი დაუზრობლად მოიძებნა გულსადალი;  
თქუა: „მელირსა ხლება მზისა, მისი ვარო გულსადალი“.

556

აწ გასინჯეთ გაზაფხულმა, ვით დაიწყოს ამოცენა,  
ვარდი გაკდეს გასაშლელად და იამანი ამოცენა;  
მას ბულბული შემოჰყროდეს, იგ დაეწყოს ამოცენა.  
ამას რალა უამეა სიტყუა მგზავსად ამოცენა.

557

მეფემ აჩუნა სალარო, ოდიშს ნაშოვნი ლარია;  
სულ სასახელო ყაბაჩი, გობით მოჰქონდა ლალია;  
იაგუნდი და ზურმუხტი, პატიოსანი თუალია;  
ყუელა პირმზესა მხართუა, მადლსა იკდიდა ქალია.

558

მოიყუანეს დედოფალი, ოდიშს<sup>1</sup> ვინ იჯდა ფლობითა, 176.  
ასული მისი თან მოჰყუა, ყოფილი მეფეთ რძლობითა;  
ვის შუება ჰქონდა სოფლისა, სრას იჯდა მუდამ ნობითა,  
რადგან მოშორდენ მეფეთა, მით დარჩენ ლახუარ სობითა.

559

პირმზემ იკმო იგი ქალი, ვინ პირველად იყო რძლობით,  
მიუყუანეს<sup>2</sup>, შეებრალა, უბედობა უთხრა შობით;  
აკოცა და გუერც დაისუა, გულსა უდებს სიტყუა ლმობით;  
ქალმა ჰკადრა: „მკეველად გახლდე, არ ველირსე დედოფლობით“.

560

მოჰფინეს ტურფად საწოლი ოქსინოს ფარდაგებითა.  
ჟცხო და ჟცხო ნაქსოვი, ძეირ ფასის სარასრებითა;  
მარგალიტისა დოშაქი, იაგუნდისა თულებითა,  
მნახუელნი დაშტერდებიან მისისა თუალთა გებითა.

561

ელენემ ნახა სამეფო იმა დედოფალ ყოფილმან;  
ან გაიხსენა დიდება სიცოცხლე გარდაყოფილმან,  
შექნა ზრუნვა და ტირილი, ძაძასა კელგაყოფილმან,  
მოსთქუა ბედ უბედობანი მუნ ხანსა არ დაყოფილმან.

562

დიდხანს იყო პირ დამკობით, მოსთქუა, ეგდო ვითა ხელი;  
თქუა: „სოფელო, ვით მიმუხთლე, რად შეიქენ ჩემი მკულელი?“

177

<sup>1</sup> დედ. — ოდიშ. <sup>2</sup> მიყუანეს.

რად დააძრევ<sup>1</sup> ვარდი შლილი, სამესისხლოდ იქენ ვლელი?  
მამაშორვე საბაღნაროს, ქირი მამეც ეზომ ძნელი!

563

დაიხივა დაწუი სრულათ, შავთა თმათა მიჰყო კელი;  
გაიშალა დასაგლეჯად, ეძგერების ვითა ხელი;  
მოსთქუა მისნი დიდებანი, უმარავად არ ერთხელი;  
უთხრეს: „თავსა ნუ მოიკლავ“, ქალთა ჰქონდა მისაშუელი,

564

შემოსა ტანი შავად, იგი ქირთა არ დამრიდე,  
ალარ უჩნდა სამკაული, შავი ედუა თავსა რიდე;  
დარჩა ლხინთა უნაწილო, სოფლისაგან განაკიდე,  
არ ისმინის საუბარი, რალას არგებს რაზომ ვსწოთუიდე.

565

დაჰპატიჯა დედოფალმა, მიაგება ქალსა ყმანი;  
შემოვიდა შექრუშვითა, ძლივ ეტყობის სულთა დგმანი;  
ტანსა შავი შეემოსა<sup>2</sup>, თავსა მოშლით მონავენი;  
თაყუანი სცა მზეთა მზესა, თქუა: „ტყუედ ვარო მონაყუანი“.

566

178

უთხრა: „დაო, ნურას გიკუირს<sup>3</sup>, მოგკდომია სოფლის ბრუნვა;  
სხუაც ბევრი ჰყავს მოჩივარი, ართუ შენზე მოაწურვა.  
რად მიჰყევით საეშმაკოს? სიავისა ქონდათ ურვა;  
თქუენმა ეგზომ ფიცის ტეხამ შარიერი მოამდურვა.“

567

აწ მოსულხარ სახლსა ჩემსა, მოყუასთაგან გულსადები,  
გიპოვნია მაკურნალი, შენთუის იქნას გულსადები.  
მიგიჩნო ჩემად ყადრად, რადგან მამკუდი გულსადები,  
ნულარ ხელობ, სიწყნარე სჯობს, ამა დრომდი გულსადები“.

568

ქალმა ჰკადრა: „ეჰა, მზეო, ვის გიშუენის ამადარე,  
რადგან ვსტყუე, ნუ მაცოცხლებ მე სიკუდილსა ამადარე,  
გარდაგიველ ზენაარსა<sup>4</sup>, მით შევიქენ ამა დარე,  
დამითმევ და შემიწყნარე, შუქთა ფენით ამა დარე.“

569

მზეო, შენი ელვარება მკურეტთა მეტად დალაღევდა;  
დაწუი ვარდებ გამოგიქუირს, თეთრ ყირმიზად დალაღევდა;  
გუელნი შავნი ტევრის მგზავსად ბროლსა ყელზე დალაღევდა;  
შენი ეშყი დასათრობლად ვის ელირსოს დალაღევდა.

<sup>1</sup> დედ. — დაძრევ. <sup>2</sup> შემოსა. <sup>3</sup> გიკუირ. <sup>4</sup> ზენარსა.

570

უთხრა: „დაო, რადგან გპოე, შეგიმეცნებ უამესად; 179  
 ვინდომებ და შეგიყუარებ სიცოცხლისგან უკეთესად;  
 დავთმოთ ესე, რაცა მოკდა სოფლისაგან დანაწესად;  
 აწ მოერთევ ვარდთა კრეფად, აღარცა კამს იჯდე კუნესად!“

571

მოიყოლა იგი ქალი, მან დასწყუიტა ცრემლთა დენა;  
 თქუა: „მადლიო შემოქმედსა, ვით ძალ მედუას მისი წყენა,  
 არ გარდავა გაგებული, რადგან მანვე მოაყენა,  
 ბრძანებაა, გარდამკდების მამავალი საქმე ზენა“.

572

ქალსა უჩინა სადგომი, მისცა ყოველი გაგება,  
 აახლა მრავლად მკეველი, რა საფენლისა რა გება,  
 ტანისამოსი, ატლასი მისცა, არ იყო ქადება,  
 ტკბილად მიეპყრა, პატივ სცა, აქუს სიამისა წადება.

573

დაავიწყდა<sup>1</sup> ეზომ მისნი სიდიდე და, ანუ შუება.  
 სოფელსა სკირს ესე გუარი, რაც უქნია მასვე შურება.  
 სიმალლითა მოამდაბლა, სალარიბოს უწყო რება.  
 ვინ ბრძენია<sup>2</sup>, ეს სოფელი მისგან აღუილ გაიშუება.

<sup>1</sup> დედ.—დავიწყდა. <sup>2</sup> ბძენია.

XXXII. აქა ახალციხის ფაშამ მიწა არჩილ ხუანთქარს შეაბოძა.  
 ზე შეუთვალა, ვითა ხმარობს ქუეყანა შენი იმამითი ქართულთ  
 შეიპყრესო, როგ არაოდეს არ გუანშიაო. ნახე თავს რა უაო.

574

როსტომ ფაშამ თქუა: „ქართუელთა გამართეს აქა ყრილობა;  
 ხუანთქარის მამულზე რა რჯიდათ, ასრე დაიწყეს ცილობა,  
 დიდი კემწიფე შეიტყობს, მათზეა სათაქილობა,  
 შექყაროს ზუავი ლაშქარი, დაიწყოს მათკე ვლილობა.

575

კაცი გაგზავნა მაშინვე, არჩილის საბეზლარები, 181  
 ხუანთქარსა ჰკადრა: „ქართუელთა გარდმოვლეს იგ სამძლუარები,  
 ყიზილბაშითა აივსო მინდორი, მთა და ბარები;  
 არვის ასმია სულდგმულსა, ეკადროს თქუენს წინ მწარები“.

576

გასინჯეთ რა ქნა რეგუნმა, თავისა მოსათხრელია?  
 რაცა ინდომა სიავე, თუით მათზე გარდუვლელია.  
 ლუთისაგან<sup>1</sup> ჰპოვოს ნაცუალი, ჭირი მიეპყრას ძნელია.  
 თქმულა: თუითანვე გაებას კაცზე მახისა მდგმელია.

577

ხუანთქარს რა ჰკადრეს იმერეთს არჩილისაგან მეფობა,  
 მეტმან წყენამა შეშალა, დაიწყო მალლად მეფობა,  
 თქუა: „ხარაჯისა თემზედა ახლა ვინ იწყო მკრეფობა?“  
 ვინ მისცა ჩემი ქუეყანა, ან ვის მართებს იეფობა.

578

ამას იტყუის: „ჩემის შიშით ნიანგნიცა ვერ იძრახებს;  
 საფრანგეთი შევაშინე, იგ შეეყარე ოკურა ახებს;  
 არაბნი და ინდოელნი მამიტანენ მოსანახებს;  
 ესე ყუელა დამიჭირავს, კმალსა ჩემსა ვინ უძრახებს!

579

ყენი შერიგებით მყავს, ეს საქმე<sup>2</sup> ყუელამ იცია, 182  
 პირობა დაგუიჯ დრომდისინ, მუსაფზე დანაფიცია,  
 მცოდნე ჰყავს კაცი მრავალი, ვითა თქუან, არ უფიცია,  
 სიტყუა მტყუანზე გამართუით შე ყუელგან კმალი მიცია.

<sup>1</sup> დედ. — ლ<sup>1</sup> თისაგან. <sup>2</sup> ესაქმე.



580

თუ გამიტება პირობა, მან გაიმართა სადავე,  
მივმართო მისად საბძოლად, რაშს მივანებო სადავე,  
არ დავარიდო სარჯელი, მათზე მივიღო სადავე,  
სულად წავართუა ერანი, სად ყოფილიყოს სადავე“.

581

მოახსენეს ვაზირებმა სიტყუა რამე, დასაშუიდი,  
ჰკადრეს: „დიდო კეისარო, გავიგონეთ რასა ზმიდი;  
ტინი კლდეცა აღგილს იცულის შენის კლმისა გარდამკიდი,  
ჯერ შევიტყოთ მართლად საქმე, ნურა გინდა დასაკიდი.

582

ყაენთან კაცი გავგზავნოთ, შევსთუალოთ ესე პირია:  
„რად გავუიტეხე პირობა, რა გქონდა გასაჰირია?  
ნაცუალსა ჰპოებ ღუთისაგან<sup>1</sup>, თუ იდეგ საქმე ძუირია!  
მზას დამხუდი, მოკალ უთუოდ, დამიდგამს ვერ ქუიტკირია“.

<sup>1</sup> დედ.—ღთისაგან.

XXXIII. აქა კიხისარმა შაჰზადის წიგნი მისწერა მისთვის არჩილის  
საქმეზე ესე ვითა მათისა გოლიათოზითა აღვილსა ჩემსა შიშა-  
მცილობიან და ჟუმაჟანა შიშაჟარით. ჩუმი ჟართუშლთა ოში ახალ  
დაგუიცილია. თჳშენ ბჳილისა პასუხითა გავუაცალი.

583

ბძანა წიგნისა მიწერა, საქმისა მართებულთა,  
შესთუალეს: „გუითხარ მართალი, ტყუილი რა სავარგულია,  
თუ გაგუიტიხე პირობა, სცუალე მაჰმადის რჯულია,  
სანაპირონი დასცალე, შეიქენ სხუით წასულია.

184

584

თუ მართალია, არ იცის, თურმე, ქართუელთა ბრალია;  
შაჰნავაზ მეფე ჩამამხსნას, წიგნი მისწეროს მალია;  
ვაჯაერებულსა დაუდგამს ტინი კლდე ვერცა სალია;  
მან დამირლუია ოდიში, აილო მათი მალია.

585

ქართუელთა ომი არ გუინდა, არიან კაცად ქუელია,  
მიეგებიან<sup>1</sup> საომრად ვითა ასპიტი გუელია,  
შინ ვერ წავიდეს ცოცხალი, ვინ იქნას მათვე ვლელია,  
და გაური მუსურმანისა მეტად სისხლისა შლურელია“.

586

გაისტუმრეს ყაბუჩები, მიდიოდეს დია სწრაფით,  
მივიდეს და შარიერსა სიტყუა ჰკადრეს მეტად ცქაფით,  
თქუეს: „იკადრა კეისარმა, წიგნი ჰქონდა ბეჰუდით, ძაფით,  
ვინ გატეხა ზენარი<sup>2</sup>, ნუ გონია კაცა იაფით“.

587

ყენმა ნახა, შეიტყო ხუანთქრისა შემოთულილობა,  
უთხრა: „ყაბუჩო, გეტყობის ქეჟისა გარდაშლილობა,  
მაგა საქმესა გიჯობდა ჩემს წინ დაგეწყო ლბილობა,  
შაჰნავაზ მეფეს საწყენლად ვით ვკადრო შემოცილობა?!“

185

588

მათის კელიდამ გულმდუღრად ბევრჯელ იჩივლა მოლამან,  
ყიზილბაშთ სისხლი მინდორად ხშირად შეისხა მოლამან;  
ჯეონად შექნეს ნაკადი, ართუ მცირედად მოლამან;  
უანგარიშო დაკოცეს, მკუდარი დაფარა, მოლამან.

<sup>1</sup> დედ. — მიგებიან. <sup>2</sup> ზენარი.

589

ზავი ვარჩიეთ, მას უკან შეიქნეს ჩუენი თაბუნი;  
სიტკბოთა დავიყოლივეთ, რანიცა იყუნენ საბუნი,  
ბევრი მივეცით ქონება, ამით დაიდვეს ყაბულნი,  
მით გავიერთე ქართუელნი, თუ არ არიან<sup>1</sup> ზაბუნი.

590

შაჰნავაზ მეფეს, ნუ ეკვობ<sup>2</sup>, კაცზედან ექნას ავია,  
შუილი წამართუა, მათ აყმო, არჩილი გმირთა თავია;  
ჭუეყანა შექნა მდიდარი, მათზე მიილო<sup>3</sup> ზავია,  
ვინ შეაბეზლა რეგუნმა, რა იქნა დასადავია.

591

მათ მართებდა დამადლება, რადგან<sup>4</sup> მეფემ აყმო შუილი;

186

მოხარაჯე დააწყნარა, თემი იყო სულ აშლილი;  
თავადებსა გაუკუირდა სამამაცო მისგან ქნილი.  
ვინ შეჰკადრა ესე გუარი ან ვინ იყო იგ შეშლილი?

592

ორზომას მივსცემ მეფესა, რადგან გიქნიათ დილაგი,  
წიგნს მივწერ, შევებუეწები, წამსულელმა გავლოს ფილაგი;  
მწარეს სიტყუასა დავრიდებ, წიგნს ვერ მიიტანს გილაგი;  
ვერ ეწყობიან მუქარას მათი მოდგმა და ჯილაგი“.

<sup>1</sup> დედ.—არ არარიან <sup>2</sup> ეკვობ. <sup>3</sup> მილო. <sup>4</sup> რადან.



XXXIV. აქა ჟამება კეისარს მუხის ანტილის სამართლებელი  
კახუხი ზუთუალა.

593

ყაბუჩს უბოძა მრავალი დიდმან ერანის მფლობელმან. 187  
წიგნი მისცეს და წავიდა, აქო სიტყუითა მლმობელმან,  
მადრიელობდა ყაბუჩი, ყაენის ვერ დამგმობელმან,  
თქუა თუ: „სამოთხე სამუდმოდ იხუედროს მისმა მშობელმან“.

594

კეისარს წინა ყაბუჯი მივიდა მიწას მთხევეითა,  
ჰკადრა ნახული ყოველი, იყო ამბავთა თქმევეითა.  
წიგნი რა ნახა ყაენმა პირსა დაიდვა თრევეითა,  
თავი იმართლა, მოწყალე, ახსენა ცრემლთა ფრქვევეითა.

595

ხეანთქარს რა ესმა გაჰკუირდა ყაბუჯისაგან თქმულია;  
ყაენის სიტყუა უკლებლად მან მოახსენა სრულია:  
არჩილისა თქუა სიმართლე, თქუენი ყოფილა ყულია,  
ვინ მოგახსენა ტყუილი, არ იყო სავარგულია.

596

თქუენად საყმოდ იმერეთი დაუჭირავს იმა გმირსა;  
სულ ერანი მას მისტირის, ვინ იკადრებს მისსა ძუირსა?  
იმერეთი გაუმართავს, იგ ყოფილან გასაჭირსა,  
რად ვაგყარა ყმობიდამე, როსტომ ფაშა რას იტყუისა?“

597

კეისარს მეტად ეწყინა, თქუა თუ: „ვინ მკადრა ესერა? 188  
ფიცა: მოგჰკლავო უთუოდ კაცსა გაუსეგ ესერა,  
უჯობდა ტკბილი ეძებნა, არა თუ მწარე ესერა,  
ამა სიტყუისა თქმამდისინ გული ლახურითა ესერა!“

598

ფიცხლავ ჩაუში ვაგზავნა, როსტომ ფაშისკენ ვლიდესა,  
დავედრა: „თავი მოჰკუეთეთ შეიქნას განაკიდესა!“  
მოისწრაფოდა ჯალათი<sup>1</sup>, რაც ევლო დღესა სთულიდესა;  
მოვიდეს, თავი მოჰკუეთეს, კლმის ცემა არ დარიდესა.

<sup>1</sup> დედ.—ჯალადი.

599

ეთქუა თუ: „არჩილ ნუ წავა, იტყოდეს ჩემსა ყმობასა,  
ტახტი მას მართებს, იმეფოს, სრას იჯდეს, იკრას ნობასა,  
არ შევიბეზლებ დღეითგან, ვერცავინ იწყებს მბობასა,  
ვინცა შემკადრა ტყუილი, მივე ლახუართა სობასა.“

600

სხუას მოგიმატებ სანჯახსა: არფალუხსა და თიმარსა,  
ლხინი გამართე უწყუეტლად, ინდომებ ნუ სამძიმარსა;  
ლიხეთს აქეთი გეჭიროს, შემცილე აღარ ვინ არსა;  
იყავ მორკმით და სუიანად, ყმანი გხედვიდენ მცინარსა!“



XXXV. აჲა ჲაანის ხმჳიჲაჲა აჲა სახელრანს მჲჲმს ჲაჲნაჲაჲს  
 წიგნი მოსწაჲა და ჲმროჲთჲალა მსა ვითა: „დაიჲირა სათნო  
 ჩაჲი და ეჲა სასჲრველი ჲუილი ჲენი იმჲრათს ჲამოჲჲარა,  
 კახეთი მამიციჲია“.

601

ჲაენმა ბჲანა: „შაჲნაჲაჲს აწ გჲუმართებს წიგნის წერანი,  
 ჲეესთჲალათ: „ლომო ძალგჲულად, ჲენგან მიჲირაგს ერანი.  
 ტახტის ბურჲი ხარ, ნიადაგ ჩჲენთა მტერზედა ძღერანი.  
 ვისცა ჲებმიხარ მოგიკლავს, წაგსულია დია მტრერანი.

602

შენცა იცი ოდეს მოკდა, ფიცი მივეც კეისარსა,  
 მას ჲკანის არას ვაწყენ, მინდობივარ მე იმ არსსა,  
 ვერც ისინი გარდამივლენ ამა პირსა, მგონი, არსა,  
 დავამშვიდე სულ ჲჲეყანა, ლხინად ვზივარ ამა სრასა.

603

შემოგჲესმა: იმერეთი დაგიჲირაგს მაგა ლომსა;  
 ოდიშარნი დაგიფანტავს, ვინ ჲეიძლებს ჲენსა ომსა?  
 მტერი კლმითა დაგიმონაგს, ლარს იტყუიან თუ რაზომსა,  
 ნიანგნიცა ვერ დაგიდგამს, რა ჲენ გნახჲენ განაწყრომსა.

604

ვამეყ მოგიკლავს მესისხლე, ვინ იყო ფიცთა ტეხითა,  
 ვით გამართედა რეგჲენი საქნეს ჲჲულმა გრეხითა?  
 ლმერთი<sup>1</sup> გმო, ნაცულად მიეცა, წაკდა განგების მეხითა:  
 უგბილთა, სჲანთა მოჲეკლავს, მათის წიხლისა ცეხუითა.

605

წაგირთმეგია ცოლშუილი, მათი მორჲმა და დიდება,  
 უძღურმა მაგა ძლიერსა, მიკუირს, რით ჲეჲნა ჲიდება?  
 ანუ მელასა ვით ძალუც ლომისა გარდაჲიდება?  
 თჲმჲლა: რეგჲენი ბოლო ეამ ბრძენთაგან<sup>2</sup> დაიმშუილება.

606

არჩილ დაგისუამს ჲჲთათისს<sup>3</sup>, ვინ ცისკარს მიეგჲუნება;  
 ჲჲირაგს იგი სამეფო, თუით ბედმა ჲენმან ანება;  
 მობჲურთალ მოასპერეზედ ვეფხურებ გაეჲანება.  
 თჲმჲლა: გამწყრალი სპილოცა სიტჲბოთი მოიყჲანება.

<sup>1</sup> დედ.—ლ თი. <sup>2</sup> ბძენთაგან. <sup>3</sup> ჲჲთათის.



607

აწ ვიაჯი მამისმინო, ფიცთა ტეხას არ გამრიო;  
არ გამყარო კეისარსა, უსამართლოდ არ მამრიო;  
საძრახავად არ დამედვას, არცავეინ თქუას ჩემზე რიო;  
სამუდამოდ მუსაფისა წაკითხუაზე არ ამრიო.

608

დაუგდე იგი ქუეყანა, საგზილთა სახლი სრულია;  
საქმლად ლომი აქუს<sup>1</sup> საწყალთა, ტილოთი გაბასრულია;  
არ უგავ საქმე საკაცო, ფიცთაგან გარდასულია;  
დღეს ანუ ხუალე წაკდება, მოსულიათ აღსასრულია.

609

კახეთი მამიციმია, ქისიყი, სრულად მალარო;  
თეიმურაზხან კელთა მყავს, შემოგაცილო აღარო;  
მამირთმეგია რაყამი, დროშა, ზურნა და ნალარო;  
შემცილეთ სისხლი უწყალოდ, ვითა გინდოდეს დაღუარო.

610

არჩილ აქ გამამიგზაენე, ტახტს წინ იქმოდეს რებასა; 192  
კმალს შემოვარტყამ, დავლოცავ, მიეცეს არამცრებასა;  
ერან, თურანსა ვაჩუენებ, იტყოდენ დიდად ქებასა;  
თაჯსა დავებურავ, პატივს ვსცემ, შეგჰყარი ღზინსა და შუებასა“.

611

ამრიგად ბძანა ყაენმა, წიგნი მოსწერა მეფესა.  
ყული მოვიდა მაშინვე, გძელი გზა მოისწრეფესა;  
მეფე დალოცა, ხალათი მიართუა ტურფა სეფესა;  
უამბო დავედროლები, არ ცუდად დაიყეფესა.

612

მოისმინა კემწიფემან, რაცა იყო მათგან თქმული;  
ბძანა: „ტახტის მორჩილი ვარ, საერთგულოდ<sup>2</sup> მიდგა გული;  
მათი ნდომა ავასრულო, იქნას რაცა სავარგული;  
ღმერთი<sup>3</sup> მწამს და იგ კემწიფე, აგრე ვიყო სიტყუა სრული“.

613

კათალიკოზი მოისუეს, არჩივეს საქმე ესები.  
კუიანთა კაცთა არა ქნეს სამუდმოდ დასაკუნესები.  
სიბრძნითა<sup>4</sup> სრულმა შეამკო სიტყუა პასუხთა წესები;  
თქუეს: „ნუ ავიშლით ყაენსა, ვქნათ საქმე უკეთესები“.

<sup>1</sup> დედ. — აქს. <sup>2</sup> საერთგულოდ. <sup>3</sup> ღთ. <sup>4</sup> სიბრძნითა.

XXXVI. აქა ამა სუიანამან და დიდად სახელ გასულმან ხმწიფობა  
 სასურველს შუილს მავსან არჩილს იმერეთის გამოცლა დავმდრა  
 ესე ვითა: „ზარხირმა ქახეთი გიჯოქა, ყოველსა საბატონოსა  
 სჯოგს და მომართუ“.

614

წიგნი მისწერეს იმერეთს, მას ვაქსა მორქმით მჯდომელსა,  
 შესთუალეს: „არჩილ მეფეო, კემწიფედ გიკმობ რომელსა,  
 გშუენის სიმკნე და უსული, მით შეუყუარდი ყოელსა,  
 მადლი შევსწიროთ უფალსა, მრავლად წყალობის მთოელსა.“

615

ეგე სამეფო ნუ გინდა, არ შენი შესაფერია, 194  
 არის მცირე და ურგები მეფობის, არაფერია,  
 ეტლმა სამისოდ დაგბადა, სიდიდე დაიფერია,  
 კახეთი მოგცა ყენმა, კემწიფე არ უფერია.

616

მაგა ადგილზე სარჩლობენ, ყრილობა უთქუამს სუნებსა;  
 მოვლენ, დავკოცოთ, რას გუარგებს, ქკუსიგან<sup>1</sup> გარდასულებსა;  
 ალაგსა მაგას ცთომა სდეეს, რას ირგებ კარგ უსულებსა,  
 ვარდი ყუაოდეს სულდგმული, ყაყაჩოს ვინ უსუნებსა?

617

გამოეთხოვე, წამოდი ვინც იყოს დიდებულია,  
 კარგთა შეყრა კამს კაცისა, ავი რა სავარგულია;  
 მაგა ქუეყანას მეფობა ოდითგან გარდასულია;  
 მანდ ვერას ირგებ, საწუთრო იქნების დაკარგულია“.

618

კაცი მივიდა არჩილს წინ, ჰკადრა მეფისა ბძანება;  
 წყენა შეექნა დიდადა, არა თუ იწყო ამება:  
 „ამა საქმესა მიჯობდა, იცით, ლახურიტა წამება!“  
 თუალი ავესო მაშინვე, ცრემლმა<sup>2</sup> დაუწყო თქამება.

619

თქუა თუ: „ეზოჳნი მოყმენი აღუილ ვით გარდაყაროა?  
 ანუ სრა დიდთა მეფეთა საოკრად რად დავეყაროა? 195  
 არ წავალ, მამა გამიწყერეს, შუილობით გავვეყაროა,  
 წავიდე, დაპრჩეს ქუეყანა, გაყრიტა გავიმწაროა!“

<sup>1</sup> დად.—ჰკისაგან. <sup>2</sup> ცრემლმა.

620

ახლდა ვინმე გონიერი, ერთგული<sup>1</sup> და კაცი ბრძენი<sup>2</sup>,  
შოახსენა: „რაცა კამდეს მოვაგუაროთ, აგრე ჰქენი;  
კემწიფესა დამორჩილდი, ნურა გინდა შესაჩუენი;  
კახეთი სჯობს, დაიჯერე, მოიწონო რა გიჩუენი“.

621

იმერელთ შუქნეს უზომოდ მეფის გაყრითა წყენანი,  
თქუეს: „გავკდით მგელთა საქმელად, ასრე საწყალად ვზენანი;  
ცოდვა გუეკითხა ყუელასა, მით გავიწყრომეთ ზენანი;  
ჰზე მოგუშორდების სამუდმოდ, არ მოგზუდეს შუქთა ფენანი“.

622

მეფემ ილოცა გელათი, თუცა გაყრითა სქმუნევდა,  
დაუღუმებლად შესტირა, ვითა მართებდა, უნებდა,  
თქუა: „გესავ ყოვლადწმიდაო<sup>3</sup>, გული შენ დაგრჩა გუნებდა,  
ჰამეც დათმობა სოფლისა, ამ საქმეს განიგულებდა!“

623

გამოესალმა, შესწირა მას ხატსა, ცხოველ მყოფელსა, 196  
ვინ საროსა გავს შუენებით, შუქთა ჰფენს ამა სოფელსა,  
მუკლს ეხუევიან ყუელანი, ამა ქუეყნისა მპყრობელსა,  
თქუეს: „ზე მოგუშორდა, უკუნსა მიემართოთ მისსა მკმობელსა!“

624

ქალი და კაცი ამრიგად დავარდნით ესალმებოდენ,  
სისხლისა ცრემლი სდიოდათ, მეტის ნალულითა ბნდებოდენ,  
თავს ევლებოდენ ფარვანად, ვით სანთელს არ ეყრებოდენ,  
ზოგთა სრბა ჰქონდა თავისა, ზოგნიმე არ დადგებოდენ.

625

მეფემ ბძანა: „ნულარ სქმუნავთ, კმარის რაცა ოხურა ახეთ,  
გქონდათ ჩემი სიყუარული, ამად ჩუენცა არ გიძრახეთ,  
ღმერთმან<sup>4</sup> ქნას და კულაცა გნახო, თქუენ მეფობით დამიძახეთ,  
თუარა წავველ, დამიგდინხართ, თქუენ პატრონი სხუა მონახეთ!“

626

ვით გავეკიდო უქნელსა, რაცა არ მამწევს ბედია;  
ულმრთოდ<sup>5</sup> ვინ ჰპოვა სიმაღლე, ცუდილა დანაყბედია;  
სცდების ნდომისა მიმყოლი, არ მისცემს შემოქმედია;  
არ ასცილდების წყალობა, ვინ ლუთისა<sup>6</sup> მოიმედია!“

<sup>1</sup> დედ. — ერთგული. <sup>2</sup> ბძენი. <sup>3</sup> დედ. ყოვლადწმიდაო. <sup>4</sup> ღმერთმან. <sup>5</sup> უღთოდ.

<sup>6</sup> ღთისა.

627

გამოეყარა სამეფო, დააგდო განაკიდესა;  
ვის ჰქონდა ნდომა, სიახლე, არჩილისაკენ ვლიდესა;  
ჰკადრეს: „შენი ვართ მონანი, უშენოდ ცეცხლი გუწუდიდესა,  
ანუ ვის შერჩეს სიცოცხლე, უშენოდ ხანს დაზმიდესა!“

628

ლიხეთს გარდმოკდა უკადრი, მივა ვით ალვა შუენისა;  
მისთა მხლებელთა აღხენდა, სიმწარე არ აჩუენისა,  
ზნეობით სრულსა სწავლა აქუს, უწუთელი შეაჩუენისა;  
შორს მყოფთა ცრემლთა დენა აქუს, ლუარულეზ მონადენისა.

629

თბილისს<sup>1</sup> მოვიდა, მეფესა მიეცა მეტი ლხინება;  
შუილი დალოცა, გულტკბილად არა თუ იწყო გინება;  
შეიქნა შუება, უკუყრა, სოიბათის გამოჩინება;  
სწორამდი ლხინი აჩუენა, ყმასა ვით მოეწყინება.

630

მეფე ბძანებს: „მადლი ღმერთსა<sup>2</sup>, ვინ ეგეთი კაცი შეგქმნა;  
მოხუელ, გული გამინათლდა, უშენობით მე რა მექნა;  
ღმერთსა<sup>3</sup> ჩემთუის მოწყალება უკეთესი სხუა რამც ექმნა!  
მომივლინა სუიანობა, ყოვლთა მეფეთ მეუფემ<sup>4</sup> ქმნა“.

<sup>1</sup> დედ.—თბილისს. <sup>2</sup> ღ-თსა. <sup>3</sup> ღ-თსა. <sup>4</sup> მეუზემ.



XXXVII. აქა ამა ძლიერსა ხმარვთს შუილის მფვის არჩილის  
 მოსულა დიდად იამა და ახლა შარიმრის სანახავად ისტუმრავს  
 ამაღ რომე გაბონოგის ხმალი ქაენმა დაულოცოს.

631

მეფემ ბძანა: „შუილო არჩილ, ჩუენ გუმართებსო, იცი თუ რა?  
 სალევანო შარიერმა ჩუენ გუიბოძა, იცი, თუ რა?  
 ტახტი მოგცა დასაჯდომლად დაედაროს იცი, თუ რა?  
 შენ საქებო გულოვნობით დაგედავოს, იცი თუ, რა?“

632

უკმიხარ, ნახე კემწიფე, მოწყალე ცათა სწორია; 199  
 კისკასად მქცევო, მოერთევე საურენლად ვითა ქორია;  
 ვიცი პატივის გცემს<sup>1</sup> შუილურად, არა თუ გითხრას მორია;  
 მოგცემს საქურქლეს უზომოს, არცა დაგისუამს შორია.

633

ერთს თუეს იყავ მას წინაშე, იქცეოდი წესიერად;  
 მათ აჩუენე შენი სიმკნე, იქნან შენთან წესიერად;  
 ბურთობა და რაინდობა მათ დაუგდე წესიერად;  
 აგრე ბურთი ამოკრული შენგან ნახონ წესიერად“.

634

არჩილ ჰკადრა: „კემწიფეო, ვით ძალ მედუას შეცილებად?  
 რაცა ბძანე მოვისმინე, ვიყავ თქუენად თუალთა გებად;  
 აწ მე მზავარ სამსახურად, ვიყო იმა გზათა ვლებად,  
 კემწიფესა ვიახლები, თუცა ვიყავ მათად მქებად“.

635

მეფემა ბძანა: „ჩუენგან კამს გაჰყუეს სამეფო რიგია,  
 ვინც ნახოს, ყუელას მოსწონდეს ვერა თქუან, თუ რა რიგია;  
 დიდნი არიან ერანი, ვინც ხანობს ყუელა იგია,  
 სახელი სჯობდეს ყუელასა, ვის გაჰყუა, რაც მოუგია“.

636

ამილახორი აახლეს, თავადი მეტად დიდია, 200  
 გივი დროშისა პატრონი, ზნე სრული, კაცად მშუილია;  
 გულად მიჰგუანდა ანდამატს, არვისი ჰქონდა რილია,  
 პურად იაფი გაჰცემი სიუხვის დასაკილია.

637

მეჰთარ მანუჩარ მიუძღუის, მეფეთა წინა ზდილია,  
 ყოფილა პატივეცემული, სიტყუითა განავლილია,

<sup>1</sup> დედ.—ქცემს.

650

მორჩილნი ვართ, კემწიფეო, სულ ქუეყანა შენია რე,  
ვინ პატრონობ ტურფა სრათა, სულ გიყუავის შენი არე,  
ვისცა სწყალობ სიუხუითა, იგ მუდმისად შენია რე,  
ვაქუს ციერთა პატრონობა, ვარდთა კრეფად შენ იარე.

651

ვათავეთ სამსახურები, რაცა გებძანა აწერა,  
გიახლოს მცირე უსტარი, ნახეთ რა ვიწყეთ აწე რა?  
არ ასცილდების ღმრთისაგან<sup>1</sup> კაცსა ბედი და აწერა,  
ვისცა შერისხდა მაშინლა მართებს გლოვა და აწერა.

652

თქუენის ბძანებით, სამეფო დავგადე, ეზომ ერია;  
გამოგუესალმეს ყუელანი, ვინც იყო ყმა, და ბერია;  
არვის მივსცემდი სულდგმულსა, კაცთაგან დასაჯერია,  
არცა ვინ მიჩნდა შემცილე დამცრებით შესამშერია.

653

205

მანდ გაახლე<sup>2</sup> არჩილ მეფე, ტახტსა თქუენსა ეთაყუანოს;  
გახლდეს თქუენათ სამსახურად, შუქი მანდეთ მოეგანოს;  
მიხუდეს ლხინი გაუწყუეტლად, არა თურე დაინანოს;  
მქნელი იყოს სამსახურთა, შარიერმა რაცა ბძანოს“.

654

გამოესალმა არჩილი, გზა გძელი ედვა წინარე;  
მეფე სწორამდი თან გაჰყუა პირმხიარულად მცინარე,  
ყმათა ავედრებს: „უფთხილეთ, არა კამს იყოთ მძინარე,  
არცა კამს ჩქარად იაროთ, თუ მზეცა იყოს მცხინარე“.

655

მეფემ გაუშუა იგი ყმა, თავსა და პირსა კოცებით;  
ჯარი თან გაჰყუა, ყუელანი იყუიან ცრემლთა კოცებით;  
ჰკადრეს: „კულაც ნახავთ მშუილობით, რისათუის დაიკოცებით!“  
ქება შეასხეს ყუელამა, გამოთხოვილთა ლოცუებით.

656

მოგებოდენ ხანები, სადაც მივიდის ვაჟია,  
თავს ვლება ჰქონდა ყუელასა, არ თუ ითხოვონ ბაჟია;  
ნახეს უებრო სანახი, არ მიჰგავს დანაბაჟია;  
ყმას ღიმილი აქუს, სხივს აძლევს, ვითა ჩახჩახსა კაჟია.

657

ყენს რა ესმა ყმის მისულა, იამა მეჭის მეტობით; 206  
თქუა: „მოსულაო ზნე სრული, ჩუენ ვიყოთ მისის მჭურეტობით,

<sup>1</sup> დედ.—ღმრთისაგან. <sup>2</sup> გახლე.



გუელირსა ნახუა, სიახლე, ვის მქონდა ნატრა ნეტობით,  
მისი სხივი და ციმციმი პირსა მოგუადგეს სუეტობით“.

658

ერთს ალაჯსა მოეგება შარიერი ამა ყმასა.  
ყმა ჩამოკდა, თაყუანი სცა, თქუა: „შენ გმადლობ სულთა დგმასა;  
მოველ თქუენის ბძანებითა, მე მივლია ეზომ გზასა,  
თქუენ გიახლო სიკუდილამდი, მივიჩნევდე არა სხუასა“.

659

მადლი უბძანა ყაენმა: „გნახეო კარგ უსულები;  
ხარ ვინმე კარგი მამაცი, მით არ გაჩნია სულები;  
გავსცოცხლდით შენის ნახუითა, რადგან ხარ აქ მოსულები,  
მასპინძლობა კამს სტუმრისა, არმადნად მოგცე სულები“.

660

გაუძლუა, მივლენ ლაღობით ვით პატრონყმითა წესია.  
ვინცა იახლა ლხინობენ, არ მიხუღათ დასაკუნესია.  
კაცსა მიეცეს წადილი, მას რალა უამესია!  
არჩილმა ჰპოვა წყალობა, სხუა და სხუა უკეთესია.

661

[მის] სიახლესა ბალი დგას, სავარდე ტურფად ყუავისა. 207  
შიგ მორათული აივანი მისებრ ჰქონია სხუა ვისა?  
ჩამოაკდინეს ყმაწუილი, ვასკულავთა შესადავისა;  
გაჰკუირდა მისი მქურეტელი, თქუეს: „მგზავსიაო მთუარისა“.

662

რა გიამბო მაშინდელი მოპყრობა და ანუ შეება!  
უმასპინძლა კემწიფემან, მთურალთა ბძანა არ გაშუება.  
არჩილ უზის სიახლოვეს, მათა სიტკბოთ რა ედრება?  
ღუინო სუა და იმა ყმამა ყაენს ჰკადრა დიდი ქება.

663

მოიწონეს ყიზილბაშთა არჩილისა საქციელი;  
თქუეს: „არა გავს ქუეყნიერსა, არის ვინმე ზეციელი,  
თუალ ტანად და ან ზნეობით შეუქვია კაცად ქუელი“.  
ვინ დაბადა, კელ აპყრობით, მისი იყუნეს მადლის მთქმელი.

664

ყუელგან მიესმათ ამბავი ამა უსწორო მეფისა.  
არაბი, ჰინდი, ჩინელი ყუელა იქ მოისწრეფისა;  
თქუეს: „მოსულაო სამოთხით, ვისი გუწადს ნახუა ქეფისა!“  
უცხო თემთაგან მოსული ყუელა იქ მოიეფისა.

665

208

დილა გათენდა, გამოდგა მგზავსი ალვისა ხისანი.  
მოადგა ხედვად ყოველნი, თქუეს: „ნაყოფია ვისანი?  
ან მზე და მთუარე მოსულა, ამას არ უნდა მისანი!“  
იტყოდენ: „გაყრა არ ძალ გუიცი, მონა ვართ ამა ყმისანი“

666

ამ წესითა იქცეოდა ვაჟი გმირთა დასადარი;  
ბურთობდის და ნადირობდის, არ მიაჩნდის სხუა საქმარი.  
მუდამ ახლდის კემწიფესა, დაუშუენის ყოვლი არი.  
უძლუნობდიან ლალ გუარსა, არვის შურდა ოქრო მყარი.

667

ბევრჯელ მოვიდის ყაენი, არჩილის სადგომს სმიდესა;  
ჰქონდათ ლხინი და უკუყრა, იგ მათებურად ზმიდესა.  
უწყუეტლად იყო სოიბათი, უმთურალოდ არ დაზმიდესა.  
ყოშუმ ყოშუმად ხანები იდგიან განაკიდესა.

668

ხან იჯდიან სავარდესა, რა აყუაედის ტურფად ბალი;  
არ დაუხჩეს მებაღეთა, მათთუის იყო კარი ალი.  
ვარდი ჰქონდა საყნოსელად<sup>1</sup>, მათ არ ესუა გულსა დალი.  
ქალი ვინმე მზისა მგზავსი თავსა ადგა ტურფა, სალი.

<sup>1</sup> დედ. — საყნოსელად.

XXXIX. ამა ამა ჟუჟუნის მკარობელმა მიჰმთა მიჰმან და  
 ურველთა მიჰმთა უორის უწარჩინებულსმან კატრონან  
 შაჰნავაჟ კახეთის დასაჭირავად გაემართა ურველისა  
 ჟუჟუნის ლაშქრითა.

669

მოახსენეს: „მეფეთ მეფევე, თქუენი ვართო ყმა და შონა,  
 ღმერთმან<sup>1</sup> მოგცა სუიანობა, არა ოდეს დაგაღონა,  
 ვინ შეამკო ტახტი შენი, სიბძნე მანვე მოგავონა.  
 აწ წასულა კამს კახეთისკენ, შარიერმა მოგაწონა“.

670

მეფემ ბძანა: „ეგე რჩევა მამეწონა დია კარგა; 210  
 ჩუენი არის, დავიჭიროთ, მეგკუიდრენი დაიკარგა;  
 რა მივიდეთ შემცოდენი დარჩებიან კიდეს გარგა;  
 ერთგულთ<sup>2</sup> მივცეთ ზენაარი<sup>3</sup>, თავადთაგან ვინცა ვარგა.“

671

ამა დრომდი წავიდოდით, მაგრამ, იცით, არ მეცალა.  
 სხუად ვის მივსცე საპატრონო? განჯის ხანი გაგუეცალა;  
 ავაშენებ ქალაქებსა, ანცყოლ ხანი დამეცალა;  
 მე შემფერობს ტახტი იგი, ანუ ვინლა დამეცალა?“

672

წიგნი გასწერეს მაზინეე ყოვლგნით ლაშქართა მკობელად;  
 კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ ამა აშბავთა მთხრობელად,  
 შესთუალეს: „მოდით ლაშქრითა, მივალ მტერთ დასამკობელად,  
 დაუყოვნებლად იარეთ, მწადს მივდგე მისაკდომელად“.

673

იქით კახთაკენ გაგზავნა შარიერისა ყულია;  
 რაყამი ჰქონდა მობეჭუდით, დაწერით ვარაყულია;  
 შესთუალა: „მამცეს კახეთი, აღრიდგან დასაყულია,  
 ოდესლა ნახოთ შემცილე, გავჰკადო მონაყულია.“

674

კულავ ერთი წიგნი იესეს მისწერეს ერისთავობით; 211  
 შეყრა ბაგრატის დავედრეს, იყო მათზედან თავობით,

<sup>1</sup> დედ. — ღმერთმან. <sup>2</sup> ერთგულთ. <sup>3</sup> ზენარი.





ყორჩიბაში ჩანს მტერზედან სამუქროდ მეტად დაეობით,  
თქუეს თუ: „შევიქნათ ყუელანი თავისა გარდადავობით“.

675

წიგნი რა ნახა ოთარმა, ცნა კემწიფისა ბძანება;  
თქუა: „ესე საქმე უთუოდ კახთაგან მიეგუენება;  
მათ დავანანო ნაქმარი, რა ხელი კმალსა ვანება,  
წავართუა მკუიდრი მამული ვინცა ვინ წინას ანება“.

676

მეფეს ჰკადრა საუბარი, საქებარად დაძრა ენა:  
„კემწიფეო, შევანანო, ვინ გძნეულნი მოაყენა,  
წავალ მათად საომარად, მოისმინოთ რაც ვაწყენა!“  
წიგნი ჰკადრა შარიერსა: „ხულ უცილოდ წავალთ ჩუნა!“

677

კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ, სიტყუა დავედრა კადელთა,  
მოკევეთა და მთიულთა, იმა ომისა მწადელთა,  
ფშავის კევს, დიდად მებძოლთა, მტერთ კლმითა დამა[...];  
[ყუელიანი იკმო აბჯრითა იმ ხან დაკულად[ელთა].

678

ყუღლგნით მოვიდა ლაშქარი, მთიული, გინდა ბარისა; 212  
შექურვილ იყუნეს რკინითა, სიშავე მოსჩანს ფარისა,  
ტანსაც შავითა მოსილნი, საომრად კლდისა მყარისა,  
მკეკულ იყუნეს საცემრად, მნახავთა შესაბარისა.

679

ოთარი გადგა, წავიდა ლაშქრითა უთულავეითა.  
იქით ბაგრატ და იესე შეყრილი მოვლენ, ვთქუა ვითა;  
მეომართ კბილთა ღქენა აქუს, მიდიან ერთობ დავითა,  
შემოეყარნეს ოთარსა ლაშქრითა მეტად ზუავითა.

680

კახეთს მოვიდენ, მოესმათ თუშთაგან ჩამოდენანი.  
ოთარმა ბძანა: „დღეს გაჩნდეს, თუ ვინ ქნას ჩემოდენანი!  
მიუკდეთ იმა ჯაბანთა, კლმითა დაუწყუოთ შენანი,  
თუში დავფანტოთ<sup>1</sup>, მიეცეს მათ ჩუნეგან დასამშენანი“.

681

ზოგმა არჩია: „მოუშუათ მინდურად, ავკიდოთ ომია,  
გავსინჯოთ მათი ყრილობა, ლაშქარი თუ რაზომია,  
... შევატყობინოთ, არ იყონ მუნა მჯდომია,  
... ნა გზებში შეუკრათ, დარჩება ცუდ ნაშრომია.

<sup>1</sup> დედ. — დავფატოთ.

682

დღეს, ანუ ხუალე მოველი, ვინა სჩანს მტერთა ბადია, 213  
არის ომშიგან ნაწუართი, ლომისა დანაქადია,  
ვერვინ დაუდგამს სულდგმული, ლუთისაგან<sup>1</sup> დანაბადია,  
რა მოვა, წავალ უთუოდ კულავ გზასა დავეკულადია“.

683

დილა გათენდა, მოვიდა ერისთავთ ერისთავია;  
ლაშქარი მოსდევს ურიცხვი, მიუძღლის გმირთა თავია.  
ნუ ექობ, ჰქონდეს სიწყნარე, ან მისცეს ვისმე ზავია.  
თქუა: „არ დავრიდო სიკუდილსა, ვის უნდეს დამედავია“.

684

მეფემ ბძანა: „დაჰპატიჯეთ, ოთარისა ნახუა გუინა;  
მოვა, მეტად მიამების, მიაჩნიათ ვინცა ვინა;  
წასულა გუინდა, ნუ იყოვნის, მოვიდოდეს ჩუენსა წინა“.  
კაცი მირბის საწუევარად, გზასა მეტად აექმინა.

685

მოახსენა: „მეფე გიკმობს, ნახუა შენი მეტად სურის;  
ციაჩნიხარ შუილის ალაგს, აგრე გავს, რომ არ გემდურის;  
ბედი ჰქონდეს სანატრელრ, შენებრ მოყმე ვისცა უვის;  
. . . . . რთ მეფის ზურგი, არ შეაწევე ვინცა სტყუის“.

686

წამოვიდა მასვე წამსა, იქ იახლა კემწიფესა; 214  
იგ თავ მდაბლად უსალამა, დადებულთა ვითა წესა.  
პატრონ ყმათა ამათებრსა სად ვინ ნახავს უკეთესსა!<sup>2</sup>  
მოიუბნეს საუბარი, რაცა კამდა იგი თქუესა.

687

მეფემ ბძანა: „ესოდენი ხანი არის აქა ვდეგით;  
მოგელოდით მაგა მკნესა, უშენობით არ ავდეგით,  
მოხუელ, განხე შეკურვილი, ჩუენ გიკურეტიდით ამა ქედით.  
ლაშქარი გყუა უმარავი, ვით აგუეკლო თუალთა გებით.

688

აწ ავიყარეთ, წავეიდეთ, მიემართოთ სადა დგებოდენ;  
მიესმას ჩუენი ამბავი, შიშითა ვერა დგებოდენ;  
მას ქალსა, ვინცა დედოფლობს, სამისოდ ვერა რგებოდენ,  
ჩუენ დაგურჩეს მათი დიდება, ვინცა ვინ თანა ჰყუებოდენ“.

689

[კ]ადრეს: „მეფეო, გუასმია, ქისიყს მოვიდენ ყუელანი;  
ჯებირი უკრავს, მუქრობენ, წინე უდგია მცუელანი;

<sup>1</sup> დედ. — ლ<sup>1</sup>თისაგან. <sup>2</sup> უკეთესა.

თუმი მოუსხამს საბძოლოდ, მათგან მოურთავ შეუღანი,  
 ტყე აუღია საფარად, შორს დაუგია ველანი“.

690

კემწიფე გაწყრა, ერთოფლა კაცს შეანანა თქმევანი;  
 თქუა: „დავჭოვც იმა გძნეულთა, გაკუდდეს მათი რჩევანი,  
 ორგულსა მოვკლავ, ერთგულთა<sup>1</sup> დაუწყოთ ამორჩევანი,  
 მას დავაბრალოთ, რომელმან თუშთ, უყო აქ მოწუევანი.“

215

691

მოუყუანიათ ცთომითა იგი რევუენი თუშია,  
 მათ არა აქუს რა საწყალთა, ჩუენ უკეთ ვაქმევთ, თუ შია;  
 უბრალოდ ამოსწყდებიან, ვინცა იმათი თუშია,  
 არ დააკლდების<sup>2</sup> ცდომილთა სამუდმოდ ვაი და უშია“.

692

ქისიყს მივიდენ მაშინვე, ლაშქარმან უწყო შერევა.  
 მეფემან ბძანა: „მოცდა კამს, სიტყუა ისმინეთ ესევა;  
 არ მოვლენ, კიდევ დავასწრობთ, არ ასკილდების ესე ვა,  
 ბძენთა მოთმენა არჩივეს, იმათგან თქმულა წესევა“.

693

რა შეიგნეს მუნებურთა: მძიმის ლაშქრით მეფე მოვა,  
 აიშალნეს მასვე წამსა, აღარ იყო მათში გროვა;  
 მოეშალნეს სიმაგრესა, იგ შეყრილი დაიმცროვა,  
 თუშთა უთხრეს: „დაბრუნდითო“, მამყუანელი დაითხოვა.“

694

მეორეს დღესა მოვიდენ ქევხა, ვინ ასისთავია;  
 შემოეხუეწნეს, მიილო მეფემან მათზე ზავია;  
 ვინც არ მოვიდა, ითხოვეს ვაქაკათა მაზე დავია;  
 თქუეს: „ორგულთ თავებს მოგართუამთ, ტანზე იძახდეს ყუავია“.

216

695

ქისიყი შემოარა, არ დადგა განაკიღია;  
 თოფ ყარალაჯსა მივიდა, სად ციხე იყო ღიღია;  
 შადლუხი შექნეს, ისროდეს საქმისა დასამშუიღია.  
 მინბაშებს უთხრა: „იმედი, კულაცა ჩუენ თანა ვლიღია!“

696

ვინც მოუვიდა, დამქველა, მათ აღარა აქუს რიღები.  
 ნუზლი მოიღეს უზომო, აზავრით ანაკიღები.  
 კკუიანთა კაცთა გამართუით წინათ გარგეს კიღები;  
 რევუენთა — თავი საკუდავად; საქვე სჭირს დასაკიღები.

<sup>1</sup> დედ. — ერთგულთა. <sup>2</sup> დაკლდების.



697

შემოიარა ქუეყანა, საქმე ქნა რაცა კდებოდა;  
ერთგულთა<sup>1</sup> სწყალობს, მრისხანედ ორგულთა მიუკდებოდა;  
ვინცა იმტყუნა ნაქმარი, მათი მათ გარდაჰკდებოდა;  
საქმისა ავად მრჩეველი, ეტყობის, მალ წაკდებოდა.

698

[ . . . . . ] ე ტუირ ნაფასები; 217  
[ . . . . . ] შეტად ხასები;  
[ . . . . . ] არ თუ ნასები;  
[ . . . . . ] ბევრჯელ ასები.

699

[ . . . . . ] დი ვინ, ანუ წულოლია;  
[ . . . . . ] იათაკენ ვლილია;  
[ . . . . . ] ჰკუირობენ, მისგან ქნილია;  
[ . . . . . ] ნი გარდავლილია.

700

[ . . . . . ] სალოცავი, მოდის სულთანთა ხანისა;  
[ . . . . . ] ლუთისა<sup>2</sup> წყალობა, თქუენზედან არ უხანისა;  
[ . . . . . ] შუენის მოკულა ლომისა, პატრონსა ამახანისა;  
[თქუენი ნაქმარნი კუეხად აქუს, მხსოვართა ამა ხანისა.

701

[ . . . . . ] ანის ყუელასა ვინც იყო იქ მამსულელია;  
[ . . . . . ] საბოქტუარი უბოძის, იყუნენ მადლისა მთქმელია,  
[ . . . . . ] ნ სუიანი, მუდამ კარგისა მქნელია;  
[ . . . . . ] დაეს წყალობა მაზედა გარდუკლელია.

702

პირმზემ ჰკადრა, „ეზა [ . . . . . ] მარები; 218  
მორევიხარ მტერთა შენ[თა . . . . . ] რები;  
მკლავი ლახტით გაგი[ . . . . . ] ბი;  
თავი დაუტ ქუეყნიერსა[ . . . . . ] ბი.

703

ნაომარი შემოსულხარ მ[ . . . . . ] ი;  
კაბა ეგე რკინისაგან შეგ[ . . . . . ]  
ზლუით ნიანგი გიჩივიან[ . . . . . ]  
გაიკითხე, ნულარ დაჰკოც, კმა[ . . . . . ]“.

704

შარიერი ლალობითა გუერც დაუჯდა[ . . . . . ];  
ვინცა ნახა მათი ქება ვითა მართებს აგრე თქუსესა];

<sup>1</sup> დედ. — ერთგულთა. <sup>2</sup> ლ<sup>2</sup>თისა.

დამგზავს<sup>1</sup> მუშთარ მარხს, ანუ იგი მთუარე[სა].  
მას ღამესა მიემანი გარდიკადეს დაუმცრესა.

705

დილა გათენდა, მეფემან ბძანა ლხინისა გაგება;  
სულ მოაწუივეს თავადნი, შექნეს სუფრისა [გაგება];  
მას დღე ინდომა ლარისა ლაშქართა ზედა [გაგება];  
მორთულან დევთა სარკენლად, კმაღსა [ . . . . . ].

706

ტყუე წამოართუეს მრავალი, კარი, ძროხა და ცხენია; 219  
იქ შეამწყდევს ციხესა, მით მიხუდათ სიმარცხენია.  
სიმაგრისაგან დასცალეს, დამართეს შესარცხენია<sup>2</sup>;  
თქმულა: ცრუ ფიცსა ნამუსი ექნების არცახენია.

707

მეორეს დღესა მიმართეს, იერიშს უბირობს ყუელანი;  
რაბადს გარდუედენ, დაკოცეს იმა ციხისა მცუელანი;  
უკუდგომილნი დაკოცეს, სისხლნა შეღება ველანი;  
უბრალო ამოარჩივეს იგი მართლისა მთქმელანი.

708

ციხე წაულო ლომგულმა, დაღეწა სიმაგრებია;  
გამოიყუანა ყუელანი, ვინც იყო მონაკრებია;  
წაუკდათ მათი თათბირი, ჩხუბი და იმრიგებია.  
ღმერთი<sup>3</sup> არ შესწევს, ნაქმარი არავის გარიგება.

709

მეფემ ბძანა: „თორღის ციხე ძირამდისინ მოასწორეთ;  
მალლა ქუასა ნუ გაუშვებთ, დაბლამდისი ჩააგორეთ;  
ნაშენები რაცა იყოს, იმა კლდესა მოაშორეთ;  
[ . . . . . ] დაისწრაფეთ, არა კამდეს დაიყონეთ“.

<sup>1</sup> დედ. — დამგზავს. <sup>2</sup> შესარცხენია. <sup>3</sup> ღ. თი.



**XL. ამა ამა დიდმა ხმწივრებან მუჟამ შაჰნავაზ თორღის ციხე  
აიღო. შემსოღენი გამოიჟანა. ციხე ძირაჟდი დაჰცია<sup>1</sup> და  
გამარჯუებული გამოგონდა. შემსოღენი თან წამოასხა.  
თბილისს<sup>2</sup> მოგჰანდა.**

710

შემოესიენეს, აქცევენ<sup>3</sup>, სცემენ წალკატს და უროსა; 221  
თქუეს: „ძირამდისინ მოვშალოთ, კულაე ინდომებდენ ნურასა;  
ველარ გამაგრდენ ორგულნი, პატრონი მოიმდუროსა;  
ქუიტკირისიგან დავსცალოთ, კარაევი გარდიბუროსა“.

711

თორღა მოშაღეს. აწ ნახეთ, რა უყონ განჯაურასა!  
გარდააბრუნეს<sup>4</sup>, წაიქცა, მჭურეტელმა რას უყუროსა?  
ველარ მაგრობენ ციხენი, არცავინ მიაშუროსა;  
მაში მყოფელსა დღეითგან ვერ სტყუოს, ვერც იჩხუბოსა.

712

გამობრუნდა შარიერი, ჩამობრუნდა მთილამ ბარსა;  
მეუნებლე გაამწარა<sup>5</sup>, იგ სახელი მას დღე კმარსა;  
გაარიგა<sup>6</sup> საკემწიფო, წამოვიდა ტურფა სარსა;  
მიულოცეს ყოველთაეე ამა გმირთა დასაღარსა.

713

თბილისს<sup>7</sup> მოვიდა ლომგული, საკელოვანი, კლმიანი;  
მტერზედან გამარჯუებული, მეფობით სრული სუიანი;  
დაიმორჩილა მებძოლი, მათზე მიიღო ზიანი;  
თუშნი გაწყუიტა, შეიქნა დიდოზე მიზეზიანი.

714

შემეგებენეს<sup>8</sup> თბილელნი, აყრიან ლალსა, გუარსა; 222  
სულსა აძლევენ არმალნად, ვერავინ იტყუის უარსა;  
თაჭს ვლება ჰქონდათ ყუელასა, ვინცავინ შეყრიოთ მუნარსა;  
ჰკუირვობდენ რაცა ქნილიყო, ამა მეფისა უნარსა.

715

სრასა ჩამოკდა კემწიფე, მივა პირშვისა არესა;  
ნახა უღრუბლოდ მჯდომელი, ცისკროვნად მოედარესა;

<sup>1</sup> დედ. — დაქცია. <sup>2</sup> თბილისს. <sup>3</sup> აქცენ. <sup>4</sup> გარდაბრუნეს. <sup>5</sup> გამწარა. <sup>6</sup> გარიგა-  
თბილისს. <sup>8</sup> შემეგებენეს.

დახუდა ტკბილადა, უკუყრით, ციერთა მონაგუარესა;  
შეიყარნეს და ლალობდენ, ვამგზავსე მზე და მთუარესა.

716

გაიხარეს, საწუთროსა კელი ჰყარეს მათად ფერად;  
მოიმაღლეს საბოძურითა, ვინცა იყო ყმა და ბერად;  
სიუხუითა ზღუათა ჰგუანდეს, სიმცროთგანვე დანაწერად;  
სმენა ჰქონდა საჩივრისა იგ კაცთაგან დასაჯერად.

717

დავრდომილთათუი<sup>1</sup> მოწყალე იყუიან ყოვლსა ჟამისად;  
მთხოველნი ლართა წაღებად არ დააკლდიან<sup>2</sup> წამისად;  
ადიდებს ყოვლი იძურისი, უჩს თუალთა შესადგამისად;  
მონებდენ მათნი შორს მკოფნი, სიახლე სწადდათ ამისად.

<sup>1</sup> დედ. — დარდომილთათუი. <sup>2</sup> დაკლდიან.



**XLI. ამა ამა უკლებელაან მიჴმან და დედოფალაან  
ლჴმან დადიანის საცოლოს საქმი არჩივის და ლჴმანის  
წინ კაცი გაგზავნეს.**

718

დღესა ერთსა სათამაშოდ ისხდეს მეფე დედოფალი;  
თქუეს: „ვარგოთ რამ დადიანსა, რადგან აქეს ჩუენგან ვალი;  
კაცი ვგზავნოთ მას წინაშე, იქნას მისკენ მიმავალი;  
უშუელოთ რა, ნუთუ ღმერთმან <sup>1</sup> შეაწიოს მისი ძალი“.

719

არჩიეს: „ესე ვით იქნას, ყმას არსით მიხუდეს ქალია? 224  
ანუ ტახტი და გუირგუინი უღზინოდ იყოს მქრქალია?  
სტავრა ძუირფასი უკმარად, ვგროვოს ეზომ მალია?  
მოგუეაროთ სითმე მნათობი დაუყოვნებლად, მალია“.

720

პირმზემ ბძანა: „ლჴვანისა უკოლობა ვით იქნების?  
მას არ უჯდეს პირმთუარენი, ესე ჩუენგან არ ეგების!  
ჩემი მორკმა, დიდებანი ყუელა მაზე გარდეგების;  
ყმასა ქალი არსით მიკუდეს, საყუედურად დაგუედების“.

721

კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ, ჰკადრეს ამბავნი ესენი;  
თქუეს თუ: „ხარ დიდი კემწიფე, ვინა ჩანს უკეთესანი,  
კაცი მამაცი ვინ ნახა, მოშალოს სოფლის წესანი,  
არ სადით სძებნოს მიჯნური, სულთავან უამესანი?“

722

გაგზავნილს ჰქონდა სისწრაფე, აგრე გავს, არსად დგებისა;  
გაივლის კლდე და კაპანსა, მის უფრო არ ეგებისა.  
ყმა პატრონისა სარგებლად სარჯლითა გარდეგებისა.  
ერთგულმა <sup>2</sup> ჰპოვოს სიამე, საკურქლით აივსებისა.

723

მეგრეთს მივიდა, აცნობეს დიდსა ოდიშის მპყრობელსა: 225  
„კაცი მოვაო თქუენს წინა, ჰგავს კარგთ ამბავთა მკმობელსა;  
ვამგზავსეთ არის სადითმე იგ კეთილისა მთხრობელსა;  
გკადროს, ისმინე თხრობილი, არ ვიყოთ დასაგმობელსა“.

<sup>1</sup> დედ.—ღმერთმან. <sup>2</sup> ერთგულმა.



724

ლევან იტყვის: „მოიყუანეთ მოგზავნილი ფიცხლავ აქა; გაუსინჯოთ რამც იცოდეს, ტკბილი, ანუ სიტყუა ბაქა, საწყენი და სიამოვნე, ორისაგან ერთი მნაქა; მოვიკოცოთ საძაგელი, აღარ მედუას გულსა ლაქა“.

725

მოიყუანეს ლევანს წინა, მონამ ჰკადრა რაც იცოდა; დაუამა გული წყლული, აგრე გავს, რომ არ შესცოდა; დიდად უთხრა სასიამო, ახლა როგორ დაიმცროდა; მოეხუივნეს დიდებულნი, დაჯრა იყო მიდამოდა.

726

ჰკადრა ყუელაი მან ყმამან დედოფლის დავედრულები; შარიერისა სიტყუანი უკლებლად წარსთქუა სრულები. ლხინი გაახლდა, არ ახსოვს მუნ ქირი გარდასულები. ვარდი აყუავდა, აწ ნახე ბულბული შემოსრულები!

727

მოახსენა საუბარი, სასარგებლოდ დაძრა პირი; 226  
ჰკადრა: „დიდი კემწიფე ხარ, რა საქმე ჩანს გასაჭირი; საქმე სიბძნით მოიგუარე, მტერი-გაკდეს ასატირი, ეპატრონე სრასა შენსა, დაემყარე ვით ქუიტკირი.“

728

მან გამამგზავნა, რომელსა კელთა აქუს შთა და ბარები; მიბძანა თქუნეს წინ სათქმელნი, ამბავნი დასაბარები; რაცა შეგკადრონ იგი ჰქენ, ნუ გინდა დასაბარები, თუარემ მოგკუდების საშენოდ სამუდმოდ დასაბარები“.

729

ლევან თქუა: „ძმაო, რა მინდა, რომ არ ვისმინო ესები? და და სიძე მყავს კემწიფედ, რა მიჩანს დასაკუნესები? რაცა მმართებდეს<sup>1</sup>, იგი ვქნა ეშყისა დანახესები; მეცა მწადს ვსძებნო მიჯნური, სად იყოს უკეთესები.“

730

რადგან არიან<sup>2</sup> ჩემზედა ღვთულებ<sup>3</sup> წყალობის მთოველი, რაცა ქნეს, იცის ყოველმა, მის სიკეთისა მხსოველი, ტახტი დამნებდა მათითა, რაც იყო განძი ყოველი, ასული მამცენ დედოფლად, აწ ამასაცა მოველი.

731

სხუას მისებრსა ვერსად ვპოვებ, რაგინდ რომე ვსძებნო ხელი; მას შემყარონ შესაფერსა, მამაკიდონ კელსა კელი; 227

<sup>1</sup> დედ.—მართებდეს. <sup>2</sup> არიან. <sup>3</sup> ღვთულებ.



მიჩნდეს სევდის უკუმურელად, ტახტსა ვისხდეთ თუით ერთხელი,  
მათი ვიყო სიკუდილამდი, რაც მიბძანონ, მისი მქნელი.

732

მათვე მიწამლონ სნეულსა, რას ვარგებ ცუდად რბენითა?  
მათ შემიხუიონ ნაკადი, არ ვიყო ცრემლთა დენითა;  
მათგან გამთელდეს წყლულები, კმუნვანი გარდვიდენითა;  
მათ გამამტაცონ სიკუდილსა, სიცოცხლით ავივსენითა“.

733

დააბარა ტკბილ ქართულად, მას მომსულელსა მისცა ლარი;  
შეუთვალა: „შარიერო, ვის გიჭირავს ყოვლი არი,  
გახსოვს, მამეც საკემწიფო, ზღუის პირი და მთა და ბარი,  
ესეც მიყავ საწადელი, ვიქნა შენგან დასამყარი.“

734

გიაჯი, ღვთულებ<sup>1</sup> მამკელო, სიტყუა ისმინო ესეა:  
კმუნვა გაქარდეს, პასუხი მიბძანო უკეთესეა;  
დამიხსნა შეჭირვებასა, ვინა ჰვლობ ზესთა ზესია,  
მიჯნური მიჯნურს შეჰყარო, კემწიფეთაგან წესია“.

735

პირმზეს ჰკადრა საუბარი, ტკბილი რამე, არა მქისი: 228  
„დაგიჩაგრავს პირმთუარენი, ვით იხსენოს შენთან ვისი?  
შენ გიყუავის საბაღნარო, ვინ ანათობ ვითა დღისი!  
მამეკმარე, საყუედური თქუენი მაძეს, არა სხუისი.“

736

ასული მამეც დედოფლად, ამკობდეს ამა არესა;  
სული ჩაჰიდვას სიტკბოთა, მით მოვეშორო მწარესა;  
არავის ძალუც თქუენს მეტსა ამა საქმისა ქნარესა;  
მალირსეთ ვგე მთიები, ჩემს გუერდით დაიმყარესა“.

737

ესე გუარი საუბრები დააბარა<sup>2</sup> მოგზავნილსა;  
გაისტუმრა მასვე წამსა იგი მისგან<sup>3</sup> გამოვლილსა,  
ჩქარად რასმეს იარების, არ იღირსებს კაცი ძილსა;  
საქმეს უწყო გამართება, გაიკუირო მისგან ქნილსა.

738

თბილისს<sup>4</sup> მოვიდა, კემწიფე ნახა ტახტზედა მჯდომარე;  
მას გუერდით უჯდა ზარიამ, მათ გაენათლა რომ არე;  
ჰქონდა ლხინი და უყუყრა, არა თუ იყო მწყრომარე;  
იშუებდენ მათის ჭურეტითა ვინცა მუნ იყო მდგომარე.

<sup>1</sup> დედ. — ლ<sup>1</sup> თულებ. <sup>2</sup> დაბარა. <sup>3</sup> მიგან. <sup>4</sup> თბილის.





739

მოახსენა: კემწიფეო, ყუელა გკადრო მათგან თქმული; 229  
ლევან გკადრებს საუბარსა, ვინ მამაცობს სიტყუა სრული;  
ქალის ეშყი შემოაპყრია, გულსა მისსა დანერგული;  
გიაჯების დაისიძოთ, საქმე მოკდეს სავარგული.

740

რაც მიბძანეთ, მოვახსენე, არსით ძებნა გზა და კუალი;  
გული თქუენზე დაუყრია, ეშყით ბანგობს ვითა მთურალი:  
მისულაც აღრე დამაბარა, მას უჭირავს ჩემკე თუალი;  
გამაკუთრვა სიუხუემა, მან მიბოძა ეზომ მალი.

741

მიბძანა: „მესმა, ასული მათ უზის ელვა კრთომითა;  
სხუა არ მინდაო მისმეტი, ჰიდეც მამეცეს რომითა;  
მზეც მამეფინოს საჯუფთოდ<sup>1</sup>, მას ვირჩევ ასის ზომითა;  
არ მამხუდეს, ველად გავიჭრე, რას ვირგებ აქა დგომითა!“

742

რა მოისმინა მეფემან, ბძანა ლევანის სიძობა:  
„მას მივსცეთ ჩუენი ასული, საქმეს მოგვიდოთ მლუიძობა;  
მკევალი გაპყუეს მორთული, გამდელს ეთქმოდეს ძიძობა;  
მოყმენი ახლდეს საკმარი, არად შეედლუას ბინძობა“.

743

დამოწმმა დედოფალი, ლევანისა იქნა ნება; 230  
მოიპოვნა საბალნარო, აღარ უნდა სხუაგან ძებნა.  
ვეზირებმაც დაიმაღლეს, მზესა ჰკადრეს დიდი ქება.  
თქუეს: „მოყურობა გაიახლა, უკეთესი რა იქნება“.

744

არჩივეს: „შევატყობინოთ კემწიფეს ოდიშისასა;  
უთხრას ამბავი სავარგო, ლხინად მოირთოს მისასა;  
ასული მოგცეს მეფეთა, შენი არჩიეს სხვისასა;  
მისი ციმციმი მეტობით იგ აჯობინეს მზისასა.“

745

იგივე კაცი გააბრუნეს<sup>2</sup>, დაუდგომლად მალედ რბისა;  
სამს დღეშია შეიმოკლა იგ სავალი ოცის დლისა;  
ოდიშს შეკდა სალამოკამ, კოკამდინა ოფლი სდისა;  
დალაღვასა აექმინა, საუბარი ძლივლა თქუისა.

746

დადიანს ჰკადრეს: „მოგუესმა ამბავნი საამონია;  
კაცი მოვიდა მახარობლს, სხუა ავი ნურა გგონია“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დედ.—საჯუფდოთ. <sup>2</sup> გაბრუნეს. <sup>3</sup> გონია.



ბძანა: „მამგუარეთ, რა იცის, საკეთო, ამრიგონია?  
თუ მამხუდა ხლება მის მზისა უკუსაყრელი დრონია“.

747

კაცი მივიდა საამბოდ, მოერთო მასვე წამისად;  
თქვა: „მოგცეს მათი ასული, მზემ თუალთა შეუდგამისად;  
შენ გაიხარო ჭურეტითა, გმართებს სიამე ამისად;  
მას დაუჩაგრავს მთიებნი, მიაჩანს სწორად დრამისად!“

231

748

შეიქნა შუება, უკუყრა, ამა ამბვისა სმენითა.  
ლხინი გამართეს უებრო, არ ითქმის კაცთა ენითა.  
მას კაცსა მისცეს გუარი, საფასოდ ვითა ეთქუენითა.  
სიხარულობენ ყულანი, არიან ზეზე ფრენითა.

749

ლევან თქვა: „მოწუდა მეღირსა გულსა, სად შედუა მანარა;  
ვის შევეკადრე სამისოდ, გაყრა მიბძანა მან არა;  
მისი მწადს შეყრა, სიამე, საჩემოდ თავი მან არა;  
ვილხენდვ მისის ჭურეტითა, თუით ამიყვავოს<sup>1</sup> მანარა.

750

მიჯნური ვარ, მოსაკრეფლად მოვიკელთო ია სადა?  
ნუთუ მამხუდეს ფეროვნებით გაუშლელი ია სადა?  
მას შეშუენის სურნელება, მით უკმობენ იასადა;  
ვარდსა უჩანს საზარიფოდ, ამაღ სძრახავს იასადა“.

751

ლევან იტყუის: „მენიშენი გავისტუმროთ, მალედ ვლიდეს;  
მივიდეს და შარიერსა რაცა ვკადროთ გარდასთულიდეს;  
მოგუიტანოს არმადანად, იგ კემწიფე რასა ზმიდეს;  
მას უკანის იმა მზისა მოყუანა კამს, არ დამრიდეს“.

232

752

ქელენჭიხელი მენიშენდ აქაზმეს გასაგზანებლად; •  
მასთან გიორგი ჟოლია იყო თავისა მარებლად;  
გაგზანეს ლალი, ზურმუხტი ძეირფასთა დასადარებლად;  
გამოისტუმრეს მაშინვე, მიდიან დაუმცდარებლად.

753

ქართლით მივიდენ; არიან ამა ამბავთა მთქმეველად;  
მათ მიაქუს ლარი უებრო, იმა ქალისა მბმეველად;  
მოურთონ ფიფქსა ყელზედან, მისთა გზათავე მკულეველად;  
დედოფლად ოდიშისათუის, მათის ტახტისა მკობელად.

<sup>1</sup> დედ. — ამიყავოს.

754

შემოეყარნეს ლომგულსა, სიტყუა თქუეს მათნი ფერანი;  
ვერას ჰკადრობენ უშუერსა, რაცა თქუეს დასაჯერანი;  
ჰკადრეს: „გიჭირავს სამეფო, მაზედან დაგიც ერანი;  
სხუა და სხუა თემი, ქუეყანა, ვითა მოვსთუალო შე რანი!

755

გებძანა: „მოვეც ასული ლევან ოდიშის მპყრობელსა“, 233  
სხუაცა გიქნია წყალობა, ამად გკომბს ტკბილად მშობელსა.  
აწე გბლებივართ, მეფეო, გხედავთ გუნება ლმობილსა.  
სიბძნე გაქუს ზღუისა ოდენი, საქმეს იქ არ დაგმობილსა“.

756

მეფემ ბძანა: „ოდეს ვნახე, ლევან მიჩანს ვითა შუილ  
ვითუსე და მივიჩნივე, საქმე ჰქონდა გარდავლილი;  
სანამდისინ ტახტი მივეც, არ ვიღირსე თუალთა ძილი;  
მას უკანის ქალი მთხოვა, საადუილოდ<sup>1</sup> მივაძლივი.

757

აწ მოსულხართ სრასა ჩემსა, მოვისმინო, რაცა ბძანოთ;  
გწადს ნიშნისა შემობზანი, საქმე მგზავსად მივაგუანოთ;  
შეყრა გუმართებს ბანოანთა, ქალთა ჯარი მოვაყენოთ;  
მართებული რიგი შეგქნათ, უმართნიმე გავაყენოთ“.

758

მოაწუივეს დიდებული, მამაცი და ქალთა ჯარი;  
სრა აივსო უტევენლად, გავს ადგილი არსად არი;  
მეფე იჯდა ტახტსა ზედან, იგ გავსილი ვითა მთუარი;  
გალმით პირსზე ანათობდა, ცისა ხომლთა<sup>2</sup> დასადარი.

<sup>1</sup> დედ. — სადუილოდ. <sup>2</sup> ხომთა.

**XLII. ამა ამა მაღალმა ხიფთიზიანს დადიანს ლეგანს მიხი 234**  
**სახუკველი ასული თამარ საღედოფლოდ მიხცა**  
**და ნიშანი გოუბანეს**

759

მათ ასული მოეკაზმათ, მიუგუანდა ვარდსა ფერი;  
 ტკბილსა ხესა მისად მგზავსად ზილი ესხა შესაფერი;  
 ედრებოდა მუშთარ მარხის, მითქუამს არა მისაფერი,  
 პირმზეს გუერდით იგ ასული ზის, არა სჩანს ჰური ფერი.

760

შეაბეს მარგალიტები, უმსხოსი იყო თხილისა;  
 მას იაგუნდი სარევედ ჰქონდა, ერთობით თლილისა.  
 ლხინი-გამართა მეფემან, იგ სევდა გარდავლილისა.  
 მას ლამეს წართეს სიამით, ფასლი მოვიდა დილისა.

235

761

სწორამდი ლხინი აჩუენეს დღე და ლამ დაულალავად;  
 შისცეს ქონება უზომო, ცხადივ იგ დაუფარავად<sup>1</sup>;  
 გაცემა იყო ლარისა<sup>2</sup>, მიჰქონდათ, იყუნეს მლაღავად.  
 მეფე ჯდა გუირგუინოსანი, ლალი თავისა მკრძალავად.

762

გამოისტუმრეს მენიშნე სავსე უებროს ლარითა.  
 მადრიელოზდენ, იტყოდენ: „ავივსეთ ოქრო მყარითა!“  
 თქუეს თუ: „კემწიფე ვამგზავსეთ ლომ-ვეფთა<sup>3</sup> დასადარითა;  
 უჭირავს ზღუა და კმელეთი, მოსდის ყოვლისა არითა“.

763

წავიდენ, ლევანს მიმართეს, პატრონსა კმელთა ზღუისასა;  
 ჰკადრეს ნახული ყოველი, სიტყუასა ისმენს ყმისასა;  
 გული უფეთქს და შემომზერს, ეშყი აქუს მათსა თქმისასა;  
 ნდომა სჭირს შეყრა ქალისა, ვითა რამინსა ვისასა.“

764

უქეს ასული მეფისა სიტყუითა მრავალ ფერთა; 236  
 თქუეს: „არ ნახულა მისებრი, სხუა იქოს, მასთან ვერთა;  
 პირმზეს იახლა სადაგად, მიჰვავს მისსავე ერთა;  
 თვალნი ვერ შევჰქარ სხივთაგან, ვერც გავსძელ მათის მზერთა“.

<sup>1</sup> დედ. — დაფარავად. <sup>2</sup> ლარის. <sup>3</sup> ვებზთა.

765

ლევან თქუა: „მისალ შეყრამდი მზეც მამკუდეს ჩემთუი  
დანასობს;“

გული წაპართუა, გონება მისგან საკუდავად დანასობს;  
ხანთა მომლოდნე ლხინისა ამად მოჰკიდებს დანასობს;  
მისალ შეყრამდი სევდასა ათასს<sup>1</sup> მივეცე დანასობს“.

766

არჩივეს ქალის მოყუანა, გძლად რას გუიჯობსო ესერა;  
კათალიკოზი გავგზავნოთ, ვის რომ ნაწილი ესერა,  
მიქელაძე და ეოლია, იგ ავამზადოთ ესერა;  
მათ მიხუდეს წუერი სადგურად მალლისა მთისა ესერა.

767

გამოისტუმრეს მაყრები დიდისა კემწიფისანი;  
მათ მოაქუს რიგა მეფეთა, უკლებლად არა სხუისანი;  
გამოიარეს ლიხეთი, დათულა აქუსთ ღამე დღისანი,  
მთასა გარდაკდენ, მივიდენ ქუეყანა დაკუდა ვისანი.

768

მეფე მოელის, მზადება შექნეს, მალობდა ნაზირი,  
ხალვათად იჯდა კემწიფე, მას უზის ვინმე ვეზირი;  
ახალსა სჭრიან სტავრასა, რას ეჭირების გაზირი?  
შაქრით მოერთოთ საქმელი, მათ მოითხოვეს ჰაზირი.

237

769

მიავებეს თავადები მაყართაკენ წინა მავლად;  
შეეყარნეს, უსალამეს, არ დაურჩენ მათად ხალვად;  
გამოუძღუნ მასპინძლობით, იგ არ იყუნეს დასამალვად;  
მოსჩქარობენ მეგრელები, არ ინდომეს უკან ლალვად.

770

კოეორზე იღვა კემწიფე, მორთეს ყოველგნით კარავი;  
ყაბახსა მართუნ, ლაშქარი თავს ადგა, მტერთა მზარავი;  
თავს ოქროს ჯამი დაადგეს, მას ვერას აენებს მზარავი;  
ვინ ჩამოაგდოს, წაიღოს, ქარი უჭროდეს არავი.

771

მოიყუანეს იგ მაყრები, დააყენეს<sup>1</sup> ერთსა კიდეს;  
მათ უჩინეს მეჰმანდარი, უცხოს კაცსა გარდაჰჭურიდეს;  
უდარბაზეს თავადებმა, მათებურად კარგად ზმიდეს;  
რიგი იყო აღერისისა, ხანსა არც ყოლ არ დაზმიდეს.

<sup>1</sup> დედ. — ათას. <sup>2</sup> დაყენეს.



XLIII. ამა ამა სახელმანს მეფეთ მეფის კატარსს შანანავაჲს  
 ლავან დადიანის მახრავი მოუვიდა ასულის წახაჲსანებლად  
 და შეძნა ქორწილის კიჭი და ლხინი და ჯაბახთა სროლა.  
 მოვიდა შოველი დიდებულნი და ბანოანი. იყო ლხინი და  
 გამოჩუიება. და მიაბარა ასული მათ მაჲართა უთუალა-  
 ვინა მჯითვითა, მხვლითა, ოქროს სატყლოსანის  
 მონებითა და გაისტუმრა.

772

მოვიდა ყოვლგნით თავადი, ანგარიშ მიუწდომია<sup>1</sup>; 239  
 ბანოანი და სხუა ქალნი, ვინ იცის თუ რა ზომია;  
 მინდორად დადგეს კარვები, თუალ უწდომ გასაზომია,  
 ლაშქართა სიმრავლისაგან, ამას გავს, იყო ომია.

773

შეიქნა სროლა ყაბახთა, არბევენ ბედაურებსა;  
 ისარი წუიმას ემგზავსა, მწარედ ისროდენ თურებსა;  
 ვინც ჩამოაგდებს, მესროლთა ყუელასა მოიმდურებსა;  
 უბეს ჩაიდებს მაშინგე, სხუას სროლას არ უყურებსა.

774

რა დადგეს უცხო კარვები, მისას ვერ ვიტყუი ქებასა;  
 გარ შემოავლეს თეჯირი, ვინა ქნას შემორბენასა;  
 ფარდა აუბეს ძუირ ფასი, ვერ ჰკადრებ მას დამცრებასა;  
 მარგალიტისა ორხოვო იქმოდა ტურფად გებასა.

775

მოიღეს სუფრის იარაღი, იგ შეიქმოდენ გორესა;  
 ოქრო მურასად ნაქმარი გამოჩნდებოდა შორესა;  
 ვერცხლი უთულელად ეყარა, ემგზავსებოდა ყორესა;  
 ჩინეთს ნაქმარი ჩინური თუითო ექირა ორესა.

776

გამოვიდა შარიერი შეუენებითა ვითა მთუარე; 240  
 ტახტზე დაჯდა მზიარულად, დააშუენა<sup>2</sup> ყოვლი არე;  
 დაჰპატიჯეს მათ მაყრებსა, უნდა ითქუას დასაბარე;  
 უსალამეს კემწიფესა ვინცა იყო შინ, თუ გარე.

<sup>1</sup> დედ. — მიუწდომია. <sup>2</sup> დაშუენა.



777

გურჯ მოისხა შარიერმა, მოიკითხა სიტყუა ტკბილად,  
გზისა გარჯა, ცხენთა კედნა, რაც ქნილ იყო მათგან ვლილად.  
მადლი ჰკადრეს: „თქუენის ბედით დავრჩით ჭირთა გარდავლილად;  
ღმერთსა<sup>1</sup> ვმადლობთ, შეუქნიხარ ეგზომ მეფე აღვა ზდილად“.

778

ქამა გამართეს, მიიღეს ფერადი სანუკუარია;  
ტღენა არ იყო კაცისა, აივსო იგი არია;  
მსმელთა ეჭირა ჭიქები სავსე, არ დასაბარია;  
მკურელთა დაატკბეს მათი კმა, რა უჩანს სხუა საქმარია.

779

მისებრ ლხინი კორციელსა არვის ახსოვს კაცსა<sup>2</sup>, აროს;  
ვერვის ნახავ დაღრეჯილსა, რომე სიტყუით დაებაროს;  
მეფე შუენის ნალხინევი, ვის მიუგავ ტანი საროს;  
არ გაუშუა უშოველი, ვინცა მისკე თავი აროს.

780

პირმზე მოერთო სალხინოდ, ბანონთ ჰპირობს ქამასა; 241  
ლხინი დანებდა კეკლუტთა, რა მიემგზავსოს ამასა?  
ასული უზის მოკახმით, თავსა აყრიან ღრამასა;  
თქუეს: „ვინ მოილო ქუეყანად?“ უქებდენ იგ დედმამასა.

781

მან ტურფამან საბალნაროს, მისად მგზავსად, ვარდი სარა.  
ამად უქე ფეროვნება, სულ სურნელობს ვარდისარა.  
იასაცა მოემა<sup>4</sup>თა, თქუა: „მამწონსო, ვარდისარა!“  
მოიუბნა: „გამისინჯეთ გაუყრელად ვარდისარა“.

782

სწორამდი ლხინი აჩუენა მან მზემან მოუწყინარად.  
იყო შუება და უკუყრა, თქართქარი პირთა მცინარად.  
ქალსა გაყრისა სევდა სჭირს, იყო კუშტ მოსაწყინარად.  
მოწყენით თავსა ავდებდა, თუ სთქუა: „არისო მძინარად!“

783

ლხინი გათავდა, დაიწყეს სამზითოს გამოზიდება;  
არვის ასმია სულდგმულსა ეგზომ ლარისა დიდება;  
ზარდახზის სიმძიმისაგან მზიდაენი დაერიდება;  
ხუთსა გაჰქონდა თუითოი, ერთსა არ აეკიდება.

784

ასსა აქლემსა აჰკიდეს ლარი მძიმე და ძჳირია. 242  
არას მიაჩანს ლომგულსა, გარდაჰყრის ვითა ჩირია;

<sup>1</sup> დედ. — ღ<sup>1</sup>თსა. <sup>2</sup> კაცა.

გული მოურთავს ზღუისაებრ, არა აქუს გასაჭირია,  
არ შეუდრკების სიუხუეს, ასრე დვას ვით ქუიტკირია.

785

გამოიყუანეს ასული, თავს ტურფად რიდე ხუეული;  
ზარკაშით იყო მოსილი, გარ ფარდა შემოხუეული;  
მკევალი ახლდეს მოკაზმით, ბევრნი, არა თუ რუეული;  
ესალმებოდა ყუელასა, იყო ცრემლითა ფრქუეული.

786

კემწიფემ და დედოფალმა პირს აკოცეს გამოთხოვით;  
ასულმაცა კელს აკოცა, ბოდისისა მან მოთხოვით;  
ჰკადრა: „ვმადლობ სახიერსა, თქუენი ხლება კულა ვითხოვით,  
თუარემ დავრჩე კიდევანად, სიცოცხლესა დავეთხოვით“.

787

მეფემ უბოძა მაყრებსა უანგარიშო ლარია:  
ოქრო, ვერცხლი და ნაქსოვი მათთუი საზიდად კმარია;  
ცხენები ოქროს რახტითა, მისებრი არსად არია;  
თქუეს: „ეზომ ლართა გაცემა კეისრის დასაღარია!“

788

თან გაატანეს<sup>1</sup> მაყრები, კაცი ბძნად მოუბარია; 243  
მთავარი ეპისკოპოზი<sup>2</sup>, ანგელოზთ დასაღარია;  
სხუა და სხუა გუარი თავადი, მათ უთხრეს დასაბარია;  
საქმისა მეტად მცოდნენი, ჰკუისაგან დაუმცდარია.

789

წავიდენ გზათა სივლელად, გულ მხიარულად ზმიდესა;  
სადაც დადგიან, ასულსა მარგალიტს გარდაჰყრიდესა;  
ლიხეთს მივიდენ სალხინოდ, არავის დაერიდესა;  
ლევანს წინ კაცი გაგზავნეს, სად იყო ზღუესა კიდესა.

790

კაცი მივიდა სასწრაფოდ, სად ნახა ლევან ჯდომითა;  
ჰკადრა: „მოვიდენ, რომლისა ნახუა გწადს გულსა ბძნობითა;  
მიგებება კამს, უსალმე მნათობსა მაგა ზნობითა;  
ნუ ეჭობ ჰმუნვას მიეცე იმისის დარბაზობითა“.

791

ვაეს სიხარული მიეცა, უკუყრა ჰქონდა დარდისა;  
მეტმა ნდომამან შეაგდო, წასულად იქი აქ დარბისა;  
უხარის შეყრა ქალისა, იმა უფრქუნელის ვარდისა;  
ცხენს შეჯდა, გამოემართა, დაუძრის, გამოვარდისა.

<sup>1</sup> დედ. — გატანეს. <sup>2</sup> ეფისკოპოზი.

792

თან იახლა თავადთაგან დიდებული ვინცა არსა;  
ხონს მოვიდენ, მათ ამაჰვი იკითხიან თუ: „სად არსა?“  
ჰკადრეს: „არგოთს მოვიდენო, სად იტყუიან მეფის სარსა;  
მოგწურვია სასინათლო, რომ მისებრი არსად არსა“.

793

გამომართეს, მოვიდეს ქუთათის დედა ქალაქსა;  
მიეგებოდენ ვაჰარნი, დაბლა ჰკადრებდენ სალამსა;  
მას ლამე ლხინი აჩუენეს, ვითა მართებდა ალაგსა;  
დილა გათენდა, შეჰყარეს იმა უებროს მალაქსა.

794

შეეყარა<sup>1</sup> ვარდს<sup>2</sup> ბულბული, მისთუი დაძრა უტყუი ენა;  
იმა ორთა სატურფალთა ლამე ბნელი გაუთენა;  
ჰპოვა მისი საწადელი, აღარ უნდა სხუაგან რბენა;  
მადლი უთხრა მამყუანელთა, გამაცოცხლეთ რადგან თქუნა.

795

იტყუის: „ღმერთო<sup>3</sup>, მადლი შენდა, მე შემყარე ამა ქალსა,  
კოკობსა და გაუშლელსა, უწევნელსა ამა ქალსა;  
უკუმყარე კაეშანი, აღარ მიმეც მე აქალსა;  
მამარჩინე გძნელთაგან, არ შემაპყარ მე აქ აღსა“.

796

წინ გაუძღუა და წავიდენ, ლხინსა მისწივეს თავია, 245  
მისი მზე მიჰყავ სამისოდ, მისივე საესავია;  
იტყუის: „მამფინა შეუენება მემც ამას დავეზავია;  
მიჩნდეს სალხენლად გულისა, რამც ვკადრო დასადავია“.

797

ზუგდიდს მივიდენ სამყოფსა იმა კემწიფეთ სარებსა;  
დაუხუდა რიგი ყოველი, ვინ დაუკრევედა კარებსა.  
ქალი ჩამოკდა ელვარედ, დააშუენებდა<sup>4</sup> არებსა.  
მგზავსი შეჰყარია მიჯნური, იგ მისად დასადარებსა.

798

მოვიდენ სულად მეგრელნი, დიდი ვინ, ანუ მცირები;  
მიულოცევენ ყუელანი, კელთ ჰქონდათ ოქროს მილები;  
ლხინსა მიმართეს, შეიქნა მუნ სევდა გარდავლილები;  
სულსა აძლევენ საკუთრად, შეჰქნიათ საადულიები.

799

რალა გითხრა საქორწილოდ ვით მოერთო დარბაზები!  
საფენლითა იგი არე აეყუავა ანაგზები;

<sup>1</sup> დედ. — შეყარა. <sup>2</sup> ვარს. <sup>3</sup> ღ-თო. <sup>4</sup> დაშუენებდა.



ფარდა ხშირად შემოეგლო, მათ შეეკრა შარა გზები;  
შუაზედან ტახტი იდგა, მასზე დასხდეს იგი მზები.

800

246

მოაწუიეს დასასხდომლად ქალნი, ანუ კაცი ვინა;  
დარიგეს<sup>1</sup> მის მის ალაგს, რაც იტევა სრასა შინა,  
ქალი დასუეს ტახტსა ზედან, მზეს ამგზავსეს იგ მაშინა;  
ლხინი შექნეს უსაზომი, ჩანგსა მკურელმა დაუშინა.

801

გარდიკადეს<sup>2</sup> ჭორწინება, ვით მართებდა მათდა ფეხად;  
იყო ზათქი საშინელი, იგ კაცთაგან დასაჯერად;  
მისცემდიან საბოძუარსა ყმა ვინ იყო, გინდა ბერად,  
მათ ამრიგად იკელოვნეს, ძუირი ვკადრო ახლა მე რად!

802

გამოისტუმრეს მაყრები, ქალთანა გაყოლილია;  
საგანძურითა აივსნეს, მისცეს ზურმუხტი თლილია;  
ყმათაც უბოძეს მრავალი, ვინცა მათთანა ვლილია,  
თქუეს: „სიუხუესა მორთუია ზღუათა კემწიფიშუილია“.

803

თბილისს<sup>3</sup> მოვიდენ მაყრები, ოდიშით წამოსულია;  
რაცა იცოდენ მუნითგან, შარიერს ჰკადრეს სრულია;  
სადედოფლოსა რიგები, რაც უფრო სავარგულია;  
ან წესის<sup>4</sup> ქნა ჭორწილისა, რაც იყო მათგან ქმნულია.

804

247

მეფეს იამა ეგეთნი მათგან ამბვისა სმინება;  
უკუ იყარა სალხინოდ, დიდად მეჯლისი ინება;  
ტყუეთა აზადი უბძანა, საპყრობილესა ვინ ება,  
მეფე დალოცეს მათ კაცთა, დასწყუიტა ცრემლთა დინება.

805

პირმზეს უხარის ერთობლა ლევანის მძლეთა მძლეობა;  
რიგი სრისა და ტახტისა, სიუხუე, მეტნი მკნეობა;  
თქუა თუ: „ყოფილან წინანი, მათნი გუარნი და ძეობა.  
მას დარჩა მათი საქურკლე, ან რაცა მოიძეობა“.

806

იტყოდა: „მიერთვე ოდიში, მტერთაგან მოოკრებული“.  
შარიერისა წყალობა მიეცა, არ დაკლებული.  
შემცილე მოკლა, ქონება მათი ჰყო სულ აკლებული;  
მათ წამოართუა ცოლ შუილი, სამყოფთა შემოკლებული.

<sup>1</sup> დედ. — დარიგეს. <sup>2</sup> გარდაიხადეს. <sup>3</sup> თბილისს. <sup>4</sup> წესი.



807

„მათით ვიხარებ, შეგქნია ლხინი უზომო, შეუებანი“.  
გაკედენ მტერთაგან უშიშრად, უწყუეტლად უცემს ებანი.  
„ღმერთსა<sup>1</sup> ვმადლობ და ვადიდებ, ვინ ამისრულა ნებანი;  
მან მამანახუა განგებით მტერისა სულ აკლებანი.

808

მას წინ სწორია ყუელაი, ადუილ სჩანს საქმე ძნელია. 248;  
არ გაუცუდებს სარჯელსა, ვინც არი მისკე ვლელია.  
შართალსა სწყალობს დიდებით, ანგელოზი ჰყავ მცუელია.  
მრუდე რისხუითა<sup>2</sup> წახდების, სარჯელი მიხუდეს ძნელია“.

---

<sup>1</sup> ღმდ. — ღმთა. <sup>2</sup> რიხუითა.

**XLIV. აბა თუშთა ყრილობა ზეძნის. კახის ბატონის ქი მკაქლა  
მოკაჟას განსაბატონებლად, მავკამ ნახეთ, შარიჟარი  
კას უჯამს.**

809

249

რუსთა კემწიფეს იახლა კახთა მეფისა შუილია;  
მიაჩნდა, სცემდა პატივსა დიდი ვინ, ანუ წულილია;  
მუდამ თან ახლდის პატრონსა, მუნ გაითავის ძილია;  
ჟალერსიან თავადთა, მოსწონდათ მისგან ქნილია.

810

ყმათა ჟრჩივეს ერეკლეს საქმენი იმედებითა;  
თქუეს თუ: „მივმართოთ თუშებსა, რას ვირგებთ აქა გდებითა?!  
კახეთს ვიშოვნით ჟთჟოდ, ძალითა, ანუ ნებითა;  
ერთგულთა<sup>1</sup> მივსცეთ მშუილობა, ორგული წაკედეს ვნებითა“.

811

დაუჯერა, წამოვიდენ, გზათა სავლად თავნი არნეს,  
მისჩქარობენ, მათ ეგზომნი თემი აღრე გაიარნეს;  
მოეშორვეს კემწიფესა, სიტყუა არცყოლ დაიბარნეს.  
ბოლოს ნახეთ, ვეზირები ჭკუით როგორ გაიმწარნეს!

812

თუშეთს მოვიდენ, ქუეყანა ნახეს უცხო და ავია;  
მივიდეს, ნახეს ყუელამა, სამისოდ დადვეს თავია;  
უთხრეს: „მოსულხარ მშუილობით, შენ ჩუენთუი საესავია;  
ვიყოთ დღეითგან მონანი, მტერსა არ მივსცეთ ზავია“.

813

თუშთა გამართეს ყრილობა, შექნეს რჩევა და ბკობანი; 250  
თქუეს: „უპატრონოდ ვით ვიყოთ? გუმართებს ამისი მბობანი;  
მკუილრი მოგუსულია პატრონი, ნუ გუინდა სხუისა ყმობანი;  
ერეკლე დავსუათ კემწიფედ, მალლად უცემდეს ნობანი“.

814

მათ დაასკუნეს<sup>2</sup> საუბარი, დასდვეს პირი ლაშქრობისა;  
იმა რჩევის დასაშლელად მათ უსმინონ არავისა;  
ყუელა აბჯარს იკეთებდა, ნდომა ჰქონდათ ამა თქმისა;  
დასდვეს დღეთა პაემანი, მოიყარონ, შექნან ვლისა.

<sup>1</sup> დედ. — ერთგულთა. <sup>2</sup> დასკუნეს.



815

ვაესა მიმართეს საამბოდ<sup>1</sup>, ჰკადრეს თუ: „ამას ვბედავთო;  
გაგაბატონებთ უთუოდ, ჩუენ კლმისა მოიმედავთო;  
შენს წინა დავიკოცებით, არა თუ ცუდად ვებედავთო;  
დაგრჩების მკუიდრი სამეფო, ამა საქმესა ვებედავთო“.

816

მადლი უბძანა ერეკლემ: „ერთგულად<sup>2</sup> გხედავ ყუელასა;  
კმალი გარტყიათ მისრული, გიკომობენ მტერთა მკულელასა;  
არჩევთ საჩემოს საქმესა, ვითა შეგფერობს ქუელასა;  
ღმერთი<sup>3</sup> შემოგზღავს ნაცუალსა, ვით ლამით ჩემსა შეუელასა.

817

თქუენის იმედით წამოველ, მივლია ეზომ ხანია; 251  
გამოვიარე ქუეყანა უცხონი, სხუა და სხუანიი;  
აწ მოველ, გნახე, შევიტყუე თქუენთა სიტკბოთა თქმანიი;  
ხართ ვინმე კაცი მამაცი, შესატევებლად მზანიი.

818

რასაცა მეტყუით, იმას ვიქ, არ მინდა სხუაგან რებანი;  
თქუენ მეშულად მყავხართ, მამეცეს სამუდმოდ მეტნი შეუბანი;  
შეყრილსა გნახავ ყუელასა, არსადით მამკუდეს ვნებანი;  
წინ გამიძელით, მოგყუები, მუნ ავისრულებ ნებანი“.

819

დაასკუნეს<sup>4</sup> ესე თათბირი, თუშთაგან დანაპირია.  
მათვე გარდახდეს ბოლოყამ რაცა თქუეს საქმე ძუირია.  
შეიყარენ და მუქრობენ, „ვიმაგროთ ვით ქუითკირია!“  
მოსუენებულთა იხუედრონ სამუდმოდ ასატირია!

820

ნუზლი აიღეს ყუელამა, რაც ჰქონდა მათის წესისა;  
პური დააცხუეს<sup>5</sup> ქერისა, ის იყო უკეთესისა;  
ხუალის წასულასა ამბობენ, რაც უთქვამ, ისრევ თქუეს ისა.  
ახლა მუქრობენ, მაგრამე, ფასლი მოუვათ კუნესისა!

821

ბორჯალზე ყუელა მოვიდენ, იგ შეკაზმულნი რკინითა. 252  
საომრად მომართულობით არიან დევთა ნირითა;  
არჩევენ ომსა ფიცხელსა, ვითა დამთურალთა ლუინითა;  
ღმერთი<sup>6</sup> სხუასა ბკობს, გასინჯეთ, ვის შეიწყალებს ლხინითა!

822

მთასა შემოდგენ; ჯაშუში ადგა შაჰნავაზ მეფისა;  
რა ნახა მათი ყრილობა, საამბოდ<sup>7</sup> მოისწრფეთისა;

<sup>1</sup> დედ. — სამბოდ. <sup>2</sup> ერთგულად. <sup>3</sup> ღთ. <sup>4</sup> დასკუნეს. <sup>5</sup> დაცხუეს. <sup>6</sup> ღთ.

<sup>7</sup> სამბოდ.



შივიდა, ჰკადრა ყუელაი, კმა ისმის მისგან ყეფისა;  
კემწიფემ ბძანა: „აწ ნახონ მთისავე<sup>1</sup> სისხლთა ჩქეფისა!“

823

წიგნი მისწერა სასწრაფოდ ოთარ ერისთავ კმობილსა;  
შესთულა: „დევთა შემკურელო, მტერს გაკდი შენ დამკობილსა;  
ზურგი ხარ ამა ტახტისა, გხედავ გუნება ლმობილსა;  
გმონებს თავადი მრავალი, ვინ განახავს შენ დაგმობილსა.“

824

თუშთა მოგუესმა ლაშქრობა, შექნეს ქუეყნისა ცილობა;  
ერეკლე მოჰყავს პატრონად, მოვლენო უსაცილობა;  
თქუენ წადით მათად საომრად, დამართეთ შესაცილობა;  
ძმა ჩემი ბაგრატი მოგყუების, გამართეთ მათზე ყრილობა“.

825

გამოემართეს, მოვიდეს კახეთს სანაპიროსა; 253  
ლომგულის საქმეს ჰკუირობენ<sup>2</sup>, ნახე, თუ რას აპირობსა!  
სამრიგად გაყო ლაშქარი, კახთათუი გააჰიროსა<sup>3</sup>;  
შემოეგებნენ რომელნი, რა შემოსცილდა ლილოსა.

826

მარტყოფი და უჯარმელნი მოუვიდენ შარიერსა:  
„ყმანი ვართო ყუელაკანი, გმსახურებთო ვითა წესა“.  
ზენაარი<sup>4</sup> გამოულო, მათ მიეცა აღარ კუნესა;  
შემოჰფიცეს ჯუარცმაზედა: „ერთგულნი<sup>5</sup> ვართ“, აგრე თქუესა.

827

ლაშქრისა სიდიდისაგან გძელს გზასა ვერ ივლიდესა;  
იყო ზათქი და ზეიმი<sup>6</sup>, [კემ]წიფეს წინა ზმიდესა;  
თავადი ჰკადრებს სალამსა, უშეფოდ არ დაზმიდესა;  
მეწინავენი დღის სავალს აღვიან განაკიდესა.

828

თქუა: „ერისთავსა მოვუცდი<sup>7</sup>, არ [წა]ვალ უმისობითა;  
ოთარი მიჩანს შუილურებ, ტ[ახ]ტი დგა მისის ყმობითა;  
შეურყეველი მთა არი, მტერსა დაადნობს ომითა;  
მისნი მებძოლნი ყოფილან ნიადაგ ლახუარ სობითა“.

829

შემოეყარეს მეფესა არეზს აქეთი ხანები; 254  
უნაგარიშო სულთანი, მათ მოსდევს რა ქარხანები;  
ალაჩუხები მოერთო, აღარ ენდომათ ხანები;  
აქლემი ქუიშის უმრავლე, ეკიდათ რა ბარხანები.

<sup>1</sup> დედ.—მთისავე. <sup>2</sup> ჰკირობენ. <sup>3</sup> გაჰიროსა. <sup>4</sup> ზენარი. <sup>5</sup> ერთგულნი. <sup>6</sup> ზეიმი.

<sup>7</sup> მოვიცდი.

830

იქით ქართუელნი მოვიდენ, თუითო ხანების სწორია;  
აივსო ტყე და მინდორი, ვერ იტევს მთა და გორია;  
ამართეს დროშა მალალი, გამოჩნდებოდა შორია;  
ვინ გამოჩნდების სულდგმული, ამათ შეჰკადროს შორია.

831

თბილისიდაბე გამოდგა ლომი, ომშია ჩუეული;  
ლაშქარი მოსდევს ძალ გულად, არიან მე[ტა]დ რჩეული;  
ასი ათასი მებძოლი ახლავს, არ თურე რუეული;  
აწ ნახეთ მტერთა რა უყონ, დარჩენ ამათგან ძლეული!

832

სცემენ ქოსსა და ნალარსა, ბუკი კმა მალლად ყუირისა,  
ქარანა ჰკმობს და ნაფირი, სტუირი სტკობს, ართუ ტირისა;  
გულთანთაგან ძახილსა რლუევა აქუს იგ ქუიტკირისა;  
მეფეს ადიდებს ყოველნი, მთქმელი ვინა ჩანს ძუირისა.

833

უსმინა მათი ნათქუამი<sup>1</sup>, რაზმი ჰკრა, დადგა კიდესა; 255  
იყურა მათი ყრილობა. რარიგად მომართუიდესა;  
უნდა შეიგდონ მინდორად, კმალსა გამართუით კურიდესა;  
გამოდგენ თუშნი რეგუნულად, სიკუდილსა არ დარიდესა.

834

ალაზანს გამოიყარა ერეკლე მისის ჯარითა;  
თუშნი მოსდევენ საომრად, სრბა იწყეს მთით და ბარითა;  
ქისიყს მივიდენ სასწრაფოდ, იარეს ღამე მთუარითა;  
ქეფხები შემოეყარნეს მკუახისა საუბარითა.

835

კენწიფეს ახლდა ედიშერ, კაცი მამაცად სრულია;  
მდივანბეგობით უკმობენ, ეკითხუის რაც რამ ქნულია;  
სამართალსა ჰკუეთს წესისად, იგ მისთუი დანერგულია;  
არ უნდა ავი სამართად, მას იქს, რაც სავარგულია.

836

ამას იტყოდა ედიშერ: „არა ვარ აქა მდგომია“.  
კემწიფეს გამოეყარა, სწადის ფიცხელი ომია.  
ცხენი გაქუსლა, წავიდა, გზა გავლო, თუ რაზომია;  
ათასი კაცი საცემრად მას კლმითა მოუზომია.

837

მოირთო ჯაჭვი, ჯავშანი, ვითა ლომგულთა წესია; 256  
მუზარადი და ხუფთანი, კლდისაგანც უმაგრესია;

<sup>1</sup> დედ. — ნათქამი.



საბარკული და ზარადი, ერთმანეთს უკეთესია;  
საკუთრად კმალი და ხიშტი, სამსალად მოუღესია.

838

მივიდა, ნახა ოთარი, იღვა პირ გამეხებული;  
ეცვა ჯაჭუი და ჯავშანი, ცხენსა ჯდა ომთა ჩუეული;  
თქუა: „თუშთა გავწყუეტ, ცოტალა გაუშუა ვაგლახეებული;  
შარიერისა მოსულამდი შეიქნან სულ აკლებული“.

830

იქით ქართუელნი მოვიდენ, თუითო ხანების სწორია;  
აივსო ტყე და მინდორი, ვერ იტევს მთა და გორია;  
ამართეს დროშა მალალი, გამოჩნდებოდა შორია;  
ვინ გამოჩნდების სულდგმული, ამათ შეჰკადროს შორია.

831

თბილისიდაპე გამოდგა ლომი, ომშია ჩუეული;  
ლაშქარი მოსდევს ძალ გულად, არიან მე[ტა]დ რჩეული;  
ასი ათასი მებძოლი ახლავს, არ თურე რუეული;  
აწ ნახეთ მტერთა რა უყონ, დარჩენ ამათვან ძლეული!

832

სცემენ ქოსსა და ნალარსა, ბუკი კმა მალლად ყუირისა,  
ქარანა ჰკომბს და ნაფირი, სტუირი სტკომბს, ართუ ტირისა;  
გულოანთავან ძახილსა რლუევა აქუს იგ ქუიტკირისა;  
მეფეს ადიდებს ყოველნი, მთქმელი ვინა ჩანს ძუირისა.

833

უსმინა მათი ნათქუამი<sup>1</sup>, რაზმი ჰკრა, დადგა კიდესა; 255  
იყურა მათი ყრილობა, რარიგად მომართუიდესა;  
უნდა შეიგდონ მინდორად, კმალსა გამართუით კურიდესა;  
გამოდგენ თუშნი რეგუნულად, სიკუდილსა არ დარიდესა.

834

ალაზანს გამოიყარა ერეკლე მისის ჯარითა;  
თუშნი მოსდევენ საომრად, სრბა იწყეს მითთ და ბარითა;  
ქისიყს მივიდენ სასწრაფოდ, იარეს ღამე მთუარითა;  
ქეცხები შემოეყარნეს მკუახისა საუბარითა.

835

კენწიფეს ახლდა ედიშერ, კაცი მამაცად სრულია;  
მდივანბეგობით უკომბენ, ეკითხუის რაც რამ ქნულია;  
სამართალსა ჰკუეთს წესისად, იგ მისთუი დანერგულია;  
არ უნდა ავი სამართად, მას იქს, რაც სავარგულია.

836

ამას იტყოდა ედიშერ: „არა ვარ აქა მდგომია“.  
კემწიფეს გამოიყარა, სწადის ფიცხელი ომია.  
ცხენი გაქუსლა, წავიდა, გზა გავლო, თუ რაზომია;  
ათასი კაცი საცემრად მას კლმითა მოუზომია.

837

მოირთო ჯაჭვი, ჯავშანი, ვითა ლომგულთა წესია; 256  
მუზარადი და ხუფთანი, კლდისაგანც უმაგრესია;

<sup>1</sup> დედ. — ნათქამი.

საბარკული და ზარადი, ერთმანეთს უკეთესია;  
საკუთრად კმალი და ხიშტი, სამსალად მოუღესია.

838

მივიდა, ნახა ოთარი, იდგა პირ გამეხებული;  
მცვა ჯაჭუი და ჯაგშანი, ცხენსა ჯდა ომთა ჩუეული;  
თქუა: „თუშთა გავწყუეიტ, ცოტადა გაუშუა ვაგლახვებული;  
შარიერისა მოსულამდი შეიქნან სულ აკლებული“.

XLV. აქა მალალი ხემწიჲე მქიჲის ლაშქრით თუშთა  
გასაწყუბლად გაემართა.

839

აქეთ კემწიჲე გამოდგა ლაშქრითა უთუალავითა;  
მიეა, მიაგრგნის ტყე ველთა, დევსა შეიპყრობს მკლავითა;  
ლაშქრისა კიდე არა ჩანს, ვერცა აიკლებ თუალითა;  
ეტყობის ამა ლომგულსა ქუასა დაადნობს ძალითა.

257

840

ერეკლე ქისიყს ირიგებს, ბევრს გამოულო ზავია;  
ქევები შემოიფიცა, ვინც იყო ასისთავია;  
საქმე მოირთეს საბძოლად, საქმარი დასადავია;  
თქუეს: კემწიჲისა მოსულამდი ჯარსა წავკიდოთ ავია.

841

ამბეს ერისთავს მიუკდეთ, თავსა დავირქუათ<sup>1</sup> [ფ]არია;  
ომი ავკიდოთ ფიცხელი, ნუ გუინდა სხუა საქმარია;  
თავი დავკუეთოთ ყუელასა, რალას იბძოლებს მკუდარია;  
მინდორი წითლად შევლებოთ, სრულად სისხლითა<sup>2</sup> არია“.

842

თქუეს და მაშინვე გამოდგეს, ერისთუისაკენ ვლიდესა;  
დაკაზმულიყუნენ საომრად, თავს დასასხმელად ზმიდესა;  
სიშურე ჰქონდათ მისულისა, ხანს არცყო არ დაზმიდესა.  
ნახე, რა წაეკიდების მათის კკუის გარდამკიდესა!

843

კაცი მივიდა, ოთარსა უამბო მათნი რჩევანი;  
დაეკაზმეს და მიმართეს, დაიწყეს ამორჩევანი;  
რაზმ<sup>3</sup> დაწყობილნი მიდიან, ომისა ჰქონდათ ჩუევანი;  
ანაზდად შემოეყარნეს, თუშთ ეცათ არ მორჩენანი.

258

844

შეუტივეს და შეიბნეს; სცემენ ვით გრდემლზე<sup>4</sup> უროსა.  
ოთარი წინეთ მივიდა, მებძოლი მოიმდუროსა;  
შუბი დალეწა, საკუეთრად კმალს სისხლი მოაწყუროსა;  
ოცამდი თავი მოჰკუეთა, აწ სხუათა მიაშუროსა.

<sup>1</sup> დედ. — დავირქუა. <sup>2</sup> სისხლითა. <sup>3</sup> რაზ. <sup>4</sup> გურდემლზე.

845

მარჯუნით ედიშერ მიუკდა, კმალ მოწუდით მათი მსურელია;  
შესძახა: „თუშო, ავგუარო, წასულასა ნულარ ელია“!  
მოსწყუიტა ერთი ყოშუმი, შეიქნა მათი მკულელია;  
დაიფორაქა მებძოლი, მათის სისხლისა მღურელია.

846

უყურეთ, ბაგრატ რა უყოს, ან ვით დაჰფანტოს ჯარია;  
ზედა მიუკდა საომრად, ვითა კაკაბსა ბარია;  
მოკლა, შეიპყრა თუშები, კმალი სისხლშია გარია,  
ასამდი თუში ებძოდა, მარტომ ყუელასა დარია.

847

სხუანი ვინც იყო თავადი, იბძოდენ კმალთა ცემითა; 259  
დაქრეს, დახივეს ჯაჭუები, სისხლსა ღურის ამოცემითა,  
გაქცეულს უკან მისდივეს, მალის კმის გამოცემითა;  
ზოგი ძლივ გარდაიხუეწა მოღალვეთ, იგ დაცემითა.

848

ტყიდამე გამოიყუანეს ბერი, ფიჩხშია მალული;  
კელი შეეკრათ<sup>1</sup>, მოჰყუანდათ<sup>2</sup> ვითა დიაცი ქალურად;  
ზოგი მორჩა და წავიდა, შეიქნა გარდაფარულად;  
თავი მოიკლეს უბრალოდ, იმა რეგუნთა მცდარულად.

849

თუშნი გაწყუიტეს. ერეკლემ შექნა გაქცევის ამალი;  
თქუა: „მივაშურო სიმარგეს, მაშიგან ვიქნა სამალი;  
მოვრჩე, წავიდე ცოცხალი, წყლულთათუი ვსძებნო წამალი;  
ლხინისა ნაცულად ვიშოვნე, გულსა მამედვა რამ ალი.

850

რეგუნულად მოვსციდი, რა მრჯიდა, ვინ მამაყარა ენანი;  
რუსთ კემწიფესა ვიახელ, მას ჰქონდა ჩემი სმენანი;  
გამოვეყარე, წამოველ, ამით ვიპოვე მე ნანი;  
ქართუელთ საომრად შე[ . . . ]ეს შეგვენ რბენანი.

851

კამს თუ კაცმან გონებანი მოიძებნოს მისთუის წესად; 260  
რაც უჯობდეს, მას იქმოდეს, აღარ დარჩეს სულთქმა, კუნესად;  
მიჰყუეს ბძენტა საუბარსა, უკეთესთა საქმის მქნესად;  
თუარემ მიჰყუეს სირეგუნესა, გაკდეს ჩემგან უარესად“.

<sup>1</sup> დედ. — შეეკრად. <sup>2</sup> მოჰყუანდა.



XLVI. ამა ამა სახელმწიფოს მფობრ შაჰნავაზის ლაშქარმა ეჩიქლესა  
და მის მამდღეს თუშაზაზი გაიმარჯუეს. და მალალი ხაჰნიჰმც  
შეხრილი მოჰვიდა და გატყუულთ უჰან ლაშქარი გაუჰანა და  
მისღვიჰს.

852

მოლარეთა მოიტანეს ლარი, მძიმედ ანაკიდი; 261  
მეფეს შინა გორი შექნეს, სიმრავლისა ვერ დასთულიდი;  
ამოყარეს ნაქსოვები, იგი ოქროთ განაზიდი;  
ცხენიც მოჰყაფეს ბედაური, თუალად ტურუა, ტანად დიდი.

853

ოთარისათვის შეჰკაზმეს ცხენი, ოქროში ცურევედა;  
სხუა და სხუა ფერი ნაქსოვი სტავრასა შიგან ურევედა;  
იყო ძვირ ფასი ნაქედი გასცის, არ დაუშურევედა;  
ყუელა მიართვეს უკლისად, ყმასა არ მოიმღურევედა.

854

აგრევე: ბაგრატს და ედიშერს უბოძა მრავლად ლარია;  
ატლასი ფრანგეთს ნაქსოვი, სხუა მძიმე სარასარი;  
ნახლი, დიბა და ყიასი, სხუა მისებრ არსად არია;  
მეფე იპტრობდა ესოდენ, სხუანი იტყოდენ: „ქმარია“!

855

სხუა ვინც იყო დიდებული, მას იამის კაცი წულიდი;  
ზოგს შეჰკაზმულს ცხენს უგზავნის, თავადისა ვინ არს შუილი;  
აზნაურთა — ხალათებსა, ომში იყო ვინცა ვლილი;  
სულ აიესეს საბოძურითა, შექნეს ომი საადვილი<sup>1</sup>.

856

დაიმაღლეს თავადებმან, მადლი ჰკადრეს იმა მკნესა: 262  
„არ დავრიდოთ სასიკუდილოდ თავი ჩუენი“, აგრე თქუესა;  
„თუ კემწიფე კარგად არის, რალას ვპოვებთ უკეთესსა?“<sup>2</sup>  
თავი დაგუიც საახლებლად, ვმორჩილობდეთ უზედესსა“<sup>3</sup>.

857

არჩივეს: „საქმე გავმართოთ, ვითა წესი და რიგია;  
თავენი ყაენს მივართუათ, ვაცნობოთ ეს ამ რიგია;  
გამარჯუებისა პასუხი შეიტყონ, თუ რარიგია;  
ქება გუეთქმოდეს კაცთაგან, სრულად ერანი იგია“.

<sup>1</sup> დედ. — სადვილი. <sup>2</sup> უკეთესა. <sup>3</sup> უზედესა.



858

დაემოწმეს თავადები, მოუწონეს მათგან თქმული;  
ჰკადრეს: „საქმის მიმკუდარი ხართ, ჰქენით ეგი გაგებული;  
მტერი კლმითა გაიბერტყა, საქმე მოხდა სავარგული;  
სჯობს სახელი მოაფინოთ, რატომ იქნას დაკარგული.

859

კულავ ერთი კაცი თუშთაკენ გაგზავნეთ, იღვან ბეგარა,  
თუ დაგუიურჩდენ სიტყუითა: „შეგვიძლიაო ეგ არა“;  
შევსთუალოთ: „მოვალ ლაშქრითა, შემოგადგები მე გარა;  
ხანს არ დაგაცლი, იცოდი, ხუალ მოვალ, ანუ ზეგარა“.

860

თქუეს და მაშინვე გაგზავნეს თუშთაკენ მავლად კაცები; 263  
შესთუალეს მკუახე სიტყუანი, მათ ეკადრება რაცები:  
„სჯობს დაინანოთ ნაქმარი, კულავცა გიქნიათ სხუაცები;  
ბეგარა მოგუცეთ, იკადოთ ომისა მონატაცები.

861

ამას არა იქთ, კულავ ნახოთ, იცით ამბავი ჩემია,  
კმაღს ქუეშ დაგავლებ ყუელასა, არ ცუდად დავიჩემია;  
თუშთა სისხლისა საღურელად მე კმალი დამიჩუეგია<sup>1</sup>;  
ცოლ შუილს წაგართვამ<sup>2</sup>, იცოდი, ერთი ვერ მამირჩებია“.

862

თუშეთს მივიდა მოამბე, მათ უთხრა დავედრულობა,  
რა მოისპინეს, მაშინვე დაიწყეს არეულობა;  
უთხრეს: „დაუვდოთ ქუეყანა, ჩუენ ვიწყოთ გარეულობა;  
ლეკთა მივმართოთ, რჯულისა სულ შევქნათ წარეულობა.

863

გარდაგუკდა ჩუნგან ნაქმარი, სირ ეგუნით რაცა ვქენითა;  
დავიკოცენით უბრალოდ, ავის მამცდარის ენითა;  
უფროსი მოკლეს, რაც მოვრჩით, ფეკს აღარ გუერჩის რბენითა;  
ცოდუა გუეკითხა<sup>3</sup>, აწ ასრე კმუნვითა ავივსენითა.

864

რაც შეგუიძლია მსახურებთ, მოგუცეს დანდობის პირია; 264  
რა ცოცხალ ვიყოთ, ვადიდოთ, არსით ვისაქმოთ ძუირია;  
აქ ჩამოგუეხსნას, ნუ მოვა, მოგუხუდების ასატირია;  
თუარემ და გარდვიხუეწებით, რა გაჩნდეს გასაჭირია“.

865

ამრიგის სიტყუით თუშები მოციქულს ეუბნებიან;  
ქალი და კაცი, ყუელანი სანთელსავითა დნებიან;

<sup>1</sup> დედ. — დამიჩუეგია. <sup>2</sup> წაგარვამ. <sup>3</sup> გუეკითა.

შექნეს ცალ ცალკე გადგომა, ერთს ალაგს არა დგებიან;  
გამოისტუმრეს იგი ყმა, სახუეწრად თან მოჰყუებიან.

866

მოვიდა, კაცმა კემწიფეს ამბავი ჰკადრა ყუელანი;  
ბძანა: „სხუა საქმე ვისაჰმოთ; მათ საქმე უჩანს მწუელანი;  
მაშინლა ნახონ, მოვშალო მათის სიმაგრის მცუელანი,  
მათის სისხლითა შევღებო წითლად იგივე ველანი“.

867

ათსა ყათარსა აქლემსა აჰკიდეს თუშთა თავები.  
ამირეჯობმა კაციაჲ ითხოვა წასულის დავები.  
წიგნი მისწერეს ყაენსა, თქუეს მათი საესავები;  
ჰკადრეს: „მაღალო კემწიფევე, მტერსა არ დავეზავები.“

868

მოვიდენ ჩუენად საბძოლად ძუელად კემწიფის მტერები; 265  
მივეგებენით, დავკოცეთ ვინც იყო, ყმა და ბერები;  
ერეკლე მარტო ძლივ მორჩა, ტახტისა შენამტერები;  
დავკოცეთ, ამოვსწყუიტენით, მათ გარდეყარა მტუერები“.

869

ამრიგის სიტყუით კაცია მათ გაისტუმრეს მალია;  
წავიდა დაუყოვნებლად, გძელი გზა ადრე დალია;  
გაივლის კლდე და კაპანსა, არც ყოლ შიაჩანს სალია;  
მივიდა, დასთმო სამება, მოსძებნა მისთუის ალია.

870

შარიერს წინა მიილო თავები ბევრ ათასია;  
ნახვად მოვიდენ ყუელანი, ვინც დიდებულთა ხასია;  
შეიქნა ქება მეფისა: „ვინ ქნაო მაზე ბასია?  
ვაჯავრებულმა შაჰნავაზ სპილონი შეკრას ასია“.

871

დაიმაღლა შარიერზა, ქება ჰკადრა ამა ლომსა;  
შეუთუალა: „უზებარო, ვინ შეიძლებს შენსა ომსა?  
მარტოს რკენა ლხინად გიჩანს, შემოიბამ თუ რაზომსა;  
შენის შიშით ნიანგთაცა ვერვინ ნახავს ფეხზე მდგომსა.“

872

ხანლარ ხანი ხარ, ვიჭირავს საჰრაითი, ზღუისა კიდება; 266  
რა ვაჯავრდები, სპილოცა ძალად ვერ შეგეჰკიდება;  
ხანს არ დააცლი<sup>1</sup>, დაამკობ<sup>2</sup>, ვინცა ვინ წაგეკიდება;  
მტერნი მოგმართუენ სახუეწრად, კალთასა მოგეკიდება“.

<sup>1</sup> დედ. — დაცლი. <sup>2</sup> დამობ.

873

გამოუგზავნა სალარო, მეტად დასტუიროთა ყათარი;  
გამოუძღვანა<sup>1</sup> შინა ყმა, იგ ყორჩი იყო თათარი;  
უხარის ნახუა მეფისა, სულთა მორთმევედ მზათარი;  
იტყუის: „მეყრა კამს კარგისა, მისი არ ვნახო რათარი“.

874

კახთა საქმე გაარიგა<sup>2</sup>, მეფემ ბძანა: „წასულა გუინა!“  
წამოვიდენ მზიარულად, მათ იახლა ვინცა ვინა.  
თბილისელთა რა შეიგნეს, მიეგება ყუელად წინა;  
ნულლი ჰკადრეს კემწიფესა, ლუინით ჰქონდა საგსე შინა.

875

მიულოცევდენ, აყრიდენ მარგალიტსა და დრამასა;  
შეასხემდიან ქებასა, თქუეს: „ვინ ელირსოს ამასა!“  
ეხუეოდიან საჭურეტლად იმა დროსა და ჟამასა;  
მათ დაავიწყდათ<sup>3</sup> სამყოფი, გაცლა არ იყო წამასა.

876

ყორჩი მივიდა, მიართუა უანგარიშო ლარია; 267  
რაცა ებძანა ყაენსა, შეჰკადრა, გარდმოსთუალია;  
მეფის ნახუამა შეშალა, მას ფერი ჰქონდა მქრქალია;  
თქუა თუ: „შევიქენ არევით, ვითა ლუინითა მთურალია“.

877

ყმათა ნატრიდა პატრონი: „ამისებრ ვისა ჰყოლია?  
ჩვენ ცუდად ვლათავთ მიწასა, რაცა რამ მოგუიგბოლია;  
კაცთა ნაშობი სულდგმული ემგზავსოს განაყოლია,  
აღარსად წაველ, ვიახლო, არცა დავლათო ჩოლია“.

878

მოიუბნა ესე გუარი, ყორჩმა შექნა გახარება;  
პატივი სცა კემწიფემან, შას არ უჩნდა გულსა ვნება;  
იმღერდის და თამაშობდის, რალა გითხრა მისგან შუება,  
თან იახლოს სამსახურად, წუთსა გუერდით არ ეყრება.

879

სანადიროსა თან გაჰყუის, ჰქონდის სროლისა თამაში;  
იტყუის: „სიცოცხლედ მიმაჩანს მე ყოფა მქონდეს ამაში“.  
მეფემაც კელი შეუწყო, არ დაიკლებდის ჭამაში;  
მოყუარე იყო ლხინისა, მალ მიირბენდის სამაში.

<sup>1</sup> დედ. — გოუძღონა. <sup>2</sup> გარიგა. <sup>3</sup> დავიწყდა.

საქართველოს  
საგარეო  
მედიცინის  
სამსახური

**XLVII. აპა დადიანმა ლევან აპა მალალსა ხაშვიძისა 268**  
**მეფის აღმსანდლის შუილის გაგრათის საქმეჲ**  
**მოციქული გაუზგავნა.**

880

ლევან თქუა: „მეფე შაჰნავაზ არის ლუთისაგან<sup>1</sup> მდიდარი;  
მოსამართლე და მოწყალე, საქმისა დაუკიდარი;  
ყოვლის სიავის შორს მყოფი, კეთილთა მონამზიდარი;  
გუნება ვრცელი, მდაბალი, ზოროტთა მეტად მრიდარი.

881

სულად წამკდარი ოდიში ამრიგად მოაბრუნა მან; 269  
გამართა ესე ქუეყანა მისმა სიტკბოთა უნამან;  
შემცილე მოკლა რისხუითა, მათ ლმერთი<sup>2</sup> მოამდურა მან;  
ჩემად საშუელად მტერზედან კმალ მოწუდით მოაშურა მან.

882

აწ ვიჯგეთ იმერეთსა, მოავლინონ ტკბილად თუალი;  
ბაგრატ მოსცეს საბატონო, შემკუიდრეა; დასდუას ვალი;  
დააწყნაროს<sup>3</sup> საქართუელო, მისით დადგეს კლდე და სალი;  
ვახტანგ თუითუე შეინახოს სამუდამოდ იგ საწყალი“.

883

გამოგზავნეს კაცი ვინმე, ქუეყანი და გონიერი;  
მრავალ წელთა მამნახუელი, ბევრის მცოდნე, დია ბერი;  
დააბარეს<sup>4</sup> რაცა კამდა, წიგნი მისცეს დანაწერი;  
წამოვიდა დაუყონლად, მოჰფინოდა მზისა წუერი.

884

ერთი კაცი იმერელთა თან აახლეს მოციქულსა,  
შეებუეწნეს<sup>5</sup> შარიერსა, მოწყალესა, სიტყუა სრულსა;  
ჰკადრეს: „ყმა ვართ დღეის წალმა, ვათავებდეთ თქუენგან თქმულსა;  
მოგუეც ეგე მემამულე, ვახლდეთ თქუენგან დანერგულსა“.

885

სხუა საქებარნი სიტყუანი დავედრეს მუნით რებულსა; 270  
გამოიარეს შორი გზა, იახლეს ციებრ ზებულსა;  
მტერზედა გამარჯუებულსა, იგი აროდეს ვნებულსა,  
ტახტისა შემამკობელსა მუდამ პირნათლად შუებულსა.

<sup>1</sup> დედ. — ლ<sup>1</sup>თისაგან. <sup>2</sup> ლ<sup>2</sup>თი. <sup>3</sup> დაწყნაროს. <sup>4</sup> დაბარეს. <sup>5</sup> შეხეწნეს.





886

მიიყუანეს სასალამოდ მოციქული ლომსა წინა;  
მეფემ ბძანა: „ლევანისა ამოდ ყოფნა მეტად გუინა,  
ანუ ყმანი ვინ არიან, თავადთაგან ვინცა ვინა“.  
ყმამან ჰკადრა: „თქუენ თუ ჰყავხარ მათ რა მართებს მოსაწყინა“.

887

მოახსენეს რაც იცოდენ, ლევანისაგან დავედრული:  
ანუ ხუეწნა იმერელთა, რაცა იყო მათგან თქმული;  
მოუწონა კემწიფემან, რადგან ჰკადრეს სიტყუა სრული;  
ბძანა: „მწადის იგი მოვროთ, რეცა არის სავარგული.“

888

ყუელამ იცი ბავრატზედა, თუ რა მორთეს იმა ყმათა;  
ქალსა მისცეს სასიკუდილოდ, ამისისა სისხლთა სრბათა;  
სხუა სიავე ვით მოვთუალო, მათგან ქნილი რა ქნეს რათა;  
მეგრთა მისცეს სატანჯუელად, ძლივ მივასწარ სულთა დგმათა.

889

დავიხსენ, წამოვიყუანე, იყო ჩემისა გუარისა;  
კელი შეუწყვე, ვამყოფე, ამას ვინ დამაბარისა;  
ტანსა შევმოსე ნაქსოვი, უფროსი სარასარისა;  
აწ საბატონოს უშოვნი, ნახუა ელირსოს სარისა.

271

890

ლეგან კემწიფის სიტყუასა ვისმენ, არ უთხრა უარი;  
იმერელთ ნდობა არა მაქუს, ამაღ რომ ფიცთა ცრუ არი;  
არ დაინდობენ პატრონსა, რაზომცა მისცეს გუარი;  
უჯერვარ კათალიკოზსა, სხუა არი სულ მატყუარი.

891

თუალ ხილული არ ინდომეს, აწ რას უზმენ უთუალოსა,  
ვით მივანდო, რა სტქმე ჩანს, დაუჯერო ამა დროსა;  
ფიცი მამცენ საშინელი, გული ამით მამელბოსა,  
თუარემ მყუნდეს, არვის მივსცემ მოსაკლავად უდროვოსა.

892

მოუყუანიათ პატრონი, კაცი ავგზითა მავალი;  
არც ის ენდობა საწყალი, გულსა ჩასკრია, სწუთავს ალი;  
იტყუის: „არა ვარ საფერი, ან ჩემგან გაძე რა ვალი?  
აწ დამეხსენით, გამიშუით, სადაგინდ იყოს, წავალი“.

893

კელთ შეუპყრიათ, არ იცის, მას არ მიკულები მუნ არე; 272  
თუცა არა კამს სამეფოდ, შეჰქნია დასაწყუნარე;  
ტახტსა ეყრების მორიდლად, შეჰქნია გასამცუნარე;  
ყუავი ვარდისა მიჯნური ვინ ნახა მისი უნარე“.



894

მდივანს უბძანა მცოდნესა, საფიცრის გასრულებასა:  
„სიტყუა უკლებლივ მოირთოს, რიგი ერომანეთს ებასა,  
დამბადებელი ახსენოს, მტკიცედ კელჰყოფდეს ქებასა;  
ვინ ზენაარსა<sup>1</sup> გარდავა, ჩავარდეს დიდსა ვნებასა“.

895

დაწერეს სამარყანდზედა სახელი არსთა მკედისა;  
ყოველნი მისნი წმინდანი, სულთათუი მოიმედისა;  
გამთავეს სწყალობს მტყუანსა, რისხუა სცეს ზედი ზედისა;  
გარდაკდეს ყოვლი სიავე, ნაცუალი დანაყბედისა.

896

საფიცრები გაუგზავნა იმერელთა სრულად ჯართა;  
შეუთულა: „ვინ ერთგულობ<sup>2</sup>, ამაშია კელი ჩართა;  
სიცრუესა დაერიდოთ, არც უყუროთ სხუა საქმართა;  
ბაგრატ დასუათ ტახტსა ზედან, საკელმწიფო მოემართა“.

897

აგრევ ლევან კემწიფესა შეუთულა სიტყუა ვარგი: 273  
„ბაგრატისა რაც გეძანა, მოვისმინეთ თქუენი დარგი;  
მოინდომეთ იმერეთსა მოუკდების რითაც კარგი;  
ღმერთი<sup>3</sup> შემწედ ეყოლების, ჩუენცა შევქნათ მისი სარგი.“

898

თქუენ მოყუარე ხართ, აგრევ ჩუენ ნათესავად ურჩითა;  
როდის რომ წაკდა, თქვენც იცით, რა რიგად შორს დაურჩითა;  
მივმართეთ სისხლთა საძებრად, შემცოდეს სულ მოურჩითა;  
მას უკან ბაგრატ ვიშოვეთ, სირცხულისა გადაურჩითა.

899

საფიცარს კელი ჩაურთევ, იმედი ჰქონდეს ჩუენია;  
ზურგი მოვაბათ, მოუდგეთ, ნუ გუინდა შესაჩუენია;  
ერთგულსა<sup>4</sup> მივსკეთ წყალობა, ორგულს ნუ შევარჩენია;  
ღვთის<sup>5</sup> სამართალი ვირწმუნოთ, ბექათგან განაჩენია.

900

მასუკან ბაგრატ მეფესა გამოვისტუმრებ მალეებით;  
მივსკემ ოქროსა, იარაღს<sup>6</sup>, სულად აივსოს მალეებით;  
ტახტი შეამკოს მამისა, აღარად იყოს მალეებით;  
ქუეშ საფენელი სტავრისა, მძიმედ ნაკერი მალეებით.

901

სხუა წესი რიგი მეფეთა, ვითა კამს მართებულობით; 274  
კარავი, ანუ ოთახი, მისის მოფენით სრულობით;

<sup>1</sup> დედ. — ზენარსა. <sup>2</sup> ერთგულობ. <sup>3</sup> ღთ. <sup>4</sup> ერთგულსა. <sup>5</sup> ღთის. <sup>6</sup> იარაღსა.



თეჯირი გარე სავლელად, ოქსინოს მოქსოვილობით;  
მოსამსახურე, ფარეში წინ უდგეს კელ დაყოილობით.

902

ცხენი არაბეთს გაზდილი, მას თან მისდევდეს მერანი;  
ოქროთ მოურთო იარაღი, გმართებს ამისი ჯერანი;  
ასალი ტურფად ნაკერი, ეთქმოდეს თუ რამ წუერანი;  
ყუთაზი ყელსა საბმელად, ცხენს შეშუენოდეს წუერანი“.

903

გაისტუმრა იგი კაცი, თან აახლო<sup>1</sup> მოყმე მისი;  
დაავედრა რაცა კამდა: „ესე თქუითო, გითხარ რისი;  
კელი ჩართონ, თქუნ უყურეთ, იყავ საქმის შესატყუისი;  
შეიტყევით ვინ უარჰყოს, წაიუბნოს სიტყუა მქისი“.

904

კაცი წავიდა, მიჰქონდა ჰარირი დანაწერები;  
პირველ ქუთათის<sup>2</sup> მივიდა, მუნ დაკუდა ყმა და ბერები;  
შათ საფიცარი აჩუნა, გულისა დასაჯერები;  
უთხრა: „დაბეკდეთ ყუელამა, ნუ ხართო შენამტერები“.

905

ნახეს კემწიფის ბძანება, თავს იდვეს მასვე წამესა; 275  
შეფე დალოცეს დიდებით, თქუეს: „მოაგონა რამესა;  
სჭირს მოწყალება ღვთიულებ<sup>3</sup> ამა დროსა და ეამესა“.  
ერთობით კელი ჩაურთეს, მიეცათ გულ სიამესა.

906

თქუეს: „ყმანი ვართ კემწიფისა, რაცა ბძანოს, მისი მქნელი;  
ღღვის უკან მას მიემართოთ, მისი გუედვას საფარველა;  
ლაშქრობასა გარდვიკდიდე, სითაც სწადდეს, მუნით ვლელი;  
გზა მართალსა მოგჰყუებოდეთ, საფიცართა გარდუვლელი“.

907

მასუკან ლევანს მიმართა მან კაცმან, მუნით მავალმან;  
მივიდა, ნახა, ამბავი ყუელაი ჰკადრა დალაღმან;  
წიგნი შიართუა, ჩახედა, იქნა სევდისა მლაღავმან;  
თქუა თუ: „ვათავო ბძანება, აღარად დამწუავს მალაღმან“.

908

სხუა დავედრული მეფისა ყუელაი ჰკადრა მონამან,  
დაწყნარებით და მორიდლად სიტყუანი გააგონა<sup>4</sup> მან;  
გულს უკუჰყარა სიტკბოთა, არა თუ დააღონა<sup>5</sup> მან;  
ოსტატი იყო იგი ყმა, სიბძენი მოაწონა მან.

<sup>1</sup> დედ. — ახლო. <sup>2</sup> ქუთათის. <sup>3</sup> ღვთიულებ. <sup>4</sup> გაგონა. <sup>5</sup> დაღონა.



909

კელი ჩაურთო მაშინვე, ახსენა ღვთისა<sup>1</sup> საკელი:  
 გული მოუღბო ტყუე ქმნილსა, აღარადა სკირს სახელი;  
 მიეცა თუალთა სიელვე, ამაღ უცინის სახელი;  
 მალვა არა კამს საქმისა, სათემოდ მორთო სახელი.

276

910

მას კაცსა სიტყუას აბარებს, რაც მართებს მეფის წინაშე;  
 „მეფეო, თქუენთან სიტყუის თქმა, ამას გავს, დია ვინაშე;  
 სუფევითამცა გიგონებ, ნუ ოდეს მოსაწყინა შე;  
 მორთვე ყოველგნით წყალობა, სიუხუე მოგუაფინაშე.

911

საფიცარს კელი ჩაურთვე, მამირთმეგია წერილი;  
 სახელი ღვთისა<sup>2</sup> ვახსენე, არა ვქენ გამოწერილი;  
 თქუენი ბძანება ვათავე, რაც იყო იგ დაწერილი;  
 კამს ვათავება საქმისა, რიგი და შემოწერილი“.

912

გამოისტუმრა, უსრულა რისაცა იყო ნდომია;  
 მიაქუს ამბავი საამო<sup>3</sup>, ვინ იცის თუ რა ზომია;  
 ბაგრატის საქმე, სიკეთე მას ქკუითა მოუზომია;  
 კაცი მიიზღავს სარჯელსა ერთისთუის ასი ზომია.

913

იმერეთს შეკდა იგი ყმა, ოდიშითაგან ვლილია;  
 საქმესა ცდილობს, არიგებს, მით გაიმწარა ძილია,  
 არ წაუკდების სარჯელი ეგზომი, მისგან ქმნილია;  
 იგი მიხუდების სიბძნითა, რაც გულსა განავლილია.

277

914

იმერელთ უთხრეს: „დიმიტრი მეფობისაგან გარეა;  
 ბაგრატს მოელის სამეფო, თუცა მემკუიდრე არეა;  
 აზნაურს ტახტსა ვინ მისცემს, ამაღ რომ მისთუი მწარეა,  
 მცირეს მამულით დავარჩინთ, რაც მისი შესადარეა“.

915

გამოისტუმრეს, მოდიან, მოაქუს პირი და ფიცია.  
 ღმერთი<sup>4</sup>, ყოვლისა მპყრობელი, ძუელითგან დანამტკიცია.  
 გამოიარეს ქუეყანა უცხო და არ უფიცია;  
 ამხანაგთ ჰქონდა ამის თქმა: „შენ ჰკადრე, უკეთ იცია“!

916

მეფეს მოართუეს ამბავი ოდიშართ იმერლებისა.  
 უყურეთ ამა ლომგულსა, რას სიკეთესა შურებისა?  
 აქებდეს ყოვლი სულდგმული, ვინც ამას შეესწრებისა.  
 აქუს მოწყალება ზღუისაებრ, ეტლთაგან არ ეგნებისა.

<sup>1</sup> დედ. — ღ-თისა. <sup>2</sup> ღ-თისა. <sup>3</sup> სამო. <sup>4</sup> ღ-თი.

**XLVIII. აჲა აჲა ძლიერს ხეჲფიფესა ასლან ფაჲის მოციქული მოუ-  
ვიდა ბაგრატიის სათხოვნელად. მუჲთა კასუხი მისცა მას კაცსა<sup>1</sup>  
და დააჲმდრა მკუახე და ამაჲი საუზარი და გაიხტუჲრა.**

917

ასლან ფაჲის მოციქული მოუვიდა კემწიფესა.  
მოეწერა კეისარსა: „ნუ ვინ ხედავს დასამცრესა;  
ბაგრატ მისი მემკუიდრეა, თქუენცა ჰკითხე ყმა და ბერსა,  
მოგუეც, დავსუამ იმერეთსა, საქმეს უზამ დასაჯერსა“.

918

სხუა დავედრული პასუხი უკლებლად მოახსენა მან. 279  
მეფეს რა ესმა, გაჰკუირდა, ბძანა: „ვინ მკალრა ესე მან?!“  
ფერი ეცულა ჯავრითა, აგრევე მეტმა წყენამან;  
მოციქულს სიკუდილს უპირობს, გააძო ააყენა<sup>2</sup> მან.

919

უბძანა: „სადაურია, ან რას ვახსენებ ფაჲისა;  
ყულულჩობაში გაზდილი, იმა უგბილსა ნაშასა?  
ომარი, ოსმან სტყუიან, მით დაჩუეულან ჰაშასა;  
თოფი უჭირავს, სიკდლითა კელს ვერ მოჰკიდებს მაშასა.

920

მას ვინ აღირსა რეგუნესა მეფეთ სახლისა რიგება?  
ყმანი ყოფილან ნიადაგ, ჩუენს წინა მართებს რიდება.  
ჩუენ არ ვიკადრებთ, არ უზამთ ყულულჩისაგან დიდება;  
თავითგან გაშორდებიან, ვინცავენ წაგუეკიდება.

921

კეისარს სხუაცა ბევრი ჰყავს საგმანები და ყულები;  
მათ ვინ ახსენებს დიდობით, არიან დაკარგულები;  
როდის ითხოვეს მათგანმა მეფენი კელ შეკრულები?  
აწ დაინანეთ პასუხნი, რეგუნულად თქუენგან<sup>3</sup> თქმულები.

922

ბაგრატ ძმა არის, დავიხსენ, ტყუედ იყო ბორკილიანი; 280  
მტერი გავსწყუიტე, წამოველ გამარჯუებული, კლმიანი;  
რაცა ჩუენზე ქნეს სიავე, ნაცულად მიეცათ<sup>4</sup> ზიანი;  
აწ ძმასა ძმურებ უდგივარ, არ მიკუდეს დასამცრიანი.

<sup>1</sup> დედ. — კაცა. <sup>2</sup> აყენა. <sup>3</sup> თუენგა. <sup>4</sup> მიეცად.



923

დიდის ბაგრატის შვილია, გიორგის შვილიშვილია;  
ასლან ფაშასა ვით მივსცე? ვეკობ, სულ გარდაშლილია;  
კულაგცა ნუ უნდა სათქმელად, გუნებას განავლილია;  
წიგნი და კაცი დაფარონ, არ იყოს გამოვლილია\*.

924

ბაგრატს ჰკითხა კემწიფემან: „რომელი ვქნათ? მართლა  
სთქუია!

სამალავად რაღას გარგებს, სრული სიტყუა გამოსთქუია!  
სადით გიჯობს, იქ გაგიშუებ, წასატანსა გარდმოვსთულია;  
ლარსა მოვცემ უზომოსა, თუესა ერთსა ვერ დასთულია“.

925

ჰკადრა: „დიდო კემწიფეო, ვის გიკობენ ცათა სწორი,  
ტყუეობილამ გამომიხსენ, სად დამეყო წელი ორი;  
საპყრობილოს მამკულდარ ვიყავ, ყუავს ექამა ჩემი მძორი;  
შენვე მამკალ, სხუას ნუ მიმცემ, მათ ენა აქუს დასალორი.“

926

ბაგრატოანთა სახელი გასულა კმელთა კიდესა; 281  
მათნი ერთგულნი<sup>1</sup> თავადნი კმალ მოწუდით რასა ზმიდესა!  
მათგან ნაკოცთა მებძოლთა ბძენიცა ვერ დასთულიდესა;  
თქუენ ასახელე მეფენი, სახელი გარდაგრიდესა.

927

უზედესი ხარ ყუელასა, ვინც იყო ტახტოსანია;  
გიძრწის და გმონებს ყოველი, მამაცი, ვინ კლმოსანია;  
კარზე გიდგანან ყოშუმად თავადნი, იგ ყმოსანია;  
ერთგულთა<sup>2</sup> სწყალობ ღვთიულებ<sup>3</sup>, ორგულთა მიეც სურანია.

928

გადიდებს ყოველი სულდგმული, ვინც არის ყმა და ბერია;  
დაიპყარ ყოველი ქუეყანა, შეგიქნეს ფეკთა მტუერია;  
საქმე გამართე ყოველგნით კაცთაგან დასაჯერია;  
აწ მამაკმარე ძალგული, შეიქნას დასაწერია.

929

ოსმანს ნუ მიმცემ, სუაადო, არ მინდა მათგან შუელანი;  
ფიცი არა სწამს, წერილი, ცუდად უხარჯავს მელანი;  
თქუენ მიმაბარეთ მათ ყმათა, ჩემზედან იყონ მტუელანი;  
ვიცი, არა მივალ, მაშინვე მამეგებიან ყუელანი.

930

შენი მამეს საფარველი, შენ გეკელყუი ძმა და შუილად; 282  
ორგულთაგან წამხდარი ვარ, საქმე ჩემი იცი წურილად;

<sup>1</sup> დედ. — ერთგულნი. <sup>2</sup> ვრდგულთა. <sup>3</sup> ღთიულებ.



ერთგულებას<sup>1</sup> მიმბარე, აღარ დავრჩე გარდავლილად;  
საფარველი შენი მედვას, მოსვენებით ვიყო ძილად.

931

შენვე მიშუელე, მეფეო, თუარემ სოფელმა მალემა;  
სიმუკთლე მოაქუს წყეულსა, ამად უნებლად მალემა;  
ღვთულე<sup>2</sup> მამკედე, ლომგულო, წყალობით იწყე მალემა;  
ტახტსა მიმწივე საჯდომლად, აღარად მარგებს მალემა“.

932

მეფემ ბძანა: „არვის მიგცემ, ნულარა გაქუს გულსა რიდი;  
ფაშას შენთან რა კელი აქუს, არ ვახსენო იგი ფლიდი;  
რაზომიცა შეიყარონ, ჩემის კლმითა გარდავყრიდი;  
მიმანჩინარ, დიდად გარგებ, მოკმარებას არ გავჰყიდი.

933

მაქუს იმედი მიყუანისა, თუცა არის ღვთისა<sup>3</sup> ნება;  
მოგიყენო თავადები, გექონების არსით ვნება,  
გული დაღვე მეფობასა, მოგცემ, იწყო მუდამ შუება;  
თან გაგატან თავადებსა, გექონება გზათა ვლება“.

934

წყალობის თული მიჰყარა, იმედი მისცა დიდია; 283  
უთხრა: „გეყოფი მეშუელად, ნურავისგან გაქუს რიდია;  
მოგცე ლალი და ზურმუხტი, ათასობ, არ თუ შუილია;  
ზარდახშა უანგარიშო, აქლემთა ანაკილია“.

935

კულაცა ჰკადრა: „კემწიფეო, თქუენ წყალობა მიდიადე;  
სული მიდგა<sup>4</sup> თქუენის ბედით, ნამეტნაობს რაც მიქადე;  
თქუენ გამოჩნდით ჩემთუის ზურგად, ზეციერით დაიბადე;  
ერთი სხუა მაქუს სახუეწარი, ოლონ თურე მოიწადე.

936

იცით, არა მყავს მოყუასი, ძმები და არცა დებია,  
არცა ვინ მივის იმედად, გულისა დასადებია,  
გიაჯი მამცე ასული, აღრიდგან ნაქადებია;  
იმედი მაშინ დამედვას, ქირთაგან ვასაყრებია“.

937

აგრევ პირმზეს შეეხუეწა: „შენ შეიქენ ჩემი. ლონე;  
შარიერსა ჩემი საქმე თქუენებურად შეგაგონე;  
დასძარ სიტყუა საუბარი, თავი მზენებრ მოაწონე;  
შეემოწმეთ ჩემის რგებით, აღარ მამუდეს დასალონე“.

<sup>1</sup> დედ. — ერთგულებასა. <sup>2</sup> ღვთულე. <sup>3</sup> ღვთისა. <sup>4</sup> მინდგა.

938

284

პირმზემ იმედი დაუდვა, გულისა მოსალბობია;  
უთხრა: „შეკადრო ლომგულსა წყლულს აღარ გედვას ობია;  
ნუ თუ გარგორა ხელ ქმნილსა, მოიძრო დანასობია;  
მოგნელდეს გული ცეცხლთაგან, აღრიდგან ანაგზობია“.

939

მეფემან და დედოფალმა შექნეს ერთად საუბარი;  
თქუეს: „მართალი იამების, ვინცა შექმნა მთა და ბარი;  
სჯობს პირისა გასრულება, რას ივარგებს ნამტყუნარი;  
გახსოვს, ოდეს მიუბოძეთ, მოწმად ფიცე მზე და მთუარი?“

940

მიცემის პირი დაასკუნეს, მოყურობა შექნეს დიღია;  
ბაგრატს იმედი დაუდევს, გულისა დასამშვიდია;  
ზურგად მოიბა სფაადი<sup>1</sup>, აღარად უჩანს რიღია.  
მოკმარება და სიკეთე კაცზე კაცისგან კიღია.

941

ასული მისცეს, ისიძეს, ბაგრატს მიეცა ლხინება;  
პოგვა წყლულთათუის წამალი, აღარად მოეწყინება;  
დავიწყდა ეზომ სარჯელი, რაცა ქნილიყო წინება,  
მიკუდა წადილი გულისა, რაცა ოდენლა ინება.

942

მივიდა მადლის საკდელად მათ კემწიფეთა წინარე; 285  
ჰკადრა: „მამფინეთ წყალობა, გამრიდეთ მოსაწყინარე;  
გავსცოცხლდი, თქუენით მამეცა იგი ნათელი პწყინარე;  
ღმერთსა<sup>2</sup> ვადიდებ, თქუენ<sup>3</sup> გმადლობ, ბედი მკუდა დაუძინარე“.

943

პირმზემ ბძანა: „ბაგრატ ზედან ვალი დაგუიც ეზომ დიდი,  
შუილის ალაგს მიმაჩნია, არის ჩემი გარდამკიდი“.  
ყმათ უბძანა: „გაუფთხილდით, რომე ეცეს არსით რიდი;  
ლარი მივსცე უთუალავი, მისაძლეველად არ დავრიდი“.

944

დაუკერვინა სტავრისა კაბები ძუირის ფასისა;  
სხუა და სხუა ფერი ნაქსოვი, ატლასი მეტად ხასისა;  
წამოსასხამი ზარქაში თუმნისა ბევრ ათასისა;  
სარტყელი ჩინეთს ნაქსოვი, ეს მიკუირს იყო რასისა!

945

მან ოსტატმან კელოვანმან ესე გუარი სადა ღება?  
ხეენარი და ხშირად ნახში მოიკმარა სადაღება;

<sup>1</sup> დედ. — სფაადი. <sup>2</sup> ღ-თსა. <sup>3</sup> თქუე.



ვით იკელთა სავაჭრელად, ამისი კუდა სადაღება?  
არ დაუკჩეს შესასულელად, მისთუის კარი სადა ღება.

946

მეფემ ბძანა: „გავისტუმროთ, იყონ იმა გზათა ვლელად; 286  
რაცა კამდეს, მას იქმოდეს, ჩუნთა სიტყუათ გარდუვლელად;  
მას უკანით ქალი მივსცეთ, დაკოდითა მოსამთელად;  
სხუა მისებრი ვერა ჰპოვოს, რაზომიცა დავლოს ველად“.

947

მოურთოთ გასატანებლად რიგი ყოვლისა ფერისა:  
ჯამი, ქიქა და ქურქელი, მეფეთა შესაფერისა;  
ოქრო, ვერცხლი და ჩინური, კაცთაგან დასაჯერისა,  
თუალ მარგალიტი უებრო, ძუირ ფასად დანაწერისა;

948

ცხენი კარგი და ნაქები, ოქროთი მოკაზმულობით,  
მურასა ჰქონდა ლაგამი, ახლითა იგ მორთულობით,  
სანიადაგოდ მერანი, იგიცა სულ მორთულობით;  
კაცს არ დასძრევდა, სულ იყუის მაზედა მჯდომი ლულობით.

949

კარავი, ანუ ოთალი, მისებრ ნახულა აროსა;  
ალაჩუხი დვას საწოლად, მას სხუა არ დაედაროსა;  
თაქნაბადი და ორხავო, ლაშქარზე მეტად კმაროსა.  
კელი მოუწყო ყოვლითურ, სიძუნწე ვერ ეძრახოსა.

950

ბაგრატ თქუა: „ამა მეფემან წყალობა ჩემზე მალამა; 287  
გამკურნა ძნელთა სენთაგან, სადით მოიღო მალამა;  
დამივსო ცეცხლი უშრეტე, გულსა სალხენი მალამა;  
ევზომი ლალი, ზურმუხტი არ დამიშურვა, მალამა“.

**XLIX. აბა აბა უოვლისა კეთილის საუნჯემან მეფემან შამნავაზ  
იმერელთ მეფის შუილი ბაგრატ ბაისტუმრა სპაბტრო-  
ნოსა მისხა, დანისიკა და მისცა უოველი ზიგი  
სახემწიფოსი.**

951

გაუგზავნა შესამოსი დედოფალმა იმა ვაჟსა,  
ბედისაგან მომდურავსა, აღრიდგანვე დანაბაჟსა;  
ვალი დასდევს საშინელი იგი მისთვის განასაჯსა;  
მივა მათგან გასტუმრებით, მისცემს ვისმე განა ბაჟსა.

288

952

ბაგრატ გაუშუა მეფემან, მისცა ყოველი წესია;  
არ დაუშურვა, უბოძა სადაც რამ უკეთესია;  
მოკმარება კაჟს მოყურისა, ძუელითგან დანაწესია,  
წამოაყენა ძმა მისი, აღრიდგან დანაკუნესია.

953

თან გაატანა თარხანი, თავადი დიდთა გუარისა,  
კაცი ბძენი და ჭკუიანი, ყოვლის საქმისა მხუდარისა,  
მლმობიარი და მდაბალი, პლატონის შესადარისა,  
სახელოვანი მამაცი, მისებრი არსად არისა.

954

გაოხრებული ქუეყანა შექნა ყოველგნით საშენად;  
მიუშუა მკუიდრი პატრონი, აღარვის მისცა საშენად.  
მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ტახტი მოირთო საშენად;  
ერთგულთა<sup>1</sup> მიეც წყალობა, ორგული გაკდეს საშენად“.

955

გადგენ, წავიდენ, თან ახლავს მისი დაზდილი შონები; 289  
თარხანი წინეთ მიუძღვის, ჭკუითა მოსაწონები;  
კელ შეწყობით და გამართუით, არა აქუს დასალონები;  
ბაგრატსა სწოთუნის და ასწავლის, იგ მისი შესაგონები.

956

მთასა გარდაკდენ. შეყრილნი იქ დახუდენ დიდებულები;  
მუკლს ეხუევიან პატრონსა<sup>2</sup>, ამდრომდი დაკარგულები;  
თარხანმ უთხრა ყუელასა კემწიფის დავედრულები:  
„მიუღვეითო მეფესა, ჰქენით რაც სავარგულები“.

<sup>1</sup> დედ. — ერთგულთა. <sup>2</sup> პატრონს.



957

შაჰნავაზ მეფე დალოცეს ზაღლითა კმითა ყუელამან;  
ესე პატრონი საჩუენოდ, ლომურებ მოიყვლა მან;  
უალერსა და ითუისა, აწ ასრე მოაყენა მან;  
ფაშას არ მისცა სიბძნითა, გაჰკიცხნა მისნი წყენა მან.

958

წინ გაუძღუნ და წავიდენ, სადა მეფეთა სარები;  
სადაც დადგიან, უწყუეტლად ღზინი ნახიან კმარები;  
უმასპინძლებდენ თარხანსა, ბოლო ეამ გასამწარები.  
ეტლსა, უკულმა მბრუნავსა, კელთ ჰქონდა სათხრად ბარები.

959

შეჰყროდა სითმე ყუაგილი, მაჯამ დაუწყო ძგერასა; 290  
თარხანმა გულში გაივლო, თქუა: „კარგსა ვხედავ ვერასა;  
ვერსად წაუველ სიკუდილსა, ამად მოვმართე წერასა;  
გამოგთხოვივარ მოყუასთა, სოფელს ვიქმოდე მე რასა?!

960

შარიერსა შემაბრალეთ!“ ყმათა ამას აბარებდა;  
საყუარელსა, ბანოანსა პირმზეს გუერდით აბარებდა;  
თქუა თუ: „მთასა ველარ გავსძელ, წამიღვეით!“ აბარებდა.  
დასთმო სოფლის გემოვნება, ასრე მისთუის აბარებდა.

961

გარდაკდა ამიერითგან, მიმართა ვიწრო სამარეს;  
უკუიარა გზა გძელი, მის უწდომ დასანთქამარეს;  
ტანს შეიმოსა ტაგრუცი, გამოესალმა წამარეს;  
დაცლა არა აქუთ ანგელოზთ, სიკუდილი მოიყამარეს.

962

ყმათა შემჟრეს თაბუთი, მართებულითა წესითა;  
თმასა და წუერსა ივლეჯენ, უკან მოსდევენ კუნესითა;  
მოსთქმენ საწყალსა სიტყუასა სიკუდილსა უარესითა:  
„ტკბილო პატრონო, რა იქენ, მოწყალევ, ზევ და წესითა?!“

L. აქა ბაზრატთან გახოლილი თარხანი იორამ ამიერიტგან 291  
გარდახდა. ამა ხემწიფოს დიდად იაჟინათ  
სიკუდილი მისი.

963

მეფე წავიდა სატირლად მისისა, პირად მზიანად;  
მივა კუშტ გუარად, შექრუშუით, მოწყენით, მიზეზიანად;  
თქუა თუ: „წაიქცა იგი ყმა, საქმე გუეყოფის ზიანად,  
მისსა სარჩევსა აღგილსა ვინ გამოჩნდების ზიანად?“

964

მეფემ იტირა მცხედარი, მოუთქვა ძმა და შუილობით; 292  
უქო სიმკნე და ზნეობა, იგ კარგთა გუარიშუილობით:  
„დარბაისელთა თავადი იყავ, ვარდთაებრ შლილობით,  
დაჰყარე უშენობითა, შეიქენ გარე ვლილობით.“

965

შემოგუწყერ, აღარ ინდომე ჩუენს კარსა შემორებანი;  
დასთმევ ლხინი და ნადიმი, სიამოვნისა შუებანი;  
შენებრ ვინ მიხუდეს სარჩევსა, ანუ ეგზომნი მცნებანი?  
სიბძნითა სრულო, რა იქენ, აღარად გახსოვს ებანი!“

966

პირმზემ მოსთქუა მწუხარებით, გამოუშუა კმა ნარნარი;  
უქო ზნე და საქციელი, კემწიფეთა შენადარი;  
თქუა თუ: „იყავ პატრონისა დარბაისელთ სამკობარი,  
მოგაშორვა შარიერსა, ვთქუა სოფლისა საგმობარი“.

967

მიცუალებულის ანდერძი ჰკადრეს უკლისად მონათა,  
კოლშუილის შეწყალებანი, მათთა პატიჯთა წონათა;  
შემოსილ იყუნენ შავითა ყუელანი მისთა მგონეთა,  
თუალი აევსო ცრემლითა, მეფე იდენდა ფონეთა.

968

მუკლს მოახუივეს შუილები სახუეწარისა ენითა; 293  
შეებრალეს და შესტირეს სიტყუითა მრავალ ფერიითა;  
მეფემ იმედი უბძანა: „რაცა სწადს, აგრე ვქენითა,  
არა ვის მივსცემ სამცრებლად, გულს შიში არიდენითა“.



969

კულავ იგი ქალი პირმზესა შემოაბრალა თავია;  
თულთავან ლუარსა აღენდა, ზღუისავე შენართავია;  
მოსთქუა ბედ უბედობანი, გულისა დასაწუავია;  
სულ შეებრალა ლაშქართა, ცრემლსა ჰყრის სხუა და სხუა ვია.

970

დედოფალი ტკბილის სიტყუით<sup>1</sup> ეუბნების იმა ქალსა:  
„თქუენი მანენ არვინ არის, დაგიჭირავ ყოვლგნით თულსა;  
ვიჯობს თავი არ მოიკლა, ნუ იკიდებ მაგა ალსა,  
ჯურღმულს ჯდომას ჩამოეხსენ, დაუჯერდი მაგა შალსა.“

971

უსიკუდილოდ არვინ დარჩა, სოფლი საქმე იცი კარგა;  
მეფენი და კემწიფენი საწუთროთვან გაიბარგა;  
აქ დააგდეს დიდებანი, მათთუის სრულად დაიკარგა;  
დაესთმოთ ჭირი, მწუხარება, მოისმინე ესე დარგა“.

972

ნუგეშის სცეს და გამოდგენ მათსავე არე მარესა. 294  
რა მოიგონის იგი ყმა, ამოიოკრებს მწარესა.  
ისაკლისებდენ, იტყოდენ: „დიდად საწყენლად კმარ ესა,  
ადვილ დაეკარგეთ, ვერ ვბოვებთ ჩუენ მისა დასადარესა“.

973

ორსა კუირესა იმარხეს, ფაჰრიზობიდან ჟამესა;  
იგლოვდა დარბაზის ერი, მათ კორცი არა ჰამესა.  
თალხი ჩაიკუა მეფემან, მასვე თუალისა წამესა,  
სამარხოს ამზადებდიან, სამხსნილო არ იამესა.

974

სხუას ყმათ იმედი დაედვა, რა ნახეს მათვან ქნარები;  
ადიდებდიან მეფესა, გაუშუენს სხუა საქმარები.  
სხუას ვის ასმია პატრონსა გლოვა შეექნას კმარები,  
ყმაზედან გლოვა, ტირილი, კორციით შეეკრას სარები?

975

ქამნი გარდაკდენ გლოვისა, აწ მოვრთოთ ნადიმობანი.  
ფასლი მოსულა მღერისა, უბძანა: „კმობდენ ნობანი,  
აყუავდეს სრა და სამყოფი, კლდეთა მიეცეს დნობანი,  
ქაცუი მოვიძროთ გულთავან, აღარად გუიწყოს სობანი“.

<sup>1</sup> დედ. — სიტყით.



LI. აქა მალაღმა ხაფიფთჳ შაჰაბაჳ ყაენმა, ესე ყოვლინა 295  
 სამამაცოს ჳნით შაჰკოზილი და სანახავად ღიდად სა-  
 ტაფიალო მფვის შაჰნავაჳის ქი, მფში აკაჩილ გამო-  
 უშვა. მისცა ყოველი სახაფიფო რიგი და სახელი  
 დასღვა შაჰნავარ ხან.

976

მეფის არჩილის ამბავი ჴემორე დაგუიწერია;  
 თუით ხსენებასაც არ ღირს ვარ, მიწა და ფერკთა მტუერია;  
 მისი სიმენე და სისრულე ეტლთაგან დასაჯერია,  
 აქუს სუიანობა უებრო, ტახტისა შესაფერია.

977

ყაენს იახლა ერანსა, სულ მაზე დარჩათ თუალია; 296  
 სულსა აძლევედენ საკუთრად, ვით დაეშურვა ლალია,  
 გაეშუათ მათი საქმარი, მზერითა იყუნენ მთურალია,  
 იტყოდენ: „შეყრით ვილხენდეთ, გაყრით გულს გუედლუს სალია.

978

არ იყრიდა შარიერი, სმა ჰქონდა, თუ გინდა ქამა;  
 ეპყრობოდის თავის სწორად, ტკბილად მზერდის, ვითა მამა;  
 სადგომთაკენ დაეთხოვის, არ გაუშუის თუალის წამა;  
 თავს აყრიდის მარგალიტსა, არ დაზოგის ვითა დრამა.

979

შაჰნავარ ხინსა ეძახდა, გარიდა არჩილობანი,  
 მიჰყუა მათსავე ჴმანებას, დაიდუა გულსა ლობანი,  
 არ ვის ასშია კაცთაგან პატრონს წინ ეგზომ ყმობანი;  
 ჴკუას ერჩის, ღიდად იკმარა ყმაწუილმა მისი ბძნობანი.

980

ყაენმა ბძანა: „შაჰნავარ, გულსა მიც საქმე ესეები:  
 მამას უკმიხარ, გაგიშუებ, საქმე ჩანს<sup>1</sup> უკუეთესები;  
 მოგცემ მრავალსა, თან გაგყუეს საკემწიფონი წესები;  
 გნახოს, იამოს შაჰნავაზს, ვინა ჩანს ჴესთა ჴესები“.

981

შანავარს გულში იაჴა, მაგრამ ჴებირად უარობს; 297  
 ჴკადრა: „სიახლით ვიხარებ, იგ შორს ყოფასა წუნარობს,

<sup>1</sup> დედ. — ჩან.

გული დამიც და გონება, უშენოდ ყოფნა მცუნარობს“;  
თქუა: „ნუ გამიყრის კემწიფე“, ეგონათ მართლა მკმუნარობს.

982

კულაცა ბძანა: „გაგიშეებო“<sup>1</sup>, ასამზადად მიჰყო კელი.  
გამოზიდეს გასატანსა, მრავლად იყო, არ ერთხელი;  
აქლემი და ანუ ჯორი, თოხარიკი მალედ მვლელი;  
ყენისგან ჰკუირობდიან, უცხო საქმართ არი მქნელი.

983

ცხენები ტურფად მოსილი, ლაგმიან უნაგრიანად;  
წინ ტაბლი ეკრა ოქროსი, მურასა, გუჰარიანად,  
ასალი მარგალიტისა, აღმასის ყუთაზიანად;  
ცხენსა სიფიცხე ეტყობის, გამრბენი არა გუიანად.

984

სხუა და სხუა ფერი კარავი, ყირმიზი, ანუ ჩინია;  
შიგნით დიბა უც და გარეთ ატლასი გაუჩინია;  
სტავრის თეჯირი სავლელად, მას მისთუის დაუჩინია;  
ავხანები და ქუჩები შორს სადგმლად გარდურჩინია.

985

ზანდუკებითა მოიღეს ლარი ყოვლისა თემისა;  
შაჰნაზარ მდაბლად უქურეტდა, სიდიდე არი ჩემისა;  
მოირთო რიგი ჭურჭელთა, ადულიად გაიცემისა,  
არ დაუშურვა ზურმუხტი, ნდომა აქუს მალ მიცემისა.

986

მისცა თაჯი და თონარი, საჯიღე ძური საფასები,  
უსხდა ლალი და ზურმუხტი, აღმასი ბევრათასები;  
ხანჯარი იაგუნდისა, მეტად უტურფა და ხასები,  
კმალი ინდოვეთს ნაქმარი, ძნელია წელთა სხუასები.

987

მოუტანიხა ნალარა, მასთან დროშა და ქარანა,  
ნაფირი, ზურჩა საკმობლად, მან ტურფად დაუბანარა;  
ყუელა მთართუა მეფესა, დგომა უბძანა მან არა.  
გამოეთხოვა სავლელად იგ გზათა დაუზარანა.

988

შაჰნაზარ ხან წამოვიდა, მისით შეენის გზა და კუალი;  
ლადობდენ და თამაშობდენ, იგ იყუიან მუდამ მთურალი;  
თავადთაგან ვინც იახლა, ყუელას ჰქონდა მახე თუალი;  
გზასა ადუილ გაიარდენ, ვერ დაუდგის კლდე და სალი.

<sup>1</sup> ადვ. — გაგშეებო.





**LII. ამა ამა ღვთისაგან<sup>1</sup> ღიღებით კატივ ცამულს მეფეთ 299  
მეფეს პატრონს შაჰნავაზს იმა სასუკველის შუილის  
მეფის შაჰნავაზ ხანის მოსულის მახარობელი  
მოუვიდა და გაიხარა ყოველმა ხულმან.**

989

მახარობელი მოვიდა ტურფა ამბავთა მზობელი:  
„მეფე შაჰნავაზ მოვაო“, იყო ამისი მთხრობელი;  
ნახული ჰკადრა ყუელაი კაცმა, სიტყუისა მტკობელი;  
გული მიაპყრეს სალხინოდ, აყუავედა მისი მზობელი.

990

სიხარულითა აივსო დარბაზის კარი სრულია. 300  
მეფეს მიეცა ლხინება ამა ამბვისა მსურია.  
შექნეს მღერა და თამაში ვინც იყო მუნებურია.  
ღედლოფალმა თქუა: „ესე ღლე მიჩანს არ დასამღურია“.

991

მახარობელი შემოსეს წითელ ყუითლისა კაბითა.  
სწორამდი სცემდეს ქოსებსა ქარანითა და დაბითა.  
მკარს გარდაუგდეს ნაქსოვი, იყო დარიბაბითა;  
პირში ჩაუდგეს შაქარი, კაცი ძღებოდა ყლაპითა.

992

გარდაყარეს<sup>2</sup> ყუელამა, თეთრისა შექნეს გორები;  
ფრანგეთს ნაქედი მარჩილი, ადვილად გასაგორები;  
კაცი აივსო ლართა, მდიდართან გასასწორები;  
იტყუის: „მამკედა უფალმან, ვერცხლით ავაგო ყორები“.

993

მეფემ თქუა: „ღმერთო<sup>3</sup>, შენ გაქებს ადამიანთა ტომია,  
ვისცა მიკედო წყალობით, იქნების შენს წინ მდგომია;  
სიხარულითა აივსოს, გმადლობდეს თუ რაზომია;  
იჩქითად მიკუდეს სიამე, შენგანვე მონაზომია“.

994

მას კაცსა ჰკითხავს: „მიამბე, ეტლსა სად გაეყარია? 301  
ანუ კემწიფემ ვით ნახა სიცოცხლის დასადარია?  
ამილახორი თან მოსდევს, გივი ბძნად მოუბარია?  
სხუა თავადები ვინც არის, მითხარ, თუ როგორ არია?“

<sup>1</sup> ღედ. — ღთისაგან. <sup>2</sup> გარდაყარეს. <sup>3</sup> ღ-თო.



995

მოახსენა: „ხემწიფეო, არა გკადრო ტყუილი ენა,  
კემწიფემან შუილის ოდნად ჩრდილი მაზე მიაყენა,  
რაცა უხბდა პირ მთუარენი სავარდესა, სულ აჩუენა;  
მარტოდ შექნეს მეემანი, დაგუაყენეს კარსა ჩუენა.

996

მასუკან გამოისტუმრა, ეტლმან დაიწყო მარებად;  
მოსცა სახანო საქურკლე, იგ ზღუისა დასადარებლად,  
რვას დღეს ვიაკელ მას გმირსა ლხინად, არ გასამწარებლად;  
მას უკან გამამისტუმრა, შევიქენ მათგან გარებად“.

997

გივი იკითხეთ, თან ახლავს, მიაჩანს თავის სწორობით;  
გუერც უზის, არსად გაიყრის, არცა<sup>1</sup> გაუშუებს შორობით;  
სხუანი ვინც არის თავადი, მოჰყუება, მოაცორობით.  
ლალი ჰკიდია ყათარსა, სხუა მარგალიტი გორობით.

998

ბულბულმა თქუა: „ჩემი მკულელი, მითხრეს არის მანდობარად;  
უმაგისოდ არაოდეს მინდოდესო მანდობარად;  
შეგიყრია მებაღესა გულსა მისსა მანდობარად;  
თუ არ მამკულდეს სასურველი, დავაყენო მანდობარად“.

302

999

გულმხიარულად მოდიან, პატრონ ყმათა აქუს ლალობა;  
სევდა გასკლია, ლხინობენ, არა სჭირს გულსა დალობა;  
ვარდი უყუავის ბულბულსა, სჩანს ბალსა კართა აღობა;  
თავსა დამღერის სამისოდ, არ უძეს შუა სალობა.

1000

მართ ამაზედა მოვიდა კაცი ბძნად მოუბარია;  
მეფესა ჰკადრა: „მოვიდენ, ვაჟსა უშუენის არია;  
ახლავს თავადი მრავალი, იგ გმირთა დასადარია;  
ეტლი აშუენებს ლაშქარსა საესებით ვითა მთუარია“.

1001

გაიხარა კემწიფემან, ბძანა წინა მიგებება;  
შესხდეს, ფიცხლავ გაემართენ, ჯართა სისქე არ ეგება;  
ქორ ავაზა თან იახლა შესაქცევლად გარიგება.  
მათის შეყრით სიხარული, ნახეთ, რაზომ დაიდება.

1002

ერთის კუირისა სავალსა მიგებება მამა შუილსა;  
შეიყარნეს, მათის ნახუით დიდებულთა ჯარი ჰკუირსა.  
ხუენა კოცნით შეიჯერნეს, ვით ვიტყოდე მათგან ქნილსა,  
დიდხან იყუნეს შეკონვილი, სიყუარულსა ეს ზნე სჭირსა.

303

<sup>1</sup> დედ. — არც.

LIII. აქა მაღალი ხემწიფე და მისი შვილი შიყარანს. მათს  
სიამოვნებას და განაძობას კაცის ენით შითა  
მოითულაზის.

1003

მეფე ბძანებს: „ეტლის მგზავსო, გნახე სითმე მოარული, 304  
სულთა ჩემთა სიამეო, განაცუალო მკუიდრად გული,  
სამოთხისა შენებავო, ალვა მაშიგ დანერგული;  
მე სიცოცხლე მამემატა, რადგან გნახე ჯავარ სრული“.

1004

ვაჟმა ჰკადრა: „კემწიფეო, ბედმან თქუნმა მამიყუნა“.  
კელს აკოცა ყოფაქცევით, იგ დავარდნით ეთაყუნა;  
შერაშენა იგი არე, სულ ვარდულეზ ააყუნა.  
ტკბილად რასმეს სასმენელსა ბულბული ჰკომბს, არა ყუნა.

1005

უსალამეს თავადებმა, ყუელას ჰქონდა მუკლთა ხუევნა;  
დაეჯარნეს ერთობილნი, აღარ იყო კაცთა ტევნა;  
ზოგი ფეკთ ქუეშ შემოიგდეს, მისი ჰქონდათ ამოზევნა;  
სიყუარული ბატრონისა მეტად სჭირდათ მისი ჩუევნა.

1006

გამოუძღუა შარიერი, შვილი მოჰყავ, ალვა ზრდილი,  
მოდოოდენ სანახავად, შორეულთა ექნა ვლილი;  
ღამე ბნელი გამოეგლოთ, გაემწარა ყუელას ძილი,  
ლხინი ჰქონდა ყოველთავე, სევდა ექნათ გარდავლილი.

1007

თბილისს<sup>1</sup> მოვიდენ, შეიქნა ცემა ნალარა, ქოსისა, 305  
ციხით თოფები გაყარეს, გატენილიყო როსისა,  
მთიულთ შეეტყო, მოვიდენ, ფეკთ ხუევნა იყო ოსისა,  
მუტრიბთა იყო ძახილი, საკრავი ჰკომობდა მგოსისა.

1008

ქალაქსა შიგან დუმდუმი იყო, კმა საშინელია;  
მოატყდა ერი ყოველი, იყუნენ აჯაბთა<sup>2</sup> მტკმელია;  
მიწა იძროდა კმისაგან, კელი აც ყურზე მცუველია;  
ქალი და კაცი დაჯუროთა ერთმანეთშია ვლეელია.

<sup>1</sup> დედ. — თბილის. <sup>2</sup> აჯაბთ.



1009

ეხუეოდიან, ჰკოცნიან ცხენის ფეკსა და ნალებსა;  
უფროსთა კელთა ეჭირა, გარდააყრიდენ<sup>1</sup> ლალებსა;  
ნახეს ხე ტანი ალვისა, აღარ გაჰყრიდენ თუალებსა:  
იყუნენ ნახუისა მდომენი, ემგზავსებოდენ მითურალებსა.

1010

სადედოფლოსა შევიდენ, დაშუენდა იგი არები;  
შემოეგება იგი მზე, შუილს კოცნის ვით ცისკარები;  
უთხრა: „ციერთა ნაყოფო, ეტლთაგან მოიკუარები,  
მე გამახარე, ღვთისაგან<sup>2</sup> ნუ ოდეს გაიმწარები“.

1011

საწოლს შევიდენ, შეიქნა სიამოვნისა დარები; 306  
ღალია მორთეს საკმეველად, სულსა სცემს იგ ამბარები;  
მათ გაანათლეს სამყარო, დაბუნდა<sup>3</sup> მზე და მთუარები;  
შეიქნა შუება, უკუსრა, აყუაედა სრულად არები.

1012

ბულბულთა შექნეს ყივილი, შეიგნეს გაშლა ვარდისა;  
ბალსა შიგ დარბის, უხარის, კართა არ გამოვარდისა;  
აღარად ახსოვს სარჯელი, არცა შემოყრა დარდისა;  
სიმხიარულემ შეშალა, კენარსა შიგან დარბისა.

1013

მზემან მოჰფინა სიელვე, ყოველთა ზედან სადარობს;  
თქუა: „მიპოვნია რაყიბი, თუცა ჩემებრივ სადარობს;  
მას გუერდით უნდა სიამე, ანუ უჩემოდ სადარობს,  
იტყუის: „ლახუარსა ნუ შემყრის, მისგან მამკიდებს სადარობს“.

1014

მეფემან ბძანა: „ღვთისაგან მაქუს შუება დაუთულელია;  
რა ცოცხალ ვიყო, ვადიდო, მისი ვქნა საწადელია;  
გლახათა მივსცე საჭურჭლე, მუდამ კარგისა მქნელია;  
დღეთამდი რაცა შევსცოდე, მის შენდობასა ველია“.

1015

კახთა შეიტყუეს, მომართეს ვინც იყო ყმა და ბერია, 307  
შაჰნაზარ მეფეს იახლნეს, შეექნეს ფეკთა მტუერიი;  
მიულოცევდენ ყუელანი, სიტყუა თქუეს დასაჯერიი;  
იპოვეს მათთუის პატრონი, ტახტისა შესაფერიი.

1016

კემწიფემ ბძანა: „ნადიმი გუმართებსო ამა ჯარისა,  
ლხინი გავმართოთ ძლიერი, კაცი იტყოდეს: „კმარისა“;

<sup>1</sup> დედ.—გარდაყრიდენ. <sup>2</sup> ღ-თისგან. <sup>3</sup> დაბუნდა.

სულ მოვაწუივით თავადი, ტევნა არ იყოს სარისა,  
ტკბილად მივეპყრათ ყუელასა, ფასლი გაზორდეს მწარისა“.

1017

დაჰპატიჯეს დიდებულთა, დიდი ვინა, ანუ წულილი,  
კახნი ცალკე გარდიწუივეს, იგ უფროსთა კაცთა შუილი;  
მარჯუნით ქართუელთ თავადები, ყუელა გმირთან გამოთულილი;  
კარში კაცი აღარ დარჩა, იქნეს შინეთ შემოვლილი.

1018

ტახტზე სდენ ორნი მეფენი, მათ დააშუენეს არები;  
მიიღეს სუფრა, შეიქნა კამა და ლხინთა ქნარები,  
დალივეს გობი ოქროსი, იმით შეიქნენ მთურალები;  
მკურელთა დაატკბეს მათი კმა, იტყოდენ: „ვარ დალალები“.

1019

ღვინომ დალაკა ყუელანი, არვინ ჩანს ფეხზე მდგომია. 308  
კემწიფემ შესუა თასები, მათზედან ათი ზომია.  
შაჰნაზარ მეფემ მინები დასცალა თუ რაზომია;  
ყუელა წავიდენ დამთურალნი, შეიქნენ არ დამდგომია.

1020

მარტო დარჩენ კემწიფენი, სხუამან გავლო მალედ კარსა;  
მათ ილხინეს ჟამიერად, სიტკბოთაგან დაუმცდარსა:  
ილაღობნეს მათად ფერად, მოიუბნეს განაკმარსა;  
იყოფინეს, გაემართნეს მათ უსწოროს<sup>1</sup> ტურფა სარსა.

1021

დილა გათენდა, მეფემან მოიკმო სულად ჯარია;  
ბძანა: „კახეთი უმეფოდ გდია, ესოდენ კმარია;  
ტახტი ჩუენ დაგუჩა, ქუეყანა<sup>2</sup>, შემცილე არსად არია;  
შაჰნაზარ მეფე მივიდეს, შეამკოს არე მარია“.

1022

მცხეთას მივიდენ მეფენი, კემწიფე მამა შუილია;  
დარბაისელნი თან გაჰყუეს, ყუელაი მათკენ ვლილია. •  
სუეტი ცხოველი დიდებით ღვთისაგან მის წილ ქმნილია.  
ანგელოზთ დასი უგალობს, მაცდური გარდავლილია.

1023

შუილს შეაფიცა კახები, ვინც იყო მუნებურია; 309  
მტკიცედ იფიცეს ყუელამა კემწიფის გუნებურია;  
შეჭურფინვიდიან პატრონსა-მისთა სიტკბოთა მსურია;  
სტავრით შემოსა ყუელაი, არა აქუს დასამდურია.

<sup>1</sup> დედ. — უსწოა. <sup>2</sup> ქუეყან.





1024

მოიკმო ჯარი ქართულთა, კახეთს წასულისა ნდომია;  
„შაჰნაზარ მეფის სიკეთე არს ჩუენგან მოსანდომია“;  
შესთულა: „ადრე იარეთ, არა ვარ აქა მდგომია;  
შემამეყაროს ლაშქარი, ვინ იცის, თუ რაზომია“.

1025

აემზადნენ კემწიფენი კახეთისკენ წასასულელად;  
გამოზიდეს სამძიმარი, რაც რამ იყო გადგეს ველად;  
აქლემი და ანუ ცხენი ასაკიდად, დაუთლელად.  
მათსა ეგზომ სიდიდესა ვით გაუვალ, ვიყო მთქმელად.

1026

გადგენ, მიუძღვის კემწიფე მალალი, მეტად დიდი<sup>1</sup>;  
მტერი გაწყუიტა ყოველგნით, აღარ სადა ჩანს რიდი;  
აქუსთ ტირილი და ვაება, სფაადის გარდამკიდი;  
თემზე მოჰჭინა სახელი ქუეყნისა დასამშუიდი.

1027

კახეთს მივიდენ, შეიქნა გახარება და შუებანი; 310  
მომართეს ამა ლომგულსა, მათ არ მიეცათ ვნებანი;  
შემოეხუივეს ყმაწუილსა, შეჰკადრეს დიდად ქებანი;  
ნალარას სცემენ, იძახის, მოიკმიანობს ებანი.

1028

მოვიდა მეფეთ ზოკელე, ვინცავენ იყო, წინასა;  
გარიგდა კარი ყოვლითურ, გარეგანთა და შინასა;  
სიფთხილე ჰქონდა ჭიჭისა, ვინ იბარებდა მინასა.  
თემთა გავიდა მშუიდება, კელსა იღებდენ ინასა.

1029

შეიქნა ლხინი უზომო, ყოველგნით შექნეს ზღერანი;  
სიხარულთა აიგსნეს, საკრავს გაჰქონდა ჟღერანი;  
მათ სიამოვნე მიეცათ, ვით რა მოვსთუალო მე რანი!  
დამდიდრდა აზნაურები, არა სჭირს დასამცერანი.

1030

შაჰნაზარ მეფე ტახტს დასუა ამა ქუეყნისა მპყრობელმა;  
თავსა გუირგუინი დაადგა მამამა, მისმა მშობელმა;  
აკოცა, ტკბილად დალოცა არეთა შემამკობელმა;  
გუერდსა დაუჯდა, უკუყრით, მისად სიცოცხლედ მკმობელმა.

1031

მიულოცევდენ თავადნი, ვითა მართებდა წესითა; 311  
გარდააყრიდენ წითელსა, მოუტანიათ ზესითა;

<sup>1</sup> დედ. — დიდა.



ლოცვედენ მათთვის მფარველად, იყუნეს სიამის მქნესითა;  
ქარანა ყუიროს, გაჭქონდა იგ სპილენძ ქური კუნესითა.

1032

უფროსი, ვინცა მოკელობს, წინ იღვის გარიგებითა;  
თული უჭირავს ყოველგნით, არის პატრონის რგებითა;  
კარზე დგას მანდატურები მათისა სარანგებითა;  
სხუა ვინცა იყო მერიგე, თავისა წასაგებითა.

1033

თქუეს: „ლხინი გუმართებს უწყუეტლად, შევსუათ თასი და  
მინები;

კემწიფე ვპოვეთ ღვთისაგან<sup>1</sup>, გაშორდა მოსაწყინები;  
ჩარა დავიდგათ ოქროსი, დაგუმართოს მისაწყინები;  
ლხინს ძალი მივსცეთ ყუელაში, აქ ვიყოთ ვინცა ვინები“.

1034

შეიპატიჯეს თავადნი, მეფეს გუერდითა ზჰიდესა;  
ქამა გამართეს, გაისმეს, ვითა მართებდათ, სმიდესა;  
ღირსი ვინც იყო იახლა, უღირსთა არ დასმიდესა;  
უცოდნელსა და უგბილთა კარშია გამოჰყრიდესა.

1035

გარდიკადეს ლხინი ესდენ, არ ასმია კაცსა აროს. 312  
ვინ არ დახუდა მას ჭამასა, მართებს თავსა დაიბაროს.  
უედებოდა ტახტოსნობა, ვის მიუგავს ტანი საროს.  
თქუეს: „ზნე სრულმან ღღეის უკან მავნე ყუელგნით გაამწაროს“.

1036

კაცი მოვიდა სახუეწრად ლეკთა, თუშთა და დიდოსა;  
თქუეს: „მონანი ვართ მეფისა, საყმოდ ვინ დაგერიდოსა?  
მეუნებლენი ვინც იყოს, თქუენ კლმითა დაგემშუიდოსა.  
გაოკრდეს მისი სამყოფი, ვინცა ვინ წაგეკიდოსა“.

1037

შანა უბოძა, წავიდენ კაცნი თავისა ნებისა;  
გული დაედგათ დიადი, შიში გაშორდა ვნებისა;  
მეფეს ლოცვედენ დიდებით, რა გითხრა მათგან ქებისა!  
თქუეს: „ვნახეთ უცხო კემწიფე, მათებრი არ იქნებისა“.

1038

ერთს თუეს დადგა შარიერი შუილის საქმის სამართავად;  
გაარიგა<sup>2</sup> ყოვლი რიგი, კარგად რასმე, არ თუ ავად;  
ერთგულთ<sup>3</sup> მისცა უმარავი, ორგულთ ცეცხლი დასანთქმავად;  
ვითა შესჭირს ვგრე ბძანებს, გაისაჯა თუითვე თავად.

<sup>1</sup> ღედ. — ღთისაგან. <sup>2</sup> გარიგა. <sup>3</sup> ვრდგულთ.



1039

313

კემწიფემ ბძანა: „წასულა კამს, დავყავ ეზოში ხანია;  
საქმე გარიგდა ყოველი, ტახტს დავსუი სულთა დგმანია;  
ხანი გამოკდეს, კულავ ვნახოთ მთუარულებ მონავენია;  
ამბვის საცნობლად მონანი ვაახლოთ სხუა და სხუანია“.

1040

შაჰნაზარ მეფე დაქმუნდა მამისა მოშორებითა;  
ჰკადრა: „სუაადო, უთქუნოდ ჩუენ რა ვიამოთ შუებითა?  
თქვენის ხლებითა ვილხენდი, ვითა მეწადა ნებითა;  
რა წასულს გნახავ მასუკან სევდითა ავიესებითა“.

1041

მეფემა ბძანა: „უშენოდ ამა სოფელსა რა მინა?  
ჩემად სიცოცხლედ გიგონებ, ვინ საესობ ვითა რამინა!  
გულის ვარდი ხარ გაშლილი, ფერად მართ ვითა რა მინა.  
ვისი დავობდა სამისოდ, ვერ შეიერთა რამინა.“

1042

მოგუძებნიდი ჟამიერად, მოარებდი მზეებრ<sup>1</sup> ტანსა;  
თუალთა ჩენა მოგუემატოს, შუაგულთა დასატანსა;  
შენ გიჭურიტო, ლხენა მამკუდეს, სხუას რას გნუკავ მოსატანსა?  
ზნე სრულსა და პირ მართალსა, ტანად საროდ ანატანსა“.

1043

314

გამოესალმა კემწიფე, შუილი დააგდო<sup>2</sup> მუნარე;  
ტახტი დაუგდო მეფეთა, არა სჭირს დასაწუნარე;  
გაჰკუირდა ყოვლი სულდგმული, აქეს მეფისა ჰუნარე;  
ეხუევოდიან სამიწოდ, არა გავს იყონ მგუნარე.

<sup>1</sup> დედ. — მზეებრ. <sup>2</sup> დააგო.

ქართული  
ენის  
ინსტიტუტი

**XLIV. აჲა აჲა მაღალმა ხაზნიჲმან დადიანს ლჲვანს მიხი  
ხასურჲელი ასული თამარ საღმდოჲლოდ მიხცა  
და ნიჲანი მოუბანეს.**

1044

დაიპყრა ყოვლი ქუეყანა აჲა კემწიფემ მკლავითა;  
სადაც მიმართა მებძოლსა, შეიპყრა დასადავითა;  
დაიმორჩილა მეფენი მარტო თავისა თავითა;  
ქუიშის უმრავლე ლაშქარი იახლის მეტად ზუავითა.

315

1045

ლევან კემწიფეს ოდიში უბოძა, ზღუისა კიდები,  
სალარო ძუირად საფასო, აქლემთა ანაკიდები,  
სტავრა საფრანგეთს ნაქსოვი, ოქროთა განაზიდები;  
მოყმენი დაიმორჩილა<sup>1</sup>, თავადი მეტად დიდები.

1046

გურიას დასუა ცოლის ძმა, იგ გამკდარიყო ვერანად;  
ქუეყანა შექნა მდიდარი, კაცთაგან დასაჯერანად;  
ცხენი მისცა და აქლემი<sup>2</sup>, ჩინჩალა, მეტად მერანად;  
მისცა უფლება ყოველთა, ვერა ქნან დასამკერანად.

1047

იმერეთისა მეფობა ბაგრატს უბოძა ყუელანი;  
გაულარიბა, დაჰკარგა პირველ სიავის მქნელანი;  
გამართა თემი, ქუეყანა, დაშუენდა ტყე და ველანი;  
ვერაჲინ ჰკადრებს უშუერსა, თავს დააყენა<sup>3</sup> მცუელანი.

1048

შვილი, შაჰნაზარ, კახეთსა ამეფა, ტურთა სარებსა;  
დაამორჩილა<sup>4</sup> მოყმენი, იგ გმირთა დასაბარებსა;  
კელ გაშლით იყო მჯდომელი, არა იქს დასაბარებსა;  
უძრწის და მონებს თავადი, ვინ ჰკადრებს გასამწარებსა.

316

1049

თუით თბილისს<sup>5</sup> დაჯდა კემწიფე, ბედნიერობით სრულია;  
შეიქნა ლხინი, უკუყრა დაწყისით, დასასრულია;  
ბალი ყუავის და წალკოტი, იგ ალვა აღმართულია,  
[მე]ფე ლალი და უკადრი სალხინოდ მომართულია.

<sup>1</sup> დედ. — დამორჩილა. <sup>2</sup> აქლემი. <sup>3</sup> დაყენა. <sup>4</sup> დამორჩილა. <sup>5</sup> თბილის.



1050

ნურავინ<sup>1</sup> ხედავთ საწუთროსა, ჰქონდეს თქუენი სიბრალული;  
ვერ გაუვალ მოსათქმელად, რაც მასმია მისგან ქმნული;  
დაუნდო და მუხანათი, სიაფითა დანერგული,  
მივინდობს და შეგილიზღებს, ბოლოდ შეგქნას დადაგული.

1051

კელვავ მიწამან ფეშანგიმ ამა წიგნისა წერასა;  
სიტყუა დავხუანჯე ცთომითა, ვერად ვაუბენ ენასა;  
სად მივსწუდებოდი საქებრად ამა ციერთა ზენასა?  
თქმა რუსთუელს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა?

1052

ლმერთო<sup>2</sup>, გიაჯი ისმინო, რომელი თაბორს ზიანი; 317  
დღეგრძელობაში აკმარე მეფეს შაჰნავაზიანი;  
სუფევით იტახტოსნობდენ თუით მისი პირად მზიანი;  
ეტლი საკეთოდ მოურთვევ, არსით მოეზლოს ზიანი.

1053

კახეთს ვიახელ მეფესა, მზეებრ მცხინარედ ტკბილისა;  
მიბძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა;  
რაცა მენახა ვიუბენ, მონამა მათის ჩრდილისა;  
ვარდი მოვჰკრიფე უეკლო, ცუარით ავსილი დილისა.

1054

უსწავლელმან და უშუერმან ძლივ გამოვაგე ენანი;  
ვერ ვაქე მათად საფერად, ამაზე მამუღა მე ნანი;  
არ დამიგმობენ პასუხსა, თუ სადმე ნახუენ ბძენანი;  
მიმიკულებიან ნათქუამსა, მათ აქუს სიტყუათა სმენანი.

1055

ზეცას ასულვარ საქებრად, ქუესკნელი მამირბენია;  
ამოსავლეთით დასავლეთს რაც ვნახე, ვიუბენია;  
ჩრდილოეთი და სამკრეთი ერთმანეთს მოვაბენია;  
სიტყუა მოვკრიფე, ვასინჯეთ, თუ რაგუარ დავაბენია.

1056

აწ შემასმინეთ მეფესა, სარჯელი გამიგონოსა; 318  
საუბარნი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა;  
წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა;  
სულზე მამასწორას რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა.

<sup>1</sup> დედ. — ნურავინ. <sup>2</sup> ლ'თო.





LV. აქა ამა მალაღმა ხმფიფიან მის უსწოროს ხასუკველის შუი-  
ლის შაჰნაზარ ხანის ნახუა მოინდომა. ქაბთუელთ თავაღმეს  
წიგნი მიუწარა და წამსა მაწინვე შემოქაარნეს და ქახეთისაკენ  
გაემართეს მხიარულისა გულითა და მცინარისა პირითა.

1057

ხანი გამოკდა, მეფემან ინება შეყრა შეილისა; 319  
ბძანა: „შაჰნაზარ მამსურდა, ვინ სჩანს ალვისებრ შლილისა,  
კახეთს ზის ლალი, უკადრი, იგი სატახტოდ ქნილისა“.  
გააგეს<sup>1</sup> საქმე ყოველი, აყრა შეიქნა დილისა.

1058

თავადნი და დიდებულნი, ვინცა<sup>2</sup> იყუნეს, იქმეს მალედ;  
ნახეს წიგნი, თავს დაიდვეს, იქნეს სიტყუათ გარდუვალედ;  
მასვე წამსა წამოვიდენ, იგ სასწრაფოდ იყუნეს მლაღედ;  
შეეყარნეს შარიერსა, თუცა იყუნენ დაუცალედ.

1059

თბილისიდამე გამოდგა მეფე მალალი, სუიანი;  
გუერც ახლავს ჯარი მრავალი, ნაქებნი, მეტად კლმიანი;  
მათთა მებძოლთა დამკოცნი, არ დაულონ ზიანი,  
ყულეაი მედგრაღ მორთული, მტერზედან ამაზრზიანი.

1060

შაჰნაზარ მეფეს მიესმა ამბავნი გასახარონი;  
ჰკადრეს: „მოვაო კემწიფე, კეისრის დასაღარენი;  
გუერც ახლავს სპანი მრავალი, მოუცავს მთა და ბარენი,  
აქას გავს მათის შიშითა ქუანი შეიძრან მყარენი“.

1061

გაიხარა შაჰნაზარ ხარ რა ისმინა მან საამო; 320  
ბძანა წინა მიგებება, ცხენსა შეჯდა თუალის წამო;  
მისჩქარობდა მამის ნახუად, არ ინდომა საქმე ამო;  
მოემართა, წამოვიდა, ნდომა ჰქონდა თავის გამო.

1062

მან გამოვლო გზანი გქელნი, დაიყოენა ხანი არსა;  
მისებრ ტურფა კორციელი შეუქნია ძუიროდ არსა;  
მას შეშუენის საქციელი ეტლსა შორით დასაღარსა;  
ცოცხალს მეტად ლხინი გააქუს, წამოდგომა მოუც მკუღარსა.

<sup>1</sup> დედ. — გაგეს. <sup>2</sup> ვინც.

1063

შემოეყარა უჯარმის მეფე მას ტკბილსა მშობელსა,  
სულის მისისა საყუდსა, მისთვის თუალთ ჩენად მკმობელსა;  
ნახუისა მეტად მდომესა გაყრისა ვერ დამთმობელსა,  
სამოთხედ სატრფიალოსა, უხუად გულითა მლბობელსა.

1064

შეიყარნეს მათის ნახუით, სულ ნათობდა ბნელთა არე;  
მოეხუივნეს ერთმანერთსა, დააბუნდეს მზე და მთუარე;  
შარიერმა გარდუკოცნა პირი ვარდთა დასადარე;  
შეილი კელთა საკოცნელად ეძგერების არ საგმარე.



**LVI. აქა შაჰნაზარხან მის ტკიბლს მშოგელს ხეშვიფუს მაჰანს 321**  
**შეგოეჰაჰა. მათსა მაშინდელს სიამოვნებს ვინ მოსთულის,**  
**თუ რის სიამოვნით გაიხარნეს და ან რაოდენი ღვინი**  
**შეჰრაჰე გარდაიხადეს და მას უჰან ქახეთისაჰენ**  
**გაუქლუა, წავიღენ.**

1065

სადგომისაჰენ მიმართეს, ლაღობდენ ტკბილად ენითა;  
 გუერც ახლდენ დიდნი თავადნი, იღბენდენ მათის მზერითა;  
 ვაჟკაცთა ჰქონდა უკუყრა, იყუიან ცხენთა დგენითა;  
 ღვინი გამართეს, შეიქნა საქმენი გასაჩუენითა.

1066

კუიბა ერთსა არ დაიძრენ, საყუარლობდენ მათად ფერად;  
 წართეს სუფრა აუღებლად, იყუნეს კაცთა დასაჯერად; 322  
 იშუებდენ და თამაშობდენ, მკურელნი იყუნეს ამომღერად;  
 შათ ისურნეს ეზომ გუარად, აწ უქები დავდგე მე რად.

1067

შუილი გაუძლუა ლომგულსა, კახეთისაჰენ ვლიდესა;  
 გომბორს გარდაკდენ მეფენი, საღვინოდ არ დამრიდესა;  
 მუნით ჩავიდენ ირტოზას, დადგენ წალკოტთა კიდესა;  
 კარგები დადგენ ფერადი, სიმრავლეს ვერ დასთულიდესა.

1068

კახნი მოვიდენ თავადნი, უკეთესისა გუარისა;  
 მათ მოსდევს აზნაურები, მთისა სად იყო, ბარისა;  
 ჩალათი მისცეს ყუელასა, ვერა თქუეს დასაბარისა;  
 გროვა შეიქნა, იტყოდეს, სხუა კაცი არსად არისა.

1069

იქით ლეკთა მოციქული გამოგზავნეს, მალედ რბოდა;  
 რაც იცოდა შარიერსა ჰკადრა, მის შეტს რას იქმოდა;  
 ეთქუა: „თქუენი სამსახური გულით ჩუენით გამოვრბოდა;  
 თუ გუიბძანებ, გიახლებით, გამოვლაკოთ მიდამოდა.

1070

თუარემ აქათ მიუკდები, ვინ თუშეთსა არი მჯდომი; 323  
 კელთ დავიქერ, გუერც გაახლებ არად მინდა მათი ომი;  
 დაღისტანსა სულ შევიყრი, ლაშქარი მყავ თუ რაზომი;  
 თუშეთისა ვაოკრებად არ ვიქნები მოუნდომი“.

1071

მოისმინა კემწიფემან მოციქულმა რაცა ჰკადრა;  
მალ მიუგო საუბარი, გონებითა რაცა სწად რა;  
ბძანა: „დიდად დაუმაღლე, რადგან ჩუენკე მოიადრა;  
ვიციტ მტერი ვერ დაუდგამს, არცა უნდა გზისა ბადრა“.

1072

შეუთულა: „მოკმარება ჩუენი გეთქუა მაგა მკნესა;  
თქუენი სიტყუა გაგუაგონეს, სხუას რას ვისმენთ უამესა?  
მტერსა ზედან არას გაგრჯით, ჩუენ ვეყოფით ავის მქნესა;  
მიუკლები, თუშსა გავსწყვეტ, ჭირსა შევჰყრი უარესსა<sup>1</sup>“.

1073

გაისტუმრეს იგი კაცი, დააბარეს<sup>2</sup> რაცა კამდა;  
კემწიფე ჯდა მხიარულად, უკუყრიტა კარგა ზამდა;  
ლხინობდა და ნადიმობდა, დაუკლებლად სუემდა, ქამდა;  
აწ უყურეთ ორგულეგსა, თუ რა მორთონ თუალის წამ და!

<sup>1</sup> უარესა. <sup>2</sup> დაბარეს.

LVII. აქა იმა მუხანათმა და ხაინმა უოჩიბაშმა ბარამ 324  
 შარიბრის ოგზულთა მოინდომა და ეჩეკლეს საბიკა-  
 ბელი და სათხამაო წიხნები მისწება და ესე შეუთუალა:  
 ორნი მფენი ულაშკროდ აქა ღვანან, თუხნი ზმიყარა  
 და თამსა დავისხათ უცილოდ.

1074

ბარამ იყო ყორჩიბაში, კაცი ეშმაკთ საესავი;  
 შუილები ჰყუა სატანისგან, სათაელსა უფრო ავი;  
 მათ ინდომეს ავეზით წასულა, შეიხუივეს ჩხუბით თავი;  
 თუშეთისკენ საქმე მორთეს, სიავისა დასაზავი.

1075

ერეკლესთან საბირებლად კაცი გზავნეს მასვე წამსა; 325  
 შეუთვალეს: „შენი ვართო, ჩუენ გიშოვნით დრო და ეამსა;  
 სხუას კაცსაცა მოვიყენებთ, საორგულოდ ვინცა ზამსა.  
 თქმულა: კაცი მუხანათი თავისავე სისხლსა სუამსა.

1076

ორნი შეფენი აქა ღვას, არსადით შესდგამს რიღია;  
 სმენ და ნიადაგ ლხინობენ, შეჰქნია დასამშუიღია;  
 ლარი უყრია უზომო, სათქონოდ გასასყიღია;  
 ცხენმა, ჯორმა და აქლემმა<sup>1</sup> მინდორი მოსცეს დიღია.

1077

ლაშქარი ყუელა გაუშუეს, სუბად როგორმე დგებიან;  
 სჯობს ლამით თავსა დავესათ, არა იქ არ ეგებიან;  
 თუში და დიღო შეჰყარე, სხუაც ბევრი გამოგყუებიან,  
 კევსურსაც შეატყობინე, იქ ცუდად რას ეყრებიან“.

1078

ეს ამბავი შეუთუალა, კაცმან იწყო მალედ რბენა;  
 მივიდა და მოახსენა, მან იკმარა ფლიდი ენა,  
 ვაესა გული აუჩქარდა, იწუა, ფიცხლავ ააყენა.  
 აწ უყურეთ, მოჩხუბარმა თუ რას საქმეს წააყენა!

1079

ყორჩიბაში შუილებითურთ წაუვიდა შარიერსა. 326  
 ბოდბელია, ჩხუბით სავსე, მიკუირს რა რჯის იმა ბერსა?

<sup>1</sup> აქლემმა.





საღთოს გზასა არ წაივლის, სდევს ლახუართა დასადგერსა.  
მაშინ ნახოს დღეის იქით გარეოდეს შიგან მტუერსა!

1080

რამაზიშვილი თან გაჰყუა, სიავის დანაბაღია;  
თქუა: „საქმეს მოვრთავ სამტეროდ მე მათი დანაქადია“.  
უკუღმართსა და უშუერსა ცუდი აქუს დანაწადია;  
რჩევა წაუკდეს, მაშინლა იტყოდეს, თუ რა ვქნა ღია.

1081

თუშეთს მივიდენ; ერეკლე ნახეს და შექნეს ქადილი;  
აცნობეს ღლილუსა, დურწუკსა, უქადეს მათი ბადილი;  
ფშავნი, კევსურნი აწუივეს, ისრულეს მათი წადილი.  
ბოლოს სცან: ყუავსა, ყორანსა მათზე ვით ჰქონდეს კადილი!

1082

შემოიყარეს ლაშქარი, ცხენოსან ქუეითიანად;  
წინეთ ერეკლე მოუძღვის მცირესა მისის ყმიანად;  
მთასა გარდმოკდენ, რჩევა აქუს: „დღეს უნდა ვიყოთ მკრიანად“.  
მაგრამ ბოლო ეამ ამოსწყდენ, მათ ეყოფოდეს ზინანად.

1083

ამოარჩივეს ჯაშუშად შუიდი რუა თუში მათია; 327  
უთხრეს: „მიმართეთ მეფესა, შეელიზღენით რათია;  
ჰკადრეთ: „მონა ვართ დღეითგან, წელნიცა დავყოთ ათია“;  
ხალათს ჩავაცუამს, წამოდით, თქუენ მოიხმარეთ ხლათია“.

1084

წამოვიდენ იგი კაცნი, მისჩქარობდენ მეფის სარსა;  
ლაშქარშია შემოვიდენ, ოდენ დილის ეამი არსა;  
მეფეს ჰკადრეს: „ყმანი ვართო, არ გაუშვებთ ამა კარსა;  
სიკუდილამდი სამსახურსა ჩუენ დავიწყებთ მთა და ბარსა“.

1085

კემწიფემან მოისმინა მათ მონათა რაცა ჰკადრეს;  
უბძანა თუ: „ნურას სტყუებთ, თუარ სიკუდილი მოგიადრეს;  
ორგულთა და შემცოდეთა ამა სპათა დაცაგფადრეს;  
ერთგულს<sup>1</sup> კარგად მოგეპყრობი, ყუელას გიზამ მოსაწადრეს“.

1086

ყუელას ხლათი უბოძა, თავს მიწას დააკლიდენო;  
ამრიგად მადლსა იკდიდენ, ქებანი არ დარიდენო;  
გამოეთხოვენეს, წავიდენ, გზას კარგად მოიკმრიდენო;  
ერეკლეს წინა მივიდენ, ნახულსა გარდასთულიდენო.

<sup>1</sup> ერთგულს.

1087

ჰადარეს: „ვნახეთო კემწიფე, ნიადაგ ლხინად ჯდომითა; 328  
გურეც ახლავს ჯარი მრავალი, მათ ვერას ავნებ ომითა;  
კეისარს უგავს სიდიდე, რა იგი ვნახეთ ღვომითა;  
ვიცი, თქვენზედა შეძლება მეტი აქუს ათის ზომითა“.

1088

ხოხონა დია გაუწყრა, მათ კაცთა უთხრა მწარენი:  
„შეშინებულხართ, ჯაბანთა ცუდად გივლიათ არენი;  
ან შეგიფიცავ სამათოდ, მით გაძეს დასაბარენი;  
მართალსა მალავთ, ტყუილსა იტყუით თქვენ შეუგუარენი“.

1089

უთხრა თუ: „მათი ამბავი მე დია ვიცი ყუელანი;  
სიმთურალით ეძინებიან, კარზე არ უდგა მცუელანი;  
შუალამ თავსა დავესხათ, საქმე მივაპყრათ ძნელანი;  
სისხლისა ლუარი ვადინოთ, წითლად შევღებოთ ველანი“.

1090

ბარამ თქუა: „მეფე შაჰნავაზ არის დიდი და ძრიალი;  
მას ახლავს შუილი შაჰნაზარ, ადვილ ვით შეექნათ ყრიალი;  
რა შეიტყობენ, მაშინლა სცნათ მათგან კმალთა ბრიალი;  
მოგუეგებიან საომრად, მოგუეკუდების მწარედ რიალი“.

1091

მაგა რჩევასა ესე სჯობს, ისმინეთ ჩემი თხრობილი: 329  
გრემს დავდგეთ, კაცი გავგზავნოთ, იყოს მათგანა კმობილი;  
ტკბილი შეესთუალოთ პასუხი, არ იყოს სიტყუა გმობილი;  
ნუ თუ მოგუეკედოს წყალობით, არ დავრჩეთ ლახუარ სობილი.

1092

თუ არ დაიშლით<sup>1</sup>, გააგეთ საქმენი საკუეხურია;  
მაშინლა ნახოთ ნაქმარი, რა ნახოთ მოსამდურია;  
ველარას მეტყუით საბაროს, თუ არ მამიგდეთ ყურია;  
თქვენად საომრად, იცოდეთ, არა მშურს მუნებურია“.

1093

არ უსმინეს, მასვე წამსა წამოვიდენ მუქარობით.  
მას ლამესა შარიერი ლხინად იჯდა მღერა ნობით;  
ჯარი ყუელა გურეც იახლა, ვინცა იყო კარგის ყმობით;  
გარ მეთოფე შემორტყმოდა, მერისათუი დასამეკობით.

1094

ალაზანს გამოიყარა იმა მთიულთა ჯარია;  
წინ კახნი მოუძღუებიან, ვინ არი ჰქუით მცდარია;  
შემოიარეს მინდორი, მართ შუალამე არია;  
მომართეს დიდსა მეფესა, არ დარჩენ უომარია.

<sup>1</sup> დაშლით.

LVIII. აბა ეჩეკლე მძიმის ლაშქრით ამა ორთა ხახელთანთა 330  
 მფეთთა თავს დაესხა შამსა შუალამისა. იახლა თუში,  
 დიდო, ლდილუი, დუჩუჟი, ფხაველი და ხემსუკი, მავრამ  
 ქართულთაგან იძლივნეს ასკა, რომე ეჩეკლე და მცირე  
 ლაშქარი ძლივ მოკრა. დახოცეს, ამოცხუბითეს ასკა,  
 რომე ცათა ღმერთი<sup>1</sup> შებარისხეს. ზოგმა ათი მოკლა,  
 ზოგმა ცხრა და ზოგმა ხელთა დაიკრინა. ორთა მფეთთა  
 თუით თავის მკლავით ნახოცსა ანგარიშსა ქუიკად აუ-  
 ლებ<sup>2</sup>. კაცი კაცსა ჰკრინან და მითა კაბა მოკლიან.

1095

331

შემოერივნეს ანაზღად, კმალ მოწუდით, ფო დაფარული;  
 სანაპიროსა ეძგერნეს, შამუში უყუეს ქარული;  
 კმასა სცემდიან ურიდლად, საქმე გაუშუეს ფარული;  
 სადაც ეციან, მაშინვე სისხლი აღინეს ღუარული.

1096

ბოლოს იდგა ელის კაცი, სულთანი და მისი ჯარი;  
 მით მოუკდეს, ცემა შექნეს, თათარს ჰქონდა მისაჯარი;  
 ორგნით მოკულა კაცი მრავლად, გაადინეს სისხლი ღუარი;  
 ღამისაგან ვერას ხედვენ, მავრამ ღონე არსად არი.

1097

მეფეს აცნობეს მოკლბომა იმა ერეკლეს ჯარისა;  
 ბძანა: „მოიღეთ აბჯარი, საქმე სცნათ იმა მკდარისა“.  
 ტანსა ჯავშანი ჩაიცვა, დევთა სარკენლად კმარისა,  
 ლაშქართა უთხრა: „იბძოლეთ უფიცხედ იმა ქარისა!“

1098

ვექუ ცოცხალი ვერ მამირჩეს, ჩამივარდა რადგან კელთა;  
 შარიერსა გაუგზავნო, ანუ მივსცე იმა ძელთა;  
 ჩემზე ქანგი ვაიმახუა, შემომართა საქმეს ძნელთა;  
 ზედ მამიკდა საომარად, აწ მე მნახოს ამა ველთა“.

1099

მეფე შაჰნაზარ ცხენს შეჯდა, მათუის სამტეროდ კმარისა; 332  
 ტანსა ბაბრები ჩაიკლა, წარბ შესკუნით, წყდომით არისა;  
 ომი სწადს დია ფიცხელი, კლდესა დაარლუევს<sup>3</sup> მყარისა.  
 შუბი უჭირავს წუერ ბასრი, ტარსა სიმსხო აქუს სარისა.

<sup>1</sup> ღ თი. <sup>2</sup> აულბ. <sup>3</sup> დარლუევს.

1100

მდივანბეგი ცეცხლი ვითა იგ აენთო ვითა ალი;  
შეეკაზმა საომარად, ბდლუინავს ვითა სპილო მთურალი;  
ცხენსა შეჯდა ჯავრიანად, მათი ძებნა გზა და კული;  
ზედ მიუკდა, ჩამოყარა კაცი, ძნელად დასათული.

1101

სარდარი ზაზა მიუკდა ცხენ მალედ, ვითა მეხია;  
ცისა ელუასა უგუანდა, იგ მისგან დანაქეხია;  
შეიჭრა, ჯარი გაწყუიტა, არ მოუცულა ფეკია;  
კაცი კაცსა ჰკრა სროლითა, თითქმის ლახუარსა ეხია.

1102

გუერც ახლდენ ბარათიანი, მათ შეალონეს მტერია;  
თუშნი გაწყუიტეს ცემითა, კმალსა გაჰქონდა მტურერია;  
წინათი რაზმი მოშალეს, ვინც იყო, ყმა და ბერია;  
თავებსა ჰყუეთდენ უწყალოდ, მკუდარი მიწათა ერია.

1103

წინათ წაუდგა სარდალი, მეწინაობა მისია; 333  
მებძოლი გულ ჯავრიანი, გავ სათნო არავეისია;  
თქუა: „სახელი სჯობს ესეა, არ თუ სიცოცხლე მქისია,  
პატრონს წინ მოვკუდეთ ყუელანი, ვიბძოლოთ ღამე, დღისია!“

1104

მარჯუენის დროშის პატრონი, ამილახორად კმობილი,  
ჯავარ სრული და მამაცი, ვინ სჯობდეს კაცთა შობილი;  
შეჭურვილია რკინითა, ლახტი აქუს წელთ ჩარკობილი;  
ნუ ეკობ, მას დღე მებძოლი არ შექნას ლახუარ სობილი.

1105

თვით კოსტანდილე მარცხენით უდგა, ბატონიშვილია;  
ძმა მისი ბაგრატ, აშოთან, იგინიც მასთან ვლილია;  
ჯაჭუი აცუიათ, ჯავშანი, რკინაში გამოთლილია;  
ომს აპირებენ ფიცხელსა, ქუა გაკდეს მათთან ლბილია.

1106

ერისთევები ჰყავს მამდევად მას სახელოანს დროშასა;  
მათის შიშითა კლდენიცა ირყევის, იმტურევეს გოშასა;  
ვერ დაუდგების მებძოლი, დაჰფანტუნ ყოშა-ყოშასა;  
სპილოს მიმართუნ საომრად, რას ახსენებენ ბოშასა.

1107

სხუა მრავალი დიდებული, რაცა ახლავს შარიერსა, 334  
ყუელა რკინით შეჭურვილან, იგი დევთა შესაძგერსა;  
ამას გავს რომ მათის შიშით სპილოსაცა გულსა სძგერსა;  
თქუეს: „მივმართოთ დასაკოცლად კემწიფისა შენამტერსა“.



1108

საქუეთითთა აბჯრითა მეფე მოერთო შალია;  
აილო მშულილი, კაპარკი, ახსენა ღეთისა<sup>1</sup> ძალია;  
თავს ჩაბალახი დაირქუა, ვითლა დაუდგამს სალია;  
ციხეს მიმართა საომრად, თქუა: „გაშოგვუაროთ ქალია“.

1109

წინეთ წავიდა ოთარი, ქუეთობისა<sup>2</sup> ბადია;  
თქუა: „ფანჯრის კიდსა წავართუამ, რადგან მათ დავეკადია;  
სიმაგრეებსა დაუქცევ, საომრად დავეკულადია“.  
წავიდა, ფიცხლავ წაართუა<sup>3</sup>, ყოენება არა თქუა დია.

1110

ყუელგნით მოადგა ლაშქარი, შეიქნა შემოკივილი;  
მწარედ ისროდენ ორგნითვე, ბევრმა ქნა ჩამოკუივილი;  
გულსრულად იბძუის ყუელანი, დაკოდით ჰქონდა ტკივილი;  
ციხეს გარეთი მოგლიჯეს, არ გაუვიდათ ჩივილი.

1111

აწ ერისთავი იესე, ნახე, რის საქმის მქნელია! 335  
შეკაზმულიყო რკინითა, იყო თუშთავე ვლელია;  
შეიქრა, რაზმი გატეხა, ერთი ათასთა მკულელია;  
სისხლისა ღუარი გაუშუა, წითლად შეღება ველია.

1112

თუმანიშული მანუჩარ წინაწინ იყო მავალი;  
შიგან შეიქრა რაზმშია, შექნა რა გარდასავალი;  
კაცსა ჰკრა, ორად გაკუეთა, მისთა მშობელთა სწუავ ალი;  
ლხინი დაჰკარგა, შეექნა ქირზედან გასაცუავალი.

1113

მასთან ნაზირი ბაინდურ ყუირის ვით მთურალი ლომია;  
მიეგება და დაჰკოცა, მათ დაანანა ომია;  
დაქრა, დახივა თუშები, ფეკზე არ იყუნენ მდგომია;  
გიორგი, ანუ ზურაბა მათ მოკლეს თუ რაზომია.

1114

ჯიმშიტა მედგრად იბძოდა, არავის მისცა ზავია;  
კლმითა მიუკდა საცემრად, თუშსა დასთხოვა დავია;  
ოახი მოკლა და მეხუთეს შუბი გასთხარა მწუავია;  
სახელით მოკუდა თუითანცა, ადვილ გასწირა თავია.

1115

თურქისტინიშელი ვინც იყო, მათ გამოიღეს კელია; 336  
მეფის წინ ომი გამართეს, ნახე, რის საქმის მქნელია!

<sup>1</sup> ღეთისა. <sup>2</sup> ქუეთობის. <sup>3</sup> წართუა.



მეწინავენი დაკოცეს, წითლად შეღებეს ველია;  
მკუხედ იბძოდნენ ერთობით, მართ ვითა ცეცხლი მწუფელია  
1116

გაბაანი კლმისა ცემით გაიარეს შიგან ჯარსა;  
დაკოცეს და ამოსწყუიტეს, ველი იტევს ძნელად მკუდარსა;  
თუში აღარ ვაიკითხეს, მათი ღონე არსად არსა,  
მათ სახელი მოიხუტეს, მოეფინა მთა და ბარსა.

1117

სხუანი ვინ იყო თავადი, მათი რა გითხრა ქებანი!  
შუბი ვასუარეს სისხლითა, თუშთ უყუტეს სულ აკლებანი;  
ჭირი მიაპყრეს უზომო, მათ გაუმწარეს შეებანი;  
თავი დაჰკუეთეს, ტანები, შესჯერდეს მიწას დებანი.

1118

შეუტივეს ერთობილთა, ღამე ნათობს შუბთა ელვა;  
ჩამოყარეს თავადები, ცხენსა ჰქონდა მკუდრისა თელვა;  
მას ღამესა რაცა ჰკოცეს, მისდიოდა სისხლთა თელვა.  
მეფემ ბძანა: „გავითენოთ, მაშინ შეექნათ მათი ცელვა“.

1119

კულაყა ბძანა: „სილამითა ვერას ხედავთ, ნუ იბძოლებთ;  
გათენება მოიცადეთ, თუშთა აღუილ მოიყოლებთ;  
მაშინ შექნათ კმალთა ქნევა, ისარსაცა მოისროლებთ,  
მაგა ცხენთა სიმალითა ველთა მეტად მოიბოლოლებთ“.

337

1120

მოუსმინეს შარიერსა, მოდგენ ყუელა მეფის<sup>1</sup> კარსა;  
ილესვიდნენ საომარად, მას დღე ომი მათგან კმარსა;  
გათენებას ინატრიან, მტერი მისცენ გასამწარსა.  
მეფე ბძანებს: „ნუ ისწრაფით, წაგივიდეს ერთიც არსა“.

1121

მას ღამეს რაცა ეკოცათ, ყუელამ მოართუა თავია;  
წინ დაუყარეს მეფესა, ვინ მათი საესავია,  
კულავ გათენებას ელიან, არავის მისცენ ზავია.  
თუშთა წაუხდათ თათბირი, ეტლი უბრუნავს ავია.

1122

ერეკლე მისის ჯარითა ნაპირს დგას გამწარებული;  
თავადიშვილთა ჩიოდა გულ მტკივნად, ღია ვებული;  
თქვა: „მამატყუეს რეგუნთა, ვისგან ვარ აქა რებული;  
რა გათენდების, მტერთაგან გავკლებით სულ აკლებული“.

<sup>1</sup> მეფს.

1123

სიბნელემან მისი შარი მოიძაგა, გადგა ველად;  
შავი კუბრი გაირეცხა, სითეთრემა იგდო კელად;  
ცის კამკამი ჩამოვარდა მოწყალემა დაუთულელად;  
მზე გუმბაზით ამოვიდა ქართულეთათუი კმალთა მცუეელად.

1124

მეფე შეჯდა; შეუბერეს ნაფირსა და ყუირო სტუირსა.  
შაჰნაზარ ხან დაბრუნევდა, ვითა ეტლი გამოსჭუირსა;  
ველთა შუბი შეემაღლა მებძოლთათუი ასატირსა.  
შარიერი მთისა მგზავსად გავს დაადნობს კლდე ქუიტკირსა.

1125

შეუტივეს წინა ჯართა, ვინცა იყო კაცი ქუელი;  
მდივანბეგი შეერივა, მწარედ იბძუის სისხლთა მღურელი;  
მასთან ზაზა სპასალარი მიმუქარობს ტახტთა მცუელი;  
მივიდენ და ჩამოყარეს, კულავ გაიკრეს კმალსა კელი.

1126

ორთა მეფეთა ნაქმარი მოვსთუალო, არ ეგებისა.  
მიმართეს რაზმსა საომრად, ჩანს მტერი გარდემთუელი.  
კმალსა კუეთანი მოსწყინდა, შუბზე რაც აეგებისა.  
ველარ დაუდგენ, გაიქვენ, ეტლი ჩანს მათზე ვენებისა.

1127

ჯარი უკან გაეკიდა, იყო კმობა საშინელი;  
ვინ მოკლა და ვინ შეიპყრა, კაცი უნდა გარდამთუელი;  
ადგილსა და უადგილოს კაცი ჰყრია ვითა მქელი;  
სისხლის ღელე მიჰქუხობდა, შეიღება<sup>1</sup> წითლად ველი.

1128

ალაზნამდი შარიერი უკან მისდევს კაცთა კოცით.  
ჰბევრ ათასი მკუდარიყრია, იგი იყო არ თუ ოცით.  
თავსა სჭრიან კევის ბერთა, არად იყუნენ მათზე მოცუით.  
რაც ცოცხალი მოიყუანეს, მეფეს წინა იდგენ ლოცუით.

1129

უფროსიერთი ლაშქარი უკან სდევს გაქცეულებსა,  
იალბუზის მთამდი მიჰკოცდენ იგ საწყლად დაკარგულებსა;  
ვინც მორჩა, წყლულსა იხუევდა, ძლივ იბრუნებდა სულსა.  
რეგუენი კაცი დასცდების, ვერა იქს სავარგულებსა.

1130

დროშა წაართუეს ერეკლეს, ლაშქარი დაუკოცესა;  
ალარ ვინ შერჩა შინა ყმა, მათ ცოლთა ვერ აკოცესა;

<sup>1</sup> ღვიღება.

თუშთა ქალები ტირიან, ერეკლე არ დალოცესა;  
დედას მიმართა ქუეითი, თავს ოფლი გარდაჰკოცესა.

1131

ყორჩიბაშს შუილი მოუკლეს, მისცეს ნაცუალი ვალისა; 340  
რაცა დასთესა, თუით მომკო, სიავე გარდუვალისა;  
მეფეთა სისხლი შეიდუა, უზომო დაუთუალისა;  
მათ რას მართებდა აყოლა თუშისა, ანუ დუალისა.

1132

ხოხონამ მისი მუქარა გაყიდა ჩალისწონებად;  
მეფის წყალობა მაზედა ეყოფის მოსაგონებად;  
ყმობა დაჰკარგა წყეულმა, აღარ ვის უნდა მონებად;  
მიმართა ძნელსა საქმესა თავისა დასალონებად.

1133

კემწიფენი გამარჯუებით გამობრუნდენ მხიარულად;  
შემოქმედსა მადლი მისცეს, ვისი ჰქონდა შიში გულად;  
თქუეს: „მოგუკედე წყალობითა, მტერი შეჰქენ დაკარგულად“.  
მათ ლაშქართა ერთობილთა ღმერთი<sup>1</sup> აქეს სიტყუა ხრულად.

1134

ნაომარზედან მოვიდა მეფე ლომგულად სრულია.  
ნახეს: ხუფთანი სისხლითა იგ ჰქონდა სრულ გასურილია;  
შუბი ნალულითა ნაწროთობი ეკმარა გაბასრულია;  
კმალსა ეკუეთა ნაფეტი, ეყარა არ დამცდრულია.

1135

თან მოჰყუა მეფე შაჰნაზარ, ომითა დამაშურალია. 341  
კემწიფე გარდაეხუია, შუილს გარდუკოცნა თუალია;  
უთხრა: „ღვთისაგან<sup>2</sup> წყალობა ჩუენზედა გარდუვალისა  
გავსწყუიტით ჩუენი მებძოლი, უზომო, დაუთუალია“.

1136

მოვიდენ სპანი ყოველგნით, იგ ომთა გამამკიდენი,  
მოიღეს თავი თუშისა ცხენ ჯორთა ანაკიდენი;  
ზოგს ათი მოაქუს, ზოგს ხუთი, მტერისა წამამკიდენი;  
მიულოცევდენ მეფეთა, თავით აიგსო კიდენი.

1137

მადლი უბძანა ყუელასა, წყალობის მოიმედეთა;  
კულავ ხალათითა დამოსა, მათ მაზე თუალთა მგებეთა.  
თავებს<sup>3</sup> ტყავები დააძურეს, უბძანა: „თივით ტენეთა,  
გოგრისა კოშკი ამართეთ, ზედ ვირი მიაყენეთა“.

<sup>1</sup> ღთი. <sup>2</sup> ღთისაგან. <sup>3</sup> თავებ.

1138

სამჯერ ათასი თავები ქუითკირში დაატანესა.  
თუშთა სახსოვრად ეყოფის, თუ კკუანი დაიტანესა.  
რა კოჭვი ნახონ თავისა, ახსოვდეს იმა ხანესა,  
ზავი არჩიონ, მსახურონ, რა ესე მოინახესა.

LIX. აქა ესე ღვთისაგან<sup>1</sup> გამარჯუებული და ღიღის სანთ- 342  
 ლით სანთ მფთთ მფთ შანანაჲ და შუილი მისი ქანთა მფ-  
 თე შანანაჲ ნომარაჲ მოვიდენ. პირვეს წინ მახარობე-  
 ლი გაგზავნეს და აცნობეს მსოდენ წაპლობა ღვთისა<sup>2</sup> და  
 რა იგი ქაცი განსტუმრა, მას უჰან დაქუთილი უანგა-  
 რიშო თავები მოიღეს. და კარგსა და მცოდნეს მწიგნო-  
 ბას წიგნის დაწერა უბანეს. და შავ შაკიერს წინ გაუ-  
 გზავნეს გონიერის ქაცის ხელითა. და აცნობეს  
 გამარჯუება ესე.

1139

პირმზეს წინ მახარობელი ქაცი გაგზავნეს რბენითა; 343  
 შესთულეს: „ღმერთმა<sup>3</sup> წყალობა ჩუენზე მოიღო ზენითა;  
 ისმინე ჩუენი ამბავი, მტერზედა რაცა ვქენითა;  
 დავკოცეთ, ამოვსწყუიტენით, არ დაითულეგის ენითა.

1140

ერეკლე გარდაგუებუწა, იგი საწყალი ბედიითა;  
 ვინც მოჰყუა, ყუელა დავკოცეთ, მით თავი გაიბედიითა;  
 ჩუენ დაგურჩა მათი ახთარმა, ვართ ღვთისა მოიმედიითა;  
 სახელი ვპოვეთ უზომოდ, არ ცუდად დავიყუბედიითა.

1141

ქაცი მივიდა სასწრაფოდ, ამბისა მბობად სჩქარობდა;  
 პირმზეს უამბეს ყუელაი, სიმზიარულედ კმარობდა;  
 ღმერთს<sup>4</sup> მადლი მისცა დიადი, ხუეწნასა არა ზარობდა;  
 იტყუის: „ყოველთა მოწყალევ, ვინ გესავს, არა მცდარობდა“.

1142

მახარობელსა უბოძა მრავლად, აავსო<sup>5</sup> ლარითა;  
 იგ ხალათითა შემოსა, არ იყო დასაზარითა,  
 მოქალაქეთაც მისციან, ქაცი აავსეს კმარითა.  
 სიმზიარულე ვაქართა, სულდგმისა დასადარითა.



XL. ამა ამა უსწოროს ხმანივის გამარჯუება და პაითან 344  
თავების გაგზავნა ზომით დავსწავით, მაგარს სძმისაგან  
უცალოდ ვიყავით. და გაგზავნის რჩევა და თუშთა  
ზედა გამარჯუება და თავების გასტუმრება ამ  
შეიძნა უშელანი.

1143

მეფემ ბძანა: „ეს ამბავი შარიერსა გავაგონოთ;  
კაცი ვგზავნოთ მათ წინაშე, არა თურე დავაყონოთ;  
დანარჩომი<sup>1</sup> მტერთა დროშა თავებთანა მივყენოთ;  
ყულა ერთად გაუგზავნოთ, თავი ლომთა შევაწონოთ“.

1144

ამაზედა ამზადეს<sup>2</sup> დაკუეთილი თუშთა თავი; 345  
აუკიდეს აქლემებსა მტერთა საქმის დასადავი;  
შარიერსა გაუგზავნეს, სიტყუა ჰკადრეს დასაზავი:  
„კემწიფისა მეუნებლეს კმალი ვეციოთ მოსაკუდავი.

1145

მალის კემწიფის ორგული გავლაკეთ ღეთისა<sup>3</sup> ძალითა;  
მოვიდეს ჩუენად საბძოლად, იგ არად იყუნენ კძალითა;  
